

K 155602
3

ରାଧି ପଦକାଳୀ

ତୃତୀୟ କବିତା
ପଦକାଳୀ ପଦକାଳୀ
ପଦକାଳୀ ପଦକାଳୀ
ପଦକାଳୀ ପଦକାଳୀ

ଦେବନାଗିରାଜୀ
1974

ସାହଚାରଣତଥେଲୁଙ୍କ ସ୍ଵର୍ଗ ମହାନୀଏରାଧାରା ଆକାଶରୀଦା

ଓରେଣ୍ଡିରାଲ୍ଲଶରୀ ଶାଶ୍ଵତମୋହନ ପଠିତିନିବାକା

ବୁନ୍ଦାମ ଶବ୍ଦାପ୍ରକାଶ

ତମିମଶୁରାଚ ବାଦରାତିଦିନ—ବୀବିଲିନିରାଜୀ ରୂ କରିଲେଖିବୁଦ୍ଧିନେରି

ଶାଶ୍ଵତମୋହନ ରୂ ପ୍ରକାଶନିକା

1155602



ଶାଶ୍ଵତମୋହନରାଜୀ „ମହାନୀଏରାଧା”

ମୁଦ୍ରଣ ନିବାରି

1974



უსტამბობა, აფიშების წელი - 1782 - 1846

შიგნში განხილულია მე-19 ს. I ნახევრის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის თეიმურაზ ბაგრატიონის (1782—1846), როგორც ბიბლიოგრაფისა და კოლექციონერის, მოღვაწეობა.

„თეიმურაზ ბაგრატიონის შიგნთსაცავის კატალოგი“ პირველად ქვეყნდება ავტორის სეული სიის მიხედვით. დადგენილია მისი შიძართება „კატალოგის“ სხვა სიებსა და გამოცემებთან.

ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალების და, პირველ რიგში 1847 წ. პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „კატალოგის“ მიხედვით შეიძლება დადგინდეს, თუ რა ბედი ეწია თეიმურაზ ბაგრატიონის პირად ბიბლიოთეკას მისი გარდაცვალების შემთხვევა.

ე b1004
M 607 (03)—74 193—74

© ბათონიშვილის „მისიანება“, 1974 წ.



1. თეიმურაზ ბაგრატიონის პიგლიოთება

XIX ს. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და კულტურის მოღვაწემ თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782—1846) თავისი მრავალ-მხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში შექმნა პირველხარისხოვანი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა. ელენე ამილახვრის მოწმობით, ამ კეთილშობილურ საქმეს მისმა უგანათლებულესმა მეუღლემ 40 წლის დაუღალვი შრომა მოაწყობა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ საკუთარი ქართული ბიბლიოთეკის შექმნაზე, მხედველობაში გვაქვს მისი პეტერბურგში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი (1811—1846 წწ.).

როგორც თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგში გადარჩენილი ცნობებიდან ჩანს, თეიმურაზის ბიბლიოთეკას სა-ფუძვლად დასდებია საქართველოს სამეფო ბიბლიოთეკის (უფრო ზუსტად, კახეთის ბაგრატიონთა) წიგნები. მაგალითად, თეიმურაზის მოწმობით, „კატალოგში“ № 87-ის ქვეშ გატარებული ხელნაწერი წიგნი ქვეთევან დელოფლის—წამებულის (თეიმურაზ პირველის დედის, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს შორეულ დიდებით ერგებოდა) ნაქონი ყოფილა:

„87. ლოცვები, საუბე ხუცურად დაწერილი, ფრიად წარჩინებულს ხელზედ. ეს ლოცვები წისა და დიდის მოწამისა ქვეთევან დედოფლისა ყოფილა... და თვისის წამების უამსაც ამაშივე ილოცვა დადაციდა!“¹

ასევე, ეტყობა, მრავლად ჰქონია მას მისი პაპის მამის—თეიმურაზ II და პაპის—ერეკლე II ნაქონი წიგნები; ზოგიერთი მათგანის შესახებ „კატალოგში“ დამოწმებულია დოკუმენტური ცნობა:

¹ მითითებულია „კატალოგის“ B რედაქციის მიხედვით (კატალოგის რედაქციათა შესახებ დაწვრილებით ქვემთ).

„76. ლოცვანი აჩნდის—ხატის (!) პროთოიერეისაგან, მშვენიერისა ხელით დაწერილი. ს-დ საქართველოს მეფისა თე იმურაზ მეორის ნაქონები“.

„78. კ-დ პარაკლისი მტერთა მიმართ ბრძოლისა, ალექსი პროთოიერეისაგან აღწერილი მშვენიერად, მეფის თე იმურაზისავე ნაქონები“.

სამეფო ბიბლიოთეკის გარდა, ეტყობა, თეიმურაზის ბიბლიოთეკა შეუსია ამილახვართა ოჯახიდან თავისი ცოლის—ელენე ოთარ ამილახვარის ასულის მზითევში მოყოლილ წიგნებსაც. მაგალითად, № 86—ხელნაწერი წიგნის შესახებ, კატალოგში თეიმურაზი შენიშნავს:

„86. მცირე ენციკლოპედიის გვარი... ეწოდების შეკრებული. ეს წიგნი აღუწერია თავადის სრულიად ქართლის სარდლის რევაზ ამილახვარის დედის მარიამ არავის ერისთავის ასულისათვის, კინაიდგან იმ უამში დიახ სიბრძნის მოყვარე ყოფილა მარიამ ამილახვარის მეუღლე“.

თეიმურაზის ბიბლიოთეკის შევსების მესამე დიდ წყაროდ ჩვენ მივიჩნევთ მისი უფროსი და უსაყვარლესი ძმის დავით ბატონიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილს, რომელიც ძმის გარდაცვალების (1819 წ.) შემდეგ შეიერთა თეიმურაზმა.

მაგრამ ცხადია, შეცდომა იქნებოდა თუ თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ბირთვად მხოლოდ სხვათა წიგნებს მივიჩნევდით. ჩვენ მრავლად მოგვეპოვება საბუთი იმისა, რომ თავისი ბიბლიოთეკის შესავსებად და გასამდიდრებლად თეიმურაზი საკუთარი საფასით ყიდულობდა ძველ ძვირფას ხელნაწერებს (მაგ., „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა, რომელიც „თეიმურაზისეულ ქართლის ცხოვრებადა“ ცნობილი, აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ასევე საუკეთესო ავტორიზებული ნუსხა და ა. შ.); თუ რომელიმე ძველი კარგი ხელნაწერის შეძენა ვერ ხერხდებოდა, თეიმურაზი არ ზოგავდა ხარჯებს მის გადმოსაწერად, რისთვისაც მას სპეციალურად გადამწერლებიც ჰყავდა დაქირავებული (ს. ტაბიძე, ი. ბაზლიძე, ტარასი ალექსიმესხიშვილი, ი. ნაზაროვი, გ. პატარაძე, ეპიფანე იერომონახბი და სხვები), ხოლო ზოგჯერ გადამწერის უკარგისობის ან ზოგჯერ კიდევ, ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, არაიშვიათად, თვითონ თეიმურაზი გვევლინება გადამწერად. ამ მხრივ დამახასიათებე-

ლია ერთი ხელნაწერი კრებულისთვის (ლენ. E 23) დართული გამოყენებისას ანდერძი, რომელიც უფრო ჩივილს ჰგავს:


1. „ესენი შევაკვრევინე, საერთ ლექსი არიან.
ჩენთა უგვანთა მწერალთა ბრძენიცა გამწარიან.
შეუკვეთ წიგნის დაწერას, სულელად გაუქარიან.
არ უყვართ თვის მამული, ნურმც არა გაუქარიან“.
2. „ვინც ვპოვე მითხრეს კარგად სწერს, მეგონა წესიერ მწერი,
უკველნივე ცოომით სწერდეს, ერისგანი, გინდა ბერი.
უზომოს ანგარებასა თურმე სკირდა მუნი-ბლერი,
ზოგი ბევრის ქრთამით მიწერს, სხვათ შეუსხდისთ ბუზი-მწერი“.

თეიმურაზ ბაგრატიონი არ ყოფილა მწიგნობარი ვიწრო მნიშვნელობით: იგი თვითონ ქმნიდა ახალ, ორიგინალურ თხზულებებს და თარგმანებს, რომლითაც ამდიდრებდა არა მარტო საკუთარ ბიბლიოთეკას, არამედ მშობლიური ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების საუნგეს. ამიტომა, რომ თეიმურაზისულ თხზულებათა ავტოგრაფული ნუსხები ერთი საუკეთესო სამკაულია მისი ბიბლიოთეკისა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს თეიმურაზ ბაგრატიონის მწიგნობრული მოლგაწერების დამახასიათებელი მხარე: იგი სულგრძელად ასაჩუქრებდა თავისი ბიბლიოთეკის კუთვნილი ხელნაწერებით ქართული მწერლობით დაინტერესებულ როგორც კერძო პირებს (პრუსის იმპერატორები ფრიდრიხი ვილჰელმ III და ფრიდრიხი ვილჰელმ IV, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. რუმიანცევი, დავით და გრიგოლ დადიანები...), ასევე სამეცნიერო დაწესებულებებს (პარიზის სააზიო საზოგადოება, რუსეთის ბიბლიური საზოგადოება). ესეც, ქართული წიგნის კულტურის პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმად უნდა ჩაეთვალოს თეიმურაზს. იგი, ძველი ვამოთქმა რომ ვიზმართ, „ქართული წიგნის ნამდვილი ტრფიალია“.

თეიმურაზ ბაგრატიონი არ დაკმაყოფილებულა მარტო ბიბლიოფილობითა და კოლექციონერობით. მან შეადგინა თავისი წიგნთსაცავის კატალოგი, რომელიც ქართული ბიბლიოთეკოლოგიისა და ბიბლიოგრაფიის შენაძენად არის აღიარებული². ეს კატალოგი ვერ ეტევა მარტო ბიბლიოგრაფიის ჩარჩოებში, იგი

² ამის შესახებ იხ. ნ. ლორთქიფანიძის, ნ. სიხარულიძის და სხვათა შრომები.



ცკად. კ. კეკელიძის შეფასებით „საყურადღებოა ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად“³. ⁴

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოგადგინოთ ამ კატალოგის შედგენის, თარგმნისა და გამოცემის, აგრეთვე, თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის შემდგომი ბეჭის ისტორია.

2. თეიმურაზ ბაგრატიონის ზიზისაცავის კატალოგის მარი ბროსეს შელი ფრანგული თარგმანი (1838 წ.)

1838 წელს კრებულში: „Recueil des actes de la séance publique de l'Académie Impériale des sciences de Saint-Pétersbourg, tenue le 29 décembre 1837. St.-Pétersbourg, 1838, p. 119—178“¹, აკად. მ. ბროსემ დაბჭებდა „Catalogue de livres géorgiens, tant imprimés que manuscrits, anciens et modernes“, რომელსაც წინ უძლოდა მისივე Nota Bene (მოგვყავს ქართული თარგმანი):

„ქართული ენის ელემენტები“ (გვ. VI—XX)² უკვე იძლევა სისტემატურ ცხრილს ნაწარმოებთა დიდი ნაწილის შესახებ და მათვის დართულ შენიშვნებზე მე აქ უკვე აღარ ვილაპარაკებ. ის წიგნები, რომლებიც ქმნის ფონდს წინამდებარე კატალოგისას, უმეტესწილად მიეკუთვნება მისი უგანათლებულესობის თეიმურაზ გორგის აქ ბატონიშვილის ბიბლიოთეკას და მის მიერვეა დაჭვულებული: როგორც ჩანს, ბატონიშვილს იმისთვის შეუდგენია ეს ნუსხა, რომ სურდა ის გამოიქვეყნებინა. დანარჩენი წიგნები დამატებულია სხვა ბიბლიოთეკათა კატალოგებიდან, რომლებიც შეადგენენ 259 ნომერს და რომელიც, როგორც მითხეს, იყო თავად ციციშვილის საკუთრება. მე ის აღვნიშნე T [Tzitzich-wili] ასოთი. სხვა ნაწარმოებთა კოლექცია, თარგმნილი რუსულიდან ქართულად, მიეკუთვნება თავად ავალიშვილს. ეს აღნიშ-

³ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 20.

¹ არსებობს მისი ცალკე ამონაბეჭდიც: „Discours prononcé à l'Assemblée générale de l'Académie Imperiale des sciences de St.-Ptb., par M. Brosset. Extrait du Recueil.“ St.-Ptb., 1838, p. 55—114. ჩვენ ამ უკანასკნელია: ვსარგებლობდით.

² იგულისხმება მ. ბროსეს შრომა: „Eléments de la langue georgienne, Paris, 1837, p. VI—XX: Tableau Raisonné de la littérature géorgienne, სადაც აღწერილია 109 დასახელების ქართული წიგნი, რომლებიც დაჭვულია 8 განცოცილებად: რელიგია, ლექსიკონები, გრამატიკა, ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა და ლიტერატურა.

ნულია A [Awalichwili]-ით. დაბოლოს, პეტერბურგელი ქართ-^{ვაკერიანი}
ცელებისგან საშუალება მომეცა გამეგო ზოგიერთი სხვა წიგნე-
ბიც, რაც აღნიშნულია ვარსკვლავით:^{*}

ძირითადი კატალოგის რედაქციისთვის, რომელიც დაედო სა-
ფუძვლად ამ „კატალოგს, არაფერი არ შეუცვლიათ, და თუ იქ მა-
ინც დაემატა რამე შენიშვნა, აღნიშნული იქნება ინიციალით
„B [Brossset]“.

როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს ფრანგული „კატალოგი ქარ-
თული წიგნებისა, როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაშერიც, ძველი
და ახალი“ შეიცავს სამი ქართული ბიბლიოთეკის (თეიმურაზ ბა-
ტონიშვილის, ვინძე თავად ციციშვილისა და ავალიშვილის) კა-
ტალოგთა და აგრეთვე პეტერბურგელი ქართველებისაგან მოწო-
დებულ ცნობებს, ძირითად ტექსტად აღებულია თეიმურაზ ბა-
ტონიშვილის მიერ შედგენილი თავისი ბიბლიოთეკის კატალოგი,
ხოლო შენიშვნებში შესაბამისი დათქმული ნიშნების (T, A, *)
აღნიშვნით, ჩატანილია ამ უკანასკნელთა ბიბლიოთეკების წიგნე-
ბი. გარკვეულ შემთხვევებში, მ. ბროსე თავისი გვარის ინიციალის
(B) მითითებით როგორც ძირითად ტექსტში, ისე შენიშვნებში.
იძლევა ზოგიერთ ახალ: ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას ამა-
თ იმ წიგნის გარშემო.

სანამ უშუალოდ თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კა-
ტალოგის ბროსესეული ფრანგული თარგმანის განხილვას შე-
ცუდდებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩინა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ
თარგმანში შესულ ვინძე ციციშვილისა და ავალიშვილის ბიბ-
ლიოთეკათა კატალოგებზე.

მ. ბროსეს მიერ აქ მითითებული ჭავადი ავალიშვილი რომ
გიორგი ავალიშვილი უნდა იყოს, ეს საკუთრივ აღარაა. ელ. მეტრე-
ველის სპეციალური გამოკვლევით³, ცნობილია გ. ავალიშვილის
კატალოგი, რომლებიც თავის დროს გამოკვეყნეს კიდევ მ. ბროსემ⁴ და ა. ცაგარელმა. ამათ გარდა, ელ. მეტრეველმა მ. ბროსეს არქივში გამოავლინა და დაბეჭდა გ. ავალიშვილის ხელით

³ ე. მეტრეველი, გიორგი ავალიშვილი—ბიბლიოფილი და კოლექ-
ციონერი, კრებულში: „კ. ვაკელიძეს დაბადების 80 წლისთავზე“, თბ., 1959,
გვ. 247—262.

⁴ M. Brosset, *Éléments de la langue géorgienne*, Paris, 1837, p. IX;
Notice des manuscrits géorgiens., BSs, VIII, 1841, p. 305—325.

⁵ А. Цагарели, Сведения, т. I, вып. II, стр. XXV—XXVI. შლ. მისივე, Памятники груз. стариня..., стр. 182—192.



დაწერილი საკუთარი კოლექციის სია—აღწერილობა (მ. ბროსეტის მიერ განვითარებული არქივი, I, № 97)⁶, რომლითაც უკველია ბროსე ისარგებლებდა?

აქ უფრო მეტად საინტერესოა, ვინმე თავად ციციშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომლის მონაცემები აკად. მ. ბროსეს T ლიტერით აქვს დაბეჭდილი. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვინ არის ეს თავადი ციციშვილი?

ამ საკითხს აკად. მ. ბროსე ხელმეორედ დაუბრუნდა თითქმის 30 წლის შემდეგ: 1878 წელს დაბეჭდილ შრომაში „De la littérature romanesque géorgienne“⁸ იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „...C'est un Catalogue formé de trois: a) Celui, en 212 NN; redigé par le savant tsarévitch Théimouraz Giorgiévitch, pour sa propre bibliothèque; b) celui d'une collection que l'on m'a dit ovoir appartenu à'un thawad-prince Tzitzi-chwili, qui n'est autre que la transcription pure et simple d'une liste de livres et manuscrits géorgiens, rédigée par le recteur David Alexi-chwili, préposé du séminaire de Thélaw, dans le Cakheth septentrional, au temps du roi Ericli II, vers la fin du dernier siècle, homme fort lettré pour son temps et calligraphe distingué, ayant formé école. Je n'ai fait que transcrire dans le Compte-Rendu de M. Fuss le Catalogue dont il s'agit, dont une copie originale m'est tombée depuis lors entre les mains, sans que J'aie vu les ouvrages eux-mêmes. c) Une liste d'ouvrages, la plupart traduits de diverses langues, rédigée par un thawad Awali-Chwili, dans les mêmes conditions.

Le Catalogue du recteur David, écrit en grande partie de sa main, du moins y remarque-t-on deux écritures, dont une est évidemment la sienne, l'autre, cursive, peut-être la sienne ou celle d'un tiers inconnu. Il comporte 271 №№, sauf erreur, et est précédé d'une introduction qui mérite d'être lue, et précise le genre de valeur du travail dont il sagit“ (და მოყვანილია დავით რეჯორიძის, ე. წ. წინასიტყვაობის სრული ფრანგული თარგმანი)⁹.

⁶ ე. მეტრევალი, დას. ნაშრ., გვ. 256—258.

⁷ ი. M. Brosset, De la littérature romanesque géorgienne, Bull. de l'Acad. 1878, p. 499—500.

⁸ Bull. de l'Acad. t. XXIV, 1878, p. 499—510; გადაბეჭდილია: Mélanges Asiatiques, t. VIII, 1881, p. 417—442 ჩვენ ამ უკანასკნელით ვსარგებლობთ.

⁹ MA, p. 418—420.

როგორც ვხედავთ, მ. ბროსე თვითონვე ამხელს 1838 წელს შეტყუდულ მის მიერ დაშვებულ შეცდომას და წერს: მე რომ თავად ციცი-შვილის ბიბლიოთეკის კატალოგი მეგონა, სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მისი ავტორი დავით ალექსიშვილი, თელავის სემინარიის რექტორი ყოფილა. ამის გარკვევაში, ამბობს ბროსე, დამებმარა ამ კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის ხელში ჩავარდნა, რომლის წინასიტყვაობიდან (და ზოჟავს ამ წინასიტყვაობის სრული ფრანგული თარგმანი) დანამდვილებით ჩანს, რომ ის შეუდგენია დავით რექტორ-ალექსიშვილს. მ. ბროსე აქვე იძლევა ხელნაწერის მოკლე აღწერილობასც.

მეტი დაწვრილებითი ცნობები აქვს დაცული ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო მ. ბროსეს ვაჟს—ლ. ბროსეს ცნობილ წიგნში: *Bibliographie Analytique des ouvrages de monsieur Marie-Félicite Brosset, 1824—1879, St-Petersburg, 1887.* აქ ეთვამია: „Dans une de ses publications postérieures, de l'année 1877, v. № 264: „De la littérature romanesque géorgienne“, Bull. de l'Acad. t. XXIV, col. 283, M. Brosset donne de nombreux détails sur le présent Catalogue et surtout sur la liste de livres qu'il croit, en 1837, provenir du prince Tzitzichwili. Depuis lors, M. Brosset a constaté que cette liste n'était autre chose que le registre de livres géorgiens, rédigé vers la fin du siècle dernier, par David Alexis—Chwili, recteur du Séminaire de Thelaw, sous le roi Iracli II. L'original autographe de ce registre est tombé entre les mains de M. Brosset et s'est conservé parmi ses papiers, posthumes: c'est un manuscrit de 15 pages in foli, sur papier bleu. Il en reproduit, dans l'article présenté, toute l'introduction, v. Bull de l'Acad. t. XXIV, col. 284—285“¹⁰.

ლ. ბროსე, გარდა იმისა, რომ განვიხილავ მ. ბროსეს შეხედულებათა განვითარებას „ცაციშვილ“-ალექსიშვილის კატალოგის თაობაზე, რომელიც ჩვენ უკვე ზემოთ მოვიყვანეთ და აქ აღარ გავიმეორებთ, იძლევა დავით ალექსიშვილ-რექტორის კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის ზუსტ აღწერილობას და მის ადგილამყოფელს: „ამ კატალოგის დედან-ავტოგრაფი მ. ბროსეს ჩაუვარდა ხელთ და მისი სიკვდილის შემდეგ მის ქალალდებშია (არქივში) დაცული: ხელნაწერი შედგება 15 გვერდისაგან, ინი, ნაწერია ცისფერ ქილალდზე. ის გადახეჭდილია ზემოაღნიშ-

¹⁰ BA, p. 117—118.



ნულ შრომაში (გულისხმება: Catalogue.. 1838.—გ. 3.), გრძლებულ
წინასიტყვაობა კი: Bull. de l'Acad. t. XXIV, 1878^ა.

ეს იყო 1887 წელს^მ.

ამის შემდეგ პროფ. ალ. ცაგარელმა თავის „Сведения“ -ს III ნაკვეთში, 1894 წელს დაბეჭდა ერთი უავტორო: „Список памятников Грузинской письменности; составлен 26 сентября 1810 г“, რომელშიაც 270 ქართული ხელნაშერი და ნაბეჭდი წიგნია აღნუსხულ-აღწერილი¹². გამოცემისათვის დართულ შენიშვნაში ალ. ცაგარელი წერდა: „Стр. 252—266 занимает список грузинских книг, неизвестно кем составленный в 1810 году. Настоящий экземпляр этого списка не мог быть переписан раньше 1817 года, когда был переведен Политический театр, внесенный в этот список под № 201, стр. 263. Кто автор или писец этого списка, в нем не говорится. Броссе к переводу каталога царевича Теймураза, в 1838 г., присоединил перевод каталогов книг, принадлежащих Цицишвили и Авалову (Rec. des Actes.., 1838, p. 119—178). Хотя заглавия значительной части книг в каталоге кн. Цицишвили и напечатанного здесь каталога — тожественны, но за то и немало названий книг, отличных друг от друга в обоих каталогах, так что они не могут быть списками друг друга или одного и того же оригинала; возможно, что этот список составлен Давидом Алексишвили, ректором Телавской семинарии, в библиотеке которого в кон-

11 მართ ბრძანებს არქივის სააზიო მეცნიერების გადასელის (1884 წ.) შემდევ, ცხადია, დავით რექტორის „კატალოგის“ ეს ვეტოგრაფული ნუსხაც იქ მოხვდე—ჟერН 65, უკანასკნელად ჩ 46 შითრის ქვეშ. იგი აღწერილია რ. ორბელის მიერ: გруз. рукописи ИВ АН ССР, М.—Л., 1956 № 154, გვ. 160—161; ოღონდ, აღწერელს ვერ დავვთანხმებით იმაში, თითქოს: „В конце 1837 или начале 1838 г., не позднее, экземпляр уже принадлежал М. Броссе“ (გვ. 161). 1837 წლის ბოლოს ან არაუგვიანეს 1838 წლის დასწერისისა, ეს ხელნაშერი რომ ბრძანებს პკუთვნებოდა, მაშინ ცხადია, რვი თავიდან იცილებდა 1838 წლს დაბეჭდილ შრომაში დაშვებულ გაუგებრობას, როცა ეს კატალოგი დავით აღექსიშვილის ნაცვლად, ეინდე თავად ციციშვილს მიაკუთხა. წვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნუსხა მ. პროსემ გაცილებით გვიან ჩაიგდო ხელთ, კერძოდ 1870-იან წლებში, არაუგვიანეს 1878 წლის, როცა მასზე დაყრდნობით, მან გასწორ, 1838 წელს დაშვებული შეცდომა და „კატალოგის“ ვეტორად ციციშვილის ნაცვლად, სრულიად სამართლიანად დაეით აღექსიშვილი გამოაცხადა.

¹² ალ. ცაგარელი, Сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. III, СПб, 1894, стр. 252—266.

ще XVIII в. считалось до 200 книг (Сведения и пр., I вып. стр. V; Bibliogr. Analyt. p. 505). Хотя, к сожалению, составитель этого каталога не говорит какую или чью именно библиотеку он описывал, были ли эти книги у него под руками...¹³

Самоубийство, Зроп. ალ. ცაგარელს, ეტყობა, სრულიად გამორჩა მხედველობიდან მ. ბროსეს შრომა: „De la litt. rom. georg. 1878“, სადაც ციციშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი უკვე

დავით რექტორ-ალექსიშვილისად იყო გამოცხადებული და აგრეთვე, ლ. ბროსეს ცნობა (Bibl. Analyt. 1887, p. 117—118), აღნიშნული კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის მ. ბროსეს არქივში არსებობის შესახებ, რომლის წინასიტყვაობის ფრანგული თარგმანი მ. ბროსეს უკვე დაბეჭდილი პქონდა (De la litt. rom. georg. 1878, p. 499—501) და საიდანაც დანამდვილებით ირკვეოდა, რომ მ. ბროსეს მიერ წინათ (1838 წ.) თავად ციციშვილის ბიბლიოთეკის კატალოგად გამოცხადებული ნუსხა, სინამდვილეში, ეკუთვნოდა დავით რექტორ-ალექსიშვილს და შეიცავდა მისი ყოფილი თბილისის საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნთა აღნუსხვა-აღწერას, რომელიც მას განადგურებია 1795 წლის 22 სექტემბერს აღა-მამად-ხანის შემოსევის დროს.

ალ. ცაგარელს ხელით პქონია დავით რექტორ-ალექსიშვილის 1810 წლის 26 სექტემბერს შედგენილი კატალოგის ნუსხის მხოლოდ გვიანდელი პირი (ცაგარლისავე დათარიღებით, არაუადრეს 1817 წლისა), რომელშიც უკვე ავტორობის მიმანიშნებელი წინასიტყვაობა აღარაა შესული¹⁴. მ. ბროსეს არქივში არსებული, დავით რექტორის ხელით 1810 წლის 26 სექტემბერს შედგენილი წინასიტყვაობიანი დედან-ავტოგრაფი კი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ალ. ცაგარელისავის უცნობი დარჩენილა. ამან განაპირობა, რომ ალ. ცაგარელმა ტექსტი უავტოროდ დაბეჭდა.

13 А. Цагарели, Сведения, вып. III, 1894, стр. XXX—XXXI.

14 ეს ხელნაწერი, ტრ. რუხაძის აზრით, უნდა იყოს დღევანდელი: A—1767. (იხ. ტრ. რუხაძე, ვინ არის 1810 წლის „ძველი ქართული მწერლობის კატალოგის“ ავტორი?, ლიტ. საქართველო, 24 იანვ. 1940, № 3; მისივე, ძველი ქართული ლირიის სტროიდან, თბ., 1954, გვ. 41). შემოწმებით გამოიკვა, რომ A-1767 სულ სხვა ხელნაწერია და არაუგრი საერთო არა ქვეს დავით რექტორის „1810 წლის კატალოგთან“. შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955, № 1767.

1940 წლამდე, სპეციალურ ლიტერატურაში, აღნიშნულია თავის მხოლოდ ალ. ცაგარლის „ჰუბლიკაციით იცნობდნენ და უავტოროდ იხსენიებდნენ, რადგან ანგარიშს არ უწევდნენ თუ არ იცნობდნენ მარი ბროსეს და ლორან ბროსეს ცნობებს, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

1940 წელს ტრ. რუხაძემ გამოაქვეყნა საგაზეთო წერილი: „ვინ არის 1810 წლის „ქველი ქართული მწერლობის კატალოგი“ ავტორი?“¹⁵. წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ ალ. ცაგარლის მიერ 1894 წელს დაბეჭდილი „კატალოგი“, რომელსაც „ჩველა ქართველი მკვლევარი, ვისაც კი გამოუყენებია ეს კატალოგი, მას უცნობი ავტორის ნაწარმოებად სთვლიდა, ...ჩვენ დანამდვილებით გამოვარკვიეთ, რომ შეუდგენია ცნობილ მწერალს დავით ალექსიშვილს, რექტორად სახელდებულსო“. ამის საბუთად მას მოჰყავს ლენინგრადული H 65 (ახლ. H 46) ხელნაწერის წინასიტყვაობის ცნობა, სადაც კატალოგის ავტორად დავით ალექსიშვილი-რექტორი იხსენიება. აკად. კ. კეცელიძემ ეს შრომა „კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის აღმოჩენად“ შეაფასა¹⁶.

საქმე ის არის, რომ ტრ. რუხაძემ მკითხველს მაშინ არაფერი უთხრა (შეიძლება არ იცოდა!), რომ ეს ავტოგრაფული ნუსხა ჩერ კიდევ 1878 წელს იყო აღმოჩენილი აკად. მ. ბროსეს მიერ და მისი კოლექციიდან შევიდა სააზიო მუზეუმის—ახლანდელი ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში—H 46 (H 65); ხელნაწერი დაწვრილებით შემონაბათ აღწერილი ჩერ მ. ბროსეს (1878 წ.) და მერე ლ. ბროსესაც (1887 წ.). ამას გარდა, დავით რექტორის ავტორობის დამამტკიცებელი წინასიტყვაობა იმ ავტოგრაფული ნუსხიდან, რომელსაც 1940 წელს შემოკლებით სთავაზობდა მკითხველს ტრ. რუხაძე, ხომ 1878 წელს ჰქონდა უკვე სრულად დაბეჭდილი მ. ბროსეს!

ტრ. რუხაძე გრძნობს ამ უხერხულობას და შემოდავების უფლებისათვის ერთს თავის გვიანდელ (1954 წ.) შრომაში. შენიშნავს: „უკვე აკად. მარი ბროსემ იცოდა, რომ 1810 წლის ქართული კატალოგის ავტორია დავით რექტორი, ალექსიშვილის 15 გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1940 წლის 23 იანვარი, № 3.

¹⁶ კ. კეცელიძე, ქველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ., I., 1951.; 23. 15.



ლი“¹⁷. მაში, რაღა აზრი ჰქონდა მისი აურინდელი (1940 წ.) წერტილით სათაურს: „ვინ არის 1810 წლის ძველი ქართული მწერლი? ბის კატალოგის ავტორი?“

აქე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მ. ბროსეს მიერ თარგმნილი „თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის კატალოგისა“ და „დავით რექტორის-ალექსიშვილის მიერ შედგენილი კატალოგის“ ურთიერთმიმართების შესახებ ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიკოსს ივ. ციციშვილს¹⁸.

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენს ძირითად საკითხს—თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის მარი პროცესულ ფრანგულ თარგმანს.

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის რომელი ნუსხა დაედო საფუძვლად აღნიშნულ თარგმანს? თვითონ მ. ბროსე ამის შესახებ თავის Nota Bene-ში მხოლოდ ზოგადი ცნობების მოწოდებით კმაყოფილდება. კერძოდ, ერთგან ამბობს, რომ „ის წიგნები, რომლებიც ქმნის ფონდს წინამდებარე კატალოგისას, უმეტესწილად მიეკუთვნება მისი უგანათლებულესობის თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილის ბიბლიოთეკას და მის მიერვეა დაჯგუფებული. როგორც ჩანს, ბატონიშვილს იმისთვის შეუდგენია ეს ნუსხა, რომ სურდა ის გამოექვეყნებინა“, ხოლო დასასრულს იგი შენიშნავს: „ძირითადი კატალოგის რედაქციისთვის, რომელიც დაედო საფუძვლად ამ კატალოგს, არაფერო არ შეგვიცვლიათ“. ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ მ. ბროსე თარგმნის თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შედგენილ თავისი ბიბლიოთეკის კატალოგის რომელიღაც ნუსხას. უფრო კონკრეტულ ცნობებს მ. ბროსეს თარგმანის დედნის შესახებ ვპოულობთ ლ. ბროსესთან: „L'original manuscrit géorgien du catalogue du tsarévitch Théimouraz s'est conservé dans la bibliothèque de M. Brosset. C'est un volume petit in-4°, joliment relié et doré sur tranche, refermant 107 pages, érites d'une main soignée, sur la première page se lit la note suivante de l'écriture de M. Brosset: „Destiné à la Société Asia-

¹⁷ ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 41.

¹⁸ ივ. ციციშვილი, ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიისათვის, ქ. მარქსის სახ. საქართველოს მიმები, ტ. I; 1934, გვ. 74.



tique, ce M-it m'a été donné par l'auteur même, lors de mon arrivée en Russie 1837¹⁹.

მაშასადამე, ლ. ბროსეს ცნობით, მ. ბროსეს ფრანგული თარგმანის დედანი—თეიმურაზ ბატონიშვილის კატალოგის ქართული ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს ლამაზი ხელით ნაწერ, ასშვიდგვერდიან პატარა წიგნს in—4°, დაცული ყოფილა მამის არქივში. ხელნაწერი წიგნის პირველ გვერდზე, მ. ბროსეს ხელით ფრანგულად შიწერილი ყოფილა: „განკუთვნილია სააზიო საზოგადოებისათვის. ეს ხელნაწერი თვით უცტორმა გადმომცა, ჩემი რუსეთში ჩამოსვლისას 1837 წელს“. ე. ი. თვით თეიმურაზ ბაგრატიონის, მ. ბროსეს ცნობით, გადაუცა მისთვის 1837 წელს კატალოგის ნუსხა, რომელიც ფრანგ მეგობარს დაუყოვნებლივ უთარგმნია. საინტერესოა, როდისაა დაწერილი თარგმანის დედანი? მ. ბროსე თარგმანის დასასრულს შენიშვნას „Acheve en 1835, l'an 523 du 14^e cycle géorgien, le 21 octobre, à Péterhof“. (Rec. des Actes., 1838, p. 114). მაშასადამე, თეიმურაზის კატალოგის აღნიშნული ნუსხის გადაწერა დამთავრებულა 1835 წლის 21 ოქტომბერს, პეტერგოფში. ყველა ძირითადი მოქმედი მ. ბროსეს თარგმანის ქართული დედნის საძიებლაზ, მ. და ლ. ბროსეს ცნობათა მიხედვით, ჩვენთვის უკვე ცნობილია: ხელნაწერი ყოფილა ასშვიდგვერდიანი პატარა ტანის წიგნი, რომელსაც ბოლოში გადაწერის თარიღიად ჰქონია 1835 წლის 21 ოქტომბერი, შეიცავს 212 დასახელების ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის აღწერილობას, ხოლო პირველ გვერდზე იქვე მ. ბროსეს ხელით გაკეთებული ფრანგული მინაწერიც.

ამ ცნობათა მიხედვით, ადვილად დადგინდა, რომ მ. ბროსეს თარგმანის ქართულ დედანს წარმოადგენს დღევანდელი ლენინგრადის აღმოსავალეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდის ხელნაწერი—С 38, რომელიც მისდევს ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ყველა მოქმედს. მის შესახებ დაწერილებით გვაქვს მსჯელობა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ნესხათა ცალკეულ დახასიათებისას (იხ. ამ ხელნაწერის აღწერილობა რ. ორბელთან: ერთ გვერდზე დაგვიანებული ფრანგული მინაწერიც).

¹⁹ ВА, p. 117.

პროფ. ალ. ცაგარელის თვის შცნობი დარჩენილა, თუ მათ გამოყენებული იყო. ბროსეს თარგმანში კატალოგის ლომელი ნუსხაა გამოყენებული იყო. ბროსეს პირავირი ცნობა ამის შესახებ, პროფ. ალ. ცაგარელი წერს: «Французский перевод этого каталога был сделан, с разрешения Теймураза, акад. Броссе и напечатан вместе с другими каталогами в Recueil des Actes de l' Academie des sciences. St—Ptb, 1838, pp. 55—114. Броссе говорит, что редакция оригинала сохранена и в переводе без всякого изменения. Действительно, из сличения их* видно, что Броссе очень близко держался подлинника, хотя заглавия отделов каталога у него местами сокращены и несколько книг пропущено, так, грузинский перевод Монтецкье (стр. 184, № 197), о природе богов Цицерона (стр. 174, № 130), История царя Ираклия II (стр. 176, № 146) и словарь Теймураза к поэме «Барсова Кожа» не поименованы в переводе Броссе. Это можно объяснить или тем, что Броссе переводил с другого списка, или тем, что Теймураз сделал прибавление позже и настоящий список-автограф написан позже. Хотя следует заметить, что упомянутые заглавия внесены прямо в текст каталога. В оригиналете этом Теймураз не указывает когда он его составил или переписал. Броссе же подробно указывает: «кончен (каталог) в 1835 году, в 523 году грузинского хроникона, 21 октября, в Петергофе». Это еще больше подтверждает, что Броссе переводил с другого списка, на котором стояла дата»²⁰.

ასეთა გამორკვეულია თ. ბავრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის მ. ბროსეს ფრანგული თარგმანის დედანი (C 38), უკვე ადვილია მათი ერთმანეთთან შედარება და გარკვეული დასკვნების გამოტანა:

დედანში 212 დასახელების ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია აღნუსხეულ-აღწერილი. თარგმანშიაც (იგულისხმება ძირითადი ტექსტი) ამდენივე ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია. დედანში ეს 212 დასახელება ხელნაწერებისა და წიგნების 21 განყოფილებადა დაგუფებული: ამათგან 11-ე განყოფი-

* აქ, ა. ცაგარელი გულისხმობს მის მიერ დ. ჩებინაშვილის ბიბლიოთეკაში გამოვლენილ თემებიზ ბავრატიონის ბიბლიოთეკის კატალოგის ავტოგრაფულ-ნუსხის, რომელიც სინამდვილეში, რედაქტირული სხვა ტიპისაა, ვინგზ მ. ბროსეს დედანი—C 38, ასევე ავტოგრაფული ნუსხა. მას კი ალ. ცაგარელი ირ იცნობდა. ამის შესახებ ცალკე ვვაქეს მსჯელობა „კატალოგის“ ნუსხათა მიმოხილვაში.

20 А. Цагарели, Сведения, т. 1, вып. III, СПб, 1894, стр. XVII.



- ლება 5 ქვეთავს, ხოლო 18-ე 1 ქვეთავს შეიცავს: [1]²¹ [თუ კი მარტო განვითარების სამინისტროს მიერ არის აღდგენილი. დედანში ეს განყოფილება უსათაუროდ არის წარმოდგენილი]:
- [2]. საღმრთონი წერილი საზოგადოთაგან ღირ-სთა და ღ-თ-შემოსილთა წ-თა მამათა: №№ 13—15.
 - [3]. სტინი საღმრთოთა წერილთანი: №№ 16—50.
 - [4]. წიგნი ურიათა მიმართ და მოპედიანთა სიტყვს-საგებელი: №№ 51—65.
 - [5]. წიგნი საეკლესიოთა ისტორიათანი: №№ 56—60.
 - [6]. ჩ-ნ ქართველთა საზოგადოდ ეკკლესიურნი ისტორიანი: №№ 61—67.
 - [7]. კ-ლად წიგნი საღმრთოთა წერილთანი: №№ 68—79.
 - [8]. წიგნი ხელნაწერნი ესე იგი მონისკრიპტნი. შვენიერის მწერ-ლობით, ჩინებულთა ქელოვანთა ქართველთა მწერალთაგან: №№ 80—91.
 - [9]. წიგნი საღმრთონი საეკლესიონი. სრულიად ბერძნენთაგან ელინურით ნათარგმნი ჩვენთა ქართველთა წმიდათა მამა-თაგან, რომელნიცა ეკკლესიასა შ-ა იხმარებიან არიან ესე-ნი: ადრევე საქართველოს მეფეთ დროსა დაბეჭდილნი სტამბაში და შემდგომაცა: №№ 92—107.
 - [10]. კვალად რომელნიმე შემეცნებანი მოთხრობათა მოკლედ და სიტყვანი: №№ 108—113.
 - [11]. საფილოსოფონი და საღრამატიკონი წიგნი:
 - [ა]. საღრამატიკო: №№ 114—119.
 - [ბ]. წიგნი სარიტორონი და საფილოსოფონი, №№ 120—121.
 - [ვ]. ძველი საფილასოფონი წიგნი: №№ 122—128.
 - [გ]. კუალად წიგნი საფილასოფოსონი: №№ 129—134.
 - [დ]. წიგნი ზნეთ სწავლულებათანი: №№ 135—141. - [12]. წიგნი სამკურნალონი: №№ 142—147.
 - [13]. მოთხრობანი საქართველოისა ისტორიათა და ცხოვრებისა: №№ 148—157.
 - [14]. საზოგადოდ საისტორიოთა წიგნთათვს: №№ 158—167.
 - [15]. წიგნი საზღაპრონი: №№ 168—171.

²¹ განყოფილებების სათაურთა და ქვესათაურთა დანომრვა ჩვენ გვევუთ-ვნის. დედანში ისინი დაუნიმრავია.—გ. შ.

- [16]. წიგნი პოემანი, რომელ არიან სტილი ანუ შეერნი: №№ 172—177.
- [17]. წიგნი ლექსიკონი და ენის საბჭავლებელი საუბრნი: №№ 178—183.
- [18]. წიგნი სჯულთანი და სამართლის წიგნი:
- (ა). [ქართული ჰსჯული]: № 184.
 - (ბ). რუსული ჰსჯულები: №№ 185—191.
- [19]. წიგნი სამხედრონი და საარტელერიონი და სამხედროთა ჰსჯულთა და განწესებათანი: №№ 192—199.
- [20]. წიგნი საგეომეტრიონი და გეოგრაფიული: №№ 200—202.
- [21]. კუალად რომელნიმე წიგნი, რომელნიცა ზემორე ვერა მოვისენიეთ: №№ 203—212.

დედანში ტექსტი სრულდება შენიშვნით: „სრულ იქმნა წელსა ქ' სით 1835-სა. ქართულს ქ' კს ფკგ. მეათოთხმეტისა მოქცევისასა. თვესა ოკლობერსა 21-სა. პეტერლოფს“ (C 38, 107 გ).

ბროსეს თარგმანი ზუსტად იმეორებს თ. ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა და ნაბეჭდ წიგნთა კატალოგის დედან-ავტოგრაფიისეულ დაყოფა-დასათაურებებს:

I^e Section. Théologie: №№ 1—12.

II^e Section. Livres de piété, par divers Saints Pères Géorgiens inspirés de dieu: №№ 13—15.

III^e Section. Poésie sacrée: №№ 16—50.

IV^e Section. Livres de controverse, en réponse aux Juifs et aux musulmans: №№ 51—55.

V^e Section. Livres d'histoire ecclésiastique: №№ 56—60.

VI^e Section. Histoire générale ecclésiastique de la Géorgie: №№ 61—67.

VII^e Section. Autres livres relatifs à la religion: №№ 68—79.

VIII^e Section. Manuscrits de la main des plus habiles calligraphes et remarquables par la beauté de l'exécution: №№ 80—91.

IX^e Section. Livres religieux et ecclésiastiques, tous traduits du grec par nos saints pères et interprètes géorgiens, employés dans l'église, et imprimés autrefois, sous nos rois géorgiens, ou depuis eux: №№ 92—107.

X^e Section. Notions abrégées d'histoire, et quelques discours: №№ 108—113.

XI^e Section. Livres de grammaire de rhétorique, de philosophie et de morale: №№ 114—141.

XII^e Section. Médecine: №№ 142—147.

XIII^e Section. Récit des faits et événements accomplis en Géorgie: №№ 148—157.

XIV^e Section. Livres d'histoire générale: №№ 158—167.

XV^e Section. Romans en poésie: №№ 168—172.

XVI^e Section. Poèmes: №№ 173—177.

XVII^e Section. Lexiques et dialogues pour apprendre la langue géorgienne: №№ 178—183.

XVIII^e Section. Livres de lois et de jurisprudence: № 184. Lois russes: №№ 185—191.

XIX^e Section. Livres relatifs à la guerre, à l'artillerie et réglements militaires: №№ 192—199.

XX^e Section. Mathématiques: №№ 200—202.

XXI^e Section. Livres omis dans les sections précédentes: №№ 203—212.

თარგმანშიაც ტექსტი მთავრდება შენიშვნით: „Achevé en 1835 l'an 523 du 14^e cycle géorgien, le 21 octobre, à Péterhof (p. 114).

მცირეოდენი განსხვავება, დედანსა და თარგმანს შორის, მღვმარეობს შემდეგში:

1. საერთოდ, დედანში განყოფილებათა თავები და ქვეთავები დანომრილი არ არის. ამიტომ ძნელდება გარჩევა, თეომურაზი რომელ მათგანს გულისხმობს თავად და რომელს ქვეთავად (სულ 27 სათაურია), რამაც, სხვათა შორის, შეცდომაში შეიყვანა ასლის (A 1091) გაღმომდები და მისი გამომცემელიც (ს. ორდანიშვილი, 1948. ამის შესახებ ცალკე გვაქვს საუბარი)²². მ. ბროსეს თარგმანში თითოეულ განყოფილებას უზის რომაული ციფრებით გამოხატული ნომერი (სულ I—X XI). მაშასადამე, დედნის 27 სათაურიდან მ. ბროსე 21 გამოყოფს განყოფილების დასათაურებად, დანარჩენს კი ქვეთავებად მიიჩნევს. ეს, ასაკვირველია, თეიმურაზთანაც იქნებოდა შეთანხმებული. ეს ქვეთავები, განსხვავებით დედნისაგან, თავად სათაურშია გაერთიანებული. მაგ.: 11-ე განყოფილება:

²² რ. ობელიც იმ აზრისა, რომ „Каталог...“ разделен на 26 тематических разделов“, с. Груз. рукописи..., с. 164.

„საფილოსოფონი და სალრამატიკონი წიგნნი:

სალრამატიკო: №№ 114—119.

წიგნნი სარიტორონი და საფილოსოფონი: №№ 120—121.

ქველნი საფილასოფონი წიგნნი: №№ 122—128.

კუალად წიგნნი საფილასოფონსონი: №№ 129—134.

წიგნნი ზნეთ სწავლულებათანი: №№ 135—141“.

თარგმანში დედნის სათაური და ქვეთავები გამთლიანებულია:
„XI^e Section. Livres de grammaire, de rhétorique, de philosophie
et de morale, №№ 114—141“. ერთ შემთხვევაში (XVIII^e section),
დედნისეული ქვეთავი: Lois russes და ოცებულია.

2. დედანში I განყოფილებას (თეოლოგიური წიგნები, სულ
12 დასახელება) სათაური არა აქვს. თარგმანში კი ივი დასათაურე-
ბულია: I-re Section. Theologie, № 1—12.

3. დედანში (C 38, 44 r) 15-ე განყოფილებაში გვაქვს ასეთი
აღვილი:

„171. წიგნი ზღაპარი ჩინეთის მეფის შვილის მირი ჭაბუკის
ამბავი. წიგნი საზღაპრო მილორდ ანგლიელი ლორდისა შემთხვე-
ულებანი. თარგმნილი რუსულით ქართულად საქართველოს აზ-
ნაურთაგანისა გლახა კოტეტისაგან“.

როგორც ვხედავთ, აქ ორი წიგნი „მირი ჭაბუკისა“ და „მი-
ლორდისა“ ერთი ნომრითაა (171) წარმოდგენილი. თარგმანში მ.
ბროსეს სრულიად სამართლიანად ისინი ორ ნომრად (171 და
172) დაუყვია:

„171. Histoire de Miri, fils de l'empereur de la Chine. 172. Aventures de Milord, lord anglais, histoire romanesque, traduite du russe, par Glakha Cotet, aznacour géorgien“. (p. 104)

4. ამან თავისთავად გამოიწვია თარგმანში წიგნთა რაოდენო-
ბის ერთი ნომრით გაზრდა დედანთან შედარებით, რის გამოც,
მომდევნო 16-ე განყოფილების („წიგნი პოემანი...“) ნომრებიც
თარგმანში აღრეულია და ერთმანეთს აღარ შეესატყვისებიან:

დედანში:

თარგმანში:

172. წიგნი პოემა, რომელ არიან ლექსნი ვეფხის-ტყაოსა-
ნი... 173. L'homme à la peau de tigre...



173. პოემანი... აბდულ მე-
სიას მიერ შავთელისა... 174. Poème... par Abdul-Me-
ssia Chavtel...
174. პოემანი, ეგრეთვე ჩახ- Poème par Tchakhroukhadze“
რუხაძისანი... (C 38, 44 გ—46 გ). (p. 105—106).

როგორც ვხედავთ, თარგმანში ახლა სურათი პირიქითაა: რომ აღადგინოს წიგნთა დელნისეული სწორი თვლა, მ. ბროსე იძულებულია, დედანში ცალ-ცალკე ნომრად (173, 174) წარმოდგნილი შავთელისა და ჩახრუხაძის პოემები ერთ ნომრად (174) შეაერთოს. ამის შემდეგ, ამ რიგის რაიმე სხვაობა დედანსა და თარგმანს შორის, უკვე აღარ შეინიშნება.

5. მართალია, მ. ბროსე Nota Bene-ში საგანგებოდ შენიშნავს, რომ დედნის რედაქცია არ შემიცვლია და თუ რაიმე დავუ-
ნატე ჩემი გვარის ინიციალითა (B) მაქვს აღნიშნულით და უმრავ-
ლეს შემთხვევაში, მართლაც ასეა გატარებული, მაგრამ არის ცალ-
კეული გამონაკლისებიც, როცა ძირითად ტექსტში ამა თუ იმ წიგ-
ნისა თუ ხელნაწერის გარშემო ზოგიერთი ისეთი ახალი ცნობაა
ჩამატებული, რაც დედანში არ მოიპოვება, ხოლო თარგმანში სა-
განგებო აღნიშვნის გარეშეა დატოვებული; მაგ.: ა). ბასილ დიდის
„ეთიკისთვის“ (N 13, p. 58) დამატებულია: „Ce manuscrit en
caractère khoutzouri très élégant, est de la main d'Ambrosi, d'abord
archevêque de l'éparchie de Tsilcan, puis nommé à celle de Né-
crési dans le Gaghma-Mkhar, en Cakheth“. (შდრ. C 38, 5 რ-ვ). ბ).
„სჯულის კანონისათვის“ (№ 50, p. 69) დამატებულია: „Il y man-
quait quelques feuillets; S. A. R. les ajouta d'après un autre
exemplaire copié, en 1829, par Giorgi Tertérachwili, d'après un
manuscrit appartenant à David fils d'Alexis, professeur et recte-
ur du séminaire de Tiflis, et datant de 1810“ (შდრ. C 38, 12 რ). ან
კიდევ, გ) სრულიად ახლებურად არის თარგმანში დახასიათებული
„ძეელი აღთქმა“ (№ 92, p. 86): „L'Ancien-Testament, ie. la Bib-
le, imprimée à Moscou, en 1743, en caractères sacrés. Donné au
Musée asiatique par le Tzarévitch Théimouraz“ (შდრ. C 38, 30v)
და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ახალი დამატებითი ცნო-
ბებიც, რაც იძებნება თეომურაზის კატალოგის ბროსესეულ თარ-
გმანში დედანთან შედარებით, უნდა ეკუთვნოდეს თვითონ ავ-



ტორს—თეიმურაზ ბაგრატიონს და ამიტომ არიან ბროსეს მოქალაქე სპეციალური აღნიშვნის გარეშე დატოვებულინი.

ერთი საბუთი ჩვენი მოსაზრებისა, რომ „კატალოგის“ მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანში დამატებული ახალი ცნობები ნამდვილად უნდა ეკუთვნოდეს თეიმურაზ ბაგრატიონს, გამოვავლინეთ მ. ბროსეს არქივის ლენინგრადულ ნაწილში. სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ბროსეს ფონდში—P 18/67²³ დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის დღემდე უცნობი წერილი მ. ბროსესადმი. თეიმურაზი წერს:

„ბატონო ბროსეტ!

იოანე ბაზლიძეს უთარგმნია ესე წიგნი რომელაც ამ სიაში სწერიან. რუსულათ იყო დაწერილი: მე ვსთხოვე თქვენთვის გამოსაგზავნათ, რომ იმისი შრომილნიც თქვენს წიგნთ აღსარიცხველში შეერთოთ. (ხაზი ჩვენია.—გ. შ.). დავიწყებული მქონდა. დღეს მოვნახე, ვიპოვე. რადგან რუსულათ იყო დაწერილი გითარგმნეთ და მოგართვით. მომიტევეთ თუ ჩქარი ხელი იყოს.

მეფის ძე თეიმურაზ.

გადმოთარგმნილი წიგნი, რუსულის ენისაგან ქართულად. საქართველოსა სამეფოსა სახლისა წევრთა პერეოდჩიკისა (ესე იგი მთარგმნელისა) ნადვორნი სოვეტნიკის ივანე ბაზლიძისაგან:

—“—ექვსი ნაწილი. სწავლანი კეთილსახურებისანი ექვს წიგნად.

—“—ფსალმუნისა განმარტებათაგაზნი, რომელნიმე ერთ წიგნად.

—“—სარკე შინაგან გულისა კაცისა.

²³ ამავე შიფრის ოცდაზუთფურცლიან შეკვრაში დაცულია შემდეგი სა-ენტერესო მასალები:

ა) Выписка из Предложения Г. Министра Народного Просвещения на имя Г. Вице-Президента (от 14 февраля 1847 г. за № 1442).

ბ) სვ. ტაბიძის მიერ შედგენილი „რეესტრი იონა მღვდელმონაზენის წიგნებისა“.

გ) პ. 6. ფუნის წერილი (1847 წლის 3 მაისის) მ. ბროსესადმი (ფრანგულად).

დ) მ. ბროსეს მიერ შედგენილი კატალოგი თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნებისა და ხელნაწერებისა. სულ 202 ნომერი. აქედან №№ 181—202 თავისუფალია.

— „—ლოცვანი. წმიდის ნიკოლაოზ... მღვდელმთავრის მართ, სთქმულნი აკაპისტად ესე იგი გიხაროდენის ლოცვად ოქმულნი. და კად ლოცვა მისდა მიმართ.

— „—ცხოვრება და სასწაულნი აკაფისტურთ და ლოცვათა წისა დიდისა მოწამისა ბარბარესანი.

— „—ორი ნაწილი (ანუ წიგნი) მსოფლიოს ისტორია შეთხულ ბრეკვისაგან.

— „—თანამდებობისათვის ქრისტიანეთასა.

— „—ენციკლოპედია (ანუ შეხვეტილანი) ყრმათათვს მოწავლეთა.

— „—ზნეთ სწავლულება ფილოსოფიური.

— „—ლექსიკონი ბუნებითი (натуралистический словарь). (არ არის კი ცხადად, მედიცინისა არის, ცხოველთათვის თუ ბოტანიკისა, ეს არ ვიცი რა გვარია, თუ ფიზიკურისა).

— „—ტაკტიკა სამხედრო (ესე იგი ჰერიკება მხედრებისა). (წესი მხედრობისა).

— „—ზრახვათათვის (рассуждения) ციცერონისა მეგობრობასა ზედა.

— „—წისა ამბროსი მედიოლანელი ეპისკოპოსისა მონაზონებისათვის“.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზი უგზავნის მ. ბროსეს იოანე ბაზლიძის თარგმანთა სიას, რათა „იმის შრომილნიც თქვენს წიგნთ აღსარიცხველში შეერთოთ“. მ. ბროსეს მართლაც, სიტყვასიტყვით შეურთავს თავის „წიგნთ აღსარიცხველში“ ანუ კატალოგში თეიმურაზის მიერ მოწოდებულ იოანე ბაზლიძის თარგმანთა ამ სიის მონაცემები: Catalogue, p. 62, ოლონდ თეიმურაზის სახელის აღუნიშნავად.

მართალია, თეიმურაზის ამ წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ იოლია მისი დათარიღება: 1837 წლის 18 ივნისს მ. ბროსე პარიზიდან პეტერბურგს ჩამოვიდა მუდმივ საცხოვრებლად. აქ თეიმურაზმა მას გადასცა „კატალოგის“ დედან-ავტოგრაფი (C 38), რომლის ფრანგული თარგმანი მ. ბროსემ 1838 წელს უკვე დაბეჭდა. მაშასადამე, თეიმურაზის ეს წერილიც 1837 წლის მიწურულში უნდა იყოს დაწერილი, რადგან ამ წერილის მონაცემები უკვე შესულია 1838 წელს გამოსულ მ. ბროსეს აღნიშნულ თარგმანში.

6. ჩვენ თუ გვქონდა შემთხვევა აღვენიშნა, რომ ბროსეს თარგმანში ზოგიერთი ახალი ცნობაა დამატებული-თქო, აქვე ისიც



უნდა ვთქვათ, რომ თარგმანში ზოგჯერ დედნისეული აშიის შეკრიცხული წიგნების გამოტოვებასაც აქვს ადგილი. მაგ.: „ვეფხისტყაოსანზე“ შეჯელობისას (C 38, № 172, 44 r—45 r) თეიმურაზს აშიაზე (C 38, 44 v) გააქვს პრინციპული ხასიათის შენიშვნა: „ვეფხის ტყაოსანი. რუსულად ასე უნდა ითქვას: «Барсовой Кожаносъ». თეიმურაზისეული ამ განმარტების მეცნიერული მნიშვნელობა უდავოა, თუ გავიხსენებთ, რომ რუსულად თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანს“ შეცდომით «Барсова кожа»-დ თარგმნიდნენ. თეიმურაზის კატალოგის მ. ბროსესეულ ფრანგულ თარგმანში კი, ეს შენიშვნა სულ არ არის შეტანილი (შდრ. Catalogue... p. 105—106, № 173).

ასეთია, ძირითადად, თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის, ავტოგრაფული დედან-ნუსხის (C 38) მ. ბროსესეულ ფრანგულ თარგმანთან შედარებით მიღებული სურათი. ჩვენ, რასაკირველია, ხელახლა არ ვეხებით მ. ბროსეს ამ თარგმანში დამტებულ სხვა ქართული ბიბლიოთეკის წიგნებსა და მის გარშემო გაკეთებულ შენიშვნებს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ ვვქონდა საუბარი.

3. თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგი

სრკ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-სტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი: C 38 (C 49) ავტოგრაფი; შედგენილია თეიმურაზის მიერ. ხელნაწერის გადაშერა დამთავრებულა 1835 წლის 21 ოქტომბერს, პეტერბურგს (54 r). 18,3×15,8 სმ; გვერდზე 21 სტრიქნია; ფ. 55. წვრილი მხედრული, ჩასმულია მუყაოს ოქროტვიფრულ ყდაში, რომელსაც ზემოდან ფრანგულად აწერია: „Regis're des différentes livres en langue géorgien qui se trouvent dans la bibliothèque de Son Altesse de czarévitch Théimouraz prinze de Géorgie.“ ხელნაწერი ჩადებულია მუყაოს ასევე ოქროტვიფრულ ბუდეში¹.

ხელნაწერის მეორე ფურცელს, უცნობი ხელით ფრანგულად აწერია: „Ce livre appartient à la Société Asiatique de Paris. Presented par son Altesse le Czarevitsch Théimouraz Prinze de Geor-

¹ ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ორბელის: Груз. рукотиси ИВ АН ССР, М.—Л., 1956, გვ. 163—164.

gie. Ce livre contient le Registre, des plusieurs livres georgien et des ouvrages du différentes langues; par des destingué Auteurs Georgien; comme explique ce livre“.

ნაწერია ლამაზი კალიგრაფიული ხელით, რომელსაც თარიღი არ უზის; რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს:

„ეს წიგნი ცკუთვნის პარიზის სააზიო საზოგადოებას. წარმოადგინა მისმა უგანათლებულესობამ საქართველოს მეფის ძეგ თეიმურაზ ბატონიშვილმა. ეს წიგნი შეიცავს სიას მრავალი ქართული წიგნისას და სხვადასხვა ქართველ მეცნიერ ავტორთა ნაწარმოებისას, შედგენილს და თარგმნილს სხვადასხვა ენაზე, ქართველ ავტორთა მნიშვნელობის გამორკვევისათვის, როგორც ამას ცს წიგნი ხსნის“.

ეტყობა, იგი თეიმურაზს განკუთვნილი ჰქონია პარიზის სააზიო საზოგადოებისათვის (მსგავსად დავით ბატონიშვილის „გრამატიკისა“ და თავისი „შემოკლებული მოთხრობისა“, რომელიც მან გადასცა კიდეც აღნიშნულ საზოგადოებას)², მაგრამ გადაცემა კი ვერ მოუხერხებია.

ამას არკვევს, გვერდით მ. ბროსეს მიერ, მისთვის დამახასიათებელი ტიპიური გაკრული ხელით გაკეთებული ფრანგული მინაწერი, რომელსაც ახლავს მისივე ქართული ხელრთვა: „Destiné à la Société Asiatique, ce manuscrit m'a été donné par l'auteur même, lors de mon arrivé en Fussie 1837 ბროსეტ“; რომ ვთარგმნოთ: „განკუთვნილია სააზიო საზოგადოებისათვის. ეს ხელნაწერი თვით ავტორმა გადმომცა, ჩემი რუსეთში ჩამოსვლისას 1837 წელს.“

როგორც ვხედავთ, მ. ბროსე აქ პირდაპირ მიუთითებს, რომ „კატალოგის“ ეს ნუსხა თეიმურაზს მისთვის პეტერბურგში გადაუცია 1837 წელს და მანამდე პარიზში იგი გავზავნილი არ ყოფილა, როგორც ეს თავდაპირველად იყო განზრახული. რ. ორბელს სხვა შეხედულება აქვს ამის თაობაზე: «Первоначально экземпляр был поднесен Теймуразом Парижскому Азиатскому обществу (запись неизвестным почерком на французском языке, без даты — л. 2а), а в 1837 г. был передан им в дар М. Броссе (приписка М. Броссе — там же)³. ბროსეს მინაწერის შინაარსი კი, როგორც დავინახეთ, არ უდგება ამ თვალსაზრისს.

² ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., პარიზი, 1933, გვ. 51—54.

³ Р. Орбели, Грузинские рукописи..., გვ. 164.

ამას გარდა, თვით თეიმურაზის 1837 წლის 12 მარტის შე
ოილში ბროსესადმი ნათქვამია, რომ „კატალოგის“ ნუსხა დიდი-
ხანია მზად აქვს და გადაცემს ვერ ახერხებს:

„ჩემი წიგნების ზანდუკი დიდი ხანი არის მზათა მაქვს. რა-
ვენა, მუსიე შარმუა ასე დამაკლდა, ვერავინ მიშოვნია, რომ გა-
მოვატანო, ყოველ დღე ვეპებ მგზავრსა. ადელონგიც მთელი ზამ-
თარი ავათ იყო და იმანაც ავადმყოფობის გამო ვერავინ მიპოვ-
ნა, ვცდილობ, ეგების კურიელი ვინმე წამოვიდეს და იმას გამო-
ვატანო. ეს ჩემი წიგნების ზანდუკი ამისთვის არის სამშურველო
და სახმარი, მრავალთა ქართველთ ბრძენთ და მთხველთ გვამთ
შეისწავებს აქედამ კაცი ყოვლის წიგნისა ვისგან არის გაეთე-
ბული, რა დროს და რა საგანზედ ისტორიული ცნობა არის. მე
დავსწერე დიდის შრომით კარგს წელზე, სხოლიოებით დიახ კარ-
გა გამართული. დიდად ვცდილობ, ეგების გამოვგზავნო, რომ მო-
გისწრას და თარგმანი დაასწრა და ისე დააგდო მეაზიელის საზო-
გადოებაში. დიახ სახმარი არის“⁴.

ს. ყუბანეიშვილის შენიშვნით, აქ „საუბარი უნდა იყოს წე-
რილზე: „ცნობა აზიური საზოგადოების წევრის თეიმურაზ ბატო-
ნიშვილის მიერ საფრანგეთში გადმოვგზავნილი (I) ქართული ხელ-
ნაწერების შესახებ“, რომელიც დაბეჭდა მ. ბროსემ 1833 წ. J. A.-
ში ტ. 12, გვ. 155—162“⁵.

თუკი მართლაც თეიმურაზის ამ წერილში 1833 წელს პა-
რიზში მ. ბროსეს მიერ უკვე გამოქვეყნებულ წერილზეა საუბარი,
რატომდა აწუხებდა თ. ბაგრატიონს 1837 წელს მისი ბროსესთ-
ვის გადაგზავნა? მაგრამ აქ ყველაფრიდან ნათლად ჩანს, რომ „ჩე-
მი წიგნების ზანდუკი“ ნიშნავს თეიმურაზის მიერ 1835 წელს
შედგენილი საკუთარი წიგნთსაცავის კატალოგს, რომლის გადა-
ცემა ბროსესთვის პარიზში მას საბოლოოდ მაინც ვერ მოუხერხებია-
(იხ. ლენ. С—38-ის ზემოთ მოყვანილი ფრანგული მინაწერები).

აქვე (იხ. „ტექსტები“) მოგვყავს „კატალოგის“ ტექსტი ამ-
ნუსხის მიხედვით⁶, ოღონდ ვარჩიეთ სხვათა მიერ შერქმეული-
„კატალოგის“ ნაცვლად დაგვეცვა ავტორისეული სახელწოდება
თხზულებისა: „წიგნი საღმრთონი და საერონი ქართულისა ენისა-

⁴ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აյად. მ. ბროსესადმი, თბ., 1964, გვ.
75, შდრ. გვ. 72.

⁵ იქ ვე, გვ. 116—117.

⁶ ხელნაწერის ფოტოპირებით სარგებლობისათვის პროფ. ლ. მენაშედეს-
მადლობას მოვახსენებ.



ნი⁶. ვცდილობდით, ზუსტად დაგვეცვა დედნის მართლწერა და განაპირობა ძეგლში ნამარ ერთი და იგივე სიტყვათა პარალელური ფორმების უცვლელად დატოვება. მაგ.: თარგმნილ//თარგმნულ; საქართველოს//საქართველოის; ვასილ//ბასილ; შაჰაბაზ//შააბაზ; არს//არის. ამას გარდა, ავტორს ბოლომდე არა აქვთ გატარებული კ-ესა და ფ-ს ხმარების ერთიანი პრინციპი; მაგ.: ზოგჯერ წერს—თვს, ზოგჯერ—თვის; ან კიდევ: ხან—ფილოსოფოსი, ხან—ფილოსოფოსი, და ფილოსოფოსი და ა. შ. ასე, რომ მკითხველს ნუ გაუკვირდება თუ, ერთი და იგივე სიტყვას, ზოგჯერ ამ ფორმით ნახავს და ზოგჯერ კიდევ, სხვა ფორმით. ეს ჩვენ გვითვალისწინებს ავტორის მართლწერის მერყევ ფორმებს და ამდენად, საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის საერთოდ.

ქარაგმები ტექსტში გახსნილია⁷. ვიძლევით მათ სრულ ნუსხასა და ახსნებს: სახელებს—სახელობით ბრუნვაში, ზმნებს—საწყისში, ფრჩხილებში შეტანილი გვაქვს ტექსტში დამოწმებული პარალელური ფორმებიც:

ა-დ—ამაღ	ს-დ—სრულიად	ლ-ის-მშობელი—ღმრ-
ვ-ა—ვითარცა	უ-ი—უფალი	თისმშობელი
ვ-დ—ვითარმედ	ფ-დ—ფრიად	ლ-ის-მოყვარე—ღმრ-
ზ-ა—ზედა	ქ-ე—ქრისტე	თისმოყვარე
თ-ა—თანა	ქ-ესით—ქრისტესით	ყ-დ—ყოვლად
ი-კ (ი-სკ) (ი-კს)-იესუ	ქ-ყანა—ქვეყანა	შ-ა—შინა
ქ-დ (ქ-ლდ)—ქვალად	ღ-ო (ღ-თო)—ღმერთო	შ-დ—შემდგომად
მ-რ—მიერ	ღ-ი ღმერთი	ჩ-ეი—ჩვენი
პ-ლი—პირველი	ღ-თ—შემოსილი —	წ—წმიდა
პ-ე—პეტრე	ღმერთშემოსილი	წ-ე—წინაშე
რ-—რამეთუ	ღ-ის-მეტყველი—ღმრ-	ხ—ხოლო
რ-ლ—რომელ	თისმეტყველი	ჭ-ი—ჭვარი
ს-ქრთვლო—საქართ- ველო		

სქოლითში ჩატანილი შენიშვნები თვითონ ავტორს—თ. ბაგრატიონს ეკუთვნის. ოღონდ დედანში ეს შენიშვნები აშიაზე, შესაბამისი ხელნაწერის თუ ნაბეჭდი წიგნის გასწვრივაა გატანილი

⁷ თუმცა იშვიათად. მაგრამ მანც არის შემთხვევა ამა თუ იმ ქარაგმის ავტორისეული გახსნისა.



და ვარსკვლავური ნიშნითაა აღნიშნული. ჩვენ ვიღებთ კატალოგის ნომერს და ვუმატებთ ვარსკვლავს.

კატალოგის ზოგიერთი ბუნდოვანი აღგილის აღვილად გაგებისათვის ჩვენ მიერ მოხმობილი დამატებითი ცნობები კავებში გვაქვს ჩასმული.

4. თეიმურაზ ბაგრატიონის ჯიგნისაცავის კატალოგის აღ. ცაგარლისმული პუბლიკაცია (1894 წ.) და მისი დედის საკითხები

1891 წელს, პეტერბურგში, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. განსვენებულის ანდერძით, მემკვიდრეებმა დ. ჩუბინაშვილის ქართული ბიბლიოთეკა გადასცეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას, თბილისში. ამ ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების კატალოგი პროფ. ალ. ცაგარლის ხელმძღვანელობით შეადგინა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. ქართველიშვილმა, რომელიც 1894 წელს დაბეჭდა კიდეც პროფ. ალ. ცაგარელმა¹.

დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გარჩევისას, პროფ. ალ. ცაგარელი იქ წააშენდა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ავტოგრაფულ ნუსხას და ამის მიხედვით, მოახდინა მისი პუბლიკაცია². გამოცემისთვის დართულ შენიშვნაში ა. ცაგარელი განმარტავდა: „№ 34, стр. 102—149, (უნდა იყოს: 149—186.—გ. შ.), занимает каталог библиотеки царевича Теймураза, Каталог этот был найден в библиотеке проф. Чубинова. Он писан собственноручно Теймуразом, как видно из сличения с его почерком, на толстой, желтоватой бумаге в 8 долю листа и занимает 1—104 страницы. Письмо гражданское, мелкое, но отчетливое и довольно красивое. На полях имеются добавления и поправки, сделанныя почерком текста каталога... В конце рукописного каталога Теймураза, на 9 страницах, находим собственноручно писанное Теймуразом указание годов, месяцев, чисел его корреспонденций с разными лицами в Грузии, России и заграницей за время с 1833 по 1836 г. в 1834 г. 3 мая послано им письмо в Москву кн. Давиду Дадиани, котораго Теймураз называет своим другом и к которому писал и впоследствии в Мингрелию,

¹ А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб, 1894, стр. 102—148.

² А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб, 1894, стр. 149—186.



посыпал ему также книги; в 1835 году, 4 мая Теймураз ~~писал~~
царице грузинской Марии; в 1836 г. февраля 18, писал археологу Пл. Иоселиани в Тифлис, прося несколько книг; несколько писем было послано им в Париж к Броссе и Шармуа: «20 мая 1835 года, пишет Теймураз, послал письмо к Шармуа (акад. Chartroy) с двумя векселями от банка Штиглица в 330 франков, и 33 франка — мой годовой взнос в Азиатское Общество, а 330 франков посланы Броссету как платы за грузинские буквы (литеры). Броссету еще написал письмо Броссету и Роберту Ланцу». Эта переписка Теймураза с Броссе происходила на грузинском языке, тогда Броссе не был еще членом СПб. Академии Наук»³.

ალ. ცაგარლის აღწერილობიდან მკითხველს სრულიად ნათელი წარმოდგენა ექმნება თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ამ ნუსხაზე. იგი ყოფილა ავტოგრაფული, ნაწერის ქელი ყვითელი ქაღალდის 104 გვერდზე, მხედრული, წვრილი, მაგრამ ნათელი და საკმაოდ ლამაზი ხელით. აშეებზე პქონია დამატებები და გასწორებანი ამავე—ტექსტის ხელით. ბოლო 9 ვერდზე, კატალოგის ტექსტის შემდეგ, თეიმურაზს საკუთარი ხელით ჩაუწერია თავისი კორესპონდენციების სია, რომელიც მას გავზავნილი პქონია 1833—36 წლებში:

1. 1834 წლის 3 მაისს გაგზავნილი თეიმურაზის წერილი მოსკოვში, დავით დადიანისადმი.
2. 1835 წლის 4 მაისს გაგზავნილი თეიმურაზის წერილი მარიამ დედოფლისადმი.
3. 1836 წლის 18 თებერვალს თეიმურაზი წერილს წერს, თბილისში პლ. იოსელიანს და თხოვს რამდენიმე წიგნს.
4. 1835 წლის 20 მაისს თეიმურაზის წერილი გაუგზავნია პარიზში ბროსესათვის 165 ფრანკით ლიტერებისათვის.
5. 1836 წლის 4 იანვარს თეიმურაზი წერილს წერს აკად. შარმუას და თან უგზავნის ბანკის ორ ვექსილს—ერთ 33 ფრანკისა—სააზიო საზოგადოების წევრობის წლიური გადასახადისთვის, ხოლო მეორეს—330 ფრანკისას ბროსესთვის გადასაცემად ქართული ასოებისათვის (ლიტერები).
6. 1835 წლის 2 იანვარს მას ბროსესადმი წერილი გაუგზავნია.

³ Там же, стр. XVI—XVIII.

7. 1836 წლის 28 თებერვალს კვლავ წერილი ბროსესალმა გამოიცა და რობერტ ლანცისადმი⁴.

როგორც თავის ადგილას იქნება გამორკვეული, დღესდღეობით ჩვენ თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის მხოლოდ ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხა გაგვაჩნია. ესაა ლენინგრადული C—38, რომელიც განსხვავდება რედაქციულად აღ. ცაგარლის პუბლიკაციისაგან. აღ. ცაგარლის დაუინებული ცნობით კი, მასაც ხელში თეიმურაზისეული ავტოგრაფული ნუსხა სჭრია. მაშასადამე, არსებულა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის კიდევ ერთი ავტოგრაფული ნუსხა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცნობთ.

საქმე ისაა, რომ დ. ჩუბინაშვილის სიკვდილის (1891 წ.) შემდეგ, წ. კ. გ. საზოგადოებისთვის გადმოცემული მისი ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების კატალოგში⁵, თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის აღნიშნული ნუსხა ნაჩვენები არაა. მაშასადამე, იგი არც გადმოუციათ დ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეებს წ. კ. გ. საზოგადოებისათვის და არც ჩანს ამ საზოგადოების ფონდის არც ერთ კატალოგში. აღ. ცაგარლის ცნობით კი, მას ეს ნუსხა სწორედ დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში უპოვია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კუთხით ზოგიერთი ქართული ხელნაწერი და მათ შორის თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ავტოგრაფული ნუსხა თავისთან დაიტოვეს მემკვიდრეებმა და აღბათ, დაიღუპა 1917 წელს, როდესაც პეტერბურგიდან თბილისს გამოგზავნილი ვაკონი, რომელშიაც აკად. ივ. ჯავახიშვილისა და აკად. გ. ჩუბინაშვილის პირად ნივთებთან და წიგნებთან ერთად. პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ნაწილიც ინახებოდა, „კოზლოვსა და როსტოვს შუა სადღაც გაქრა“⁶.

4 უნდა შევნიშნოთ, რომ აქ აღნიშნული თეიმურაზის ზოგიერთი წერილი (მაგ., 1835 წ. 20 მაისის, 1835 წლის 2 იანვრის...) მ. ბროსესალმი დაცული არაა მ. პროსეს არქივებში (არც ლენინგრადში და არც თბილისში).

5 А. Цагарели, Сведения, вып. III, СПб, 1894, стр. 102—148.

6 ამ შემთხვევის შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თსუ მთამბე, ტ. II, 1923; გადაბეჭდილია დამატებად ივ. ჯავახიშვილის წიგნში: ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 277; ვ. ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, თბ., 1963, გვ. 21.

მაგრამ ასეთი ეჭვი გამორიცხა აკად. გ. ჩუბინაშვილმა მოიხსენია რაღმა საუბარმა. 1969 წლის 16 დეკემბერს ჩვენ ავუხსენით საქმის ვითარება პატივცემულ მეცნიერს და ვთხოვთ, მოეგონებინა, ხომ არ იყო დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის 1917 წელს დალუპულ იმ წიგნებსა და ხელნაშერებს შორის ოემურაზ ბაგრატიონის წიგნთაცავის კატალოგის ჩვენთვის საინტერესო ნუსხა. აյად. გ. ჩუბინაშვილმა დაბეჭითებით უარყო ასეთი ხელნაშერის იქ არსებობა. მან გვითხრა, რომ მამაჟემს—ნიკო ჩუბინაშვილს არც ერთი ქართული ხელნაშერი არ დაუტოვებია თავისთვის და ყველა გადასცა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებასო. მხოლოდ გვიან, შემთხვევით, ჩვენი სახლის სარდაფში პეტერბურგს, მე ვიბოვვ „რუსულანიანის“ გვიანდელი (XIX ს.) ნუსხა და ვვნებ, ნ. ჩუბინაშვილის იერუსალიმში მოზაურობის დღიურები. აი, სწორედ მსინი დაცარგა 1917 წელს. იქნებ, ალ. ცაგარლის არქივში იყოს გადარჩენილი თქვენთვის საინტერესო ხელნაშერი?—გვითხრა საბოლოოდ აკად. გ. ჩუბინაშვილმა.

ცნობილია, რომ ალ. ცაგარლის არქივიდან საქმაოდ მრავალრიცხვანი ხელნაშერია შემოსული კ. გეველიძის სახელობის ხელნაშერთა ინსტიტუტის ფონდებში, მაგრამ ჩვენი ძიება აქაცუნაყოფო გამოდგა⁷.

ასე რომ, ღლესდღეობით, ალ. ცაგარლის მიერ 1894 წელს გამოქვეყნებული „თემიურაზ ბაგრატიონის წიგნთაცავის კატალოგი“, სანამ არ აღმოჩენილა გამოცემის დედანი, ერთადერთი პირველწყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებს და მხოლოდ მის მისედვით შევეძლია ვიმსჯელოთ „კატალოგის“ ამ რედაქციაზე.

გამოცემაში „კატალოგი“ წარმოდგენილია 24 თემატურ განყოფილებად, რომელშიც 206 დასახელების ქართული ხელნაშერი და ნაბეჭდი წიგნია აღნუსხულ-აღწერილი:

- [1]. საღ-თს-მეტყველო წიგნი, №№ 1—12.
- [2]. საღმრთო წერილი, №№ 13—24.
- [3]. კ-დ საღმრთო წერილი, №№ 25—45.
- [4]. ურიათა და მოპედიანთა მიმართ სიტყვისგება, №№ 46—50.

⁷ აქ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ ვარემოებას: ალ. ცაგარლის არქივის საქმაოდ ღიცი ნაწილი პირად მფლობელობაში აქვს ექიმ ა. ცაგარელს, რომელიც დღემდე დაუმუშავებელია. შეიძლება აქ იყოს დაცული ო. ბაგრატიონის კატალოგის ჩვენთვის საინტერესო ნუსხა?

- [5]. წიგნი საეკლესიოთა . ისტორიათაში, ეკლესიური და სამღვდელონი, ცხოვრებანი წ'თანი, №№ 51—55.
- [6]. ჩვენ ქართველთა საზოგადოდ ეკლესიური ისტორიანი, №№ 56—61.
- [7]. კვალად საღმრთონი წერილი, №№ 62—88.
- [8]. საღმრთო წერილი, რომელიც ეკლესიასა შინა იხმარებიან საქართველოში და აქ (რუსეთში) აღრევ მეფების უამს და შემდგომად დაბეჭდილები ესენი არიან, და ძველად ჩვენს წმილათ თარგმნელთაგან ნათარგმნი, №№ 89—116.
- [9]. წიგნი სარიტორონი და საფილოსოფოსონი, №№ 117—118..
- [10]. ძველი საფილოსოფოსო წიგნი, №№ 119—125.
- [11]. წიგნი საფილოსოფოსონი, №№ 126—130.
- [12]. წიგნი ზნეთსწავლებათანი, №№ 131—137.
- [13]. წიგნი საქიმონი, №№ 138—143.
- [14]. საქართველოს ცხოვრებანი და სხვანი წიგნი საისტორიონი, №№ 144—153.
- [15]. საზოგადოდ საისტორიოთა წიგნთათვის და ზნეთ-სწავლებითაა ზღაპროთა, №№ 154—163.
- [16]. წიგნი საზღაპრონი, №№ 164—168.
- [17]. წიგნი პოემანი სხვა და სხვანი, რომელ არიან სტიბნი ანუ მაერნი, №№ 169—174.
- [18]. წიგნი ლექსიკონი, №№ 175—180.
- [19]. წიგნი სჯულისანა და სამართლის წიგნი, №№ 181.
- [20]. რუსული პსჯულები, №№ 182—185.
- [21]. სჯული, №№ 186.
- [22]. წიგნი სამხედრონი და საარტილერიონი და სამხედროს-სჯულთა განწესებანი, №№ 187—193.
- [23]. წიგნი გეომეტრიული და გეოგრაფიული, №№ 194—196.
- [24]. კვალად წიგნი, რომელიცა ზემორე დაგვშოეს აღუშერელად, №№ 197—206.

მართალია, ჯერჯერობით, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ალ. ცაგარლის გამოცემის დედანი, მაგრამ მეორე პეტოგრაფული ნუსხის—C 38-ის გათვალისწინებით: შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ, რომ გამომცემელს „კატალოგის“ ორი სათაური ხელნაწერად თუ წიგნად მიუჩნევია, რის გამოც თემატური განყოფილებანი ორით ნაკლები გამოუვიდა „კატალოგის“ მეორე რედაქციისთან (C 38) შედარებით. ესენია:



1. „№ 75. კვალად წიგნი მონისკრიპტი ცენტრული, მშვენიერის მწერლობის ხელოვანებთა, ჩინებულთ ქართულისა ხელისა მწერალთაგან“.

2. „№ 88. წენი საღმრთო და საეკლესიონი წიგნი ს-დ ბერძნთაგან ელინურისა, ჩვენთ წმინდათ ქართველთ მამათაგან არიან თარგმნილნი“.

თვითონ ტექსტიდანაც ჩანს, რომ გამოცემაში ცალკე ნომრებად წარმოდგენილი წიგნები აშკარად თემატურ განყოფილებათა დასათაურებებს წარმოადგენს, ვინემ რომელიმე ქართულ ხელნაწერ ან ნაბეჭდ წიგნს. და თუ ეს ასეა, უნდა ვითიქროთ, რომ დედანში ავტორის—თ. ბაგრატიონის მიერ 204 ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი უნდა ყოფილიყო ოლწერილ-აღნუსხული, ნაცვლად 206-ისა, როგორც ეს გამოცემაშია წარმოდგენილი. ამის მიხედვით კი, გამოცემის 24 თემატური განყოფილების მაგრებად, დედანში, მსგავსად C 38-ისა, ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები 26 თემატურ განყოფილებად იქნებოდა დაჯგუფებული.

გამოცემაში გაპარულია ზოგიერთი აზრობრივი და კორექტურული შეცდომა, რომელთა გასწორება დედნის უქონლობის გამო, ყველასი არ ხერხდება. მაგრამ C 38-ის მიხედვით, მაინც შეიძლება ზოგი მათგანის ჩვენება:

1. „№ 54, 1. ცხოველს მყოფელისა ჭ ს ა ამაღლებისათვის...“ (Цаг., გვ. 160).

შდრ. „№ 60, ა .ცხოველს მყოფელისა ჭ (ვ რ ი) ს ა ამაღლებისათვს...“ (C 38).

2. „№ 67. მოსახსენებელნი... მოციქულისა თომასნი, ქადაგებანი მისნი ინ დო ეთსა შორის...“ (Цаг., გვ. 168).

შდრ. „№ 73. მოსახსენებელნი... მოციქულისა თომასნი, ქადაგებანი მისნი ინ დო თა შორის...“ (C 38).

3. „№ 73. ლოცვები, დიახ მცირეს ხანისა...“ (Цаг., გვ. 169).

შდრ. „№ 83. ლოცვები, დიახ მცირეს ტანისა...“ (C 38).

4. „№ 84. სახარება... ბერძულის ხელთა აღრიცხვით...“ (Цаг. გვ. 170).

შდრ. „№ 88. სახარება... ბერძულის [წელთა] აღრიცხვითა...“ (C 38).

5. თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგი

ქ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი—A 1091
63 ფ.; 18,6×12,3; მეტად თხელი, სუფთა ქაღალდი; მუყაოს ყდა;
მხედრული (1 ფ. გახეულია); XIX ს. I ნახევ. (ცვირნიშანი: 1834);
დაუწერელია 59 v—63 v¹.

ხელნაწერის ტექსტი 1948. წელს გამოაქვეყნა ს. იორდანიშვილმა², გამოცემის წინასიტყვაობაში (გვ. IV) ს. იორდანიშვილი აღნიშვნავდა: „....თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი—იბეჭდება იმ ხელნაწერის მიხედვით. რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და რომელიც შედგენილი უნდა იყოს უკვე თეიმურაზის გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ, როდესაც მისი ბიბლიოთეკა, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანების თანახმად, გადაეცა სააზიო მუზეუმს“.

უკვე ქრ. შარაშიძემ შენიშნა, რომ „ს. იორდანიშვილის გარაუდი „შედგენილი უნდა იყოს [კატალოგი]“ უკვე თეიმურაზის გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ“—არ უნდა იყოს სწორი: ქაღალდის ერთ-ერთი ჭვირნიშანი—1834 (ფფ. 32, 35, 41, 58, 60) გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კატალოგი თეიმურაზის სიცოცხლეში, მისივე მონაწილეობით არის შედგენილი 1835 წელს, ან ამ წლის ახლოს“.

მაინც რა საფუძველი ჰქონდა ს. იორდანიშვილს თავისი ვარაუდის გამოტანისა? საქმე ისაა, რომ ხელნაწერი ასეა დასათაურებული საცავ ფურცელზე: „კატალოგი წიგნთ-საცავისა თეიმურაზ ბატონიშვილის, ძისა მეფის გიორგი XII-სა, რომელიც შეისყიდა ს. პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკამ“. ეს დასათაურება ქრ. შარაშიძის აღწერილობაში მოყვანილი არაა, ამ სითაურიდან კი, კაცმა ერთი შეხედვით, შეიძლება ითიქროს, რომ წინამდებარე კატალოგი თ. ბატონიშვილის წიგნთსაცავისა, შედგენილია მას შემდეგ, რაც იგი „შეისყიდა ს. პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკამ“ ხვენთვის, ცნობილია, რომ ეს მოხდა თ. ბაგრატიონის გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ. აი,

¹ ხელნაწერი აღწერილია ქრ. შარაშიძის მიერ: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ. 56.

² თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, დამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948, III—VIII, 1—47, 89—92.

ალბათ, ასეთი საბუჟიანობა ჰქონდა მხედველობაში განსვენებულის. იორდანიშვილს, როდესაც კატალოგის აღნიშნული ნუსხის შედგენა 1846 წლის მომდევნო ხანით დათარიღა.

მაგრამ ს. იორდანიშვილსა და ქრ. შარაშიძესაც მხედველობიდან გამორჩათ, რომ დასათაურების ხელი სხვაა და კატალოგის ტექსტისა—კიდევ სხვა. ეს დასათაურება ვიღაცას გვიან გაუკეთებია ხელნაწერის წიგნად აქინძვისას საცავ ფურცელზე, ყოველ შემთხვევაში 1847 წლის შემდეგ, რაღაც „თეიმურაზის ბიბლიოთეკის შესყიდვა“, რაზედაც ლაპარაკია სათაურში, სწორედ ამ წელს მოხდა. თანაც უნდა შევნიშნოთ, რომ დამსათაურებელს ზუსტად არ სცოდნია სახელწოდება ამ შემსყიდველი დაწესებულებისა: „ს. პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკამათ“, — წერს იგი. ასეთი ბიბლიოთეკა არ არსებობდა. იმ დროისათვის პეტერბურგში იყო მხოლოდ ს. პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის ბიბლიოთეკა და ს. პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა. სწორედ აღნიშნულმა ბიბლიოთეკებმა შეიძინეს 1847 წელს ახლად გარდაცვლილ (1846 წ.) თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები (ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი). სათაური რომ სხვის მიერაა გვიან შესრულებული, ამას თუნდაც ისიც ამტკიცებს, რომ კატალოგის ტექსტში თეიმურაზი გიორგი XIII-ის ძედ იხსენიება, ამ წარწერა-დასათაურებაში კი—გიორგი XII-ის ძედ.

ასე, რომ ხელნაწერის დასათაურება გვიანდელია და გამოუსადეგარი თვითონ ხელნაწერი-ტექსტის დათარიღებისათვის. ამდენად, ეს მომენტიც მხარს უჭერს ქრ. შარაშიძის პირველ საგულისხმო დაკვირვებას: „ქალალის ერთ-ერთი ჭვირნიშანი— 1834 (ფფ. 32, 35, 41, 58, 60) გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კატალოგი თეიმურაზის სიცოცხლეში, მისივე მონაწილეობით არის შედგენილი 1835 წელს, ან ამ წლის ახლოს“.

ქრ. შარაშიძის მოსაზრებას, რომ თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგი 1835 წელს უნდა იყოს შედგენილი და არა 1846 წლის შემდეგ, წინააღმდეგ ს. იორდანიშვილის ვარაუდისა, აქვს პრინციპული მნიშვნელობა კატალოგის ავტორობის დასადგენად. ს. იორდანიშვილის ვარაუდი გამორიცხავდა კატალოგის ავტორად თეიმურაზ ბაგრატიონის მიჩნევას, რაღაც, მისი აზრით, კატალოგი თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შედ-

გენილიო³. ხელნაწერის ქრ. შარაშიძის სეულმა დათარიღებული 1835 წ.), რომელსაც მხარს უჭერს ახალი საბუთიანობაც, გზა გაუკაფა კატალოგის ავტორად თეიმურაზ ბაგრატიონის აღიარების შესაძლებლობას.

თუმცა თვითონ ქრ. შარაშიძე ამის თაობაზე სიფრთხილეს იჩენს: „...კატალოგი თეიმურაზის სიცოცხლეში, მისივე მონაწილეობით არის შედგენილი 1835 წელს, ან ამ წლის ახლოსო“. მონაწილეობა კიდევ არ ნიშნავს ავტორობას. მაგრამ მკვლევარს ამის აღიარებაში აღბათ, ჩვენი აზრით, ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ კატალოგის წინამდებარე ნუსხა არ იყო თეიმურაზის ავტოგრაფი.

ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით გავამახვილეთ ყურადღება: გამოირკვა, რომ A-1091 წარმოადგენს ასლს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდის—C 38-ისას, რომელიც სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის თარიღიანი ავტოგრაფული ნუსხაა, გადაწერლი პეტერბურგში, 1835 წლის 21 ოქტომბერს⁴, რომელიც მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული არ იყო. მაშასადამე, სრული უკველობით დამტკიცდა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ავტორი უნდა იყოს თვით თეიმურაზი.

მაგრამ აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ კატალოგის დედნის ავტოგრაფული (C 38) ნუსხის გადაწერა 1835 წლის 21 ოქ-

³ ეს შეხედულება საკმაოდ მტკიცედ აისახა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, იქმდე, რომ მაგ., აკად. კ. კეკელიძე წერდა: „უფრო სრულად და ამომწურავად ეს კოლექცია (თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკა.—გ. შ.) აუწერია თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ვიღი კატალოგიზარს“ (ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 20). არ შეიძლება სერიოზული ანგარიში გაეწიოს დ. კალანდაძის მტკიცებას, თითქმ „კატალოგი“ შედგენილი იყოს „ვინმე ბერი ტარასის მიერ“ (დ. კალანდაძე, ქართული ბეჭდური კატალოგები რევოლუციამდელ საქართველოში, მარქსის სახ. საფარო ბიბლიოთეკის მეთოდური მასალების კრებული, გამოცემა შეორე, თბ., 1965, გვ. 77). კერ ერთი, ეს „ბერი ტარასი“ სულაც არ არის „ვინმე“—იგი ცნობილი მწიგნობარი ტარასი ალექსი-მესხიშვილია. იგი მართლაც იყო თეიმურაზ ბატონიშვილის კარის მღვდელი, მაგრამ 1825—30 წწ. ამის შემდეგ იგი ჩამდიდის საქართველოში, ებმება 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში და იზიარებს სხვა შეთქმულთა ბედს. ასე რომ მას არ შეეძლო ყოფილიყო 1835 წელს პეტერბურგში შედგენილი „თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის“ ავტორი.

⁴ იხ. ზემოთ ამ ხელნაწერის იღწერილობა.



ტომბერს დასრულდა პეტერგოფს, მაშინ რაღამ გამოიწვია ახლო ხანებში, კერძოდ, იმავე წელს, მისი ასლის (A—1091, არა—ავტოგრაფული) დამზადება? (ქრ. შარაშიძისა და ჩვენი მტკიცებითაც, ეს უკანასკნელი ხომ 1835 წელს, ან ამ წლის ახლოს უნდა იყოს გადაწერილი!).

საქმე ისაა, რომ როგორც C 38-ის I ფრანგული მინაწერი-დან⁵ ორკვევა, კატალოგის დედან-ავტოგრაფი პარიზის სააზიო საზოგადოების მუზეუმისთვის ყოფილა განკუთვნილი. საერთოდ, ჩვენთვის ცნობილია შემთხვევები, როცა თეიმურაზ ბაგრატიონი პარიზის სააზიო საზოგადოებას, როგორც მისი საპატიო წევრი, საჩუქრად უგზავნის ქართულ ხელნაწერ წიგნებს. მაგ., დავით ბატონიშვილის „გრამატიკის“ ავტორისეულ და თავის „შემოკლებულ მოთხრობის“ ავტოგრაფულ ნუსხებს⁶. ეტყობა, კატალოგის ეს დედან-ავტოგრაფიც ამ მიზნით ყოფილა დამზადებული. მაგრამ თეიმურაზს, კერძოპული წესის მიხედვით, ჩვეულებად ჰქონდა ასლების თავისთან დატოვება და აი, კატალოგის დედან-ავტოგრაფს მანამ პარიზს გააგზავნიდა, ვიღაცისთვის უბრძანებია მისი გამოწერა და ასლის შინ დატოვება. ბუნებრივია, ეს მოქლე დროში უნდა მომხდარიყო: თუ დედან-ავტოგრაფის (დღევანდელი C 38) გადაწერა 1835 წლის 21 ოქტომბერს დასრულდა, როგორც ამას ხელნაწერის პირდაპირი ჩვენება მოწმობს, მისი ასლის (დღ.—A 1091) დამზადებაც შეიძლებოდა იმავე—1835 წელს მოესწროთ (მთელი ორი თვე—ნოემბერ-დეკემბერი ხომ ხელში ჰქონდათ), როგორც ამას ასლის ქაღალდის ჭვირნიშანიც (1834) ამტკიცებს.

მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ იყო გამორკვეული, თეიმურაზს კატალოგის დედან-ავტოგრაფის პარიზს გაგზავნა ვეღარ მოუხერხებია და, როგორც ამ ხელნაწერის II ფრანგული მინაწერიდან (ბროსეს ხელით გაკეთებული)⁷ ჩანს, 1837 წელს იგი პეტერბურგში ახლად ჩამოსულ მარი ბროსესთვის გადაუცია, რომელმაც იგი დაუყოვნებლივ ფრანგულად თარგმნა და 1838 წელს კიდეც დაბეჭდა⁸, ხოლო ასლი კი ასლად დარჩა.

⁵ აქვე.

⁶ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, პარიზი, 1933, გვ. 51—54.

⁷ იბ. აქვე ამ ხელნაწერის აღწერილობა.

⁸ Recueil..., St-Ptb. 1838, p. 119—178.

ასლი გაკეთებულია დედანთან მიშვავსებული, ოლონდ აჩქა რებული ხელით. მიშვავსება უმთავრესად გამოიხატება საზერანიშვილის ასლებად მთავრულის გამოყენებით, ისე როგორც ამას თეიმურაზი ხმარობდა. ასლის გადმომღებს უცდია ტექნიკური მსგავსების დაცვაც. კერძოდ, დედანში (C 38) თეიმურაზს ესა თუ ის შენიშვნა ამა თუ იმ წიგნის გარშემო აშიაზე აქვს გატანილი. ასეთი შემთხვევა სულ ცხრაა. ასლშიაც პირველი ორი შენიშვნა № 2 და № 3 წიგნის შესახებ გასწვრივ, აშიაზე გატანილი, მაგრამ ეტყობა ასლის მწერალს ბოლომდე ასე გატანა დაზარებია და საერთოდ ყველა შენიშვნა (№ 2, № 3, № 13, № 15, № 18, № 59, № 61, № 63, № 172 წიგნთა გარშემო) სულ ბოლოსთვის გადაუტანია და ტექსტის შემდგომ მოუთავსებია (გვ. 115—117), სხვათა შორის, № 2 და № 3 შენიშვნაც, რომელნიც ერთხელ უკვე 1—2 გვერდთა აშიებზე ჰქონდა მიწერილი.

ეს კიდევ არაფერი. ასლის მწერლის აჩქარებულ ხელს დაშვებული აქვს როგორც აშკარა კალმისმიერი ლაფსუსები, ისე დედანთან შედარებით, პირველსავე გვერდზე, უწიგნური ფორმები: სამ ღრთონი, აქს (1 r)... და სხვ. დედანთან შესაბამისად უნდა: სალმრთონი, აქვს... და ა. შ.

ამას გარდა, ასლში ადგილი აქვს წიგნთა დანომვრის აღრევას. ასლის მწერალს, დედნის 107-ე ნომერი: „ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი. სახარება და სამოციქულო სრული, ს.: პეტერბურგს. ბიბლიის საზოგადოობისაგან“, და სრულიად ახალი—მე-10-ე განყოფილების სათაური: „კდ რომელნიმე შემეცნებანი მოთხოვათა მოკლედ და სიტყვანი“ (C 38, 31 v—32 r) ორ ნომრად გაუყვია და განყოფილების დასათაურება წიგნის სახელწოდებად მიუჩნევია: „107. ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი სახარება და სამოციქულო სრული ს.:—პეტერბურგს, ბიბლიის საზოგადოსაგან*. 108. კდ რომელნიმე შემეცნებანი მოთხოვათა მოკლედ და სიტყვანი“ (A 1091, გვ. 66). მაგრამ უცებ მიმხვდარა, რომ ერთი ნომერი წამატებული გამოუვიდა დედანთან შედარებით და დედნის 108-ე ნომერი მასთან 109-ე გახდა. ამის გამო, თუ დედნის ერთი ნომერი (107-ე) ორ ნომრად გაჰყო (107-ე და 108-ე), ახლა დედნის ორი ნომერი 108-ე და 109-ე მან შეაერთა და ორივეს 109-ე დაუსვა და ამგვარად აღაღვინა დედნის სათვალა—

* უნდა: საზოგადოობისაგან.

ვით. ასე, რომ დედანშიაც და ასლშიაც სულ 212 დასახელების
ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია ოლწერილ-აღნუსნული.

ზოგადად, კატალოგის ტექსტს ასლში დედანთან შედარებით
არაფერი აკლია, გარდა ბოლოში დედნის დაწერის თარიღის აღმ-
ნიშვნელი წარწერისა: „სრულ იქმნა წელსა ქ' სით 1835-სა, ქარ-
თულს ქ' ქს ფქვ. მეათოთხმეტისა მოქცევისასა თვესა ოკიდობერ-
სა, 21-სა: პეტერლოფს“ (C 38, 54 r). ასლში ამისი გამოტოვება
მხოლოდ იმით თუ შეიძლება აიხსნას, რომ ასლის გადაწერის თა-
რიღი არ ემთხვეოდა დედნის დაწერის დასრულების თარიღს.
ესეც, ერთ ზედმეტ საბუთად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მოსაზრები-
სა, რომ A 1091 ასლია C 38-ისა და ასლის მწერალმა ქვეშეცნეუ-
ლად აღარ გაიმეორა დედნის დათარიღება, თუმცა ასლის დამზა-
დების საერთო პრინციპები დედნიდან გადახვევის რაიმე გამონაკ-
ლისს არ უშვებს.

P. S. უძველად ეს ხელნაწერი ჰქონდა მხედველობაში მ. ჯა-
ნაშვილს, როდესაც წერდა: „თეიმურაზის (+25 (?) 1846 წ.) ბიბ-
ლიოთეკის კატალოგი დღეს უნივერსიტეტის სიძველეთა საცავს
ეკუთვნის. იგი დაწერილია თვით თეიმურაზის მი-
ერ“ (მ. ჯანაშვილი, ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა,
ქ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. V, 1940, გვ.
278). A 1091-ის ავტოგრაფულობის შესახებ მ. ჯანაშვილის ამ
მოსაზრებას, ცხადია, ვერ გავიზიარებთ.

6. თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთაცავის კატალოგის

ს. იორდანიშვილისული გამოცემა

(1948 წ.)

1948 წელს, კ. მარქსის სახელობის საქ. სახელმწიფო საჯარო
ბიბლიოთეკის გამოცემათა სერიაში, A 1091-ის მიხედვით, ს.

⁹ აქვე უნდა აღვინონოთ ამ რიგის სხვა ასეთი შემთხვევაც: დედანში 171-ე
ნომრის ქვეშ შესულია: „წიგნი ზღაპარი ჩინეთის მეფის შეილის მირი ქაბუ-
კისა ამბავი. წიგნი საზღაპრო მილორდ ანგლიელი ლორდისა შემთხვეულება-
ნი, თარგმნილი რუსულით ქართულად, საქართველოს აზნაურთავანისა გლოხა
კოტეტისაგან“ (C 38); ასლში კი იგი ორ ნომრადაა გაყოფილი: „171. წიგნი
ზღაპარი ჩინეთის მეფის შეილის მირი ქაბუკის ამბავი“ და „172. წიგნი საზ-
ღაპრო მილორდ ანგლიელი ლორდისა...“ (A 1091, 92 v). მაგრამ დედნის 190-ე
ნომერი: „განწესებისათვის სამშართებელთა მეფის ძის დავითის მიერ ქმნი-
ლი“ (C 38), რომელიც ჩამატებული ჩანს, ასლში საერთოდ არ შესულა.
ამდენად, ასლის ეს ერთი ნაკლული ნომერი შეავსო № 172-ე „მილორდიანმა“,
რომელიც დედანში ცალკე არ არის დანომრილი.

იორდანიშვილმა გამოსცა „თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი“. III—VIII გვერდებზე მოთავსებულია გამომცემლის „წინასიტყვაობა“, 1—47 გვერდები უჭირავს საკუთრივ „კატალოგის“ ტექსტს, რომლისთვისაც გამომცემელს შეუდგენია „ავტორ-მთარგმნელთა და ოღმწერელთა საძიებელი“ (გვ. 89—92). ხოლო დამატებად წიგნს დართული აქვს „მასალები თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის—რუსეთის უმაღლესი მთართველობის მიწერილობანი“ (გვ. 67—87); ს. იორდანიშვილის შენიშვნით, ეს „დოკუმენტები გამოცლენილ იქნა 1944 წელს ზუგდიდის სიტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში“ (გვ. VII, სქ. 3). 88-ე გვერდზე დაბეჭდილია „თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ გრაფ ნ. პ. რუმიანცევისადმი მირთმეული „ქართლის ცხოვრების“ (ახლანდელი—H 2080) პირველი ფურცლის ფოტოპირი“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნში ადგილი აქვს, ალბათ სტამბის მიზეზით, გვერდების დანომრვის აღრევას: 50-ე გვერდის მომდევნო გვერდი 51-ის ნაცვლად 67-ითაა დანომრილი, ე. ი. 16 გვერდის სხვაობით, რაც ბოლომდე ასე გრძელდება. ამიტომაა, რომ ბოლო გვერდს 92 უზის, თორემ სინამდვილეში წიგნი 76 გვერდს შეიცავს. ეს წიგნის ტექნიკური მხარის შესახებ! ახლა, რაც შეეხება ტექსტის გამოცემის მეცნიერულ მხარეს.

გამოცემის დედნის—A 1091-ის რაობის შესახებ ახლა აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რაღაც მის შესახებ უკვე ცალკე გვქონდა საუბარი. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ის არაავტოგრაფული ასლია C 38 დედან-ავტოგრაფისა, გადაწერილი ქრ. შარაშიძისა და ჩვენი მტკიცებით 1835 წელს, თეიმურაზის სიცოცხლეში და არა თეიმურაზის სიკვდილის (1846 წ.) შემდეგ, წინააღმდეგ გამომცემლის მტკიცებისა (გვ. IV). ჩვენ ახლა უფრო მეტად გვაინტერესებს საკითხი იმისა, თუ რამდენად ზუსტად ასახავს ნაბეჭდი ტექსტი გამოცემის დედან-ხელნაწერში (A 1091) დაცულ ვითარებას:

გამოცემაში 214 დასახელების ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია აღნუსხული, ხელნაწერ-დედანში კი—212. საიდან გაჩნდა ნაბეჭდ ტექსტში 2 ზედმეტი წიგნი?

¹ წიგნის ყდაზე ვაკეთებული წარწერა: „კატალოგი წიგნთ-საცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა“ გამომცემელს აღებული აქვს საკუთრივ ხელნაწერის დასათაურებიდან, გაღიღებული ზომით.

უკვე ნ. სიხარულიძემ შენიშნა, რომ „მასში წიგნი— შედების ვები“ [№№ 99, 100], ალბათ მექანიკურად, ორჯერ არის აღწერილი და დაასკვნის: „სახარო ბიბლიოთეკის გამოცემაში 214 სახელშოდების წიგნია აღნიშნული; ჩვენ მიერ [ისინი] დაზუსტებულ იქნა 213 სახელშოდებად“². მაგრამ 1 მაინც რომ ზედმეტი გამოდის? ხელნაშერში ხომ 212 სახელშოდების წიგნია აღნიშნული.

გამოცემის დედნის—A 1091-ის ცალკე დახასიათებისას, ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა, აღგვენიშნა, რომ დედნის (C 38) 107-ე ნომერი: „ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი. სახარება სამოციქულო სრული, ს. 3 ტერბურგის, ბიბლიის საზოგადობისა განათლებისა და კარტალოგის სრულიად ახალი მე-10-ე განყოფილების სათაური: „კუდ რომელნიმე შემეცნებანი მოთხოვთ ათა მოკლედ და სიტყვანი“ (C 38, 31 v—31 r) ასლის მწერალს ორ ნომრად გაუყვია და სათაური წიგნის სახელშოდებად მიუჩინევია:

„107. ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი...

108. კუდ რომელნიმე შემეცნებანი...“ (A 1091, გვ. 66). მაგრამ უცებ მიმხვდარა, რომ დედანთან შედარებით ერთი ნომერი წამატებული გამოვიდა და ამის გამო, დედნის მომდევნო ორი ნომერი 108 და 109 შეართა და ამგვარად აღადგინა დედნის სწორი სათვალავი. მაგრამ გამომცემელი, ცხადია, ამას ვერ ვაიმეორებდა: A 1091-ში წიგნად ჩათვლილი კატალოგის მე-10-ე განყოფილების სათაური გამოცემაშიაც წიგნად დარჩა (№ 109, გვ. 28), ხოლო ხელნაშერში ერთად (№ 109) შეერთებული ორი წიგნი (№ 108 და № 109) გამოცემაში სავსებით სამართლიანად, ცალკალკე დაინომრა, რამაც გამოიწვია ერთით მეტობა. ხოლო ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ გამომცემლის მიზეზით, ერთი და ოგივი „ლოცვები“ ორჯერაა დაბეჭდილი (№ 99 და № 100, გვ. 28), ადვილად გაირკვევა, თუ რატომაა ნაბეჭდ ტექსტში ხელნაშერთან შედარებით 2 ზედმეტი წიგნი.

გამოცემაში, შენიშვნის გარეშე, დედნისაგან განსხვავებით, შავით დაბეჭდილია ავტორები და წიგნის სახელშოდებანი, ხოლო

² ნ. სიხარულიძე, ნაბეჭდი კატალოგები საქართველოში და მათი განვითარების პერსპექტივები (XIX—XX ს.), თბ., 1967, გვ. 42; შდრ. მისივე, ქართული კატალოგრაფიის ისტორიისათვის, ვაკენ, 1964, № 5, გვ. 102.

ნაწილურ წიგნთა საკართველოში, თბ., 1969, გვ. 74..



გაფინტვით—შიგნით ტექსტში, მთარგმნელთა გვარი და ზეწოდებული ბანი, ან კიდევ, წიგნის მეორადი დასათაურებანი. ქარაგმები ყველან გახსნილია. ყველაფერი ეს მყითხველისთვის კითხვის პროცესის გასააღვილებლად არის მოხმობილი.

მაგრამ, უფიქრობთ, ქარაგმების გახსნისას, ყოველთვის არ არის დაცული ავტორისეული—თემურაზ ბაგრატიონისეული მართლწერა. მაგ., ღის მეტყველება (№№ 1, 2, 4 და სხვ.) გამოცემაში გახსნილია ღვთის მეტყველება და, ხოლო ჩვენ თემურაზის სხვა ნაწერებიდან კარგად ვიცით, რომ იგი ყოველთვის ღმრთის მეტყველებას ხმარობდა; ად ქარაგმა გახსნილია როგორც არამედ. უნდა იყოს: ამად. ამას გარდა, გამოცემაში ადგილი აქვს უშენიშვნოდ ტექსტის სწორების შემთხვევებს: ნინოშმიდელი] ნინოშმინდელი (№ 2), დიონისიოს] დიონისის (№ 3), ეკლესია] ეკლესია, რომელთამე] რომელიმე (№ 12) ლოცვაები] ლოცვები (№ 91. № 99 და სხვ.) ექვემდლარი] ეგზემდლარი (№ 98), წინგთსაცავთა] წიგნთსაცავთა (გვ. 3) მეფეთმეფეთა (გვ. 27), საღმთონი] საღმთონი (გვ. 3), ძისა მეფის გიორგი XIII-ისა] ძისა მეფის გიორგი XII-ისა (გვ. 1), და ა. შ. ჩვენ აღარ გამოვუდგებით ტექსტში გაპარულ კორექტორულ შეცდომათა სრულ აღნუსხვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი შემთხვევა საკმაოდ ხშირია. მაგ.: ყრმათა] ყრმათა (№ 10), ჩატანებული] ჩაკანებული (№ 61), აღწეროს აღეწეროს] (№ 61, დროსა] დროისა ;(გვ. 27) და სხვ.

მთავარი ნაკლი, მანც, ტექსტის დასათაურებებშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ ამ სათაურებს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოსარევევად. თუ რამდენ თემატიკურ განყოფილებად ჰქონდა კატალოგში თემურაზ ბაგრატიონს თავისი ბიბლიოთეკის წიგნები და ხელნაწერები დაჯგუფებული, ე. ი. კატალოგიზაციის რა ზოგადი თემატიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. თემურაზი კატალოგის შედგენისას?

გამოცემაში „კატალოგი“ 25 თემატიკურ განყოფილებადა. წარმოდგენილი:

- [თემოლოგიური წიგნები], №№ 1—12.
- საღმრთონი წერილი საზოგადოსაგან [და]* ღმერთშემოსილთა წმიდათა მამათა: №№ 13—15.
- სტიხი საღმრთოთა წერილთანი. № 16—50.

* გამოცემაში ეს „და“ გამორჩენილია.

4. წიგნი ურიათა მიმართ და მოპედიანთა სიტყვისაუკუტუმა-
ლი, № 51—55.
5. წიგნი საეკლესიოთა ისტორიათა(ნი)*, №№ 56—60.
6. ჩვენ ქართველთა საზოგადო[დ]** ეკლესიურნი ისტორია-
ნი, №№ 61—67.
7. კვალად წიგნი საღმრთოთა წერილთანი, №№ 68—79.
8. წიგნი ქელნაწერნი ე. ი. მონისკრიპტნი***, შვენიერის
მწერლობით ქელოვანთა ქართველთა მწერალთაგან, №№ 80—91.
9. წიგნი საღმრთონი საეკლესიონი... №№ 92—113****.
10. საფილოსოფონი და საღრამატიკონი წიგნი. საღრამატი-
კო*****, №№ 116—121; ხელნაწერთან შედარებით უნდა: №№
114—119.
- * 11. წიგნი სარიტორონი და საფილოსოფონი******, №№
122—123. უნდა: 120—121.
- * 12. ძველნი საფილოსოფოსონი წიგნი №№ 124—130. უნდა:
№ 122—128.
- * 13. კუალად წიგნი საფილოსოფონი, № 131—136. უნდა:
№ 129—134.
- * 14. წიგნი ზეთ სწავლულებათანი, №№ 137—143. უნდა:
№ 135—141.
15. წიგნი სამკურნალონი, №№ 144—149; უნდა: 142—147.
16. მოთხრობანი საქართველოსა ისტორიათა და ცხოვრები-
სა, № 150—159*****; უნდა: 148—157.
17. საზოგადო საისტორიოთა წიგნთათვის, № 160—169;
უნდა: № 158—167.

+ გამოცემაში დაბეჭდილია: ისტორიათა.

++ გამოცემაში დაბეჭდილია: „...საზოგადო და...“

+++ გამოცემაშია: „მანისკრიპტნი“.

++++ გამოცემაშია: №№ 92—115. ამ ორით მეტი ნომრის შესახებ ზე-
შოთ გვქონდა ლაპარაკი.

+++++ გამოცემაში ეს ქვესათაური ძირითად სათაურშია გამოლიანე-
ბული.

++++++ გამოცემაში: საფილოსოფოსონი.

+11—+14—სინამდვილეში 10-ე სათაურის ქვესათაურებია, ხოლო +22-ე
კი, 21-ე სათაურის ქვესათაურია. გამოცემაში კი ისინი ცალკე თავებად არის
წარმოდგენილი.

++++++ გამოცემაში, კორექტურის მიზეზით, 159 ნაცვლად 157-ია
დაბეჭდილი, 160-ის ნაცვლად კიდევ—158.

18. წიგნი საზღაპრონი, № 170—174; უნდა: 168—171.
19. წიგნი პოემანი, რომელ არიან სტიხი, ანუ შეერნი, № 175—180; უნდა: № 172—177.
20. წიგნი ლექსიკონი და ენისა სასწავლებელნი საუბარნი, № 181—186; უნდა: № 178—183.
21. წიგნი სჯულთანი და სამართლის წიგნი, № 187; უნდა № 184.
- + 22. რუსული სჯულები, № 187—193; უნდა: № 185—191.
23. წიგნი სამხედრონი და საარტილერიონი და სამხედროთა სჯულთა და განწესებათანი, № 194—201; უნდა: № 192—199.
24. წიგნი საგომეტრიონი და გეოგრაფიულნი, № 202—204; უნდა: № 200—202.
25. კვალად რომელნიმე წიგნი, რომელნიცა ზემორე ვერა მოვიხსენე № 205—214; უნდა: № 203—212.

როგორც ვხედავთ, გამოცემის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს თეიმურაზს წიგნები და ხელნაწერები 25 თემატიკურ განყოფილებად ჰქონდეს დაჯგუფებული. აქედან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი განყოფილების სათაური: „კვალად რომელნიმე შემეცნებანი მოთხრობათა მოქლედ და სიტყვანი“ გამოცემაში წიგნად არის მიჩნეული (№ 109, გვ. 28)³, თორემ სულ 26 განყოფილებას მივიღებდით.

როგორც კატალოგის ავტოგრაფული (C 38) ნუსხა და მისი ბროსესეული ფრანგული თარგმანი გვირკვევს, თეიმურაზ ბაგრატიონს „კატალოგში“ თავისი წიგნები და ხელნაწერები 21 თემატიკურ განყოფილებად ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო გამოცემაში ცალკე თავებად მოცემული 11, 12, 13, 14 და 22 სათაურები, სინამდვილეში, ქვეთავებია.

ამიტომ, თეიმურაზ ბაგრატიონის „კატალოგზე“ და საერთოდ, მის ბიბლიოგრაფიულ პრინციპებზე მსჯელობისას, ეს ახალი მონაცემები უნდა იქნას გათვალისწინებული.

ჩვენი შენიშვნებით სრულიადაც არ გვსურს დავამციროთ ს. ოორდანიშვილის გამოცემის მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა. მან საქმაო სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს. მაგრამ თუ გამოცემაში მაინც აღინიშნება ზოგიერთი ფილოლოგიური ნაკლი,

³ როგორც თავის ადგილას არის გამორკვეული, ასეთი შეცდომა ალ. ცაგარელსაც მოსვლია.



ეს, პირველ რიგში, გამოცემის დედნის—A 1091 უვარგის სახელმწიფო მუზეუმის სამიებელი. ეს უკანასკნელი ასლია „კატალოგის“ ავტოგრაფული C 38 ნუსხისა და თვითონაც საქმაოდ ბევრ შეცდომას, გაუგებრობას თუ კალმისმიერ ლაფსუსებს შეიცავს. ავტოგრაფული ნუსხა კი მაშინ უცნობი იყო, თორემ შეიძლებოდა ბევრი ისეთი გაუგებრობის თავიდან აცილება, რაც თავად გამოცემის დედნიდან მომდინარეობს.

„კატალოგის“ ავტოგრაფული ნუსხის (C 38) მიხედვით ხერხდება გამოცემის ზოგიერთი ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილების გამართვა; მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

„კატალოგის“ ავტოგრაფული ნუსხა—C 38:

- I. „29. წიგნი მარგარიტი... ლირ-სისა მამისა და მთარგმნელი-სა ქართველისა ეფთკმი გრძელის ძის მიერ...“
- II. „№ 33. ...ოქროს წყარო ბერძულისაგან ნათარ-გმნი“. .
- III. „№ 18. შენ. წმიდა ესე პეტრე... მერმე იძულებითა ქმნეს იგი ეპისკოპოს მოამისა...“
- IV. „№ 54. სიტყვის გება მოჰქმე-დიანთა მიმართ, სარკინოსთა თეოდორიტე ალკურას მიერ ნეტარისა, რომელიცა იყო ეპისკოპოზი ასურეთის, ხარანისა... უკადნი-ერელმან...“.
- V. „№ 55. ...ოხვითა ქართლის მეფისა გიორგი მეათორმე-ტისათა შაჰნავაზ, ბა-ხუტას ძისათა.“.
- VI. „№ 57. ბ. წისა ღიღისა მო-წამისა მამასა ღვაწ-

ს. ორდანიშვილის
გამოცემა:

„№ 29. წიგნი მარგარიტი... ლირ-სისა მამისა და მთარგმნელისა ქართველისა ეფთკმი გრძელისა მიერ...“

№ 33. ...ოქრო ბერძულისა-გან ნათარგმნი.“.

„№ 18. შენ. წმიდა ესე პეტრე... მერმე იძულებითა ქმნეს იგი ეპისკოპოს ამასა“. .

„№ 54. სიტყვის გება მოჰქმედი-ანთა მიმართ. სარკინოსთა თეოდორიტე ალკურას მიერ ნეტარისა, რომელიცა იყო ეპისკოპოზი ასურეთისა, ხარანისა... უკადნი-ერესმან...“.

„№ 55. ...ოხვითა ქართლის მე-უფისა გიორგი XII-სა შაჰ-ნავაზის (ვახტანგ VII-ის) ძისათა.“.

„№ 57. ბ. წმიდისა ღიღისა მოწ-მისა მამისა ღვაწლინი და



ლი და წამებანი (ესე არს მამანტი, ქართულად მა-
მუკად ისახელდე-
ბის).

VII. „№ 57. დ. წისა და ნეტა-
რისა დედისა თეოდო-
რა ალექსანდრიელი-
სა...“

VIII. „№ 59. ი. ცხორება სული-
ერი დიდისა მეფისა
კონსტანტინე სთვას“.

IX. „№ 60. ბ. ...იაკობ იერუსა-
ლიმისა პლისა მღვდელ
მთავრისა ძმისა უსა მი-
მართ“.

X. „№ 60. დ. წამება წმიდათა
დიდთა მოწამეთა ევსტა-
ტი პლაკიდასი და სა-
ხლეულთა მისთა...“

XI. „№ 60. ე. ...შესხმანი წმიდი-
სა გრიგორი ლისმეტ-
ყველისა ნანდიან-
ძელისაგან (კონს-
ტანტინეპოლელ პა-
ტრიარქისა, ოდეს-
იგი მოვიდათესალო-
ნიკედ. კდ შესხმავა-
სილის მიერ ფილი-
ველ მთავარეპის-
კოპოსისა) თქმულ-
ნი და კვილად შეს-
ხმავე მისი ლეონ
ბრძნისა...“

XII. „№ 64. იბ. ...გიორგის მარ-
ხუცესმონაზონისა დოდოს
უდაბნოს იერომო-
ნახისა.“

„№ 57. დ. წმიდისა და ნეტარისა
დიდისა თეოდორა
ალექსანდრიელისა...“

„№ 59. ი. ცხოვრება სულიერი
დედისა მეფისა კონ-
სტანტინე სთვის“.

„№ 60. ბ. ...იაკობ, იერუსალიმის
პირველისა მღვდელმთავრისა
ძისა, უფლისა მიმართ“.

„№ 60. დ. წამება წმიდათა დიდ-
თა მოწამეთა ევსტატი,
პლაკიდასი და სახლეუ-
ლთა მისთა...“

„№ 60. ე. ...შესხმანი წმიდისა გი-
ორგი ლვთისმეტყ-
ველისა ლეონბრძნი-
სა...“

„№ 64. ...გიორგის მარხუცესმო-
ნაზონისა დიდის უდაბ-
ნოს იერომონაზნი-
სა.“



XIII. „№ 128. ... ფილოსოფია
პროკლე დიადოხოსისა,
პლატონურისა მარ-
ტივისა ღის-მეტყვე-
ლებისა, თარგმნილი...“

XIV. „№ 150. ... თკსისა ქვე-
ყანისა იქმნა მსხ-
ვერპლი. მამა მეფ-
ისა თეიმურაზისა
იყო დავით კახთა
მეფე, რომელსაცა
ობლად დაშთა დიახ
მცირე მეფე თეი-
მურაზ. ამა დიდისა
გმირისა მეფისა თე-
იმურაზ პრლისა ისტო-
რია აღუწერია ფრ-
იად სიმართლით და
უნაკლულოდ მეფე-
სა არჩილს, ხმას
წიგნსა შინა არჩი-
ლიანსა არიან ზნე-
ობანი და ჩვეულე-
ბანი საკუთარნი
საქართველოსა ერ-
თანი და სხვანიცა
ფრიად საქებელნი
სტიხნი მრავალნი.“

XV. „№ 158. ... სოლალაშვი-
ლისა ბაგრატიონისი-
საგან... მღვდელმო-
ნაზონსა პაგრატი-
ოსს.

XVI. „№ 189. ... სახელოდ
ნაიბ ეშკალაზობა უბოძე-
ბია... ტარულაობა ობერპო-

„№ 130... ფილოსოფია პროკლე
დიადოხოსისა, პლატონუ-
რისა ჰილოსოფოსი-
სა, კავშირნი ღვთის-
მეტყველებითნი, თა-
რგმნილი...“

„№ 152. ... თკისისა ქვეყა-
ნისა იქმნა მსხვერპ-
ლი“, (გამოცემაში იქ წყდე-
ბა ციტატა,—გ. შ.).

„№ 158. ... სოლალაშვილი-
სა ბაგრატიონისა-
გან... მღვდელმონა-
ზონსა ბაგრატიონსა-

„№ 192. ... სახელად ნაიბ ეშ-
კალაზობა უბოძებია... ტა-
რულაობა ობერპოლიცემენ-

ლიცენზისტობის სახელო
არის.

ტერობის სახელი არის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

XVII. „№ 191. რ იყო იგი მ ე მ-
შ უ რ ნ ე მამულისათვეს“. № 193. ...რამეთუ იყო იგი შ ე მ-
შ უ რ ნ ე მამულისათვის“.

7. თემაზურაზ გაგრატიონის ფიზიოსაცავის კატალოგის
რედაქციათა, ცუსხათა და გამოცემათა
ურთიერთმიმართებისათვის

„კატალოგის“ აღრინდელ მკვლევარებს (მ. ბროსე, ალ. ცაგა-
რელი) ეს საკითხი არ აინტერესებდათ, რამდენადაც მათ ხელში
ოთოო ნუსხა ჰქონდათ, დანარჩენს ან არ იცნობდნენ, ან მათზე
ხელი არ მიუწვდებოდათ.

პირველად ეს საკითხი ს. იორდანიშვილმა წამოჭრა: „ბ რ თ-
ს ე ს მიერ ფრანგულად თარგმნილი და გამოქვეყნებული თეი-
მურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი ასახავს მის შედ-
გენილობას მხოლოდ 1835 წლამდის. მაშასადამე, იგი სრული არც
შეიძლება რომ ყოფილიყო. რაც შეეხება პროფ. ალ. ცაგარ-
ლის მიერ გამოქვეყნებულ კატალოგს, ირკვევა, რომ სრული
არც ის არის, თუმცა მისი დედანიც თვით თეიმურაზ ბატო-
ნიშვილის მიერ ყოფილა შედგენილი, სამწუხაროდ, თარიღის
მიუწერლად... წინამდებარე წიგნი—თეიმურაზ ბატონიშვილის
წიგნთსაცავის კატალოგი—იბეჭდება იმ ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუ-
მის ხელნაწერთა განკუთვილებაში და რომელიც შედგენილი უნ-
და იყოს უკვე თეიმურაზის გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ“¹.

როგორც ვხედავთ, ს. იორდანიშვილი აქ ავითარებს თვალ-
საზრისს „კატალოგის“ სამი რედაქციის არსებობის შესახებ. ერ-
თი—მ. ბროსეს ფრანგული თარგმანის დედანი, შედგენილი
ყოფილა 1835 წლამდე; მეორე—ალ. ცაგარლის გამოცემის დე-
დანი, რომელიც თეიმურაზს შეუდგენია, უთარილო; ხოლო მესა-
მე—თვითონ ს. იორდანიშვილის გამოცემის დედანი, შედგენილი
უნდა იყოს უკვე თეიმურაზის გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ.

ს. იორდანიშვილის ეს თვალსაზრისი გაზიარებული ჩანს კ.
კეკელიძესთან: „კატალოგი ამ კოლექციისა თავდაპირველად
თვით თეიმურაზს შეუდგენია, ის პირველად გამოსცა აკად. მ.

¹ ს. იორდანიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატა-
ლოგი წინასიტყვაობა, 1948; გვ. III—IV.



ბროსემ, ხოლო მეორედ—პროფ. ა. ცაგარელმა. არც ერთი მოცემათაგანი სრული არაა. უფრო სრულად და ამომწურავად ეს კოლექცია აუშერია თემურაზის გარდაცვალების შემდეგ ვიღაც დატალოგიზატორს².

ამის შემდეგ, ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ამ აზრს ადგას. ცნობილი ქართველი ბიბლიოგრაფი ნ. გ. ლორთქი-ფანიძე წერს: „ამ მეტად საინტერესო ბიბლიოთეკის კატალოგი შედგენილი ყოფილა ჯერ კიდევ 1835 წელს, როგორც ჩანს, თვით თემურაზის მიერ, ხოლო მისი ფრანგული თარგმანი გამოსცა 1838 წელს მარი ბროსემ. შემდგომ, 1894 წელს, უფრო სრული სახით დაბეჭდა ალ. ცაგარელმა, ხოლო უკანასკნელად ცალკე წიგნად 1948 წელს გამოცემული იყო ს. ოორდანიშვილის მიერ³. ახალი აქ ისაა, თითქოს თემურაზის ბიბლიოთეკის „კატალოგი“ ბროსესთან შედარებით, უფრო სრული სახით ალ. ცაგარელს დაებეჭდოს.

ბიბლიოთეკათმცოდნე ნ. სიხარულიძე ამ საკითხის გადაწყვეტისას ასე მსჯელობს: „მკვლევართა შორის თემურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგის შედგენისა და დაბეჭდვის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ჩვენი აზრით, აღნიშული კატალოგის ისტორია ასეთია: იგი შედგენილ იქნა 1835 წელს, თემურაზის სიცოცხლეში, მისივე მითითებითა და მონაწილეობით, რომლის ფრანგული თარგმანი დაბეჭდა მარი ბროსემ 1838 წელს, 1894 წელს გამოაქვეყნა პროფ. ალ. ცაგარელმა, ხოლო 1948 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ს. ოორდანიშვილმა⁴. როგორც ვხედავთ, ნ. სიხარულიძის აზრი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება წინამორბედ მკვლევართა აზრისაგან. სულ უკანასკნელად ზერელე მსჯელობა წარმოადგინა ამ საკითხის გარშემონანა გურგენიძემ.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 20.

³ ნ. ლორთქი-ფანიძე, ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები საქ კავშირში, თბ., 1960, გვ. 67—71; მისივე, ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია, თბ., 1962, გვ. 145—149.

⁴ ნ. სიხარულიძე, ნაბეჭდი კატალოგები საქართველოში და მათი განვითარების პერსპექტივები (XIX—XX სს.), თბ., 1967, გვ. 42.

⁵ ნ. გურგენიძე, ძველი წიგნთსაცავები საქართველოში თბ., 1969, გვ. 72—74; საერთოდ უნდა შეენიშნოთ, რომ ნ. გურგენიძის შრომაში დაშვებულია ბევრი უხევში მეთოდოლოგიური და ფაქტიური ხასიათის შეცდომა; მაგ., გაუგებრობაზეა აგვიტული ავტორის მსჯელობა „შუშანიქ დელოფლის საშინაო წიგნსაცავის“ შესახებ (გვ. 6—7). არანაკლებ უზუსტობას იჩენს ავტო-

ჩვენი ნარკვევის შინა თავების გაცნობიდან მკითხველი უნდა დარწმუნებულიყო, რომ არ არსებულა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის არც სამი რედაქცია და არც ამ წიგნთსაცავის „ვიღაც უცნობი კატალოგიზატორი“: 1835 წელს საკუთარი ბიბლიოთეკის კატალოგის პირველი (A) რედაქცია შეუდგენია თეიმურაზ ბაგრატიონის (C 38), რომლის მიხედვით ამავე წელს დაუმზადებიათ მისი ასლი (A—1091): 1838 წლის მოძღვნო ხანებში (ამის შესახებ ქვემოთ) იმავე თეიმურაზ ბაგრატიონის შეუდგენია კატალოგის მეორე (B) რედაქცია.

კატალოგის პირველი (A) რედაქცია 1838 წელს ფრანგულად უთარგმნია და თეიმურაზის მიერ მოწოდებული იხალი ცნობებით შეუცვია მ. ბროსეს. კატალოგის მეორე (B) რედაქცია 1894 წელს გამოსცა ალ. ცაგარელმა. ამ გამოცემის დედანი (კატალოგის თეიმურაზისეული ავტოგრაფული ნუსხა) დღემდე არა ჩანს. კატალოგის პირველი (A) რედაქციის ასლი (A 1091) 1948 წელს

რი „გრიგოლ ხანძთელის წიგნსაცავის“ შესახებ მსჯელობისას (გვ. 9—11), თითქოს „იერუსალიმიდან მოსულ ილარიონს თან ჩამოუტანია მრავალი წიგნი, გრიგოლ ხანძთელს იგი უბეს მონასტრის მამასახლისად დაუდგენია და თავისი წიგნსაცავი გადაუცია“. გიორგი მერჩილეს მიერ მოთხრობილი ილარიონის „კეთილნი წიგნი“ და აფხაზეთში ჩასულ გრიგოლ ხანძთელის „თვესი წიგნი“, რომელ აქცნდეს“ ნ. გურგენიძისათვის უბეს ბიბლიოთეკის დაარსებისთვის საესპით საკარისი გამხდარი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ნ. გურგენიძეს უბეს მონასტერი იმერეთის, ძირულას ხეობის ნაცვლად, ტაო-კლარჯეთში ეგლება: „ასეთივე სახის მუშაობა წარმოებდა გრიგოლ ხანძთელის ინიციატივით დაარსებულ ტაო-კლარჯეთის მონასტრებსა და კერძოდ, უბეს მონასტერში“. ნ. გურგენიძის ცნობით ყოფილა „კავკასიის მთავარმართებელი კოვალენსკი“. ასეთ მთავარმართებელს კავკასია არ იცნობს: საბუთებში მოხსენიებული გვნ. კოვალენსკის ტიტული «Правитель Грузии» „საქართველოს მთავართელს“ ნიშნავს და არა „კავკასიის მთავარმართებელს“. ავტორის მსჯელობით ისე გამოდის, თითქოს მარი ბროსეს ფრანგულად თარგმნილი თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის კატალოგი 1894 წელს ალ. ცაგარელს გამოიქვეყნებინოს (გვ. 72). ალ. ცაგარელი ხომ პირდაპირ შენიშნავდა თავის გამოცემაში, რომ ბროსეს თარგმანის დედანი მისთვის უცნობია და მას „კატალოგის“ სხვა ავტოგრაფული ნუსხა ჰქონდა ხელთ. (Сведения, III, стр. XVII). ერთგან ნ. გურგენიძე უჩივის, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკა საქართველოში არაა ჩამოტანილი (გვ. 77). ეტუბა, ავტორისთვის უცნობი დარჩენილა, რომ 1923 წელს თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი საკაშირო მთავრობის 1922 წლის 29 აგვისტოს დადგინილების საფუძველზე კ. კიევლიძისა და ა. შანის მიერ საქართველოში იქნა ჩამოტანილი და დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის საკუთრებას შეადგენს...

გამოქვეყნა ს. ოორდანიშვილმა. კატალოგის პირველი (A) განვითარებული ცის ავტოგრაფული ნუსხა (C 38) დღემდე გამოუცემელია:

თეიმურაზ ბაგრატიონის ჯიგნოსაცავის პატალოგის
რედაქციათა, ნუსხათა და გამოცემათა ურთიერთმიმართ
თების სტემა

A რედაქცია — C-38 —> შედენილი თ. ბაგრატიონის მიერ 1835 წ. 21
ოქტ. ავტოგრაფი

—> მ. ბროსეს ფრანგული თარგმანი: Catalogue...,
Recueil..., 1838, p. 119—178.

A—1091 —> ასლი გამომოქული უცნობის პირის მიერ
1835 წ.

—> გამოცემული ს. ოორდანიშვილის მიერ, თბ.
1948.

B რედაქცია —> შედენილი თ. ბაგრატიონის მიერ არა უადრეს
1838 წ. ავტოგრაფი, ხელნაშერი არ ჩანს.

გამოცემული ალ. ცაგარლის მიერ: Сведения,
III, СПБ, 1894, стр. 149—186.

ახლა საჭიროა დავახასიათოთ კატალოგის ძირითად რედაქციის
ათა თავისებურებანი.

„კატალოგის“ A და B რედაქციები (ავტოგრაფული ნუსხები—C 38 და ც—ცაგარლისეული) ხელნაშერისა თუ ნაბეჭდის წიგნის აღწერისას ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ქართული ხელნაშერისა თუ ნაბეჭდი წიგნის აღწერილობანი „კატალოგის“ ნუსხებში ერთმანეთისგან არა მხოლოდ ფრაზეოლოგიურად, არა- მედ შინაარსობრივად და ზოგჯერ, ცნობებითაც განსხვავდებიან.

A

(C-38)

B

(Ц)

1. „№ 2. დოლმატიკა ღ” ის მე- „№ 2. დოლმატიკა ღ” თის-მეტ-
ტყველება იოანე დამასკე- ტყველება იოანე დამასკე-



ლისა... ამასვე წიგნსა წე-
რილს არს“.

ლისა... ამასვე შინა არს. ამონ კარაული
ცა ერთი წიგნი ქარ-
თულისა ენისა არა
მიხილავს ესრეთ
მშვენიერ სიტყვაო-
ბით და წესიერის
თხზვითა, ვა წიგ-
ნი ესე არს შეთხზული;
ყოველთა მსმენელ-
თათვის ამა წიგნი-
სათა არს ფლ განსაკ-
ვირვო, და მე ეგრე
ვგონებ, უკეთუ შუ-
ლისხმის ყოფით წა-
რიკითხავს მწვალე-
ბელი იგი სწავლუ-
ლი, რომელთა მიმა-
რთცა არს სიტყვის-
გებაი ესე, შეუძ-
ლებელ არს მოქცე-
ვაი მისი. აღარ შე-
იძლება უმეტეს სი-
ტყვიერებასა შინა
მოყვანად მტკიცე
დამტკიცებაებთა ამ-
ისთაგან უაღრესი
და უგანშვენებულე-
სი (მ. ა. თეიმურაზე).

„№ 15. სტიხი, წმიდათა მამათა-
გან თქმულნი, საღმრთონი“.

2. „№ 16. სტიხი საღმრთონი,
წთა მამათა მიერ ჩვენთა-
გან ქართველთა თქმულნი და
ზოგნი ბერძულთა სტიხთა-
გან ნათარგმნი სტიხებად-
ვი“.

3. „№ 17. კლემაქსი ოცდაათი კი-
ბე ხარისხთა სათნოებისათა
გალექსილი იამბად იოანე
პეტრიწის მიერ ქართველთა
ფილოსოფოსისა მის ღირსი-

„№ 16. კლემაქსი ოცდაათ კიბის
ხარისხადვე, იოანე ფილოსო-
ფოსისა, პეტრიწად ზედ-სა-
ხელდებულისაგან, ქართველ-
თა მთარგმნელისა, სტიხებად,



სა მამის შთარგმნელისა. ეს ლექსნი არიან ქმნილნი ურიფოდ და ამას ლექსთა შინა არიან აკროსტიხურნიცა ლექსნი დიახ შშვენიერად ლაკუნიკად არიან ესენი თქმულნი“.

№ 18. სტიხნი გრიგორი ღისმეტყველისანი კონსტანტინეპოლის პატრიარქისა ნანზიანზელისა ას იამბიკოდ გალექსილნი და თვთოეულსა იამბიკოსა ხუთხუთი ტრიქონი (!) აქვს. ესე არს ქართულსა ზა ენასა თარგმნილი წმიდისა მამისა ქართველთა მთარგმნელისა პეტრეს მიერ, რომელ იყო ძეგ სრულიად საქართველოშისა მეფისა ვარაზ ბაკურისა ხოსროიანისა. და იყო ესე დროსა თეოდოსი მცირისა ბერძენთა იმპერატორისასა. ესე სტიხნი გრიგორი ღის-მეტყველიანი არიან სწავლანი წარმართთა მათ მიმართ, რომელნიცა განაყენნა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან, ზედწარწერილი თვით მისივე, ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან“.

4. „№ 29. წიგნი მარგარიტი, რომელსა შინა არიან სწავ-

იამბად თქმულნი; დიახ მეტყველნიერად და ლაკუნიკით აკრისტიხურებით: ურიფოდ პეტრე ბაკურ მეფის ძისა მიერ თარგმნილ არს ქართულზედ“. (?)

№ 17. სტიხნი გრიგორი ღისმეტყველისა, კონსტანტინეპოლის პატრიარქისა, ნანზიანზელისა, იამბიკონი, არს მუხლებად; თვითოეული მუხლი (ესე იგი თვითოეული სტატია ანუ ლექსი) ხუთხუთნი ტრაეპნი არიან, რომელსა შინაც არიან სწავლანი წარმართთა მიმართ, რომლისაგან განაყენნა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან, ზედწარწერილი თვით მისივე, ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან“.

„№ 25. წიგნი—მარგარიტი, გამოკრებულნი სწავლანი



იოანე ოქროპირისა, შემდგენლი
სხვანი რამენი ცნობანი და
მოთხოვთ წიგნსა ამას
შინა“.

ლანი გამოკრებილნი იოანე
ოქროპირისა სწავლათაგან.
და სხვანი და სხვანი, რამე-
ნი ცნობანი და მოთხოვთანი
წიგნსა ამას შეა და ღირსისა
მამისა და მთარგმნელისა
ქართველისა ეფთვმი-გრძე-
ლის მიერ. ძლევად, სოსთენი
სომეხთა მოძღვრისა ერთ-
ბუნებიანისა ჰერეტიკოსი-
სა“.

5. „№ 83. ლოცვაები... ზაქარია
ეუტის შვილისაგან აღწერი-
ლი“.
6. „№ 164. წიგნი ველისარიონ
ღირსი ხსოვნისა შემთხვეუ-
ლებანი, რუსულიდამ თარგ-
მნილი გაიოზის მიერ არხი-
მანდრიტისა, რომელი იქმნა
არხიეპისკოპოსი აშტარხნი-
სა“.

„№ 79. ლოცვაები... აღწერილი...
ზაქარია კუტის შვილისაგა-
ნა, მხედრულის გრგვალის
ხელით,—ერთი დუიმი ვერ
ექმნება სიგრძე, და თავის
შესაფერი სიგანე აქვს, და
დიახ თხელი არის“.

- „№ 162. წიგნი-ველისარიონი, ღი-
რსი ხსოვნისა საქმენი და
შემთხვეულებანი, რუსუ-
ლიდამ თარგმნილი გაიოზ
არხიერეისაგან, აშტრახნის
არხიეპისკოპოსისა; ეს ე
იყო პლ საქართვე-
ლოსა, კახეთისა ქა-
ლაქისა თელავის, სა-
კეთილშობილოთა სა-
სწავლებელთა მოძ-
ღვარი, ხუთვით იყო
თავადთა ბარათაან-
თაგანი თაყაშვილი,
აღზრდილი სამეცნი-
ეროთა ყოვლითა კა-
თოლიკოსის მიერ ან-
ტონი პირველისა“.

7. „№ 176. სტიხნი ერთი სრული წიგნი სააღნამასი (რომელსა ქართველნი სავათნამას უხმობდეს). ესე იყო უამსა მეფისა ირაკლი მეორისასა მეფის გიორგის ბატონშვილობაში საკუთრად საბატოისშვილო ყმა იყო მეფის გიორგისა და იმას ახლდა, მაგრამ ხშირად მეფეს ერეკლესთან იყო, რაღვანაც დიახ კარგი საზანდარი (ესე იგი მესაკრავე) სხვათა და სხვათა ინსტრუმენტთა (ესე იგი საკრავთა) უკრევდა და იმღეროდა, ლექსსაც თვთვე სთხვიდა. იგი იყო სანაინელი მეფის გიორგის საბატოისშვილოს სოფლისა საქართველოს სომეხთაგანი. სომხურს და თათრულს სიმღერებსა და ლექსებსაც სთხვევდა სხვათა და სხვათ შემთხვევათ უამსა თვთოეულის შემთხვეულობის შესაბამათ სტიხები სიმღერად საკვირვლად უთქომს აზრიანი და შესაბამიერი, თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარჩედ, მაგრამ დიდად მოსაწონი“.

კატალოგის B რედაქციას A-თან შედარებით აკლია შემდეგი ხელნაწერები:

1. „№ 28. კვალად სხვადასხვანი წიგნი საღმრთოთა წერილთანი“.

ჩვენ ვეჭვობთ, ხომ არ არის ეს „კატალოგის“ მორიგი დასათაურება, რომელიც გამომცემელს შეცდომით ცალკე ნომრის ქვეშ ხელნაწერ წიგნად აქვს გატარებული. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იგი რამე ხელნაწერ კრებულს წარმოადგენდა, რაც ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება.

„№ 175. სტიხნი, სრული წიგნი სააღნამასი (რომელთა ქართველნი სავათნამას ეძახიან); ესე იყო უამსა მეფის ირაკლი მეორისასა, საქართველოს სომეხთაგანი სიმღერები სხვათა და სხვათა სალალობელთა შემთხვეულებათა უამსა თქმული, საკვირველად აზრიანი და შესაბამიერი, ლიტონი ლექსნი არიან“.

2. „№ 36. კად წიგნი სხვათა და სხვათა სწავლათათვეს და მოძრა
ურებათა და მეორედ მოსვლისათვეს თქმულთა ითანე თქმისირისაც“.

3. „№ 62. კვალად სხვა წიგნად მოთხრობა აღწერილი აბია-
თარ მღვდელისა მიერ კვართისათვეს ქესისა...“

4. „№ 110. სომეხთა (ესე იგი ერმანთა) სარწმუნოების აღსა-
რება (ანუ რელიგია მათი) ლიტურგია და ნათლისცემა, ესენი ყო-
ველნივე ერთ წიგნად, ნათარგმნი ქართულად“.

5. „№ 152. მცირელი რადე მოთხრობა სად საქართველოს
კათოლიკოსის პატრიარქის მიხაილის მიერ...“

6. „№ 190. განწევებათათვის სამმართებელთა, მეფის ძის და-
ვითის მიერ ქმნილი“.

7. „№ 196. რომაულნი სამხედრონი ჰსჯულნი, შემოკლებით
თარგმნილი ლათინურისაგან მის მიერვე, მეფის გიორგის ძის ოე-
იმურაზისაგან“.

8. „№ 205. ლეიბნიციოს და კლარკ ფილოსოფოსთა მიერ წიგ-
ნი მიწერილი ურთიერთისა მიმართ ფილოსოფოსურთა განსჯა-
თათვეს, თარგმნილი ფრანციულისაგან მათის უგანათლებულესო-
ბის სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის ილის მიერ“.

თავის მხრით, A რედაქციაში „კატალოგის“ B რედაქციასთან
შედარებით შეტანილი არა შემდეგი ხელნაწერები:

1. „№ 110. მირონის კურთხევის ცერემონია, შემოკლებით,
უამსა შინა სრულიად ივერიის მეფისა არჩილ მეორისა ხოსროია-
ნისა...“

2. „№ 146. მეფისა ირაკლი მეორის ისტორია სად ქართლისა
და კახეთისა სამეფოთა და სხვათა მფლობელისა“.

„კატალოგის“ C 38 ნუსხაში (A რედაქცია) თემატურ განყო-
ფილებათა ([8] და [9]) სათაურები (სულ 2) ც ნუსხაში (B
რედაქცია) ხელნაწერ წიგნებადა აა გატარებული (შეიძლე-
ბა ვიფიქროთ, გამომცემლის მიზეზი!). ესენია:

1. C-38: „[8]. წიგნი ხელნაწერნი ესე იგი მონისკრიპტნი
შვენიერის მწერლობით, ჩინებულთა ჟელოვანთა ქართველთა მწე-
რალთაგან: №№ 80—91.“

Ц: „№ 75. კვალად წიგნი მონისკრიპტნი (ესე იგი ხელნა-
წერნი), შვენიერის მწერლობის ხელოვნებითა, ჩინებულთ ქართუ-
ლისა ხელისა მწერალთაგან“.

2. C 38: „[9]. წიგნი საღმრთონი საეკლესიონი სრულიად ბერ-
ძენთაგან ელინურით ნათარგმნი... №№ 92—107“.



Ц: „№ 88. წენი საღმრთო და საეკლესიონი წიგნის გამარტინაცია ბერძნთაგან ელინურისა, ჩვენთ წმიდათ ქართველთ მამათაგან არიან თარგმნილი“. შეინიშნება სხვა რიგის სხვაობანიც. მაგალითად, C-38-ში

ცალკე ნომრებად აღწერილი ხელნაწერები ც ნუსხაში კრებულადაა წარმოდგენილი:

C—38

Ц

1. № 13	
№ 14	№ 13
2. № 38	
№ 39	№ 33
3. № 57	№ 52, 1—13
№ 58	№ 52, 14
4. № 129	
№ 130	№ 126

თუმცა გვაქვს პირიქით შემთხვევებიც: C 38-ში ერთი ნომრით წარმოდგენილი ხელნაწერი ც ნუსხაში ორ ნომრადაა გაყოფილი:

C—38

Ц

1. № 60	№ 54
	№ 55
2. № 171	№ 167

№ 168

ახლა რაც შეეხება ნომრების თანმიმდევრობას: „კატალოგის“ C-38 ნუსხაში სულ 212 ნომერია წარმოდგენილი, ც-ში კი—206, რომლიდანაც, როგორც უკვე გამოვარკვიეთ, 2 ნომერი (75 და 88) სათაურთა ხარჯზეა მომატებული, თორემ ისე, იქ 204 ნომერი ხელნაწერი და ნაპეჭდი წიგნია სინამდვილეში გატარებული. ამათგან, ერთმანეთს ზუსტად მისდევს №№ 1—12; ამის შემდეგ, ნომრები ერთმანეთს აღარ ემთხვევიან, ხშირია წინ და უკან გადასმისა და ერთმანეთთან ძლიერ დაშორების შემთხვევებიც. მაგ.:

C—38

Ц

№ 26	№ 74
№ 27	№ 44

მკითხველისთვის მათი დაძებნის გასააღვილებლად, ჩვენ შევადგინეთ „თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ავტოგრა—
56



ფულ ნუსხათა (C 38 და II) შედგენილობისა და ნომერთა ურთისაცვლელი
ერთმიმართების საძიებელი“:

C 38 №№	II №№	C 38 №№	II №№	C 38 №№	II №№	C 38 №№	II №№	C 38 №№	II №№	C 38 №№	II №№
1	1	36	—	71	65	103	100	138	134	172	169
2	2	37	32	72	66	104	101	139	135	173	170
3	3	38	33	73	67	105	102	140	136	174	171
4	4	39	33	74	68	106	103	141	137	175	172
5	5	40	34	75	69	107	107	142	138	176	173
6	6	41	35	76	70	108	108	143	139	177	174
7	7	42	36	77	71	109	109	144	140	178	175
						—	110				
8	8	43	37	78	72	110	—	145	143	179	176
9	9	44	38	79	73	111	105	146	141	180	177
10	10	45	39	80	76	112	106	147	142	181	178
11	11	46	40			113	104	148	144	182	179
12	12	47	41	სათა- ური	75	114	111	149	145	183	180
13	13	48	42	81	77	115	112	—	146	184	181
14		49	43	82	78	116	113	150	147	185	182
15	14	50	45	83	79	117	114	151	148	186	183
16	15	51	46	84	80	118	115	152	—	187	184
17	16	52	47	85	81	119	116	153	149	188	185
18	17	53	48	86	82	120	117	154	150	189	186
19	18	54	49	87	83	121	118	155	151	190	—
20	19	55	50	88	84	122	119	156	152	191	197
21	20	56	51	89	85	123	120	157	153	192	187
22	21	57	52	90	86	124	121	158	154	193	188
23	22	58	52	91	87	125	122	159	156	194	189
24	23	59	53	სათა- ური	88	126	124	160	157	195	190
25	24	60	54	92	89	127	125	161	159	196	—
			55								
26	74	61	56	93	90	128	123	162	158	197	191
27	44	62	—	94	91	129	126	163	160	198	192
28	—	63	57	95	92	130	126	164	162	199	193
29	25	64	60	96	93	131	127	165	155	200	194
30	2	65	61	97	94	132	128	166	161	201	195
31	27	66	59	98	95	133	129	167	163	202	196
32	28	67	58	99	96	134	130	168	164	203	199
33	29	68	62	100	97	135	131	169	165	204	198
34	30	69	63	101	98	136	132	170	166	205	—
35	31	70	64	102	99	137	133	171	167	206	200
									168		

ახლა ისმის კითხვა, როდისაა შედგენილი „კატალოგის“ B რედაქცია (II ნუსხა) — 1835 წლამდე, ე. ი. „კატალოგის“ A რედაქ-



ციის (C 38 ნუსხის) შედგენ-მდე, თუ 1835 წლის შემდეგ? შედგენ-მდე
ლია, ხელნაწერი დედანი ხელზ არა გვაქვს, მაგრამ ალ. ცაგარლის
აღწერილობიდან ვიცით, რომ «В оригинале этом Теймураз не
указывает, когда он его составил и переписал» (Сведения, III,
გვ. XVII). მაშასადამე, ხელნაწერი უთარილო ყოფილა C-38-გან
განსხვავებით. ალ. ცაგარელმა პირველმა სცადა ტექსტის რედაქ-
ციული თავისებურებების გათვალისწინებით, „კატალოგის“ ც ნუს-
ხის დათარილება: „...грузинский перевод Монтецкие (стр. 184,
№ 197), О природе богов Цицерона (стр. 174, № 130), История
царя Ираклия II (стр. 176, № 146) и Словарь Теймураза к поэ-
ме „Барсова Кожа“ (стр. 185, № 204) не поименованы в пере-
воде Броссе (მაშასადამე, „კატალოგის“ C 38 ნუსხაშიც, ბროსეს
თარგმანის დედანში, რომელიც მაშინ უცნობი დარჩენილა ალ.
ცაგარლისათვის.—გ. შ.) ამას ასეთი გვაქვნებოდა საკამათო,
რომ მის მიერ ჩამოთვლილი მონტესკიურისა და ციცერო-
ნის ქართული თარგმანები და თეომურაზ ბაგრატიო-
ნის „განმარტება პოემა ცუფზისტყაოსნისა“ („ერეკლე მეორის
სტორიის“ გამოკლებით), მართლაც არ იხსენიებოდეს ბროსეს
თარგმანში და ე. ი. „კატალოგის“ C 38 ნუსხაშიც, მაგრამ მონ-
ტესკიურის, ციცერონისა და თ. ბაგრატიონის ნაწარმოებები, რომ-
ლებიც ალ. ცაგარლის ცნობით, „კატალოგის“ მხოლოდ ც ნუსხა-
ში იხსენებიან, სინამდვილეში დასტურდება C 38-შიც: № 191,
№ 134, № 211, ასე რომ ალ. ცაგარლის მიერ ჩამოთვლილი მაგა-
ლითების მიხედვით, „კატალოგის“ ც ნუსხაზე თითქმის არაფერი
მიმატებული არ გამოდის და მათი მიხედვით, „настоящий список-
автограф написан позже“-ო, არ მტკიცდება. მიმატებული კი არა,
როგორც ზემოთ გამორკვეული გვერბდა, „კატალოგის“ ც ნუსხას
C 38-თან შედარებით, აკლია 8 ერთეული დასახელება: № 28, №
36, № 62, № 110, № 152, № 190, № 196, № 205. მაშასადამე, ამ
ნიშნების მიხედვით, დაბეჭათებით ძნელია „კატალოგის“ ც ნუს-
ხის დათარილება.



ჩვენ მაინც ვდადეთ, უფრო ხელჩასაყიდი საბუთიანობით, „კატალოგის“ ც ნუსხის თარიღის გამორჩევა.

საქმე ისაა, რომ ც ნუსხაში C 38-თან შედარებით მართლაც იხსენიება ორი ახალი ხელნაწერი:

1. „№ 110. მირონის კურთხევის ცერემონია...“ (რაც შეუმჩნეველი დარჩენია ალ. ცაგარელს) და

2. „№ 146. მეფისა ირაკლი მეორის ისტორია...“ (რაც უკვე აღნიშნული ჰქონდა ალ. ცაგარელსაც).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „კატალოგის“ ც ნუსხაში № 146-ით გატარებული ხელნაწერი წარმოადგენს ომან ხერხეულიძის კუბილი თხზულების: „მეფობა ირაკლი მეორისა, თეიმურაზის მეფის ძისას“ ასლს (დედანი უცნობია), გადაწერილს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ 1838 წელს პეტერბურგში (იხ. P. Орбели, Грузинские рукописи..., Е 30,2 М.—Л., 1956, გვ. 25). აქედან უკვე ადვილია დასკვნის გამოტანა: თუ „კატალოგის“ ც ნუსხაში 1838 წელს გადაწერილი ხელნაწერია გატარებული, ცხადია, „კატალოგის“ შედგენა 1838 წლამდე ვერ მოხდებოდა. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ „კატალოგის“ ც ნუსხათუ 1838 წლამდე იქნებოდა შედგენილი, მას უსათუოდ გამოიყენებდა მ. ბროსე „კატალოგის“ თავის 1838 წლის თარგმანში.

მაშასადამე, შეიძლება უკვე ითქვას, რომ „თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცვლის კატალოგის“ ც ნუსხა შედგენილია 1838 წლის შემჯეგ და წარმოადგენს მეორე რედაქციას „კატალოგის“ პირველ—1835 წელს შედგენილ (C 38) ნუსხასთან შედარებით.

ახლა განსახილველი დაგვრჩა „თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთსაცვლის კატალოგის“ უცნობი რედაქცია, შედგენილი პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ რუსულ ენაზე 1847 წელს (ЛО арх. АН СССР, ф. 2. оп. 1847, № 15, стр. 21—34).

18. თეიმურაზ ბაგრატიონის გიგლიოთიშვილის ბეჭი მისი გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ და პროც.

დ. ჩუბინაშვილის მიმრ შედგენილი თეიმურაზ ბაგრატიონის ჯიგნოსაცვლის უცნობი კატალოგი

(1846—47 წწ.)

1846 წლის 2 თებერვალს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ დაწერილი ანდერძის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „...უსასურველე-

სო მეუღლეო ჩემო. მეფის სძალო ელენავ, ოთარ ამილახვარიძე ადგილო
ლო!... ჩემი ქართული წიგნები სრულათ შეცემა
დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩვენს საყ-
დარს საცა გექმნებათ, გამორჩევით ერთი.
სახლი უნდა გაუკეთოთ და დაუწყოთ ყოვე-
ლივე წიგნები საღმრთო, თუ საერო, რომ
საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს სა-
უკუნოთ...”¹.

თეიმურაზს ანდერძის დაწერილან დიდხანს აღარ უცოცხლია:
1846 წლის 23 ოქტომბერს იგი გარდაიცალა. ელენე ამილახვარ-
მა ანდერძი ვერ შეუსრულა სასურველ მეუღლეს: თეიმურაზის
ქართული ბიბლიოთეკა სულ სხვა მისამართით დაბინავდა². ამის
შესახებ ცნობებს ვპოულობთ ლ. ბროსესთან (მოგვყავს ქართული
თარგმანი):

„თეიმურაზ პატონიშვილის სიკვდილის შემდეგ მისი ქართუ-
ლი ბიბლიოთეკა რუსეთის ხელისუფლებას უსაჩუქრა ქვრივმა მე-
ფის სძალმა ელენე ოთარის ასულმა ამილახვარმა. მეფის სძალმა
იმავ დროს გამოთქვა სურვილი რათა ხელისუფლებას ეზრუნა.

¹ ანდერძის სრული ტექსტი 1916 წელს დაბეჭდა პ. კარბელაშვილ-
მა: თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 146. მას შემდეგ
მკვლევარები (ს. ორდანიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...) მხოლოდ ამ ნაბეჭდი
ტექსტით სარგებლობენ, მათ შორის, ჩვენც, თვითონ დედანი კი არსად ჩანს
(1916 წელს, ეტყობა, იგი ხელთ პერნია პ. კარბელაშვილს). „ქართულ ხელნა-
წერთა აღწერილობში“ (H კოლექცია, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 440) „თეიმურაზ
ბატონიშვილის ანდერძის წიგნად“ აღწერილი H-3164 ხელნაწერი სინამდვილე-
ში წარმოადგენს „ვიკტორ გორგაძის (თეიმურაზ ბატონიშვილის კარის მოძღვ-
რის) ანდერძის წიგნს“.

² ტრ. რუხაძის ცნობით, „უკანასკნელ წლებში თეიმურაზმა უმდიდრესი
საკუთარი ბიბლიოთეკა გადასცა პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო
აკადემიას“. ამ ცნობის საფუძვლად მკელევარი შენიშვნას: „სსრ კავშირის მეც-
ნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში
დაცულია თეიმურაზის ანდერძი, რომლითაც ის თავის ბიბლიოთეკა-ხელნაწე-
რებს უანდერძებს პეტერბურგის აკადემიას“ (ძველი ქართული ლიტერატურიდან, თბ., 1954, გვ. 132, სქ. 2, 133). ტრ. რუხაძე არ უთითებს ხელნაწერის
შიფრს. მართლაც რომ არსებობდეს თეიმურაზ ბაგრატიონის ანდერძის ასეთი
ნუსხა, იგი სრულ წინააღმდეგობაშია იმავე თეიმურაზის ანდერძის პ. კარბელა-
შვილისეულ ნუსხასთან, რაც მკელევარს უნდა აღენიშვა. ტრ. რუხაძის მტკი-
ცება, თითქოს თეიმურაზს უკანასკნელ წლებში პეტერბურგის მეცნიერებათა
აკადემიისათვის გადაეცეს თავის „ბიბლიოთეკა-ხელნაწერები“—სინამდვილეს
არ შეეფერდა. ასეთი რამ არ მომზდარა, ამაში აღვილად დაგვარწმუნებს ქვე-
მოთ მოყვანილი უარჩავი დოკუმენტი.

აკადემიამ მ. ბროსეს დაავალა წარმოედგინა თავისი დასკვნა
ამის შესახებ, რომელმაც წაიკითხა კიდევ მოხსენება ამ თემაზე
ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე 1847 წლის
24 (= 12) მარტს³... და რაც მოწონებულ იქნა უმაღლესი ხელი-
სუფლების მიერაც: იმპერატორის ბრძანებით, თეიმურაზის ძვირ-
ფასი ბიბლიოთეკა შევიდა სააზიო მუზეუმის კოლექციაში, ხოლო
დუბლიკატები—საიმპერატორო საჭარო ბიბლიოთეკაში. თეიმუ-
რაზ ბატონიშვილის ნაშრომში კი, რომელიც 1836 წლიდან იხსენი-
ება მ. ბროსესადმი გამოგზავნილ მის წერილებში, გამოქვეყნდა
1848 წელს დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ასეთი სათაუ-
რით: „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რო-
მელ არ სრულიად საქართველოისა, ქმნილი საქართველოს მეათ-
უმეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკტ პეტერბურლს,
1848, 298. ვვ.“⁴.

ლ. ბროსეს ცნობებს დღემდე თითქმის ერთადერთი პირველწ-
ყაროს მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც სათანადოდ იყო გამოყენე-
ბული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ, როგორც დავრწმუნ-
დით, მას სრულიადაც არ ძალუდს ამომწურავი ცნობები მოგვაწო-
დოს თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ბედის შესახებ მისი
სიკვდილის შემდეგ.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყო-
ფილებაში, სხვა მასალებთან ერთად (1968 წ.), გამოვლინდა საბუ-
თების ერთი მოზრდილი შეკვრა (ფ 2, оп. 1847, № 15). რომელიც
სრულად გვითვალისწინებს თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის
ისტორიას მფლობელის გარდაცვალების (1846 წ. 23 ოქტ.) შემდეგ.
როგორც ვიცით, თეიმურაზი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის
საპატიო წევრად ითვლებოდა და, ბუნებრივია, მისი საქმეები
სწორედ აკადემიის არქივში ყოფილიყო დაცული.

Ф. 2, оп. 1847, № 15 წარმოადგენს წიგნად აკინძულ საქმეებს
(სულ 39 ფურც.). რომელსაც ზემოდან აწერია: „Об оставшейся
после псковского Царевича Теймураза библиотеке, предоставлен-

³ მ. ბროსეს აღნიშნული მოხსენება გამოვალინეთ აკადემიის არქივის
ლენინგრადის განყოფილებაში 1968 წელს: ფ 2, оп. 1847, № 15, გვ. 3—6. მის
შესახებ ქვემოთ.

⁴ Bibliographie analytique.... St-Peterbourg, 1887, p. 539, Ad. № 67.



ный в пользу Академии Наук. Началось: 14 февраля 1847 года. Кончилось: 26 ноября 1848 года (на 39-ти листах). ხოლო არქივის ხელნაწერ კატალოგში ეს საქმე შემდეგნაირადაა გატარებული: „Теймуразъ, царевичъ, поч. член—О библиотеке покойнаго царевича Теймураза, 1847—1848“.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ, ბაგრატიონის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი მისი ბიბლიოთეკის გამო საქმის წარმოება დაწყებულა 1847 წლის 14 თებერვალს, ხოლო დამთავრებულა 1848 წლის 26 ნოემბერს. ამის თაობაზე (წიგნში დაცული მასალების მიხედვით), შექმნილა სულ 17 ოფიციალური დოკუმენტი. ამათგან 14—რუსულ ენაზე, 2—ფრანგულზე და 1-იც კიდევ—გერმანულად. ჩვენ გადმოვიდეთ თვითეული ამ დოკუმენტის ასლი, გავუკეთეთ კომენტარები, რომელიც ერთვის ჩვენს ნარკვევს და მყითხველს შეუძლია მათი შემოწმება. ნარკვევში კი, ამ დოკუმენტთა საფუძველზე, ვიძლევით თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ისტორიას 1846 წლიდან 1848 წლამდე.

[1]*. თეიმურაზ ბაგრატიონის ქვრივი ელენე ოთარ ამილა ხვარის ასული წერილით (1846—47 წწ. მიზნა) მიმართავს პეტერბურგში გადასახლებულ საქართველოს (ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს) სამეფო ოჯახის წევრთა მთავარ ბოჭალს ს. ს. ლაშვარიონგს, რომელშიც ის გამოთქვამს სურვილს, თავისი ქმრის ბიბლიოთეკა გადასცეს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიასა და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტსა და თხოვს იშუამდგომლოს, საკუთარი სახსრების უქონლობის გამო. გაუწიონ დახმარება ბატონიშვილის ზოგიერთ ნაშრომთა გამოსაცემად, სახელდობრ: 1. საქართველოს ისტორია, 2. აღა-მაჟად-ხანის. მიერ თბილისის აღება 1795 წელს და 3. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“, ხოლო თეიმურაზის შრომითა და ხარჯებით შეტენილ იშვიათ ქართულ ხელნაწერებში, იგი ითხოვს შედლებისდაგვარ ანაზღაურებას. საამისოდ, ეტყობა, ელენე ამილახვარის დავალებით, პროფ. დ. ჩუბინაშვილს რუსულ ენაზე შეუდეგნა (1846—47 წწ. მიზნა), ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს 1847 წლის 14 თებერვლისა) თეიმურაზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების კატალოგი.

* კავებში ვუჩვენებთ დოკუმენტის ნომერს.

5 როგორც აღვინიშნეთ, თვითონ თეიმურაზს ანდერძში სულ სხვა სურვილი აქვს გამოთქმული.

ს. ს. ლაშქარიოვს ელენე ამილახვარის გადაწყვეტილება უცნობებია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს რუსეთის მაშინდელი განათლების მინისტრის კრაფ ს. ს. უვაროვი-სათვის (1786—1855), რომელიც იმავე დროს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიც (1818—1855) იყო.

ს. ს. უვაროვი 1847 წლის 14 ოქტომბერის შერიღლს უგზავნის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტს—მ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვს (ამასთან, აახლებს ელენე ამილახვარის შერიღლსა და დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ კატალოგსაც), რომელიც ითხოვს, შეატყობინონ აკადემიის გადაწყვეტილება შემოწმებულ ხელნაშერთა ფასეულობის, აგრეთვე, გარდაცვლილი ბატონიშვილის ზემოთ ჩამოთვლილი სამი ნაშრომის გამოცემისა და აკადემიის თანხებით მათი ანაზღაურების შესახებ.

[2]. მ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვს ეს საქმე დაუვალებია აკად. მ. ბროსესთვის, რომელსაც 1847 წლის 12 მარტს აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილებისათვის წარუდგენია თავისი დასკვნა.

[3]. მ. ბროსეს აღნიშნული მოხსენების საფუძველზე, რომელიც განუხილავს აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას თავის 1847 წლის 12 მარტის სხდომაზე, მ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვი 1847 წლის 19 აპრილს ს. ს. უვაროვის ტყობინებდა:

მეცნიერებათა აკადემიისა და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტისათვის თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის ხელნაშერებისა და წიგნების გადაცემისას, ელენე ამილახვარს ორი მიზანი ამოძრავებდა: გაუწიოს დახმარება მეცნიერებასა და თავიდან აშოროს ბიბლიოთეკის მოსალოდნელი გაფანტვა და ამით აუგოს ღირსეული ძეგლი თავის განსვენებულ მეულლეს. აკად. მ. ბროსეს გამოანგარიშებით, განსვენებული ბატონიშვილის კოლექცია შეიძლება შეფასდეს 5017 მან. და 50 კაპიკად (ასიგნაციებით). მაგრამ, რაღაც ეს თანხა არაა საკმარისი იმ მიზნისათვის, რისთვისაც იგი სურს მოიხმაროს ელენე ამილახვარმა, ბ-ნი ბროსე თვლის, რომ სამართლიანი იქნებოდა გვეშუამდგომლა ბატონიშვილის მეუღლისთვის დახმარების სახით მიეცათ 3000 მან. (ვერცხლით) თეიმურაზის ნაშრომთა გამოსაცემად.

6 მ. ბროსეს აღნიშნული შრომის შესახებ ლაპარაკობს ლ. ბროსეც: BA, p. 539.



აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურმა განყოფილებაში შემოხვევა
წონა მ. ბროსეს ეს მოხსენებითი ბარათი, რომლის ასლს გასაცნო-
ბად თქვენც გიგზავნით, ხოლო ჩემის მხრით, უნდა მოგახსენოთ,
რომ აკადემიის ახლანდელი ფულადი მდგომარეობა, სამწუხაროდ,
არ გვაძლევს საშუალებას, არც ის თანხა შევაძლიოთ განსვენებუ-
ლი ბატონიშვილის მეუღლეს, რითაც შეფასებულია მისი ქმრის
ბიბლიოთეკა და არც ჩვენს ხარჯზე ავილოთ თეიმურაზ ბატონიშვი-
ლის ნაშრომთა გამოცემა.

ელენე ამილახვარის წერილის დედანსა და მისთვის თანდარ-
თულ კატალოგს უკანვე ვიბრუნებთ.

[4]. ეტყობა, აკადემიისაგან რომ ანაფერი გამოვიდა, ელენე
ამილახვარმა შინაგან საქმეთა შინისტრის მეშვეობით, თხოვნით უკ-
ვე იმპერატორ ნაიოლოზ I მიმართა: შინაგან საქმეთა მინისტრი
აცნობებდა გრაფ ს. ს. უვაროვს, რომ იმპერატორმა ინება მიეცეს
მოლენი ოთარის ასულს განსვენებული მეუღლის ნაშრომის გამო-
საცემად 3000 მან. ვერცხლით სახელშიფრ ხაზინიდან, ხოლო ხელ-
ნაწერები და წიგნები გადაეცეს საიმპერატორო საჭარო ბიბლიო-
თეკას ან მეცნიერებათა აკადემიასათ. ამასთან დაკავშირებით, სა-
ხელმწიფო მრჩეველმა პერიოდები იმპერატორის განკარგულება შე-
ატყობინა ფინანსთა მინისტრს, ხოლო ს. ს. ლაშქარიოვს წინადაღე-
ბა მისცა მიეღო ელენე ამილახვარისგან აღნიშნული ხელნაწერები
და წიგნები.

რუსეთის განათლების მინისტრსა და მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტს ს. ს. უვაროვს თვის მხრით, თეიმურაზის ბიბლიოთეკ-
კას გული ხელნაწერები და წიგნები მეცნიერებათა აკადემიისთვის
დაუნიშნავს (იმპერატორის განკარგულება საჭარო ბიბლიოთეკა-
საც ითვალისწინებდა) და 1847 წლის 11 სექტემბერს მეცნიერებათა
აკადემიისათვის დაუვალებია—შინაგან საქმეთა მინისტრის ნებარ-
თვით, მიეღოთ ზომები ზათ ჩასაბარებლად და საქმის შემდგომი
შევლულობას შესახებ მასოვის ეცნობებინათ.

[5]. ს. ს. უვაროვის განკარგულების მეორე დღესვე—1847
წლის 12 სექტემბერს მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმა მდივანმა
3. 6. ფუსმა საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა მთავარ ბოქა-
ულს ს. ს. ლაშქარიოვს შეატყობინა იმპერატორისა და გრაფ ს. ს.
უვაროვის გადაწყვეტილება და სთხოვდა მიეღო ელენე ამილახვა-
რისაგან თეიმურაზისეული ხელნაწერები და წიგნები მეცნიერება-

თა აკადემიის სააზიო მუზეუმის მაშინდელი დირექტორის აკადემიუმ დორნის⁷ ხელმოწერით.

[6]. როგორც რუსთის განათლების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის (პ. გაევსკის მიერ 1847 წლის 21 სექტემბერს მეცნიერებათა აკადემიისათვის გამოგზავნილი დამატებითი ბარათიდან ირკვევა, შინაგან საქმეთა მინისტრსაც მიუცია წინადაღება ს. ს. ლაშქარიოვისთვის, რათა მეცნიერებათა აკადემიისთვის ჩაებარებინა თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერები და წიგნები.

[7]. აკად. პ. 6. ფუსს 1847 წლის 12 სექტემბრის წერილის პასუხად, 1847 წლის 30 სექტემბერს ს. ს. ლაშქარიოვი ატყობინებდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობის თანახმად, თეიმურაზ ბატონიშვილის ქვრივის ელენე ოთარის ასულისაგან შემოწირული ხელნაწერები (სულ 129) და ნაბეჭდი წიგნები (სულ 41) 22 სექტემბერს მივიღე და იმავე დღეს ჩავაბარე საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმს, დირექტორის—აკად. დორნის ხელმოწერითო.⁸

[8]. საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილებისადმი 1847 წლის 5 ოქტომბერს გერმანულ ენაზე წარდგენილ მოხსენებით ბარათში აკად. პ. დორნი დაწვრილებით განმარტავდა თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ჩაბარების პროცესს.

[9]. ს. ლაშქარიოვისა და პ. ა. დორნის მოხსენებითი ბარათების მონაცემთა საფუძველზე, აკადემიის მუდმივი მდივანი აკად. პ. 6. ფუსი განათლების მინისტრსა და აკადემიის პრეზიდენტს ს. ს. უვაროვს 1847 წლის 11 სექტემბრის წერილის პასუხად 1847 წლის 1 ნოემბერს ატყობინებდა, რომ ს. ს. ლაშქარიოვის, დ. ი. ჩუბინოვისა და პ. ა. დორნის მონაწილეობით თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერები (სულ 129) და ნაბეჭდი წიგნები (სულ 41) უკვე ჩაბარებულია სააზიო მუზეუმში. ოღონდ გამოირკვა, რომ ხელნაწერებს აკლია 7 ერთეული (ე. ი. უნდა ყოფილიყო 136, ნაც-

⁷ აკად. პ. ა. დორნი სააზიო მუზეუმს დირექტორობდა 1842—1881 წლებში. იხ. А. Базинянц, И. Кузнецов, А. Кулагина, Азиатский музей—Институт востоковедения АН СССР, 1818—1968, М., 1968, стр.. 34—42.

⁸ მაშასადამე, თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკა სააზიო მუზეუმს ჩაბარადა 1847 წლის 22 სექტემბერს და არა 1846 წელს (შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 54) ან 1848 წელს, როგორც მას ზოგიერთები ფიქრობენ.

ვლად 129-ისა), ხოლო ნაბეჭდ წიგნებს 1 ცალი (ე. ი. უნდა კულტურული
ლიტერატურის 42, ნაცვლად 41-ისაო).

[10]. გრაფი ს. ს. უვაროვი, ეტყობა, ძლიერ დაინტერესებული
თემურაზის ბიბლიოთეკიდან ხელნაწერებისა (სულ 7) და ნა-
ბეჭდი წიგნის დაკარგვის გამო და განათლების სამინისტროს დე-
პარტამენტის დირექტორ პ. გაევსკისთვის დაუვალებია მოეთხოვა-
შეცნიერებათა აკადემიისაგან დამატებითი ახსნა-განმარტების წარ-
მოდგენა ხელნაწერებისა და წიგნის დაკარგვის მიზეზების შესა-
ხებ. (იხ. პ. გაევსკის 1847 წლის 14 ნოემბრის წერილი მეცნიერე-
ბათა აკადემიისადმი).

[11]. ამის პასუხად აკადემიის მუდმივი მდივანი აკად. პ. ნ.
ფუსი 1847 წლის 18 ნოემბრის განათლების სამინისტროს დეპარ-
ტამენტში იწერებოდა:

კატალოგის შემდგენლის, აქური უნივერსიტეტის ქართუ-
ლი ენის მასწავლებლის ბატონ ჩუბინოვის ახსნა-განმარტებით,
დაკარგული ხელნაწერებისა და წიგნის ნომრები თავიდან კატა-
ლოგში თითქოს შეცდომით მოხვდნენ, რაღაც ისინი თვითონ ბა-
ტონიშვილს კი არ ეკუთვნოდა, არამედ სხვებს და მასთან მხო-
ლოდ დროებით ინახებოდა.

[14. იხ. „ტექსტები“]. გვ. 21—34 უწირავს: «Реэстр грузин-
ским рукописям и печатным книгам, оставшимся после покой-
наго Грузинского Царевича Теймураза Георгиевича».

ვინ არის ამ „კატალოგის“ («Реэстр») შემდგენი და როდისა
რგი შედგენილი?

გრაფ. ს. ს. უვაროვის 1847 წლის 14 თებერვლის წერილში [1]
ამ „კატალოგის“ არსებობა უკვე ფაქტია. მაშასადამე, მისი შედგე-
ნა შეიძლებოდა მომხდარიყო არა უაღრეს—1846 წლის 23 ოქ-
ტომბრისა (როცა თემურაზი გარდაიცვალა!) და არაუგვიანეს—
1847 წლის 14 თებერვლისა (როცა ეს კატალოგი პირველად იხსე-
ნიება გრაფ ს. უვაროვის წერილში!). ხოლო საზიო მუზეუმის დი-
რექტორის აკად. პ. ა. დორნის 1847 წლის 5 ოქტომბრის მოხსე-
ნებით ბარათში [8] „კატალოგის“ შემდგენლად პირდაპირ დასახე-
ლებულია პროფ. დ. ჩუბინაშვილი.

ახლა, როცა უკვე გამორკვეულია „კატალოგის“ შედგენის
დრო (1846—47 წლების მიჯნა) და შემდგენლის ვინაობა (პროფ.
დ. ჩუბინაშვილი), შეიძლება დაწვრილებით განვიხილოთ მისი
აგებულების პრინციპები და მონაცემები.

„კატალოგი“, როგორც ვთქვით, შედგენილია რუსულ ენაზე
 (ელენე ამილახვრის თხოვნისათვის დასართავად) და ხელნაწერების
 და წიგნები დაყოფილია შემდეგ ცხრა თემატიკურ განყოფილებად:

- [1]. а. Историческая и Географическая
 (1—57 დასახელების ხელნაწერი და ნაბეჭდი
 წიგნი).
- [2]. б. Азбуки, Грамматики и Словари
 (1—18).
- [3]. г. Юридическая (1—17).
- [4]. в. Философская и Физическая (1—
 11).
- [5]. д. Романы (1—10).
- [6]. е. Стихотворения (1—10).
- [7]. ж. Медицинская (1—5).
- [8]. з. Смесь (1—23).
- [9]. и. Духовного содержания (სურ. 34).
 - 1. Священное писание (1—11).
 - 2. Творения Св. Отцев (1—18).
 - 3. Катехизисы (1—5).

თუ შევაჭამებთ დ. ჩუბინაშვილის მიერ 1846—47 წლების
 გიგანაზე შედგენილ თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის კატა-
 ლოგის მონაცემებს, მივიღებთ 185 დასახელების ქართულ ხელნა-
 წერსა და ნაბეჭდ წიგნს, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს
 დარჩენია თავის ბიბლიოთეკაში გარდაცვალების შემდეგ. ეს ციფ-
 რი—185 არ უნდა ავურიოთ რაოდენობაში, რადგან რაოდენობრი-
 ვად თეიმურაზისეული ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგ-
 ნები გაცილებით მეტი გამოდის, რადგან ზოგჯერ ერთი ნომრის
 ქვეშ შეტანილია მსხვილი ხელნაწერი კრებულები (ე. შ. კონკო-
 ლიუტები), რომლებშიც რამდენიმე ხელნაწერია ავინძულ-გამთ-
 ლიანებული და ზოგჯერ კიდევ, გვაქვს, ერთი დასახელების ხელ-
 ნაწერისა თუ ნაბეჭდი წიგნის ორ-ორ ეგზემპლარად არსებობის
 შემთხვევაც (ყველა ეს ფაქტი აღნიშნულია „კატალოგის“ ტექსტ-
 ში).

როგორც [7], [8], [9] დოკუმენტებიდან გამოვარკვით, 1847
 წლის 22 სექტემბერს თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკა, დ.
 ჩუბინაშვილის აღნიშნული კატალოგის მიხედვით, ს. ს. ლაშვილიო-
 ვისა და დ. ჩუბინაშვილის ხელით ჩაბარდა რუსეთის მეცნიერებათა
 აკადემიის სააზიო მუზეუმს—მუზეუმის დირექტორის აკად. პ. ა.
 ლორნის ხელმოწერით.

შაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ 1847 წლის 27 ქელიშემბერს სააზიო მუზეუმს არ ჩაბარებია თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის ყველა—185 დასახელების ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი; როგორც ეს 1846—47 წლების მიზნაზე დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „კატალოგში“ იყო ნაჩვენები, აჩამედ 170 დასახელების (აქედან 129 ხელნაწერი და 41 ნაბეჭდი წიგნი) ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, მაშასადამე 15 დასახელებით ნაკლები.

ჯერ იყო და, 1847 წლის 12 მარტს აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე წაკითხულ მოხსენებაში [2] აკად. მ. ბრისემ აღნიშნა, რომ „კატალოგის“ მონაცემებთან შედარებით, თეიმურაზის ბიბლიოთეკას 8 დასახელება აკლიაო.

ამის შემდეგ, როგორ, აკად. მ. დორნმა 1847 წლის 22 დეკემბერს სააზიო მუზეუმისთვის თეიმურაზის ბიბლიოთეკის ჩაბარებისას გამოარკვია [8], კიდევ დაკარგულა 7 დასახელების ხელნაწერი და 1 დასახელების ნაბეჭდი წიგნი. ესენია:

ხელნაწერები:

1. ქართლის ცხოვრება, მხედრულად დაწერილი, კატალოგი, გვ. 1 № 1. (ა. 1).
2. ისტორიული ცნობები თეიმურაზის მიერ ახალციხის აღებაზე. კატალოგი, გვ. 3, № 10 (ა. 10).
3. ქართველ წმ. მამათა ცხოვრებანი, ორი ეგზემპლარი, კატალოგი, გვ. 5, № 16 (ა. 16).
4. ქართველ წმ. მამათა ცხოვრებანი, კატალოგი, გვ. 6, № 18 (ა. 18).
5. შავ-ნადირის ისტორია, კატალოგი, გვ. 11, № 47 (ა. 47).
6. დავით ბატონიშვილის ქართული გრამატიკა კითხვა-პასუნით. 2 ეგზემპლარი. ნაპოვნი იქნა მხოლოდ ერთი, კატალოგი, გვ. 13, № 1 (ბ. 1).
7. ღვთისმსახურება, კატალოგი, გვ. 28, № 5 (ჩ/ვ. 5).

ნაბეჭდი წიგნი:

1. სომხური ისტორიის ქრონილოგიური ცნობარი, ს.-პეტერბურგი, 1834, კატალოგი, გვ. 23, № 15 (ვ. 15).

აკად. მ. დორნს დასახელებულ ხელნაწერთა თუ ნაბეჭდი წიგნების გვერდით ფანჯრით მიუწერია: „нет“. ამათ გარდა, ეგვევ შენიშვნა („нет“). მიწერილი აქვს ხელნაწერებსაც:

1. რუხის ბრძოლა გეგმექორისა; а, 13.
 2. არჩილ მეფის მიმოწერა პეტრე დიდთან; а, 22.
 3. ანტონ I, მზამეტყველება (დაუმთ. ხელნ.); а, 48.
 4. ანტონ I, გრამატიკა (შემოკლებული); г, 12.
 5. დიალექტიკა; в, 1.
 6. იფილენია (ტრაგედია), დ. ჩოლოყაშვილის თარგმანი; е, 5.
 7. საპოლიტიკო თეატრი, თარგმანი о. ჩუბინაშვილისა და ბენედიქტე არქიმანდრიტისა; з, 4.
- აი, სულ ის 15 დასახელების თეიმურაზისეული ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. რომელიც დ. ჩუბინაშვილის „კატა, ლოგის“ შედგენის (1846—47 წწ. მიზნაზე) დღიდან დაკარგულა 1847 წლის 22 სექტემბრამდე, როცა თეიმურაზის ქართული ბიბლიოთეკა ჩაბარდა სააზიო მუზეუმს, რასაც გვაუწყებს კატალოგის, ბოლოში დ. ჩუბინაშვილის ხელით გაკეთებული მინაწერი:

«По сему Каталогу рукописи и книги, за исключением некоторых, кои означены карандашом, что не имеются, сданы Г-ну Академику Дорну; Титулярный Советник Давид Чубинов. Сентября 22 дня, 1847 года».

უნდა აქვე აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დაკლებული ხელნაწერთაგანი (15-დან 7) აღმოჩნდა პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში. ესენია:

1. ქართლის ცხოვრება, მხედრულად დაწერილი—а, 1 (იხ. Аль. Цагарели. Сведения, III, стр. 113, № 43).
 2. ქართველ წმ. მამათა ცხოვრებანი—а, 16 (Сведения, III, стр. 104, № 14).
 3. დავით ბათონიშვილის ქართული გრამატიკა კითხვა-პასუხით—б, I (Сведения, III, стр. 125, № 98).
 4. რუხის ბრძოლა გეგმექორისა— а, 13 (Свед. III, стр. 126, № 102, 3)
 5. ანტონ I, მზამეტყველება— а, 48 (Свед., III, стр. 109, № 30),
 6. ანტონ I, გრამატიკა (შემოკლებული)— г, 12 (Свд. III, стр. 125, № 97).
 7. საპოლიტიკო თეატრი, о. ჩუბინიშვილისა და ბენედიქტე არქიმანდრიტის თარგმანი— з, 4 (Свед. III, стр. 119, № 71).
- უკვლა აქ ჩამოთვლილი ხელნაწერი სხვებთან ერთად დ. ჩუბინაშვილის ანდერძის თანახმად, მისი გარდაცვალების (1890 წ.)

შემდეგ, გადმოეცა ქ. შ. წ. ქ. გ. საზოგადოებას და დაცულით დღეს
გ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციი-

აში. რაც შეეხება ჩვენ მიერ ახლადგამოვლენილ პროფ. დ. ჩუბი-
ძიშვილის მიერ შედგენილ თემურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკის
კატალოგს, იგი დღემდე სრულიად უცნობი იყო სამეცნიერო ლი-
ტერატურაში და არ უნდა ავრიოთ პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ
შედგენილ აქამდე ცნობილ სხვა „კატალოგებში“; ესენია:

1. დ. ჩუბინაშვილის მიერ 1844 წელს მ. ბროსეს ხელმძღვა-
ნელობით შედგენილი: Catalogue des manuscrits georgiens conservés
dans le Musée Asiatique de l'Académie des Sciences; ას. B. Dorn, Das
Asiatische Museum der K. Akademie der Wissenschaften Zu St-
Petersburg, 1846, გვ. 736—742; შარ აგრეთვე: Bibl. Analyt. p. 505;
420.

2. ალ. ცაგარლის მიერ 1890-იან წლებში დ. ჩუბინაშვილის
ბიბლიოთეკაში გამოვლენილი: «Реестр грузинским рукописям и
печатным книгам, хранящимся в Азиатском музее при Импера-
торской Академии Наук», რომელიც ალ. ცაგარლის აღწერილობით
(ას. Сведения III, 1891, стр. XVIII—XIX) «писан на 19 страни-
цах, in folio, руково проф. Чубинова. ...Он составлен Чубино-
вым в 1847 году (Bibliogr. Analyt., p. 505), и пополнен после
1855 года... и содержит в себе 226 нумеров». მაგრავ პროფ.
ალ. ცაგარელის საჭაროდ აღარ ჩაუთვლია მისი დაბეჭდვა, რადგან
«напечатание здесь этого реестра ...не инело бы большого би-
блиографического значения».

[15]. 1848 წლის 28 ოქტომბერს განათლების მინისტრი გრა-
ფი ს. ს. უვაროვი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს მითითებას აძლევს:
თემურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდილი დუბლიკა-
ტები (სულ 11), რომლებიც აკად. ბროსეს ფიქრით, შეიძლება გა-
დაეცეს აქაურ (ს. პეტერბურგის) უნივერსიტეტს კავკასიიდან ჩა-
მოსულ სტუდენტთა სწავლების მიზნით, გთხოვთ უნივერსიტეტის
ნაცვლად გადასცეთ სამშერატორო საჯარო ბიბლიოთეკას, თანახ-
მად მისი დირექტორის მოთხოვნისა, რომელიც დამყარებულია
იმპერატორის განკარგულებაზე (როგორც ვთქვით [4], ნიკოლოზ
I ბიბლიოთეკის სავარაუდო ადგილსამყოფლად მიუთითებდა ან
მეცნიერებათა აკადემიას, ანდა სამშერატორო საჯარო ბიბლიო-
რეკას).



[16,1]. ამის საფურველზე, აკადემიის მუდმივი მდივანი პ. ვ. გორგავანი
ფუსი ს. პეტერბურგის საიმპერატორო საგარო ბიბლიოთეკის დი-
რექტორს დ. პ. ბუტურლინს 1848 წლის 25 ნოემბერს, მეცნიერე-
ბათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების და-
ვალებით, ატყობინებდა: თემურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკა-
ში აღმოჩენილი 11 დუბლიკატი—

1. ვახუშტის ისტორია, 8 რუკით.
 2. ანტონ I, წყობილსიტყვაობა.
 3. არჩილიანი,
 4. ყარამანიანი,
 5. ანგარი სოპეილი,
 6. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა,
 7. თამარიანი (ნაბეჭდი).
 8. ბიბლია (ნაბეჭდი),
 9. კლიტი,
 10. წმ. ადგილების გეოგრაფიული ლექსიკონი (ნაბეჭდი),
 11. კეთილსა და ბოროტის შესახებ (ნაბეჭდი).
- შეიძლება აკადემიის სააზიო მუზეუმიდან გადმოეცეს თქვენ-
გან რწმუნებულ პირს.
- [16,2]. მეორე დღეს—1848 წლის 26 ნოემბერს აკად. პ. ნ.
ფუსი მთლიან საბოლოო ანგარიშს აბარებს მეცნიერებათა აკადე-
მიის სამართველო კომიტეტს თემურაზ ბატონიშვილის ბიბლი-
ოთეკის სააზიო მუზეუმისა და საიმპერატორო საგარო ბიბლიოთე-
კის ფონდებში განაწილებისა და ჩაბარების შესახებ.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის
განყოფილება: ფ. 2, оп. 1847, № 15.

Об оставшейся после покойного Царевича
Теймураза библиотеке, представленной в пользу Академии
Наук.

О п и с ь

бумагам, составляющим дело за № 291 1847 года.

№ по порядку	Какая именно бумаги в деле находятся	На какой странице
1	Отношение Г. Министра Народного Проп- свещения от 14-го февраля 1847 г. за № 1442.	1—2



№ по порядку	Какия именно бумаги в деле находятся	
2	Записка в историко-филологическое Отделение Академии на французском языке	
3	Отпуск с отношения Г. Министру Народного просвещения от 19-го Апреля 1847 г. № 546.	3—6
4	Отношение Г. Министра Народного просвещения от 11-го Сентября 1847 г. за № 8606	7—8
5	Письмо на имя Его Пр-ства С. С. Лашкарева	9—10
6	Отношение Д[епартамен]та М[инистерст]ва Народн. Просвещ. 21-го Сент. 1847 г. № 9005	11
7	Тоже Министерства Внутренних Дел, 30-го Сент. 1847 г. № 153	12
8	Записка на имя историко-филологического Отделения, на немецком языке .	13
9	Отпуск с отношения Г. Министру Народного Просвещения от 1-го Ноября 1847 г. за № 1376	14—15
10	Отношение Д[епартамен]та М[инистерст]ва Народного Просвещ. 14-го ноября 1847 г. № 10. 869	16
11	Отпуск с отношения Г. Непр. Секретаря, 18-го Ноября 1847 г. № 1487 . . .	17
12	Записка на имя историко-филологического Отделения, на французском языке	18
13	Отпуск с отношения Академии Наук, 27-го Сент. 1848 г. № 1655	19
14	Реестр грузинским рукописям и печатным книгам	20
15	Отношение Г. Министра Народного Просвещения, от 28-го Октября 1848 г. за № 10170	21—34
16	Два отпуска с отношений Г. Непремен. Секретаря, от 25-го и 26-го Ноября 1848 г. № 2818 и 2124	35
		36—39

1. Отношение Г. Министра Народного Просвещения

от 14-го Февраля 1847 г. за № 1442 (стр. 1—2)

Министерство Народного Просвещения Департамент Отделение II Стол I 14-го февраля 1847 года № 1422 С препровождением письма Грузинской царевны Елены	Господину Вице-Президенту Академии Наук ¹ . Г. Министр Внутренних Дел препроводил ко мне письмо к Главному Приставу ² при Членах бывших Царских домов Грузинска- го, Имеретинского и Мингрельска- го, вдовы покойного Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, Царевны Елены Отаровны, в коем
---	---

она изъясняя о желании своем посвятить Императорской Академии Наук и С. Петербургскому Университету библиотеку мужа своего, просит об исходатайствовании ей, по неимению собственных средств, пособия на издание сочинений Царевича, а именно: 1. Подробной истории Грузии, 2. Известия о взятии Ага-Махамед-Ханом г. Тифлиса в 1795 г. и 3. Толкования на Грузинскую поэму «Барсова Кожа»; а за понесенные труды и издержки Царевича на приобретение редких грузинских рукописей, посильного вознаграждения.

Препровождая при сем к Вашему Сиятельству письмо Царевны Елены Отаровны³, а равно каталог вышеозначен-

¹ ამ დროს (1847 წ.) რუსეთის საიმპერატორო აჯაღების ვიცე-პრეზიდენტი იყო მიხეილ ალექსანდრეს ძე დონდუკოვ-ურასაკვი (1835 წლის 7 მარტიდან 1852 წლის 18 მარტამდე).

² ს. ს. ლაშვარი იოანე — პეტერბურგში გადასახლებულ საქართველოს ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს სამეფო ოჯახის წევრთა ბოქაული.

³ თეიმიტრაზ ბაგრატიონის ქვრივის, ლევენ თოთარის ასულ ამილახვრის წერილი ს. ს. ლაშვარიოვისადმი, რომელზედაც აქ საუბარი იქვს ს. ს. უვაროვს, აღნიშნულ საქმეებში შემონახული არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ს. ს. უვაროვის გადმოცემის მიხედვით, მაინც ხერხდება ელენე ამილახვრის წერილის შინაარსის აღდგენა: ელენე ამილახვარი აცნობებს მას თავის გადაწყვეტილებას, გადასცეს ქმრის ბიბლიოთეკა (ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი-წიგნები) საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისა და ს.—პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს და ოხოვს, საქართველოს სახსრების უქონლობის გამო, გამოსცენ თეიმიტრაზის შემდეგი სამი ხელნაწერი შრომა: 1. საქართველოს ისტორია, 2 აღა-მამად ხანის მიერ 1795 წლს ტფილისის აღება და 3. „ვეფხის-ტყაოსნის“ განმარტება, ხოლო თეიმიტრაზის შრომითა და ხარჯებით შეძენილ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებში იგი ოხოვს შეძლებისდაგვარ ანაზღაურე-

ным сочинениям мужа ея, рукописям и печатным книгам, покорнейше прошу, с возвращением оных, уведомить меня о заключении Академии Наук на счет пользы издания тех сочинений, ценности жертвуемых рукописей и книг и какая именно из оных Академия желает оставить у себя, а также в какой мере может быть сделано вознаграждение из сумм Академии и нельзя ли оной применять издание вышесказанных трех сочинений Царевича на свой счет.

Министр Народного Пресвещения,
Президент Академии Граф Уваров⁴.

**2. Записка в историко-филологическое Отделение Академии на франц. языке (М. Броссе) (стр. 3—6).
(от 12 марта 1847 г.)**

Тюжесტа ნაწერია ბროსესთვის დამახასიათებელი ძლიერ გაკრული ხელით და მისი ამკითხვა და მეცნიერულად დადგენილი ტექსტია დაბეჭდვა ძლიერ ჭირს. ისე კი ამ დოკუმენტის შინაარსი ზუსტად გადმოცემული აქვს ლ. ბროსეს: ВА, р. 539.

3. Отпуск с отношения Г. Министру Народного просвещения от 19 Апреля 1847 г. № 546 (стр. 7—8).

№ 546

От Истор. фил. отд. Г. Министру Народного Просвещения
19-го Апреля 1847 г. Президенту Академии¹.

При предложении от 14 февраля с. г. за № 1442 Ваше сиятельство изволили препроводить ко мне письмо к Главному приставу при Членах бывших царских домов: Грузинского, Имеретинского и Мингрельского, вдовы покойного Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, — Царевны Елены Отаровны, с изъяснением желания ея посвятить Императорской Академии Наук и С.-Петербургскому Универси-

¹ ას. თუ როგორ განხორციელდა ელენე ამილახვის ეს თხოვნა, ამის შესახებ ცალკე ვაძებდა სატბრი.

² 4 სერვე სიმონის ძე უვაროვი (1786—1855, 4 სერვ.), გრაფი, ს. პეტერბურგის სიმპერატორო მეცნიერებათა ეკადემიის პრეზიდენტი (1818—1855), რუსეთის ვანათლების მინისტრი (1838—1849). წერილზე ხელმოწერა ავტოგრაფულია. თვითონ გრაფ უვაროვისა, ხოლო ტექსტი ნაწერია კანცელარისტის მიერ.

³ იგულისხმება გრაფი ს. ს. უვაროვი, რომელიც ერთდროულად ვანათლების მინისტრიც იყო და აკადემიის პრეზიდენტიც (1838—49 წწ.). დაწერ. იხ. I წერილის შენიშვნებში.

тету библиотеки мужа своего и с просьбою об исходотайст-
зовании ей, по неимению средств, пособия, на издание сочине-
нений Царевича, а именно: Подробной Истории Грузии, 2.
Известия о взятии Ага-Махомед-Ханом г. Тифлиса в 1795 г.,
3. Толкования на Грузинскую поэму «Барсова Кожа»; а за
понесенные труды и издержки Царевича на приобретение
редких Грузинских рукописей, посильного вознаграждения...
с этим письмом был доставлен Вашим Сиятельством и ка-
талог вышеназначенным сочинениям покойного Царевича, а
равно рукописям и печатным книгам его, при чем Вы изво-
лили поручить мне предложить Академии Наук разсмотр-
еть просьбу Царевны и донести о заключении ея, на счет
пользы издания тех сочинений, ценности жертвуемых руко-
писей и книг, и какая именно из оных Академия пожелает
оставить у себя, а также в какой мере может быть сделано
вознаграждение из сумм Академии и нельзя ли ей принять
также издание вышесказанных трех сочинений Царевича на
свой счет?

Г. Экстраординарный Академик Броссе, коему было по-
ручено Историко-филологическим Отделением Император-
ской Академии Наук разсмотрение сего дела, представил
Отделению подробное донесение, из коего усматривается
главнейше следующее:

При предложении Царевною Еленою Академии Наук и
С. П.бургскому Университету библиотеки книг и рукописей
покойного мужа ея, Царевича Теймураза, она имела двой-
ную цель: оказать услугу науки и устраниТЬ вероятное раз-
дробление библиотеки, составленной сорока лишними неус-
танными и прилежными трудами через передачу ея в руки
двум ученым сословиям, каков Академия и Университет, и
доставить себе средства воздвигнуть достойный памятник
покойному своему супругу. По изчислению за Г. Брос-
се..... библиотеки покойного Царевича, он заключает, что
собрание это заслуживает в полной мере внимание ученых,
и может быть оценено в 5016 руб. 50 к. асс. — Но как эта
сумма оказалась бы недостаточною для цели, по которую ее
хотят употребить Царевна, то Г. Броссе полагает справед-
ливым исходотайствовать Царевне в виде пособия на изда-
ние трудов супруга ея до 3000 руб. Сер.

Историко-филологическое Отделение Академии Наук
одобрил донесение Г. Броссе и представляя при сем на бла-
гоусмотрение Вашего Сиятельства засвидетельствованную
копию с оного, честь имею с своей стороны присовокупить,
что денежные обстоятельства Академии не позволяют ей, к
сожалению, ни предложить Царевне ту сумму, в которую

оценена библиотека ея покойного супруга, ни принять на свой счет издержки печатания сочинений оставшиеся после смерти Царевича Теймураза.

Подлинное письмо Царевны вместе с принадлежащим к оному каталогом при сем возвращается².

**4. Отношение Г. Министра Народного Просвещения
[графа С. С. Уварова] от 11-го Сентября 1847 г.
за № 8606 (стр. 9—10)***

Министерство Конференции Императорской
Народного Просвещения Академии Наук

Департамент

Отделение II

Стол I

11 Сентября 1847 года

№ 8606

По Высочайшему пове-
лению

Г. Министр Внутренних Дел
уведомил меня, что Государь Им-
ператор¹, по всеподданейшему док-
ладу его, об изъявленном вдовою
Грузинского Царевича Теймураза
Георгиевича Царевною Еленою
Отаровною желании пожертвовать Академии Наук и С. Пе-
тербургскому Университету рукописи и книги, оставшиеся
после покойного супруга ея², — Высочайше повелеть соизво-
лил, выдать Царевне Елене Отаровне в пособие на издание
сочинений супруга ея три тысячи руб. сер. из Государствен-
ного Казначейства, а рукописи и книги отдать в Император-
скую Публичную Библиотеку или Академии наук.

К сему Г. Действительный Тайный Советник Перовский
присовокупил, что о Высочайше назначеннем Царевне посо-
бии он сообщил Г. Министру Финансов и вместе с тем пред-
ложил Главному Грузинскому Приставу³ принять от нея ска-
занныя рукописи и книги.

2 წერილი, რომელიც 1847 წლის 19 აპრილითაა დათარიღებული, ხელმო-
შრეულია, მაგრამ ჩვენი ფიქრით, იგი უნდა ეკუთვნოდეს ვიცე-პრეზიდენტ
მ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვს, რადგან იგი წარმოადგენს პასუხს მისდამი 1847
წლის 14 თებერვალს გრაფ ს. ს. უვაროვისგან გაგზავნილ წერილზე. (იხ. 1
წერილის ტექსტი და შენიშვნები).

* პირველ გვარდიზე, ზემოთ, გაკეთებული მინაწერებიდან ჩანს, რომ მეც-
ნიერებათა აკადემიის გრაფ ს. უვაროვის აღნიშნული წერილი მიუღია იმავე
წლის 17 სექტემბერს და გატარებულია საქმეში № 862-ით. ქვემოთ ასეთი მი-
ნაწერია: „Госп. Вице-Президент читал“. იგულისხმება იგივე მ. ა. დონდუკოვ-
კორსაკოვი.

1 ნიკოლოზ I.

2 ეტუმბა, აკადემიისგან რომ არაფერი გამოვიდა რა, ელენე მიღლახვარმა
თხოვნით უკვე იმპერატორ ნიკოლოზ I მიმართა.

3 ს. ს. ლაშვარიოვი.



Назначая эти рукописи и книги, известные Конференции Императорской Академии наук по предложению моему Г. Вице-Президенту от 14 Февраля сего года, № 1442, в пользу Академии наук и сделав сношение с Г. Министром Внутренних Дел о доставлении их в оную, предлагаю Конференции распорядиться о приеме их и о последующем мне донести.

Министр Народного Просвещения,
Президент Академии Граф Уваров⁴.

Директор Н. Гаевский⁵

5. Письмо на имя Его Пр-ства С. С. Лашкарева (стр. 11)*

12-го Сентября 1847 г. Его Прев[осходительст]ву С. С.
№ 1138
Лашкареву
От Непр[еменного] Секр[етаря]

Милостивый Государь Сергей Сергеевич!

Г. Министр Народного Просв[ещения] предложением от 11-го Сентября уведомил отделение, что, Государь Император, по всеподданейшему докладу Г. Министра внутренних дел назначив Грузинской Царевне Елене Отаровне в пособии на издание сочинений супруга ея 3000 руб. сер. высочайше повелеть соизволил рукописи и книги покойного Царевича Теймураза отдать в Императорскую Публичную Библиотеку или Академии наук.

Граф Уваров с своей стороны назначив эти рукописи и книги в пользу Академии Наук, предложил распорядиться о приеме их.

... Г-а Министра вн. дел.... предложил принять их от Царевны, что я побуждал.... к вам М. Г. с покорнейшей просьбой принять отпустив их под росписку Директора Азиатского Музеума АН орд. Акад. Б. Дорна и о последующем меня уведомить.

⁴ ხელმოწერა ავტოგრაფულია.

⁵ ხელმოწერა ავტოგრაფულია.

* წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ როგორც თვითონ ს. ს. ლაშქარიოვის 1847 წლის 30 სექტემბრის წერილიდან იჩვევა (იხ. მე-7 ტექსტი), იგი ეპურენის აკადემიის მუდმივ მდივანს, აკად. პ. ნ. ფუსს (1798—1855 წლ.).

6. Отношение Департамента Мин. Нар. Просвещения 21-го Сентября 1847 г. № 9005 (стр. 12).

Министерство Народного Просвещения
Департамент
Отделение II
Стол I
21 Сентября 1847 года
№ 9005

В Конференцию Императорской Академии Наук

В дополнение к предложению Г. Министра Народного Просвещения от II сего Сентября за № 8606,
Департамент Народного Просвещения имеет честь уведомить Конференцию Академии Наук, что Г. Министр Внутренних Дел, как из полученного ныне от него отзыва видно, предложил Главному Грузинскому Приставу передать в Академию Наук оставшиеся после покойного Царевича Теймураза Георгиевича рукописи и книги.

Директор П. Гаевский
Начальник Отделения Аркадий Мартынов*

7. Его Пре[восходительст]ву П. Н. Фусу¹

Министерство
Внутренних Дел
Главный Пристав при
Членах бывших Царских
домов: Грузинского,
Имеретинского и Мингрельского
30-го Сентября 1847 г.
№ 153

Милостивый Государь,
Павел Николаевич,

В следствие отношения Вашего Превосходительства от 12-го сего Сентября за № 1138, честь имею уведомить, что согласно предписанию Г. Министра Внутренних Дел, пожертвованная вдовою покойного Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, Царевною Еленою Отаровною, печатные книги и рукописи, числом: первых 41 и вторых 129, от Ея Светлости 22-го Сентября принятые и того же числа сданы под расписку Директора Азиатского Музеума Императорской Академии Наук, Экстраординарного Академика Статского Советника Дорна.

С совершенным почтением и преданностию честь имею быть

Вашего Превосходительства,

покорнейший Слуга
Сергей Лашкарев

* Зеъзъясъса და ა. მარტინოვის ხელმოწერა ავტოგრაფულია.

¹ პავლე ნიკოლოზის ძე ფუსი—იმ ხანდ ს-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივანი, გამოჩენილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი (1798—1855 წწ.).



8. Записка на имя историко-филологического
[Б. Дорна] [от 5 октября 1847 г.]
(стр. 14—15)

Отделения

Историко-филологическое

An die historisch-philologische Klasse der
Kaiserlichen Akademie der Wissenschaften*

Ich habe die Ehre der Klasse zu berichten daß ich vom 21 bis 24 September dieses Jahres die aus Verlassenschaft des verstorbenen Zarewitsch Theimuras der Akademie verliehenen grusinischen Schriften in Empfang genommen und in dem asiatischen Museum niedergelegt habe. Es waren 129 Numern Handschriften und 41 Druckwerke. Die der Akademie wohlbekannte Titulierung Tschubinov lieferde sie mir im Auftrage des [Pristaw] Laschkarew, noch die beiliegenden Kataloge aus, Wie das auch seine Unterschrift am Ende des letzteren besagt.

Dieser Katalog ist eine Abschrift des vom M. Brosset in seinem Berichte vom 12 März 1847 erwähnten Kataloges. Ich habe während der Übernahme vorerst in dem Original, welches D. Tschubinov zurückbehalten hat, als auch in der vorliegenden Abschrift die nötigen Bemerkungen und Andeutungen mit Bleistift hinzugefügt. Aus diesen Bemerkungen geht hervor:

1) daß die vom M. Brosset in seinem Berichte als fehlend bezeichneten 8 Numern auch noch jetzt fehlen, nur müßte № 5 auszunehmen sein, und der Verfasser des Kataloges durch die äußere Ähnlichkeit getäuscht, die geschichte des französisch österreichischen Krieges im J. 1805 in türkischer Übersetzung, für die die Sasyische Aausgabe von Calilla und Dinna angesehen zu haben scheint und solches auch mündlich zugegeben hat. Der Verfasser des Kataloges war eben D. Tschubinov selbst.

2) daß außerdem noch folgende Nummern vermisst werden:

a) Handschriften:

1. S[seite] des Kataloges 1. № 1 Летопись Грузии, написанная граждансским почерком.

* ნაწერია შვერილი გაკული გუთურით. ბ. დორნის ვეტოვაფი. ზედა მარცხენა ყუის ფრანგული მინაწერებიდან იჩქვევა, რომ აქადემიის სტ.-ფილ. განცოცლებას აღნიშნული დოკუმენტი 1847 წლის 8 ოქტომბერს მიუღია № 936-ით.



2. Seite] 3. № 10. Исторические известия о завоевании
Ахалцихской крепости турками.
3. Seite] 5. № 16 Житие Св. Отцев Грузинских, два
экземпляра.
4. Seite] 6. № 18. Житие Св. Отцев Грузинских.
5. Seite] 11 № 47. История персидского Шаха Надира
6. Seite] 13. № 1. Грузинская Грамматика в вопросах и
ответах Царевича Давида (2 экземпляра),
Es hat sich bloß ein Exemplar vorgefunden.
7. Seite] 28. № 5 Богослужение.

b) Druckwerke:

1. Seite] 23. № 15. Хронологический указатель Армян-
ской истории С. Петербург 1834.

Rechnet man die sieben letzteren fehlen-den Handschriften zu den 129 wirklich abgelieferten, so wird die Zahl 136 herauskommen, welche M. Brosset in seinem Berichte angibt, (69 ouvrages traduits, 67 compositions originales) obgleicher vorher deren 137 zählt. Viele Nummern enthalten nicht ein, sondern mehrere Werke, so daß, auch die Anzahl der von unseren Kollegen angegebenen 160 Werken (environ 160 ouvrages) nach gehöriger Sichtung nicht wohl herauskommen könnte. D. Tschubinov hat aus eigenem Antrieb angelangen die Handschriften in dem Asiatischen Museum noch einmal sorgsam durchzugehen und ein genomes Verzeichnis derselben zu unterwerken. Dieses Verzeichnis wird den eigentlichen Bestand des Empfangenen angeben. Unterdessen muß ich es natürlich die Akademie überlassen, welchen Entschluß sie hinsichtlich der fehlenden Handschriften (und der Druckschrift) zu fassen für gelignet hat.

Quittungsfähig auf einem besonderen Blatte für den Empfang von 129 Handschriften und 41 Druckwerken; ohne dieselben genauer zu bestimmen, da ich auch bei der Übernahme bloß auf die Angabe D. Tschubinov verlassen mußte.

Dieser aber hat seine Sicht in dem vorliegenden Kataloge die wirkliche Auslieferung der in demselben angezeigten Schriften bezogen, und sich also als Bürgen für die wirkliche Abgabe des Abzugebenden hingestellt. Die ganze Art und Weise wie die Übergabe stattfand, hat in mir die feste Überzeugung hervorgeb..., daß

mit Ausnahme der fehlenden Nummern, die Akademie wirklich das empfangen hat, was sie zu erhalten berechtigt war.

St. Peterburg, den 5 Oktober 1847
B. Dorn.

თარგმანი:

„სამდერატორო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას!

მაქვს პატივი მოვახსენო განყოფილებას, რომ მე ამა წლის 21-დან 24 სექტემბრამდე მივიღე აკადემიისთვის გადაცემული ქართული ხელნაწერები განსვენებული თემურაზ ბატონიშვილის მემკვიდრეობიდან და ჩავაბარე სააზიო მუხეუმს: სულ იყო 129 ერთეული ხელნაწერი და 41 ნაბეჭდი წიგნი. აკადემიისთვის კარგად ცნობილმა ჩუბინოვმა ლაშქარიოვის დავალებით, გადმომცა ისინი წინამდებარე კატალოგის მიხედვით, რასაც ამტკიცებს ბოლოში მისი ხელმოწერაც.

ეს კატალოგი წარმოადგენს ასლს იმ კატალოგისას, რომელსაც იხსენიებს ბროსე თავის 1847 წლის 12 მარტის მოხსენებაში.

მიღებისას მე, უწინარეს ყოვლისა, [კატალოგს] ფანქრით და-ვუმატე აუცილებელი შენიშვნები და მითითებანი, როგორც დე-დანში, რომელიც ჩუბინოვთან დარჩა, ისე წინამდებარე ასლში.

ამ შენიშვნებზე უნდა ითქვას, რომ:

1) [ხელნაწერებს] ახლაც აკლია ის 8 ერთეული, რომლებიც ბროსემ აღნიშნა, როგორც ნაკლულნი, გარდა № 5-ისა. კატალოგის შემდგენელი, ეტყობა, შეცდომაში შეიყვანა გარეგნულმა მსგავსებამ და „საფრანგეთ-ავსტრიის 1805 წლის ისტორია“ (თურქული თარგმანი) ზეპირად მიიჩნია „ქილილა და დამანას“ დე სასისეულ გამოცემად. კატალოგის შემდგენელი ხომ თვითონ ჩუბინოვი იყო!

2) რომ ამათ გარდა, აკლია შემდეგი ნომრებიც:

a) ხელნაწერები.

1. კატალოგის გვ. 1. № 1: ქართლის ცხოვრება, მხედრულად დაწერილი.

2. გვ. 3. № 10: ისტორიული ცნობები თურქების მიერ ახალციხის აღებაზე.

3. გვ. 5. № 16: ქართველ წმ. მამათა ცხოვრებანი, ორი ეგზემ-პლარი.

6. გ. შარაძე

4. გვ. 6. № 18: ქართველ წე. მამათა ცხოვრებანი.
5. გვ. 11. № 47: შაპ-ნადირის ისტორია.
6. გვ. 13. № 1: დავით ბატონიშვილის ქართული ვრაშატიკა-კითხვა-პასუხით, 2 ეგზემპლარი. ნაპოვნი იქნა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი.

7. გვ. 28. № 5: ღვთისმსახურება.

в) ნაბეჭდი წიგნები:

1. გვ. 23. № 15: სომხური ისტორიის ქრონილოგიური ცნობარი, ს. პეტერბურგი, 1834.

თუ დავუმატებთ ამ უკანასკნელ 7 ხელნაწერს 129 ნამდვილად მიღებულს, გამოდის 136, როგორც ამას უჩვენებს ბროსე თავის მოხსენებაში (69 თარგმნილი და 67 ორიგინალური ნაწარმოები), მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იგი 137 ითვლიდა. ბევრი ნომერი შეიცავს არა ერთ, არამედ რამდენიმე ნაწარმოებს; ასე, რომ 160 ნაწარმოების რაოდენობას, როგორც ამას ჩვენი კოლეგები უჩვენებენ, როგორც საფუძვლიანი გადასინჯვის შემდეგ ირჩვევა, არ შეიძლება ისინი ერთმანეთს ემთხვეოდეს. ჩუბინოვი თავისი საკუთარი ნება-სურვილით, შეუდგა საზიონ მუზეუმში [თეიმურაზისეულ] ხელნაწერთა ერთხელ კიდევ გულმოდგინედ გადათვალიერებას და მათი ზუსტი ნუსხის შედგენას. ეს ნუსხა მოგვცემს ცნობებს მიღებულის ნამდვილ შედგენილობაზე. მანამდე, მე უნდა მივანდო ეს აკადემიას, რა გადაწყვეტილება უნდა გამოვიტანოთ ნაკლულ ხელნაწერებსა (და ნაბეჭდ წიგნთან) დაკავშირებით.

ქვითრის სახით, ცალკე ფურცელზე, [მე გავაუორმე] 129 ხელნაწერი და 41 ნაბეჭდი წიგნის მიღება, მათი ზუსტი რაოდენობის გამოურკვევლად, რაღაც მათი ჩაბარებისას მე უნდა მე-ხელმძღვანელა მხოლოდ ჩუბინოვის [კატალოგის] მონაცემებით.

მაგრამ მან დაგვიდასტურა თავისი მონაცემები წინამდებარე კატალოგში და აღვითქვა იმათი ჩაბარება, რაც ნამდვილად უნდა გამომოცათ. მთლიანად, ჩაბარების პროცესმა მტკიცედ დამარწმუნა, რომ ნაკლულ ნომერთა გარდა, აკადემია ნამდვილად მიიღო ის, რის მიღების უფლებაც მას ჰქონდა.

ს.-პეტერბურგი, 1847 წლის 5 ოქტომბერი.
 ბ. დ ორ ნ ი „.

9. Отпуск с отношения Г. Министру Народного Просвещения от 1-го Ноября 1847 г. за № 1376.

№ 1376 1 Ноября 1847 г.	Г-ну Мин[истру] Нар[одного] Просв[ещения], През[иденту] А[кадемии] [графу С. С. Уварову]
-------------------------------	---

Вследствие предложении В-го С-ства от II-го Сентября с. г. за № 8606, я отнесся с просьбою к Г-ну Главному Приставу при Членах бывших Царских домов Грузинского, Имеретинского и Мингрельского, об отпуске под расписку Директора Азиатского Музеума: рукописей и книг покойного Царевича Теймураза, по Высоч. повелению назначенных для Имп. Публичной библиотеки или для Академии Наук, а Вашим С-ством представленных в пользу Академии. Ныне Главный Пристав Т. С. Лашкарев уведомил Н. С. (?) что он принял от Царевны Елены Отаровны печатные книги и рукописи, числом первых 41 и вторых 129 и сдал под расписку Директора Музеума Академии Наук. Г. Директор с своей стороны рапортом донес, что он вышеозначенное число книг и рукописей от Г. Лашкарева при помощи Г. Чубинова — составителя каталога библиотеки покойного Царевича — для хранения в Музеуме принял. По сему каталогу* число печатных сочинений должно быть до 42, а рукописей 136** გ. օ. აკადმ 1 ხაზეჭდი წიგნი და 7 ხელნაშეტერი. გ. მ].

О чём часть имею Вашему Сиятельству донести¹.

10. Отношение Департамента Министерства Народного Просвещ. 14 го Ноября 1847 г. № 10.869

Министерство Народного Просвещения	В Конференцию Императорской Академии Наук
Департамент Отделение II	В дополнение к донесению Историко-филологического Отделения
Стол 1	Академии Наук от 1 го сего Ноября
14 Ноября 1847 года	за № 1376, Департамент Народного
№ 10869	Просвещения, по приказанию

Г. Министра, покорнейше просит Конференцию Академии о сообщении отзыва сдававших Директору Азиатского Му-

* Тому самому, который был приложен к предложению В-го С-ва от 14 февр. с. г. № 1442 и возвращен при доносе в пр. от 19 апр. за № 546.

** Недостающие за числ. номера суть следующие: (მაგრამ აქ ნაცვლები ხელნაშეტერი აღინიშნულია. გ. მ.).

1 წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს პ. 6. ფუსს.

зеума Академии рукописи и книги покойного Грузинской Царевича Теймураза Георгиевича, о причине недостатка некоторых из них против каталога.

Директор П. Гаевский²

**11. Отпуск с отношения г. Непременного Секретаря
18-го Ноября 1847 г. № 1487**

№ 1487
18-го Ноября
1847 г.
От Н[епременного]
С[екретаря]

В Департамент Народного
Просвещения

На отношение Департамента
от 14 Ноября за № 10869 о сообще-
нии отзыва сдававших рукописи
и книги покойного Грузинского Ца-

ревича Теймураза Георгиевича о причине недостатка некоторых из них против каталога, честь имею уведомить, что по предложению Господина Министра о приобретении по высочайшему повелению библиотеки Царевича Теймураза и о передаче ее в пользу Академии, вообще каталога приложено не было, а сдана она Главным Приставом Тайным Советником Лашкаревым Директору Азиатского Музеума числом.... печатных книг 41 и рукописей 129, которые все нами и получены. Но так как пред сим по поводу..... сей Библиотеки... с предложением Г-а Министра Нар. Просвещения през. Акад. от 14 февраля сего года № 1442, в Академию доставлен был Каталог, возвращенный впрочем при донесении от 19 апреля № 546; но Академик Дорн обратился к знакомому ему составителю сего Каталога, преподавателю Грузинского языка при здешнем университете Чубинову с просьбою сообщить ему главным образом тот каталог и по сличении его с.... Библиотеки дозволить снять с него копию. Сие то сличение оказалось известный Департаменту из донесения Академии от 1-го Ноября № 1376.... о котором впрочем было упомянуто в донесении Академика Броссе, так что недостающие номера не приняты в расчет и при самой оценке. По..... Г-а Чубинова, номера эти вошли в каталог по ошибке, ибо они принадлежали будто бы не самому Царевичу, а другим лицам и находились у него лишь временно.

[П. Фусс].

² ხელმოწერა პ. გაევსკის ავტოგრაფულია.

12. Записка на имя историко-филологического
Отделения на французском языке [М. Броссе]
от 15... 1848 г

13. Отпуск с отношения Академии Наук,
27-го Сент. 1848 г. № 1655.

М. Н. П.
Императорская
С. Петербургская
Академия Наук
№ 1655
С. Петербург
27 Сентября
1848 года

Г-ну Товарищу Министра Народного
Просвещения

В следствие предложения Г.
Мин[истра] Нар[одного] Просв[еще-
ния] от 11 Сентября 1847 г. за №
8606 Академии представлены для
ея Библиотеки оставшиеся после
покойного Грузинского Царевича
Теймураза Георгиевича рукописи

и книги, между коими находятся, наименованные в прилагаемом у сего списке, дублеты, которые Академик Броссе полагает полезным передать в С-Петербургский Университет в пользу обучающихся в оном воспитанников с Кавказа. Отделение одобряя сие предположение Г. Броссе, честь имеет испрашивать на то разрешение В[аше]го Сиятельства.

14. Реэстр... (обр. ტექსტები, გვ. 171—179)

15. Отношение Г. Министра Народного Просвещения,
от 28-го Октября 1848 г.*

Министерство Народного Просвещения	Господину Вице-Президенту Императорской Академии Наук
Департамент Отделение II	В следствие представления
Стол I 28 Октября 1848 года	Историко-Филологического Отделе- ния Академии Наук от 27 прошлого Сентября, о дублетах, оказав- шихся в библиотеке, оставшейся
№ 10170 на № 1655	после покойного Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, которые Академик Броссе полагает полезным передать в здешний Университет, — покорнейше прошу Ваше Сиятельство сделать распоряжение, чтобы означенные дублеты, пониманные в доставленном Отделением списке, числом все-

* აშენებუ მინისტრები: № 111, Октябрь 30, в Историко-филологическое отделение.



го 11, переданы были, вместо Университета, в Императорскую Публичную библиотеку, согласно требованию Директора оной, основанному на Высочайшем повелении, известном Академии из предложения моего от 11 Сентября прошлого года за № 8606.

Министр Народного Просвещения

Президент Академии

Граф Уваров

Директор П. Гаевский

16/1.

Его Высокопрев. Д. П. Бутурлину¹

М. Н. П.

Императорская

С. Петербургская

Академия Наук

от

Непременного Секретаря

№ 2818

С. Петербург

25 Ноября 1848 года

Милостивый Государь

Дмитрий Петрович!

В следствие предложения Г.

Министра Народного Просвещения

на имя Г. Вице-Президента Импера-

торской Академии Наук от 28

Октября с. г. за № 10170, о пере-

даче дублетов, оказавшихся в биб-

лиотеке покойного Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, поступившей по разрешению Г. Министра, в Академию Наук, с подведомственному Вашему Высокопрев. Императорскую Публичную Библиотеку, я по получению Историко-Филологического Отделения Академии Наук честь имею Вас, Милостивый Государь уведомить, что означенныя рукописи в числе 11, под заглавиями:

- (1) История Вахуштия, с 8 картами
- (2) Цхобил-Ситквиаба
- (3) Стихотворения Царя Арчила
- (4) Караманиани
- (5) Анвари Сохейли
- (6) Книга мудрости и лжи
- (7) Тамариани, печатн.
- (8) Библия, печатн.
- (9) Ключь
- (10) Географический Словарь Св. земли, печатн.
- (11) Суждение о добре и зле, печатн.

¹ დიმიტრი ბეტრეს ძე ბუტურლინი—პეტერბურგის სამხერატორო საგარეო ბიბლიოთეკის მამინდელი დირექტორი.

отобрать в Азиатском Музее Академии Наук и имеют быть оттуда отпущеный тому лицу, которому от Вас

С пожеланием и таковою же преданностию имею честь быть

Вашего Высокопревосходительства
[П. Н. Фусс].

16/2

М. Н. П. В Комитет Правления Академии
Императорская Наук
С. Петербургская
Академия Наук Г. Министр Народного Просвеще-
от ния предложением от 11 Сентября
Непременного Секретаря 1847 года за № 8606, уведомил
№ 2124 Конференцию Академии Наук, что
С. Петербург Государь Император, по всепод-
26 Ноября 1848 года даннейшему докладу Г. Министра

внутренних Дел,—об изъявленном вдовою Грузинского Царевича Теймураза Георгиевича, Царевною Еленою Отаровною, желании пожертвовать Академии Наук и С. Петербургскому Университету рукописи и книги, оставшияся после покойного супруга ея,— Высочайше повелеть соизволил, выдать Царевне Елене Отаровне в пособие на издание сочинений супруга ея 3000 руб. Сер. из Государственного Казначейства, а рукописи и книги отдать в Императ. Публичную Библиотеку или Академию Наук; в следствие сего Г. Министром было предписано Конференции сделать распоряжение о приеме откуда следует сказанных книг и рукописей, с тем чтобы о последующем было донесено Его Сиятельству.

Во исполнение этого предложения книги и рукописи, первая в числе 41, а вторая в числе 129 были приняты, по особенному каталогу в Библиотеку Азиатского Музея Академии и разобраны там Г. Академиком Броссе, представившим в последствии, при особом донесении, список 11 дублетным сочинениям Библиотеки Царевича Теймураза, которых по предложению его полезно было бы передать С. П. Б. Университету в пользу обучающихся в оном воспитанников с Кавказа, на что и было испрашиваемо разрешение Г. Товарища Министра Народного Просвещения.

На сие письмо последовало ответное предложение Г. Министра, чтобы означенные 11 дублетов были переданы не в Университет, как это полагал полезным Г. Броссе, но в

Императ. Публичн. Библиотеку, на основание Высочайшаго повеления, изложенного в предложении его — Г. Министра от 11 Сентября 1847 года за № 8606.

Сообщив о сем разрешении Г. Директору Публичной Библиотеки для принятия из Академии позначенных оной дублетов, я счел с своей стороны неизлишним, уведомить о всем выше прописанном и Комитетом Правления к надлежащему сведению

Непременный секретар [П. Фусс]

ტექსტები:

1. თეიმურაზ ბაგრატიონი—წიგნი საღმრთონი და-
საერონი ქართულისა ენისანი A რედაქცია (1835 წ.) B რედაქცია
(არაუადრეს 1838 წ.)
2. Давид Чубинов, Реэстр грузинским рукописям
и печатным книгам, оставшимся после покойного Грузин-
ского Царевича Теймураза Георгиевича.

A რედაქცია

წიგნი საღმრთონი და საერონი ქართულისა ენისანი, რომელ-
 იცა იპოებიან მათის უგანათლებულესობის მეფის ძის თემურა-
 ზის სრულიად საქართველოს მეფის გიორგი მეათცამეტისა ძისა
 წიგნთა საცავსა შინა თვითონეულად აღრიცხვად მათი:

[ს აღმრთის მეტყველო წიგნი]

1. დამასკელი. წიგნი ღმრთის-მეტყველება სრული ერთს წიგ-
 ნად. მარტივი და განგებულებითი. წმიდისა იოანე დამასკელისა.
 შერძულიდამ წმიდათ მთარგმნელთა ქართველთა მამათავან ძვე-
 ლად ნათარგმნი.

2.* დოღმატიკა ღმრთის-მეტყველება იოანე დამასკელისა მი-
 ერ ქმნილი. ტომი მეორე დიახ ვრცლად. განგებულებისათვის საღმ-
 რთოსა. სიტყვის საგებელად ერთბუნებიანთა იაკობიანთა და უთა-
 ოთა, რომელსა შინა შემოტანილ არიან მრავალნი სიტყვის გებანი
 შათვა მიმართ სხვათა და სხვათა წმიდათა მამათა ეკკლესიის მოძღ-
 ვართავან თქმულნი დოღმატნი. თარგმნილი ძველადვე ჩვენ ქარ-
 თველთ წმიდათ მთარ—(1 გ)გმნელთ მამათავან არსენი ნინოწმიდე-
 ლისაგან მღვდელ-მთავრისა და იოანე მონაზონისა გრძელის ძისა-
 ვან. ამასვე შინა მოიხსენების წმიდათა კრებათათვეს და მეოთხისა
 წმიდის მსოფლიოსა კრებისათვის ვრცელად და სარკინოსთა თუ ვი-
 თარ ჯერ არს მოქცევა მართლ-მადიდებლობასა ზედა ამასვე წიგნსა
 წერილს არს.

3.** წიგნი დიონოსიოს არიოპაგელისა მაღალი და ღრმა
 ღმრთისმეტყველება. პირველი ტომი. თარგმნილი ძველად ბერძუ-
 ლიდამ წმიდისა მამისა ქართველთა მთარგმნელთავანისა ეფრემ
 მცირისა მიერ და მის მიერვე სხოლიონნი განმარტებულნი თვთო-

2* ამისი პირველი ტომიც არის, მაგრამ მეფის ძეს თემურაზს არა აქვს.

3** სხვა ტომებიც არის ქართულს ენაზე თარგმნილ დიონისიოსის წიგ-
 ნია და მეფის ძეს თემურაზს კი არა აქვს.



ეულთა თავთა მისთა და განსჯანივე მის მიერ ფრიადისა სიმარტები ქმნულნი.

4. წიგნი ღმრთის-მეტყველება განგებულებითი, ქმნილი წმი-
დათა შორის მამისა ჩვენისა ანასტასი პატრიარქისა ანტიოქიელისა.
ამა წიგნსა ეწოდების წინამძღვარი, ბერძულიდამ ძველადვე თარგ-
მნილი ჩვენთ წმიდათ ქართველთ მთარგმნელთ მამათაგან (1 v).

5. განმარტება აპოკალიფსისა წმიდისა ანდრია კესარია-კაბა-
ლუკიის არხიეპისკოპოსისა მიერ. ბერძულიდამ თარგმნილი ძვე-
ლადვე.

6. სიმოვლო (!) ანუ კატეხიზი აღსარება სარწმუნოებისა, თარ-
გმნილი ბერძულით წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ქართველთა
მნათობის მთარგმნელისა გიორგი მთაწმიდის ივერიის მონასტრის
წამისა და არხიმანდრიტისა, რომელსა შინა არიან შემდგომნი ესე
სიმვოლონი:

1. წმიდისა დიდის ღმერთ-შემოსილისა მამისა ათანასი ალექ-
სანდრიელისა—პატრიარქისა.

2. წმიდისა ფოტი კონსტანტინუპოლის პატრიარქისა.

3. წმიდისა გრიგორი ღმრთის მეტყველისა კონსტანტინუპო-
ლელ პატრიარქისა ნანძიანძელისა, გამოჩინებითა მოციქულისა და
შახარებელისა ითანე ღმრთის-მეტყველისათა, რახცა ეუწყა მის
მიერ, იგი აღწერა.

4. მიხაელ სკველისა იერუსალიმელისა, სარწმუნოებისა წარ-
მოთქმა.

5. მოხსენება წმიდათა შვდთა მსოფლიოთა კრებათა, ეგრეთვე
მასვე წიგნსა შინა თვთოეულად შემოკლებულად უწყებანი საზო-
გადოთაცა კრებათა დაწყებითგან საღმრთოთა მოციქულთა კრები-
სა (2 r).

6. მასვე წიგნსა შინა: სიტყვა წმიდისა ათანასი დიდისა ალექ-
სანდრიელისა, ქალწულებისათვეს.

7. წიგნი სიმოვლი(!)გინა კატეხიზის მრწამსის განმარტება
სრული და ვრცელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოსისა ანტო-
ნი პირველისა, რახცა თანა აცსთ მართლ-მაღიდებელთა აღსარე-
ბად, ანუ სარწმუნოებისა და სათნოებისა პყრობად. მასვე შინა მო-
უზხრობს წმიდათა მსოფლიოთა კრებათათვს და სიტყვას უგებს
შევალებელთა.

8. შემოკლებული აღსარება მართლ-მაღიდებლობითისა სარ-
წმუნოებისა, ქმნული სრულიად საქართველოს მეფის გიორგის
პირმშოს ძის დავრთის მიერ, რომელიცა მიართვა მამასა თვსსა მე-



ფესა გიორგის. ხოლო ესე სიმოვლოხსა წიგნი ყოველთა სასულიშვილი ერთა მეცნიერთა და ღმრთისმეტყველთა მოძღვართა საერთოდ სრულიად საქართველოხსათა აქვს ყოველთა და მოილეს დიდისა კმაყოფილებით.

9. კატეხიზი შემოკლებული ქმნული (2 v) პირველ ყოფილისა პროთო-იერეიდ ნიკოლაოზ მიხაილოვისაგან, რომელიცა იყო მოძღვარი ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებელისა, სწავლული ქართულსა ენასა ზედა საღმრთის-მეტყველოსა და საფილოსფო-სოხელის წელოვნებითა. ხოლო აწ არს იყი არხიმანდრიტი მრავალ-მთის ნათლისმცემლის გარესჯის უდაბნოსა და ;ეჭოდების არხი-მანდრიტობასა შინა სახელი ფეოდოსი.

10. კატეხიზმოს სასწავლო ყრმათა, ქმნილი პლატონ მოსკოვის მიტროპოლიტისაგან. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად და აღ-ბეჭდილი მღვდელმონაზონისა ტფილისელისა ალექსის შვილის ტა-რასისაგან, რომელიცა იყო მღვდელი მეფის ძის თეიმურაზის სახ-ლის ეკლესიისა.

11. აღმოსავლეთისა ბერძენთა როსიისა ეკლესიისა თანა დარ-თვთა გამონაწერისათა საზოგადოსაგან ეპისტოლისა წმიდისა ფო-ტი კონსტანტინუპოლემ პატრიარქისა აღმოსავლეთის საპატრი-არხოთა მიმართ საყდართა მიწერილისა, რუსულისაგან თარგმნუ-ლი უცხოსა მხარის კოლეგიისა მთარგმნელისა და კავშლერის ნი-კოლაოზ დავითის ძის ჩუბინვისაგან. (3 r).

12. გამოკრებული, რომელთამე საღმრთისმეტყველოთა თავ-თაგან ოთხისა ტომისა ღმრთის-მეტყველების წიგნთაგან! რომელი-ცა უქმნიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოსს ანტონი პირ-ველსა.

საღმრთონი წერილი საზოგადოთა აგან.
ლირსთა და ღმერთშემოსილთა წმიდათა მამათა

13.* ითიკა, წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ვასილი დიდისა კე-სარია კაბადუკიის არხიეპისკოპოსისა. მრავლითა სხვთა და სხვთა მოძღვრებითა და სწავლითა აღსავსე და სხვა და სხვა ფსალმუნ-

13* წიგნი ესე ითიკა მონი[ს]კრიპტი არს მშვენიერ ხელად(!) ხუცურად აღწერილი: არხიეპისკოპოსისა მშრომის მიერ კელოვანისა, რომელიცა იყო პირველად არხიეპისკოპოსი წილქნის ეპარქიისა და შემდგომად მიიღო სა[ა]რ-ხიეპისკოპოზო ეპარქია კახეთის გაღმა მხრისა სანეკრესლოსა.



თა განმარტებითა ზნეობითნი სწავლანი საღმრთოსა ჰსჯულისა და
სათნოებათა დიდისა ვასილის მიერ და გრიგორი ღმრთის შეუძლებელისა ნანზიანზელისა და გრიგორის მიერვე სიტყვა ნათლისღებისათვის თქმული და მისგანვე ცხოვრება და მოქალაქობა დიდისა ვასილისა. და დიდისა ვასილის მძისაგან წმიდისა გრიგორი ნოსელისაგან აღწერილი ცხოვრება ღირსისა ღმერთ-შემოსილისა მამისა გრიგორი ნეოკესარიელისა არხიეპისკოპოსისა საკვირველთ-მოქმედისა. და სხვანი მრავალნი წმიდათ მამათ მიერ სიტყვანი და განმარტებანი არიან წიგნსა ამას შინა. კვალად ამასვე შინა წიგნსა არს აღწერილი დიდის ვასილის მიერ მელქისედეკის გამოჩინებისათვს და თუ რაისათვს უმამოდ და უდედოდ იწოდა იგი. ესე წიგნი ს[ა]ითიკო არს თარგმნული ბერძულით ქართულსა ზედა ენისა წმიდისა მამისა ჩვენ ქართველთა მნათობისა ეფთვემის მიერ მთარგმნელისა ათონის ივერიის მონასტრის მამისა და არხიმანდრიტისა, რომელიც იყო ძევ ღირსისა მამისა მთარგმნელისა ივერიის მონასტრის წინამდღვრისა ითანესი. ესე წმიდანი მამანი იოანე და ეფთვიმი ქართველთა მთარგმნელნი იყვნეს ქრისტესითგან ასწლეულსა მეათესა შინა საუკუნესა.

14. წიგნი ექვსთა დღე, რომელ არს შესაქმის განმარტება წმიდისა დიდისა ვასილის მიერ. ხოლო შექმნისათვს კაცისა არს განმარტებული ბმისა მისისა წმიდისა გრიგორი ნოსელის მიერ. თარგმნილი ბერძნულით ქართულსა ენასა ზედა წმიდისა მამისა ჩვენისა საქართველოს მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაგან ათონის ივერიის მონასტრის არხიმანდრიტისა და მამისა მთარგმნელისა, რომელიცა იყო ქრისტესით დასასრულსა შინა მეათისავე ასწლეულისა საუკუნოსა.

15.* წიგნი კლემაქსი, რომელ არს კიბე სათნოებათა, ოცდა ათთა მათ რიცხუთა ხარისხთა სათნოებისათა იოანე სინელისაგან შემცულთა. თარგმნილი ბერძულიდეგან ქართულსა ზედა ენასა მისა ე წმიდისა ეჭითვმის მიერ მთარგმნელისა.

სტიხნი საღმრთოთა წერილთანი

16. სტიხნი საღმრთონი, წმიდათა მამათა მიერ ჩვენთაგან ქართველთა თქმულნი და ზოგნი ბერძულიდეგან სტიხთაგან ნათარგმნისტიხებადვე.

15* ესე არს მონისკრიპტი ნიკოლაოზ სიონის დეკანოზისა პროთოიერეის მიერ ფრიად მშვენიერს კელზე ხუცურად აღწერილი.

17. კლემაქსი, ოცდათი კიბე ხარისხთა სათნოებისათა, გა-
ლექსილი იამბად ითანე პეტრიშვილის მიერ ქართველთა ფილოსოფიული
ფოსისა, მის ღირსისა მამის მთარგმნელისა. ეს ლექსი არიან
ქმნილი ურიოფმოდ და ამას ლექსთა შინა არიან აკროსტიხურნი-
ცა ლექსი, დიახ მშვენიერად, ლაკონიკად არიან ესენი თქმული.

18. სტიხი გრიგორი ღმრთის-მეტყველისანი კონსტანტინუ-
პოლის პატრიარქისა ნანზიანზელისა. ას იამბიკოდ გალექსილნი და
თვთოეულსა იამბიკოსა ხუთხუთი ტრიქონი (!) ქვეს. ესე არს ქარ-
თულსა ზედა ენისა თარგმნილი წმიდისა მამისა ქართველთა მთარ-
გმნელისა პეტრეს მიერ, რომელ იყო ძეგ სრულიად საქართვე-
ლოვესა მეფისა ვარაზ-ბაჟურისა ხოსროიანისა. და იყო ესე დრო-
სა თეოდოსი მცირისა ბერძენთა იმპერატორისასა*. ესე სტიხი ი
გრიგორი ღმრთის-მეტყველისანი არიან სწავლანი წარმართთა მათ
მიმართ, რომელნიცა ვანაყენნა ქრისტიანენი ივლიანე განდგო-
მილმან, ზედა წარწერილი თვე მისივე გრიგორისა.

19. კვალად სტიხი გრიგორი ღმრთის-მეტყველისავე ნანძი-
ანძელისა, ვანუზომელთაგან სიტყვანი იამბიკოდ. და აგრეთვე
სტიხი ითანივე მონაზონისა. ძველად ბერძულიდამ ჩვენთა მთარ-
გმნელთაგან ნათარგმნი.

20. პროლოგია საწელიშვილო, ითანე ფილოსოფოსისა, თვთ
ბუნებით ქართველისა, პეტრიშვად ზელსახელდებულისა, ქართველ-
თა მთარგმნელისა მამისა. იამბი ლექსი ურიოფმონი. წმიდათა სა-
ყოველთაოთა თვითოეულთა დღეთა წლისათა, რომელთაცა წმი-
დათა ხესნება აღსრულების მათნი შესხმანი ღვაწლი და ცხოვ-
რებანი, დიახ მოკლედ, ლაკონიკურ გვარზედ, საკვირველის წე-
ლოვანებით მესტიხეობით თქმული. მაგრამ ითანე პეტრიშვ უწ-
ყია: 1. ს[ე]კდებრისა. 2. ოკდობრისა. 3. ნოებრისა. 4. დეკებრისა
და 5. იანვრისა. ამა ხუთთა თვეთა მას აღუშერია და სხვა კი და-
უგდია, ანუ დაშოომიეს, ანუ დაყარგული არს. მერმე შემდგომად
მისსა ყამთა რაოდენთამე გარდმოვლეს. უხილავს. ესე უწმიდესსა
კათოლიკოსსა სრულიად ყოვლისა საქართველოვანებასა, კაცა
ღმრთისასა და ყოვლისა სიბრძნითა აღსავსესა მწყემსმთავარსა და
პატრიარხსა ჩვენსა არსენის ბულმაისის ძესა და შეუძენიეს მას

18* წმიდა ესე პეტრე პირველად ცხოვრებდა სიწმიდით და ქალწულე-
ბით კონსტანტინუპოლეს და იმპერატორთა შეირ ფრიად პატიცეცულ იყო.
მერმე წარვიდა იერუსალემს, მუნ შემონაზნდა და მრავალი წელი უდაბნოთა
იყო დაყუდებით დიდია ლევაჭლსა შინა. მერმე იძულებითა მრავალითა ქმნეს იგი
ეპისკოპოს მოამისა და ესრეთ მოღვაწებით აღსრულა ცხოვრება თვეს.



ამა პროლოგისათვეს ოთხის თვესა, ესე იგი: 6. ფებერვალისაუკან
შარტისა, 8. აპრილისა და 9. მაისისა და მეტი არღარა აღწერის
მას და ანუ დაშოომიეს. მაგრამ საკირველად უცხოთ უთქვამს,
რომელ პეტრიწის იამბები მას ვერათი ჰქობს, ისევ პეტრიწის
გვარს იამბიკოთ არის თქმული. ხოლო საში თვესა იგი დაშოომი-
ლი უხილავს რა, სრულიად საქართველოსს კათოლიკოსა ანტონი
პირველსა, მას შეუსრულებიეს: 10. ივნისისა, 11. ივლისისა და
12. აგვისტოსი. ფრიად ამასცა მგზავსად მათსა და მშვენიერად
შეუთხზავს და სრულ უქმნიეს.

21. წამებანი და ღვაწლინი წმიდისა და ღვაწლისა მძლისა დი-
დისა მოწმისა დედოფლის ქეთევანისა, სრულიად ქართლისა და
კახეთისა სამეფოთა და სხვათა მეფისა თეიმურაზ პირველის დე-
დისა, აშოტან მუხრანის ბატონის ასულისა, რომელიცა ეწიმა ქრის-
ტეს სარწმუნოებისათვს, და სამეფოთათვს თვესთა სისხლი დას-
თხია. სპარსეთისა მპყრობელისა შააბაზ პირველისა მიერ ეწიმა ქა-
ლაქსა შინა შირაზისისა (შინაგანსა სპარსეთსა). წამებად მისი პირ-
ველ ყოველთასა აღწერილ არს ძისა მისისა მიერ მეფე თეიმურაზ
პირველისა შეერსიტყვაობით, ფრიად საქებელითა სტიხებითა, რო-
მელიცა არს ღიტონი ლექსნი, ადვილად სასმენელნი და ფრიად
მშვენიერნი.

22. სხვათა და სხვათა მიერ ავქსონთაგან თქმულნი ძველთა
და ახალთა მწერალთაგან. და ყოველნივე ესე არიან საღმრთონი.
კვალად ამავე წიგნსა წმიდისა ამფილოქეს იამბიკონი სელევკოსის
მიმართ.

23. სტიხი სრულიად იამბად და აკროსტიხურად თქმულნი.
რომელსა ეწოდების წყობილ-სიტყვაობა და ანტონის მიერ პირ-
ველისა სრულიად საქართველოს კათოლიკოსისა, რომელსა შინა-
ცა არიან სტიხი ღმრთისმეტყველურნი სამქებრონი ღმრთის მშო-
ბელისა ჯვარისა და წმიდათათვს, ეგრეთვე ქართველთა წმიდათა.
მეფეთა, დედოფლთა, მეფეთა-ფომილიათა და ღირს სახსოვართა
საქართველოსათა ყოველთავე ფრიად საქებელისა ლექსებითა
იამბად შესხმანი და ღირსნი ქებანი მათნი; შვენიერ სიტყვაობით
ერთგულთათვს მაჟულისათა აღმოჩენილნი.

24. წიგნი, რომელსა ეწოდების სარკე-თქმულთა. სრულიად
სტიხებად და ფრიად მშვენიერად თქმულნი სრულიად ქართლისა
და კახეთის სამეფოთა და სხვათა მეფისა თეიმურაზ მეორისა მი-
ერ, ირაკლის პირველისა ძისა. და ამა წიგნსა შინა არიან პირვე-
ლად ყოველთა, საუფლოთა დღესასწაულთა შესხმანი, მრავალთა



წმიდათა სამქებრონი ლექსი და საღმრთის მეტყველონი ოდანი სამართლის შენიშვნითა და სხვითა გვართა ლექსებითა (ესე იგი სტიჩებითა) და ანბანთ ქებაებითა. ამავე წიგნსა შინა არიან საქართველოს ერისა ზნეობანი, ყოველნივე სტიქებად თქმულნი და სალალობელნიცა და საერონი სტიქი ბევრი არიან.

25. გალობა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა მიმართ, ქართულის ლექსის რვულის გვარზედ თქმულნი, რომლისაც თვთოეული სტიქი ოთხოთხი ტაეპი არის და ყოველსავე თვთოეულსა მათგანსა აქვს რვა რვა რიფმა (ესრეთ არიან საშუალებით და ბოლოებით თანასწორის რითმებით გალექსილნი), კარგის წელვნებით არიან შეწყობილნი და სინანულის მუხლების გვარზედ ქმნილნი, რომელსა შინა შემოიტანებიან იგავნი ძველისა და ახლისა აღთქმისანი ადამისონგან უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს განხორციელებამდე, ვნებად, ჯვარცმად, დაფლვად, აღდგომად და ამაღლებადმდე. ლექსთა ამათ ეწოდებით სამოცეული (რომელნიცა არიან 63).

26. ორმეოცუათვს შეკითხვათა. მიგებანი სრულიად იამბად თქმულნი. კითხვანი არიან მღვდელ მონაზონისა იონა ხელაშვილისაგან ქართველისა ხიზიყველისა, ხოლო მიგებანი სრულიად საქართველოს მეფის გოორგის ძის თეიმურაზის მიერ (ვინახდგან მას ჰკითხავს იონა) და ესე კითხვა-მიგებანი არიან საღმრთოთა წერილთაგან აღმორჩეულნი ღმრთის—მეტყველურნი ფილოსოფოსურნი და ისტორიულნი და სხვათა და სხვათა საგანთათვს.

27. სძლის-პირი, ანუ სძილის-პირი, რომელ არიან ბერძულად ირმოსნი. ძველად წმიდათა ქართველთა მთარგმნელთა მამათაგან თარგმნულნი, ხუცურად დაწერილი მონისკრიპტი.

28. კვალად სხვადასხვანი წიგნი საღმრთოთა წერილთანი.

29. წიგნი მარგარიტი, რომელსა შინა არიან სწავლანი გამოკრებულნი ითანე ოქროპირისა სწავლათაგან. და სხვანი და სხვანი რამენი ცნობანი და მოთხრობანი წიგნსა ამას შინა. და ღირსისა მამისა და მთარგმნელისა ქართველისა ეფთვმი-გრძელის ძის მიერ ძლევად, სოსთენი სომეხთა მოძღვრისა ერთბუნებიანისა ჰერეტიკოსისა.

30. სწავლა ითანე ოქროპირისა, მოთმინებისათვს.

31. მცირე წიგნი, რომელსა ეწოდების სამასეული, რომელსაცა შინა არიან სამასნი ესე სწავლანი. 1. ასი სწავლა გრიგორი ღმრთის-მეტყველისა ნანზიანზელისა. 2. ასი სწავლა დიდისა ვასილისა. 3. ასი სწავლა მაქსიმე აღმსაარებელისა.



32. წიგნი, რომელსა ეწოდების კლიტე, სწავლანი იოანე^{მართლისა}
რობირისანი სათნობისათვს ეკვლესიასა შინა საქადაგე^{მართლისა}
სხვანი და სხვანი ბერძულისაგან ნათარგმნი.

33. კვალად სწავლანი იოანე ოქროპირისანი, სათნობათათვს,
რომელსა ეწოდების ოქროს წყარო, ბერძულისაგან ნათარგმნი.

34. სიტყვა, თქმული ამაღლებისათვს უფლისა, იოანე ოქრო-
პირისაგან თქმული, ბერძულისაგან ნათარგმნი.

35. მეორმოცდათისა ფსალმუნისა, ესე იგი მიწყალეს თარგ-
მანი, წმიდათა ღმერთ შემოსილთა მამათა ათანასი ალექსანდრიელი-
საგან, კირილე ალექსანდრიელისაგან პატრიარქთა და ევსუქი კონ-
სტანტინოპოლის პატრიარქისაგან, ბერძულისაგან თარგმნული.

36. კვალად წიგნი სხვათა და სხვათა სწავლათათვს და მოძღ-
ვრებათა და მეორედ მოსვლისათვს თქმულთა, იოანე ოქროპირისა.

37. წიგნი, რომელსა ეწოდების მანანა. შესხმანი რიცხვთ ორ-
მეოცენი ღმრთისმშობელისა, ჯვარისა და სხვათა წმიდათა, ქმნილი-
მღვდელმონაზონისა მრავალმთის ნათლისმცემლის უდაბნო გაბ-
რიელ მცირისაგან.

38. საგალობელი მრთელი კანონი, თქმული სრულიად ივერი-
ისა (ესე იგი სრულიად საქართველოსა) თვთმვერობელისა მეფი-
სა წმიდისა დავით მესამისა* აღმაშენებელისა დავითიან ბაგრატო-
ვანისა. ესე საგალობელი სინანულის მუხლებად არის თქმული
უცხოს თხზულებით. მეშვიდისა ხმისა სძლის-პირთა ზედა (ესე იგი
დაწყება: წამისყოფითა ღმერთო), რომლისა თვთოეულთა მუხლთა
აქვსთ ჩასართავად: მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

39. ამავე საგალობელსავე თანა არის შესხმა თვთ მეფისა და-
ვით აღმაშენებელისა, რომელიცა მიართვა მეფესა წმიდამან და
ჭილოსოფონმან მამამან არსენი იყალთოელმან მთარგმნელმან,
რომელიცა იყო მოძღვარი და აღმზრდელი და მასშავლებელი ამა-
წმიდისა მეფისა დავით მესამისა აღმაშენებელისა.

40. შვდეულია დღეთა ლოცვანი, თქმული სრულიად საქარ-
თველოს მეფისა თეიმურაზ მეორისა მიერ, დავითიან ბაგრატოვა-
ნისა, ფრიად მშვენიერისა თხზულებითა უფლისა მიმართ და
ღმრთის-მშობელისა სინანულისა ვედრებისა. თვთოეულთა დღე-
თათვს არიან ათვრამეტნი ლოცვანი. ხუცურად აღწერილი მონის-
კრიპტი.

* აღმაშენებელსა რუსნი სთარგმნის მისამართი.

41. შკდთა მომაკედინებელთა სულისა ვნებათათვს და შკდათათვა მაღლთა სულისათა წინააღმდეგთა მათ ვნებათასა. ხეთა სახელი ეს-რეთ გამოხატულნი, რომელ ძირი თვთოვეულთა მათ ხეთანი, ძირად ვნებათა მათ გამოხატულ არიან და რტონი ხეთა მათ, რტოებად ვნებათა მათ და რაოდენთაცა განიყოფიან იგინი და ვითარ რტოთა და ფურცელთა მათთა ზედა წარწერილ არიან. და პირის-პირ მათსა, ეგრეთვე ქეთილთა მათ ხეთა ძირი რტონი და ფოთოლნი, წინააღმდეგად თვთოვეულთა მათ ბორიტთა ვნებათა წარწერილ არიან. ეს არს ქმნული ნიკოლაოზ ტფილელ-მიტროპოლიტისაგან ოჩბელიანისა.

42. სიტყვა, თქმული საკვირველისა ენამზეობით წმიდისა ამ-ბროსი მედიოლენელ ეპისკოპოსისაგან, შემდგომად გარდაცალებისა მეორმეოცესა დღესა იმპერატორისა დღიდისა თეოდოსისა ბერძენთა და რომთა თვთმპყრობელისა, ქველადვე თარგმნული ჩვენთ წმიდათა მამათ ქართველთ მთარგმნელთა მიერ ბერძულით.

43. აღსარების წიგნი, ქმნული სრულიად საქართველოს ქათოლიკოსის ანტონი პირველისა მიერ.

44. ჰეშმარიტნი დამტკიცებანი ისტორიულნი ნანდვლ ყოფი-სა ქრისტესა ქვეყანასა ზედა, ქმნული ირინეოს პსკოვის არხი-ეპისკოპოსისა სინოდის ჩლენისა მიერ. ქართულსა ზედა თარგმნილი მუხრანცე კნიაზ ბაგრატიონისაგან გრიგორი იოანეს ძისა.

45. ღოღრაფია სამღვდელო, რომელნიცა, ღდგილნი სამრთოთა შინა წერილთა მოიხსენებიან. ღწერა მათი გეოგრაფიულად და ქარტითა თვისითურთ, თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ზედა ენასა ტარასის მიერ მღვდელმონხანისა ალექსიევისაგან, ტფილისის აზნაურთა გვარისაგანისა და მხედრულს ხელზედ სტარტ ბაში დაბეჭდული.

46. წიგნი მოთხობა ყოველთა მწვალებელთათვს სხვა და სხვა გვართა, რომელნი თუ რომელსა საუკუნესა შინა გამოჩენდეს და სადა ანუ რახ იყო წვალებანი თქმულნი მათ მიერ, თვთოვეულად მოკლედ ქრისტეს მოსვლისა პირველისა საუკუნითგან ვიდრე აქამდე, ქმნილი პლატონის მიერ ნემცეის მონასტრის სტუდენტისა, საქართველოს აზნაურთა გვარისა ეგნატი, მღვდლის ძის იოსელიანისაგან (ეგნატი მღვდელი იყო საქართველოს მეფის, გრიგორის სასახლის კარის მღვდელთა რიცხვესაგანი).

47. თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ეფთვმი მთარგმნელისა, წმიდისა იოანეს ძისა მთარგმნელისა ივერიის მონასტრის მამისა და არხიმანდრიტისა მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობის,



რაოდენთამე საკითხავთა წინადადებანი თეოდორეს მიერ განვითარებული სა ხუცისა საბაშმიდელისა, რომელთაცა თვთოთვთოდ ჰქითხავს თეოდორე და ეფთვიმი მიუგებს მას პასუხს.

48. ქადაგებანი საუფლოთა დღესასწაულთანი, ქმნულნი ვარ-ლამ მიტროპოლიტის მიერ, საქართველოს ექსარხოზისა, ქსნის ერისთვის დავითის ძისა. სიტყვანი ესე არიან განმარტებანი სახა-რებათა მათ. რომელნიცა წარიკითხებიან თვთოულთა მათ დღე-სასწაულისა დღეთა და კვალად სიტყვანი მათვე დღესასწაულთანი ხევანიცა დართულ არიან მათ ზედა. ესე ხუცურად სტამბაშიაცა არს აღბეჭდული შრომითავე მისითა.

49. სიტყვა, თქმული დაფლვასა ზედა ოდესის ქალაქსა შინა გრიგორი საუკუნისა ამის მღვდელმოწამისა წმიდისა კონსტანტი-ნუპოლელ პატრიარხისა. სიტყვად ესე თქმულ არს მისვე პატრიარ-ხისა გრიგორის იკონომისის მიერ, პროთოიერე კონსტანტინესა-გან საპატრიარხოსა დიდისა ეკკლესიის მქადაგებლისაგან. თარგ-ზნული რუსულისაგან მათის უგანათლებულესობის სრულიად სა-ჭიროველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან ქართულად.

50. სხულის კანონი წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა შეექვსისა კრებისათა და მასთანავე სჯულის-კანონი წმიდისა და ნე-ტარისა კონსტანტინუპოლელ პატრიარხისა იოანე მმარხველისა. თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად წმიდისა მამისა ჩვენისა უფთუიმე ქართველისა ათონელისა მთარგმნელისაგან. და სამცხისა, ესე ივი შესხთა ენისაზედ არს ნათარგმნი ონტოლრაფია და მარც-ვალწი ლექსთა სიტყვისათა ძველებურს ქართულს კანონზედა აქვს. მეფის ძემან თეიმურაზ გარდამოსწერა ძველისა მისგან წიგ-ზისა, რომელიცა არს ტეტრატსა (!) ზედა აღწერილი ხუცურად მგრგვლოვანისა ხელწერილითა. და ესე წიგნი სანკტპეტერბურგის აკადემია ნაუკისა არს. ხოლო რომელნიმე ფურცელი აკლდეს ამას წიგნსა და ივიცა მოიძია და პპოვა სხვისა შინა და შეასრულა მით.

წიგნი ურიათა მიმართ და მოჰმედიანთა

სიტყვის-საგებელი

51. ურიათა მიმართ სიტყვის საგებელი, სამოელ რაბბინისა ურიათა მოძღვრისა მიერ მარკანელისა. გულის ზრავითა მისითა, და ყოველთა წმიდათა წინასწარმეტყველთა მოსწავებითა და მტკი-ცება უფლისა ჩვენისა იესკ ქრისტესი, რომელ ივი იყო ჭეშმარიტი ღმერთი ე ღმრთისა მხსნელი ჩვენი, რომელიცა მოვიდა და არღა-რა ჯერ არს მოლოდება სხვისა. წიგნსა ამას ეწოდების ოქროს

ანაქვესი. ხოლო თარგმნულ არს რუსულისაგან ენისა ქართულისა ზედა ვარლაამის მიერ არხიერისა, ქსნის ერისთვის ძისა, (რომელიც მა შემდგომად იქმნა მიტროპოლიტ და ექზარქი საქართველოსა).

52. წიგნი, სიტყვის საგებელი მოპედიანთა მიმართ. 82-სა ფსალმუნისა განმარტება და ოღმოჩინება აგარიანთა და ისმაიტელთა ზედა, თუ ვინავთ იწყო სეკტი მოპედიანთა ანუ ვინ იყვნეს მახლობელნი და თანაშემწენი მოპედისნი. მოთხრობათა მათთა სრულიად დაწვრილებით დარღვევა და გამტყუნება ცუდმორწმუნებისა მათისა. წიგნი ესე არს ძევლადვე ქმნული იოსების მიერ ვისგანმე ქართველისა ხუცისა და მოძღვრისა, უამსა ლირს სახსოვარისა სრულიად ივერიისა ზემოხსა და ქვემოხსა საქართველოსა და აფხაზთა მეფისა თვითმშეყრობელისა ბაგრატ მეორისა, დავითიან ბაგრატოვანისა.

53. კვალად წიგნი მცირე, სიტყვის საგებელად მაპმალიანთა, სხვისა მიერ ავქსონისა ქმნული.

54. სიტყვის გება მოპედიანთა მიმართ სარკინოსთა, თეოდორიტე ალკურას მიერ ნეტარისა, რომელიცა იყო ეპისკოპოზი ასურეთის ხარანისა და ფილოსოფოს იყო იგი. ესე იქმნა აზოტეჭ შინა, რამეთუ სარკინოსთა მიერ უღონებად მიწევნულთა შოთ ქრისტიანეთა მიუწოდეს თეოდორიტეს, სადა იგი ვითარცა უკადნიერელმან იწყო სარკინოზმან კითხვად, ხოლო ყოველსა თვთოეულსა კითხვასა ზედა მიუგებდა თეოდორიტე და სძლევდა ფრიადისა გულისხმისყოფითა და მახვლონიერებით მეპასუხე.

55. სიტყვისგება მოპედიანთა მიმართ, ქმნული იაკოპ შემოქმედელისა მიერ, გურიის არხიეპისკოპოსისა, შაირსიტყვაობით (ესე იგი სტიქებად) თქმულნი, თხოვითა ქართლის მეფისა გორგი მეათორმეტისათა შავნავაზ, ბახუტას ძისათა.

წიგნი საეკლესიოთა ისტორიაზანი

56. სვნაქსარი საწელიწდო, რომელსა შინაცა ყოველთა თვთოეულთა თვეთა დღეთა შინა არიან მოხსენებანი წმიდათანი. ცხოვრებანი და ღვაწლნი მათნი და წამებანი და სატანჯველნი წმიდათა მოწამეთანი ყოველნივე მოხსენებულ არიან. თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად ჩვენთა ქართველთა წმიდათა მამათა მთარგმნელთაგან.

57. მამათ ცხოვრება და მოწამეთა ღვაწლნი, ერთს წიგნაზ აღწერილი. დაახ ძველი წიგნი, ჩვენ წმიდათ მამათ ქართველთაგან



ბერძულისაგან ქართულად თარგმნილი ქველადვე, რომელთან ერთად მიმდინარეობს:

ა. წმიდისა დიდისა მამისა სკოლა მესვეტისა ანტიოქელისა.

ბ. წმიდისა დიდისა მოწამისა მამასი ღვაწლი და წამებანი (ესე არს მამანტი, ქართულად მამუკად ისახელდების).

გ. წმიდისა მღვდელ-მოწამისა ანთიმოსი.

დ. წმიდისა და ნეტარისა დიდისა თეოდორა ალექსანდრიელის; ითანე პეტრიშვილის მიერ აღწერილი საკვირველის მშვენიერის ენამზეობითა.

ე. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა იაკობ სპარსისა.

ვ. წამება წმიდათ და დიდთა მოწამეთა: ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, ორესტი და მარდარისა.

ზ. სიტყვა, თქმული შობისათვს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესკ ქრისტესი, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ითანე დამასკელისა.

ტ. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩვენისა განშორებულისა პავლე თებელისა.

ყ. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ღირსისა ქსენოფონესი, მეუღლისა მისისა და შვლთა მისთა.

რ. წამება წმიდისა დიდისა მღვდელ-მოწამისა ხარლამპისი.

ია. ცხოვრება ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა ალექსი კაცისა ღმრთისა.

იბ. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მონაზონისა პალადისი, კაცისა მის ღმრთის-მოყვარისა.

იგ. ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა აბბა მარკოზისა განშორებულისა.

58. წიგნი წმიდისა და ნეტარისა ანდრია სალოსისა კონსტანტინუპოლელისა. საკვირველი ცხოვრებანი და ღვაწლი მისნი და მრავალნი რაიმენი თქმულნი მომავალთათვს უამთა.

59*. კვალად სხვა წიგნი წმიდათ მამათა და მოწამეთ ღვაწლი და ცხოვრებანი შემდგომნი ესე (მხედრულის წერილით):

[ქვე ა. გ. ვ]. უწყება წიგნითხველთათვს: ცხოვრებანი ალექსი კაცისა ღმრთისა, ქსენეფორესი და მარკოზ განშორებულისა აქა მოხსენებულთა ორსა-შე მამათცხოვრებაში სწერიან [58 თ, ია, იგ]. შაგრამ თხზულებითა სიტყვითა-ჭა განპყოფილ არიან და არა ისტორიითა. ამისთვის არა დაუტევე მე აქა ჩაუწერელად.

ა.* ცხოვრება წმიდისა აღექსი კაცისა ღმრთისა.

ბ. ცხოვრება იოანე ნეფსით გლახავ ქმნილისა სათნოებისა მო-
საგებელად.

გ.* ცხოვრება ლირსისა ქსენეფორესი.

დ. ცხოვრება წმიდისა ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა
ონოფრე განშორებულისა.

ე.* ცხოვრება წმიდისა მარკოზ განშორებულისა.

ვ. ცხოვრება კანონიერ ქალწულისა.

ზ. ცხოვრება ნისიმე ქალწულისა.

ჟ. ცხოვრება სულიერი სათნოებათა დაფარვისათვეს.

თ. ცხოვრება სულიერი წმიდისა ლირსისა მეუღლებნისა დი-
დისა სისოსთვეს.

ი. ცხოვრება სულიერი დიდისა მეფისა კონსტანტინესთვეს.

ია. ცხოვრება წმიდისა ლირსისა დედისა მაკრინასი, დისა წმი-
დათა დიდისა ვასილისი.

იბ. მასვე წიგნსა შინა წერილ არს ღმრთის-მშობლის მიცვალე-
ბის მეტაფრასი, აღწერილი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა დიდი-
სა ვასილისა, ძველათვე ნათარგმნი ბერძულისაგან ჩვენ ქართველთ
წმიდათ მთარგმნელთ მამათაგან.

იგ. წამება წმიდათა ქალწულ მოწამეთა და ლირსთა მოწამეთა
და მოწესეთა რიჭსიმასი, გაიანასი და მოყვასთა მათთა, რომელნი-
ცა იყვნეს რომაელნი და დიდებულთა და წარჩინებულთა ასულნი
და მუნით ლტოლვილნი მოიწივნეს სომხეთად, უამსა დეოკლიტია-
ნეს დევნულებისასა და ქრისტეს სარწმუნოებისათვეს ეწამნეს
თრზატის მიერ სომეხთა მეფისა, ქალაქსა სომეხთასა ვალარ-შა-
პეტს. ესე ცხოვრებად და წამებანი აღწერილ არიან ძველადვე ჩვენ
წმიდათ ქართველთ მამათაგან.

60. კვალად. სიტყვანი წმიდათა მამათა მიერ, თქმულნი დღე-
სასწაულთა და წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათა ღვაწლნი, ქადა-
გებანი და წამებანი და წმიდათა მოწამეთა სატანჯველნი და შეს-
მანი საქებელნი მოთმინებისა მათისა:

ა. ცხოველსყოფელისა ჯვარისა ამაღლებისათვეს, სიტყვა.
თქმული დიდისა მიერ ვასილისა.

ბ. წმიდისა და მოციქულთა მოსაყდრისა კლემენტოს რომთა-
პაპისა და მღვდელმოწამისა ცხოვრება. მოქცევა, ღვაწლნი და ქა-
დაგებანი, და ამასვე შინა მოხსენებულ არიან ქადაგებანი, მიმოს-
ვლანი მრავალთა ადგილთა და სასწაულნი პეტრე მოციქულთა თა-
ვისანი. ესე უკუც მოთხრობა მიწერილ არს წმიდისა კლემენტო-

სის მიერ წმიდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მოცეკვეულისა იაკობ იერუსალიმისა პირველისა მღვდელ მთავრისა ძმისა უფლისა მიმართ.

გ. ამასვე წიგნსა შინა არს წამება წმიდისა ამის კლემენტოს რომთა-პაპისა, რომელიცა აღწერილ არს მოწაფისა მისისა ფიბეონის მიერ.

დ. წამება წმიდათა დიდთა მოწამეთა: ევსტატი პლაკიდასი და სახლეულთა მისთა, რომელიც იყო დიდი მხედართ მძღვანი ტრაიანე რომის კეისრისა და იწამნეს აღრიანე კეისრისა მიერ.

ე. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა დიმიტრი ახესალონიკელისა, რომელიცა ეწამა მაქსიმიანეს მიერ უღმრთოსა და სასწაულნი მისნი და შესხმანი წმიდისა გრიგორი ღმრთის-მეტყველისა ნანძიანდელისაგან (კონსტანტინუპოლელ პატრიარქისა, ოდეს იგი მოვიზა თესალონიკედ. კვალად შესხმა ვასილის მიერ ფილიპეს მთავარეპისკოპოსისა) თქმულნი და კვალად შესხმავე მისი ლეონ ბრძნისა ბერძნთა იმპერატორისაგან თქმულნი. ესენი სრულიად ბერძულიდამ თარგმნულ არს ქართულად წმიდისა და ლირსისა მამისა ჩვენისა მთარგმნელისა ეფთვმეს მიერ საქართველოს მნათობისა.

ვ. ცხოვრება და მოქალაქობა, აღსარება და ღვაწლნი წამებისანი, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა მღვდელ-მოწამისა სტეფანე ახლისანი.

ზ. წამება წმიდისა დიდებულისა მღვდელ-მოწამისა კლიმიანკვრიელ ეპისკოპოსისა და წმიდისა აღათა ანგელოსისა საკვირველნი ღვაწლნი და მრავალწელ წამებანი მათნი.

ყ. საკითხავი* ანუ სიტყვა იოანე ნათლისმცემლის შობისა, თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა.

თ. წამება წმიდისა დიდისა ქალწულ-მოწამისა ქრისტინასი.

ჩვენ ქართველთა საზოგადოდ ეკლესიური რიცხოვიანი

61. ქადაგება და მოქცევა სრულიად საქართველოსა წმიდისა ზედისა და მოციქულთა-სწორისა ქალწულისა ნინას მიერ ქართველთა განმანათლებელისა, რომელიცა მოიწია საქართველოსა შინა ქადაგებისათვეს ქრისტესა დასასრულსა შინა ქრისტესით ასწლეულისა მესამისა საუკუნოსა, უამსა ვპყრობელობისა სრულიად ივერიისა ზემოხსა და ქვემოხსა საქართველოსა მეფისა მირიან-

* საკითხავი—რესულად ყითანე.



პირველისასა ხოსროვანისა, უამსა ბერძენთა და რომთა მცყრობა შეადგინება კონსტანტინე დიდისა, მოქმედი საქართველოდ ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. და მეფე მირიან და მეუღლე მისი დედოფალი ნანა და ყოველი სახლეულებანი სახლის მათისანი და დიდებულნი კარისა მათისა დიდი და მცირენი და ყოველი ერი მეოთხისა საუკუნისა დასაბამსა შინა, რაოდენისამე წლითა უწინარეს პირველისა მსოფლიოსა ნიკის კრებისა. ხოლო აღმშერა ცხოვრება და ქადაგებანი წმიდისა ნინასნი და მოქცევა სრულიად საქართველოსა თანამედროვეთაგანვე მის წმიდისათა მეფის მირიანის პირმშობის რევის მეუღლის სალომეს მიერ უჯარმო ქალაქის დედოფლისა** და აბიათარ მღვდელისა მიერ, რომელიცა იყო პირველად მღვდელ-მოძღვარი მცხეთელთა ურიათა. ხოლო შემდგომად მოქმედი იგი წმიდის ნინას მიერ და იქმნა დიდი მორწმუნე ქრისტესი და უწინდეს მას პავლე ახალი, ვინახდგან ურიანიცა მუნ მოსახლენი და წარმართნიც მრავალნი მოაქცივნნა სარწმუნოებას ზედა ქრისტესსა. და მან კვალად აღსწერნა კვართისათვს საღმრთოსა უფლისა ჩვენისა, თუ ვითარისა სახითა მოტანილ იქმნა იგი და ვის მეტ, უამსა ქრისტეს გვარცმისასა საქართველოდ, მუნ მცხეთისა სამეფოსა ქალაქსა. და რომელნიმე მოთხოვნათა მათგანნი აღწერილ არიან სიღონიას მიერ ასულისა აბიათარ მღვდლისა, რომელიცა პირველვე დაემოწაფა წმიდასა ნინასა სხვათა ქალწულთა თანა პირველვე მოქცევისა საქართველოსა. და ყოველნივე სასწაული, რომელნიც იქმნეს კვართისა მიერ საღმრთოსა და თუ ვითარ საფუძველი დაიდვა პირველისა ეკლესიისა დიდის კონსტანტინეს მიერ წარმოვლენილისა ევსტატი ანტიოსის პატრიარქისა მიერ (ვინახდგან, ოდეს მოიქცნენ, მირიან მეფემან სთხოვა სამღვდელონი ნათლისლებისათვის და სხვათა საეკლესიოთა საჭიროებისათვს დიდს კონსტანტინეს) ყოველნივე შემთხვეულებანი გაშინდელნი და მრავალნი სასწაული წმიდას ნინას მიერ აღსრულებულნი ყოველნივე წვლილიად აღწერილ არიან.

** სალომე დედოფალი, ოდიდგან მოაქცია წმინდამან ნინა, მარადის იმ-ყოფებოდა მის თანა, ვიდრემდის აღესრულებოდა წმიდა ნინო. და ოდეს მახლობელ იყო ემი აღსრულებისა მისისა, მაშინ უბრძანა წმიდამან ნინა დედოფალსა სალომეს, რათა აღსწეროს ცხოვრებაცა მისი და ქადაგბაცა. და იწყო თვე წმიდამან მოთხოვნად დასაწყისითვან ცხოვრებისა მისისა, ვიდრე უკანასკნელადმდე მის უამისა. ხოლო დედოფალი სალომე ცეკვრდა ქართულად ყოველსავე და წმიდამანცა მან უწყოდა ენად ქართული. და ესრეთ სრულჰყო ყოველივე.



62. კვალად სხვა წიგნად მოითხობა. იუწერილი აბრამაშვილი შლვდელისა მიერ, კვართისათვის ქრისტესისა და თუ ვითარისა სახითა იპოვა იგი განგებულებითა საღმრთოთა, სადაცა დაფლულიყო იგი აღმოსლვითა მას ზედა კვპაროზისა ხისათა, რომელ არს სვეტი ცხოველს მყოფელი. და თუ ვითარ, ლოცვითა წმიდისა ნინასითა, აღიმართა ხელითა ანგელოზისა ღმრთისათა სვეტი - იგი, რომელიცა ქმნილიყო კვპაროზისა მისგან აღმოსრულისა კვართსა მას ზედა, რომელიცა ჰყვეს პირველისა საქართველოს კათოლიკისა ეკკლესიისა სვეტად. და რაოდენნი სასწაული აღსრულნეს სვეტისა მისგან ღმრთივ ბრწყინვალისა და კვართისა მიერ საუფლოსა და ხელითა წმიდისა ნინასითა და თუ ვითარ აღმოეცენა მირონი ადგილისა მისგან, სადა იგი დამარტული იყო კვართი იგი ქრისტესი, რომელსა ზედაცა სვეტიცა იგი აღიმართა და ჰყოფდა ურიცხვთა სასწაულთა.

63. წიგნი ქართველთა წმიდათა ცხოვრება და ღვაწლი მოწამეთა, ძველადვე შეკრებული და აღწერილი ღიძისა არსენი სრულიად ყოვლისა საქართველოს კათოლიკის პატრიარქისა მიერ, რომელიც იყო ღიძის და მეცნიერ და სწავლითა აღსავსე. ესე წიგნი, რომელიცა რიცხვთა შინა ამა წიგნთასა არს, დია ძველი წიგნი არის. და წიგნი ესე შეიცავს შემდგომთა ამათ მოთხრობათა თვეს შორის:

ა. მოთხრობა ვრცელად წმიდისა მოციქულისა ნინასთვეს და მოქცევისათვეს საქართველოსა. ღვაწლი. სასწაული და ქადაგებანი მისნი და ევსტატი ანტიოქიის პატრიარქისა მისლვისათვეს თხოვთა მირიან მეფისათა. რომელიც წარმოავლინა ღიძმან კონსტანტინე და ნათელსცა მან მეფესა და ერთა სრულიად საქართველოსა, თანაშემწეობითა წმიდისა ნინასითა. და დაუდგინა მღვდელმთავრი იოანე, უკურთხა ღედა კათოლიკე ეკკლესია მცხეთისა, სადაცა აღემართა სვეტი ცხოვრების მომნიჭებელი კვართსა ზედა უფლისა ჩენისათა. ხელითა ანგელოზისათა უკურთხნა სამღვდელონი და თვე მიიქცა საბერძნეთად. ესე ყოველი სრულიად აღწერილ არიან მოთხრობასა მას შინა.

ბ. მასვე მოთხრობასა შინა ვრცელად არს მოთხრობა კვართისაუფლისა გამოჩინებისა და სვეტისა ცხოველისა ცხოველ-შეყვანისა და საკვირველნი მათ მიერ ქმნილი. ამასვე მოთხრობისა ბოლოს შემოკლებულად არს მოთხრობა ეკკლესიათვეს საქართველოსა და მეფეთათვეს.

გ. წმიდისა ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენის მთავრობა იყო ეს ითორმეტთა მამათაგანი თავი და წინამძღვარი მათი, ომელნიცა შუა-მდინარით ასურეთისათ მოიწინეს საღმრთოთა განვებულებითა ქვეყანასა საქართველოსასა, განიყვნეს და დაუმკვიდრნეს სხვათა და სხვათა ადგილთა მონასტერთა და უდაბნოთა. თუმცა მრავლის ფამითგან მოქცეულ იყო საქართველოს და განმტკიცებულ ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა, მაგრამ ამათ უმეტესად განამტკიცეს და არა უტევეს, რათამცა შემოვიდა წვალება ნესტორისა საქართველოსა შინა, გინა სხვათა მწვალებელთა, ვინათგან მაშინ ნესტორიანთა წვალება მაშინ გამრავლებულ იყო ასურასტანსა შინა და სომეხნიცა აღრეულ იყვნეს სხვათა და სხვათა მწვალებელთათა. რომელთანე ამა წმიდათა მამათა, ასურეთით მოსრულთა, ჰგადაგეს მთათა შინა კავკასიისათა და რომელნიცა დაშოთომილ იყვნეს აღრიდგანვე ბოუქცეველად, მრავალნი მათგანნი მოაქცივნეს და განამტკიცეს ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. მრავალნი სასწაულნი აღსრულნეს და აწყა იხილვებიან სასწაულნი სამარხოთა მათთაგან. ხოლო წმიდანი ეს მამანი მოვიდეს საქართველოსა შინა ქრისტეს მოსლვითან მეექვსესა ასწლეულსა საუკუნესა შინა, წელსა ქრისტესით 553.

დ. წმიდისა და საკვრველთ-მოქმედისა სრულიად საქართველოს სასოხსა, ღმერთ შემოსილსა მამისა ამა წმიდათა ათორმეტთაგანისა, დავით გარესჯელისა ვრცლად ცხოვრება.

ე. წმიდისა და საკვირველთ-მოქმედისა შიო მღვიმელისა, მათვე ათორმეტთა ასურეთით მოსრულთა მამათაგანისა, საკვრველისა მის მოღვაწისა.

ვ. წამებანი და ღვაწლი წმიდათა ღიდთა მთავართა არგვეთისათა, რომელ არს ქვემოსა შინა საქართველოსა, ეს იგი იმერეთს, ჭავით და კონსტანტინესნი, რომელნი იყვნეს ძმანი ურთიერთისა და ეწამნეს აგარიანთაგან, ქრისტესით მეშვდესა შინა საუკუნესა. ხოლო გვამნი მათნი სხენან ერთსა შინა ლუსეუმასა, ვითარცა უქრწნელისა ხორცითა, მახლობელ არს არგვეთისა ადგილი იგი გელათისა მონასტრისა ახლოს. ხოლო ადგილი იგი იწოდების სახელითა წმიდათა მათ, რომელსაცა სახელ სდებენ მოწამეთა. არს ეკლესია მომცრო და მას შინა ასვენიან წმიდანი იგი ნაწილნი მათნი.

ზ. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთი შემოსილისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა საკვირველთ მოქმედისა. რომელიცა იყო კახეთისა თავადთაგანთა ძე. ხოლო მონაზონი ჭავით გარესჯის მონასტრისა და სხვათაცა უდაბნოთა შინა საქართ-



ველოვანათა, იღვაწა მრავალი და მრავალუამ დავით გარესჯის კანკალების შემთხვევაში ნოსა იყო დაყუდებით და სთარგმნიდა მრავალთა წიგნთა ბერძულით ქართულსა ზედა ენასა, ვინავდგან სულისა წმიდისა მადლითა განბრძნობილიყო და იცოდა ბერძული ელინური ზედმიწევნით. ხოლო მეფეთა მის უამისათა სურდათ და ერთა საქართველოვანათა, რათამცა ჰყვეს იგი კათოლიკოსად ყოვლისა ივერიისა ამად. იგი, სურვილითა დაყუდებისათა და მოცალებისათვის თარგმანთა, ივლტოდა საქართველოვანთა იღუმალ და წარვიდა უცხოებად საბერძნეთს და მუნით მიიწია იერუსალემად და დაპყო მუნ დაყუდებით რაოდენიმე უამი. მერმე წარვიდა რომედ, მოილოცნა ყოველსა ადგილსა წმიდანი ადგილი და მოიქცა თესალონიკედ და ყოველსა ადგილსა აღასრულებდა საკვირველებათა მრავალთა. ესე იყო ბასილი მაკედონიელისა უამსა ბერძენთა იმპერატორისათა. ხოლო აღესრულა რად ესე წმიდაი და სცნა რა ესე ვასილ კეიისარმან მაკედონიელმან, გვაში წმიდისა მის დიდისა პატივითა აღმოყენნა კონსტანტინუპოლეს და უქმნა მას ეკკლესიად მახლობელ ზემო კერძო სოსთენისა რომანად სახელდებული და მუნ დასხნა მრავლისა ლიტანიაობითა წმიდანი ნაწილნი მისნი. და მრავალი კურნებანი და საკვირველებანი აღესრულნეს მის მიერ. ხოლო ცხოვრება მისი აღიწერა ბასილის ვისმე მიერ, მონაზონისა ბერძენთასა, ბრძანებითა ვასილი მაკედონიელისა ბერძენთა იმპერატორისათა, ვინავდგან ვასილი იგი მონაზონი იცნობდა სიცოცხლესავე შინა მისსა წმიდასა ილარიონ ქართველსა და უწყოდა ყოველი საქმენი სათნოებისა მისისანი. ხოლო ბერძულისაგან გარდამოითარგმნა ქართულად ლირსისა თეოფილე მთარგმნელისა მიერ ქართველისა.

64. კვალად სხვად წიგნი საკუთარი, რომელსა შინაცა არიან, ცხოვრებანი ესე წმიდათ ქართველთანი:

ა. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელიცა იყო ძე სრულიად ივერთა, ესე იგი სრულიად საქართველოვანს მეფისა მპყრობელისა ვარაზბაკურისა, უამსა ბერძენთა ზედა მპყრობელობისა იმპერატორისა შცირისა თეოდოსისა. პირველად წმიდასა ამას ეწოდებოდა მირვან. მივიდა ნეფსით თვესით წინაშე იმპერატორისა თეოდოსი მცირისა, რომელი ვითარცა ძესა თვესა ეგრეთ პატივსა უყოფდა, ამად იგი ზეციერისა დიდებისა სურგილითა განეშორა სოფლით და მივიდა იერუსალიმს და მრავალი წელი დაყუდებით იყოფვოდა იოანეთურთ მეგობრით თვესით, რომელ იგიცა იყო წმიდა. ხოლო წმიდა პეტრე, შემდგომად მრავალთა წელთა, ჰყვეს იგი იძუ-

ლეგიტ მრავლითა ეპისკოპოსად მოამმახსა და მრავალნი სასწავლისა ულნი და საკურველებანი აღასრულნა ცოცხალმანცა და შემდგო-
მადცა აღასრულებისა მისისა.

ბ. წამება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა დიდისა
მღვდელმოწამისა ათორშეტთა მამათაგანისა და მღვდელმთავრი-
სა აბიბოსი კახეთის ნეკრესის ქალაქისა ეპისკოპოსისა, რომელიცა
ჰქადაგებდა მთათა შინა კავკასიათა და მრავალნი მოაქცინნა, რო-
მელნიცა იყვნეს დაშომილნი კერპთმსახურებისა შინა და შემდ-
გომად ეწამა იგი ცეცხლის მსახურთა მიერ სპარსთა.

გ. ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ღმერთშემოსი-
ლისა მამისა ჩვენისა ისე წილქნელ ეპისკოპოსისა საკურველთ-
მოქმედისა. ესეცა ჰქადაგებდა მთათა შინა კავკასიათა და მრა-
ვალნი კერპთმსახურებისაგან მოაქცივნა. ესეცა იყო ერთი მათ
ათორშეტთა მამათაგანი ასურეთით მოსრულთა და მრავალნი სას-
წაულნი აღასრულა.

დ. ცხოვრება წმიდისა ღმერთშემოსილსა მამისა ჩვენისა
ისე აბბა აღავერდელისა, მათვე ათორმეტთაგანისა საკურველ-
თმოქმედისა.

ე. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთ-შემოსილი-
სა მამისა ჩვენისა ანტონი მარტომყოფელისა, მათვე ათორმეტ-
თაგანისა საკურველთმოქმედისა.

ვ. მარტვილობა და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა ევს-
ტატი მცხეთელისა, რომელიცა ეწამა მცხეთას ცეცხლის-მსახურთა
სპარსთა მიერ.

ზ. წამება და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა,
რომელიცა ეწამა სპარსთა მიერ ქართლსა სოფელსა წრომს, უაშსა
დიდისა მეფისა სრულიად ივერიისა, ესე იგი ყოვლისა საქართვე-
ლომასა მპყრობელისა, რომელიცა არს ერთი ღირს სახსოვართა
მეფეთაგანი ვახტანგ გორგასლან, ხოსროვანისა. მრავლითა სა-
ტანცველებითა განიცადა იგი და ესრეთ ჯვარს ეცვა და მრავალნი
სასწაულნი იქმნეს წამებისა მისისა უაშსა. და წმიდანი ნაწილნი
მისი დასდგა დიდმან მეფემან ვახტანგ გორგასლან ქართლის ეკ-
კლესისა შინა, საეპისკოპოსოსა ნიქოზისასა, წინაშე წმიდისა
ტრაპეციისასა (!).

ყ. წამება წმიდისა დიდისა დიდებულისა მეფისა არჩილ მეო-
რისა ხოსროვანისა და დიდისა მოწამისა სრულიად ივერიის მპყრო-
ბელისა მეფისა, რომელი იწამა ქვემოსა შინა საქართველოსა, ად-
გილსა შინა აფხაზეთისასა. ხოლო წმიდან გუაში მისი მოტანილ

იქმნა დიდისა ლიტანიობითა და დაიდვა კახეთს, ადგილსა სამართლებული
 რას.

თ. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლის სოსანნასო (რომელსა შუშანნიკეს უწოდვენ ქართველი), ასულისა საქართველოს მეფეთა. ხოლო მეუღლე მთავრისა სომეხთასა, რომელიცა დადგენილ იყო სპარსთაგან მთავრად რანისა, რომელსა ეწოდა ვასქენ. ხოლო ივი მიქცეულ იყო სჯულსა სპარსთასა კერპთ-მსახურებასა ზედა და ცეცხლის მსახურებასა მათსა. და ენება ცოლისაცა თვესისა, დედოფლის შუშანნიკისა სჯულსა მათსა ზედა მიქცევად. ხოლო მან არა ინება და ამისთვის შეიძყრა იგი ქმარმან მისმან, მისცა საპყრობილებასა და სტანჯა მრავალთა სატანჯველებითა. ხოლო წმიდამან შუშანნიკ ყოველი შეურაცხება ქრისტეს სიყვარულისათვის დაითმინა და სიკვდილი. და ვითარცა ესმა ესე მეფესა სრულიად საქართველოსასა კეთილმსახურსა ბაჟურს (!), შეისვე შეიკრიბნა მხედრობანი, მივიღა ბარდას და შეიძყრა ვასქენ და დასახა სიკვდილითა. და წმიდა გუამი მისი, დიდისა პატივითა და ურიცხვითა სამლელოებითა დიდისა ლიტანიობითა, მოასვენნა ცორტნაეს და მუნ დასდვა და შემდგომთა მისთა მეფეთა საქართველოსათა მოასვენეს ტფილისა და დაასვენეს დიდისა ეკკლესიასა შინა დიდისა ღმრთისასა მეტებს, რომელიც აქვნდათ მეფეთა კარის ეკკლესიად თვესად და აწუა მდებარე არს მუნ და ესვენ ყოველნი ერნი საქართველოსანი და მოილებენ სნეულნი კურნებასა.

ი. წამება წმიდისა და დიდისა მოწამისა კონსტანტინე ქართველისა, რომელიცა იყო კახეთით, ერთ მთავართაგანი მის ადგილისა.

ია. წამება წმიდისა და დიდისა მოწამისა გობრონისა, რომელსა ეწოდების მიხაილ და მოყვასთა მისთა ქართველთა, რომელიცა ეწამნეს ქართლს, ადგილსა სამცხისასა, ყველის ციხეს, სპარსთა მიერ.

იბ. კვალად წამება წმიდისა და ღვაწლისა მძლისა დედოფლის ქეთევანისა, დედისა სრულიად ქართლისა და კახეთის მეფისა თეიმურაზ პირველისა. აღწერილი თანამედროვეისა მისისა, გორგას მიერ ხუცესმონაზონისა, დოდოს უდაბნოს იერომონაზისა.

იგ. წამება წმიდისა და დიდებულისა ქართლისა სამეფოსა მეფისა ლუარსაბ მეორისა, რომელიცა ეწამა შააბაზ პირველისა მიერ სპარსთა შახესა.

იდ. წამება წმიდათა მოწამეთა და ჩინებულთა თავადთა სა-

ქართველობისათვის ბიძინა კახელისა ჩოლაყაშვილისა, შალვა ქსნიშვილისა ერისთვისა და ელისბარ მმისა მისისა, ომელინიცა ეჭამნეს სპარს-თა მეფისა უაბაზ მეორისა მიერ.

65. კვალად ერთს საკუთარს შიგნად მოთხრობა გამოჩინები-სათვს ქრისტეს კვართისა და სვეტისა ცხოველისა ცხოველსმყოფ-ლისა. და ქადაგება და მოქცევა წმიდისა მოციქულთა სწორისა ნი-ნას მიერ საქართველომასა. ტველადვე ჩვენთა წმიდათ მამათა ქარ-თველთაგან აღწერილი.

66. კვალად სხვას ერთ წიგნად აღწერილი საკუთრად, რო-მელსა შინაცა შეიცვან ესენი:

ა. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩვენისა ქართ-ველთა მნათობისა და ოკთ ქართველისა ეფთვმი მთარგმნელისა, წმიდისა და ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე მთარგმნელის ძისა, აღმაშენებელისა ათონის მთისა წმიდისა ქართველთ მონას-ტრისა (რომელ არს ივერიის მონასტერი) მამისა და არხიმანდრი-ტისა, რომლისაცა ხორციელად ძე იყო ეფთვმი და ესეცა იყო არხიმანდრიტი და მამა ივერიის მონასტრისა, რომელმანცა მრა-ვალნი ღვაწლი დასტვა ქართულად თარგმანებითა ზედა საღმრ-თოთა წერილთასა ბერძულით. ცხოვრება ესე მისი აღწერილ არს წმიდისა და ღირსისა მამისა ჩვენისა ქართველთა მთარგმნელისა და დიდისა მნათობისა გიორგი ქართველისა, წმიდისა ათონის ივე-რიის მონასტრის მამისა და არხიმანდრიტისაგან.

ბ. ცხოვრება წმიდისა და ღირსისა საქართველოს მნათობისა და მთარგმნელისა გიორგი მთისა წმიდისა (ესე იგი ათონის) ივე-რიის მონასტრის მამისა და არხიმანდრიტისა, მიწერილი მოწაფისა მისისა მიერ ივერიის მონასტრითვან ათონის მთისა ანტიოქიად მთასა საკვრველისა წმიდისა სკმეონისა, სხვა გიორგის მიმართ შეყენებულის, რომელიცა იყო წმიდა და ღირსი მამა იგიცა ქარ-თველი და გიორგი ათონელისა ყოფილიყო იგი მოძღვარი. ოდესა აღესრულა წმიდა გიორგი მთისა წმიდისა ათონისა, სთხოვა მოწა-ფესა მისისა გიორგი შეყენებულმან და მან აღუწერა ვრცლად და წარუგზავნა ანტიოქიას, კინახდგან ჟამსა მას ქართველთა აქვნდათ მუნცა ჩინებული მონასტერი და მუნ სთარგმნიდეს ასურულისა ენით წიგნთა ქართულსა ზედა ენასა. (გიორგი მთაწმიდელის ცხოვ-რება, რომელმაც აღწერა არ არის საკუთრად მისი სახელი მოხ-სენებული მოთხრობასა მას შინა, მხოლოდ ესე, რომელ მე მოწა-ფემან მისმან აღვსწერო, კინახდგან პირველითვანცვე სუკანასკნე-ლადმდე ვიყავო განუშორებლად მას თანა).



67. წიგნი მცირე მოთხოვბა, თუ ვითარ, რომელსა უაშენებელია რომელისა მიზეზითა ძველთა შინა საუკუნეთა აღმაშენების ჩვენთა წმიდათა ქართველთა მამათა და მთარგმნელთა, მონასტერი ივერიისა მთასა წმიდისა ათონისასა და სახელსდევეს ივერიის მონასტრად, რომელიცა მოდღენიდელად დღედმდე პერიოდში და არს იგი დიდი ლავრა. თუ რომელთა მიერ ბერძენთა იმპერატორთაგან ანუ რომელთა საქართველოს მეფეთა მიერ მიიღეს შეწევნა და რომელსა შინა იყო საუკუნესა. და ვითარ პირველად მას შინა ყოველნივე ძმანი, რომელიცა მკვიდრ იყვნეს ყოველნივე ქართველნი. გამოკრებილ არს მოთხოვბად ესე ჩვენთა ქართულთა მატიანეთაგან და ბერძულისა სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის თემურაზის მიერ.

კვალად წიგნი საღმრთოთა წერილთანი

68. ილია მინიატის ქადაგება სარწმუნოებისათვს, თარგმნილი რუსულისაგან.

69. ანტონი პირველისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოსისა, ქადაგება მირქმის დღესასწაულისა.

70. მამოვა (!) ჩვენის თარგმანი იოანეს მიერ ოსეს შვილისა, სიონის სობოროს პროთოიერეისა (ტფილისისა), კაცისა სწავლულისა.

71. კვალად წმიდის ქეთევან დელოფლის წამება, შვენიერ სიტყვაობით ქმნილი კათოლიკოსის ანტონი პირველისა მიერ.

72. კვალად წმიდის ლუარსაბ მეფის წამება, შვენიერ სიტყვაობით აღწერილი მის მიერვე.

73. მოსახსენებელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა თომასნი. ქადაგებანი მისნი ინდოთა შორის. ღვაწლი და წამება ძველადვე ბერძულიდამ ნათარგმნი ჩვენთა წმიდათა მამათაგან.

74. წირვაზედ სათქმელი ლოცვაები ერისკაცთაგან, რუსულიდამ ნათარგმნი ალექსანდრეს მიერ ბაქარის ძისა, ვახტანგ მეფის შვილის შვილისა.

75. ოდა დერჟავინისა, რუსულიდამ თარგმნილი მათის უგანათლებულესობის მეფის ირაკლის ძისა სენატორისა და კავალერის მიერ მირიანისა. ქართულად გალექსილი იამბად დიახ მშვენიერად.

76. პასხალიონი, ქმნული ნიკოლოზის მიერ ტფილელ-მიტროპოლიტისა, ორბელიანის ძისა და კინკლოსნი წელთ-მოქცევისა



და ვარსკვლავთანი. ამას შინა არიან ლექსინი, რომელნიმე იოანე^{მარიამ გურიელი} შავთელისა (რომელსა პირველად ეწოდა აბდულ-მესია). ესე შავთელი არს აღმატებული მოლექსე (ანუ მესტიე) ქართველთა პიტიკოსთა შორის.

77. წიგნი ანბანთა, ჩართულთა ასომთავრულისა და მხედრულისა ვრგვალისა ხელისა, რომელიცა გარდამოილო მათმან უგანათლებულესობამან მეფის გიორგის ძემან თეიმურაზმან, ნიკოლოზ ტფილელისა მიტროპოლიტისა ორბელიანისა ორიგინალისაგან.

78. პასხალიონი და კინკლისნი საწელიწდონი, ვრცლად ვახუშტის მიერ ქმნილი, რომელსა შინა კიდურთა ზედა წელიწდისათა ეპოხანი საისტორიონი საქართველოსა სხვათა და სხვათა უამთა შინა შემთხვეულებათანი აწერიან.

79. წირვის განმარტებანი ეპისკოპოსისა მსახურებისა (ესე იგი ლიტურგიის განმარტება), მოკლედ. ქმნილი მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს იერომონახისა გაბრიილ მცირისა მიერ.

წიგნი კელნაწერი ესე იგი მონისკრიპტი ნი, შვენიერის მწერლობით ჩინებულთა კელოვანთა ქართველთა მწერალთა განახლები

80. ტფილისის ანჩის ხატის სობოროს პროთოიერეი ალექსის შეირ შვენიერის წელით დაწერილი ლოცვაები, საყოველდღეოდ სალოცველი. სრულიად საქართველოს მეფის თეიმურაზ მეორისათვის აღწერილი და მისი ნაქონები ხუცური კელწერილი.

81. ლოცვაები სრული, ტფილისის პირველი საარხიერეო სობოროს სიონის პროთოიერეის ნიკოლოზის მიერ აღწერილი საკვარველის მწერლობითა ხუცური კელწერილი.

82. პარაკლისი მტერთა მიმართ ბრძოლისა უამს სათქმელი, წინა სსენებულის ალექსი პროთოიერეისაგან, მათის უმაღლესობის სრულიად საქართველოს მეფის თეიმურაზ მეორისათვს აღწერილი.

83. ლოცვაები, დიახ მცირე ტანისა. აკაფისტი თვისის გრძელის ლოცვაებით სრულიად და ღმრთის-შობლის პარაკლისი. მხედრულს წელზე დაწერილი, გრგვალს წელზედ, შვენიერის წელოვნებით, დიახ საიშვათო, გელათის მონასტრისა წმიდის გიორგის ეკლესიის არხიმანდრიტისა ზაქარია კუტისშვილისაგან აღწერილი.

84. აკაფისტი ჭვარისა (ესე იგი ჭვარის გიხაროდენი), მხედ-

რულად გრგვალს წელზედ აღწერილი ტფილისის აჩნდის (ქართული სობოროს პროთოიერების სოლომან ალექსის ძისაგან), რომლისა მსგავსი სხვათა ქართულის წელის წელოვანთ მწერალთაგან ძნიად შესაძლებელ არს აღწერად მსგავსი ამისი.

85. სახარება ოთხივ თავი, დიახ მცირე საუბე, ხუცურად ფრიაზ საქებელის წელოვნებით აღწერილი უმეტეს ასისა წლისა უამსა, აღწერილი ნათლისმცემლის მონასტერსა შინა უდაბნოსა მრავალმთისასა, ბრძანებითა სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ბესარიონისათა, წელითა გაერთიანებისათა. ოთხნი მახარებელნი მას შინა დახატულ არან მის მიერვე, დიახ კარგის წელოვნებით. სარჩევი წლისა და ოვეთაცა სრულიად აქვს.

86. კვალად სახარება საუბე, დიახ მცირეს ტანისა, ხუცური წელწერილი. აღწერილი მეფის კარის პროთოიერების, იოაკიმის ძის დავით მღვდლისაგან, ტფილისს, წელსა ქრისტესით 1726-სა, მასარებლები და სარჩევებიც სრული აქვს.

87. კვალად უფრო ამ სახარებაზედ მცირე, დიახ კარგი წელი ხუცური წელნაწერი სახარება დიახ ძველად დაწერილი, ძხოლოდ ორი თავი მატებისა და მარკოზისა.

88. სახარება, ხუცური წელწერილი, ოთხივ თავი, თავისის სარჩევებითა, ძველთა უამთა აღწერილი. პატარა ტან-სა. აღწერილ არს ესე წელთა დასაბამითგან სოფლისათ ბერძულითა აღრიცხვითა 6608-სა, რომელიც არს 735-სა წლის აღწერილი. აღწერილ არს ესე ბერლამენტსა (!) დიახ სუფთასა ზედა, (ბერლამენტი არს ეტრატი), სკმონ გროლაშვილისაგან არის დაწერილი, ზედ წითლურით ბოლოს აწერია დამწერის სახელი, სადაც დასაბამითგან სოფლისათ, ვიდრე სახარებისა მის დაწერადმდე ეპოხაები სრული მოწერილი აქვს. ზახარებლები, ისევ მის უამისა, ღახატულები არის ბერძნულის მხატვრობის გვარზედ. განსხვაებული არის მცირედ რამთამე ძველის ქართულის მხატვრობის გვარზედ, დიახ საკვირველად მშვენიერად დახატული.

89. კვალად სახარება, ხუცურივე წელწერილი, თავისის მახარებლებით, რომელიც ძველებურს გვარზედა აქვს დახატული ბერძულს გვარზედა, თავისის სარჩევებით სრულად არის დაწერილი. ბოლოს ბერძულად აქვს დიდის ასოებით ვარაყით მოწერილი: (ხარის მანუილ ანდრონიკი) და ვის მიერცა მეფის ძემ თეიმურაზმან მიიღო ეს წმიდა სახარება, მან არწმუნა მათი უგანათლებულესობა, რომელ ესე წელჩართული, მანუელ ბერძენთ იმპერატორისაგან იყოს თავისის წელით მოწერილი. და ვითომ იმან იცოდა ქარ-

თული ენა და წერილი. ამას ასე გვარუმუნებდა მამა-პაპით მოთხე-
რობილსა. მას ზედა არს ხუცურად მოწერილი უწყება მცირებულ
რამე წმიდისა სახარებისათვს ზებედეს ვისგანმე, ვგონებ იგი ბე-
რი ვინმე ყოფილ არს, მაგრამ რიცხვი წელიწდისა კი არ აწერია,
რომელს წელიწადში არს აღწერილი.

90. მცირე საუბე წიგნი, რომელსა ეწოდების შეკრებული,
მრავალთა სხვათა და სხვათა ცნობათა თვს, ქმნილი ტფილისის
აჩნდისხატის (!) სობოროს პროთოიერეის, ხელოვანის ალექსის მი-
ერ, გრიგოლ მხატვრის ძისა. ხუცურად წმიდად მშვენიერს ჯელზე
დაწერილი. იმა წიგნისა ყოველს ფურცელზედა სხვა და სხვა სა-
ხეები და ნაკვეთები არის დახატულები მშვენიერის ჯელოვნებითა
და მხატვრობაებითა. ესე წიგნი აღუწერია პროთოიერეის ალექსის,
ჩინებულთა ბანოვანთაგანისა თავადისა და სრულიად ქართლის
სარდრისა რევაზ ამილახვარის დედის, არავის ერისთვს ასულის
მარიამისთვს, ვინაადგან მარიამ ამილახვარის მეუღლე, (რევაზ ამი-
ლახვარის დედა), ფრიად სიბრძნის მოყვარე ყოფილა.

91. ლოცვაები საუბე, ხუცური ჯელწერილი. დიახ მშვენიე-
რად დაწერილი ლოცვაები ესე წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან
დედოფლისა ყოფილა, სრულიად ქართლისა და კახეთის მეფის ო-
იმურაზ პირველის დედისა და წამებისა თვისისა უამსაცა ამაში
ილოცვდა. ეს ლოცვაები არის აღწერილი ითანე ქვაბთახევის მო-
ნასტრის არხიმანდრიტისაგან, გვარით თავადისა ვალის შვილისა-
გან, რომლისა მიერკა არს ბოლოს მას ლოცვაებზედ მოწერილი
ესრეთ: „აღწერე ესე ლოცვანი ბრძანებითა დიდებულისა დედო-
ფალთ დედოფლისა ქეთევანისათვს, კეთილ-მსახურებით სათნოდ
ღმრთისა წარსამართებელად სულით და სადიდებლად დიდებისა და
მეფობისა მათისა (და სხვ.)“. ესე ლოცვანი არს აღწერილი წელსა
ქრისტესით, 1609. ხოლო წმიდა დედოფალი ქეთევან ეწამა წელსა
ქრისტესით 1624-სა, შააბაზ პირველისა მიერ სპარსთა მეფისა.

წიგნი საღმრთონი საეკკლესიონი, სრულიად
ბერძნთაგან ელინურით ნათარგმნი ჩვენთა
ქართველთა წმიდათა მამათაგან, რომელნიცა
ეკკლესიასა შინა იხმარებიან, არიან ესენი
ადრევე საქართველოს მეფეთ დროსა დაბეჭ-
დილნი სტამბაში და შემდგომადცა:

92. ძველი აღთქმა (რომელ არს დაბადება ესე იგი ბიბლია),
სრულიად ხუცურად დაბეჭდილი.

93. ახალი აღთქმა, წმიდა სახარება, სხვა და სხვა ექნება სამართლის რები, სხვასა და სხვასა დროსა ტფილისს, იმერეთს და მოსკოვში დაბეჭდილნი სტამბით, ხუცურად.

94. სამოციქულო, ეგრეთვე ტფილისს და მოსკოვში დაბეჭდილები ხუცურად.

95. პარაკლიტონი, ტფილისს და მოსკოვში დაბეჭდილები სხვასა და სხვასა უამს ხუცურად.

96. დავითნი, (ესე იგი ფსალმუნი), სხვა და სხვა ექნება რიცხვის სხვასა და სხვას დროს ხუცურად და მხედრულად ტფილისს და მოსკოვს დაბეჭდილები.

97. სადღესასწაულო, ხუცურად მოსკოვში დაბეჭდილი.

98. კურთხევანი, რაოდენნიმე ექნება რიცხვის სხვა და სხვა, სხვასა და სხვას უამს დაბეჭდილნი ხუცურად ტფილისს შინა და მოსკოვსა, რომელნიმე სრულნი და რომელნიმე გამოკრებულნი.

99. ლოცვაები, რაოდენნიმე ექნება რიცხვის. ხუცურნი და მხედრულნი, ტფილისს, იმერეთში და მოსკოვს დაბეჭდილნი. რომელნიმე სრულნი და რომელნიმე გამოკრებულნი.

100. კონდაქი სრულნი, ხუცურად დაბეჭდილნი სხვასა და სხვას უამსა და მოსკოვსაცა შინა.

101. მარხვანი, (ესე იგი ტრიოდ) მოსკოვს და ტფილისში დაბეჭდულნი.

102. ზაღიუი, ტფილისს და მოსკოვს შინა დაბეჭდილნი.

103. სახარებანი, გამოკრებულნი, ვნების კვირაში წასაკითხი, ხუცურად დაბეჭდილნი ტფილისს, იმერეთსა და მოსკოვში.

104. სამაღლობელნი პარაკლისნი, თარგმნილნი რუსულით. სახელმწიფოთა დღესასწაულთა თვეს და საზოგადოდცა, ხუცურად დაბეჭდილი.

105. უამნი, რაოდენნიმე ექნება რიცხვის, ყოველსა დღესა ეკლესიაში ყოველთა ლოცვათა ზედა სახმარი. დაბეჭდილნი სხვათა და სხვათა უამთა შინა ტფილისს და მოსკოვს.

106. ტიბიკონნი ეკკლესიისა წესთა და ცერემონიისა.

107. ახალი აღთქმა, მხედრულად დაბეჭდილი სახარება და სამოციქულო სრული: სანკტ-პეტერბურგს, ბიბლიის საზოგადოობისაგან.

კვალიდ რომელნიმე შემეცნებანი მოთხრო ჰქონდას განვითარება თა მოკლედ და სიტყვანი:

108. პლატონ მოსკოვის მიტროპოლიტის მიერ, მოთხრობა აბამელიქისათვეს, რომელიცა აღუწერა პავლე იმპერატორს თვესა ბატონის შვლობაში. თარგმნილი რუსულით მათის უგანათლებულებობის მეფის ძის მირიანის მიერ იჩაკლიერისა.

109. მისვე პლატონ მიტროპოლიტის მიერ, სიტყვა შესხმათა კურთხევასა ზედა ღმრთისადმი განსვენებულის იმპერატორისა ალექსანდრე პირველისასა.

110. სომეხთა (ესე იგი ერმანთა) სარწმუნოების აღსარება (ანუ რელიგია მათი), ლიტურღია და ნათლისცემა, ესენი ყოველ-ნივე ერთ წიგნად, ნათარგმნი ქართულად.

111. ოსურის ენით ლიტურღია (ესე იგი წირვა) და ქართულის ასოებით დაწერილი (იოანე ოქროპირის). თარგმნილი ოსურსა ზე-და ენასა ოსთაგანისა იოანე იალღუზიძისაგან. ღუბერცვი სეკრეტარისა. (ესე იალღუზიძე იოანე, მეფემან ირაკლი მეორემან და ქემან მისმან, მეფემან გიორგი მეთაცამეტემან, აღაზრდევინეს ყოვ-ლისა ქართულისა საღმრთოს წერილთა და ღრამატიკოსობითა და ფილოსოფიითა. და მან იწყო მეფეთა უამსა თარგმანება საღმრთო-სა წერილისა და როსიისა მმართველობისა უამსა, ეგრეთვე, ოსურ-სა ზედა ენასა სთარგმნნა რომელნიმე საღმრთოთა წერილთაგან).

112. ლოცვაები, ოსურად ნათარგმნი და ზნეთ სწავლულება ერთად, ეგრეთვე იოანე იალღუზიძისაგან ნათარგმნი, დაბეჭდილი სტამბით ქართულის ასოებით ოსურად და ქართულად.

113. ანბანი, ეგრეთვე, რაოდენიც ასონი ქართულის ასოები-დამ (ესაჭიროების და დიას მცირე მომეტებული) ეხმარების ოსურ-სა, ქართული ასოებითვე დაუწერია.

საფილოსოფონი და საღრამატიკონი წიგნები საღრამატიკო

114. ღრამმატიკა, სულ ძველი მოქლედ.

115. ღრამმატიკა შხოლასტიკა სრული, თვესის სინტაქსით და რჩეულის მაგალითებით სამ ნაწილად ქმნილი. სრულიად საქართველოს უწმიდესის კათოლიკოსის ანტონი პირველისა მიერ ქმნული.

116. ღრამმატიკა, ქმნილი თვესის სინტაქსითურთ (ფილოსოფო-სურს გვარზედ) შემოკლებით, მაგრამ ღრამმატიკის კანონების და-უკლებრად, მათის უგანათლებულებობის სრულიად საქართველოს



მეფის გიორგის პირშოს ძის დავითის მიერ, მემკვიდრისა, პრეზიდენტის მიგებით, რომელიცა მიართვა მათს უმაღლესობას სრულიად საქართველოს მეფეს ირაკლის, პაპასა თვესა. ამავე ღრამმატიერის ბოლოს, კანონი და ცეიმანი (!) კატილორიისა, აღწერილ არიან.

117. ღრამმატიერი მოკლედ, თვესის სინტაქსით, ქმნილი გაიოზის მიერ, რომელიცა იყო არხიმანდრიტობასა შინა თვესსა თელავისა სააზნაუროთა და სამღვდელოთა სასწავლებელთა დირექტორი, უამსა მეფისა ირაკლი მეორისასა და შემდგომად იქმნა იგი აშტარხანისა არხიეპისკოპოსი.

118. ღრამმატიერი შემოკლებით, ქმნილი საქართველოს სინოდალნის კანტორის ჩლენისა, ტფილისელისა პროთოიერეი იესე ჩუბინიძისაგან, აზნაურშვილისა.

119. ღრამმატიერი მცირე, ზოგნი ერთი რამ კანონი ღრამმატიკისანი, ქმნული ხიზიყელის დოდაშვილის სოლომონის მიერ.

წიგნნი სარიტორონი და საფილოსოფონი

120. რიტორება, ქმნილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ანტონი პირველისა მიერ, მიხითარ სევასტიიელისა რიტორების გვარზე.

121. იესტეტიერი ანსილიონისა, ხელოვნება უმაღლესი რიტორებისა, მეფის გიორგის ძის, მემკვიდრის, დავითის მიერ თარგმნილი.

ძველი საფილოსოფონი წიგნნი

122. წილნი (!) სალოლიკო, დიალეკტიკად წოდებული, ელინურისაგან თარგმნილი ძველთა ქართველთ მთარგმნელთაგან.

123. წიგნი სადიალიკტიკო მოკლედ, დავით სომეხთა ფილოსოფოსისა ნირგინელისა, უძლეველად სახელდებულისა, კიოხვა-მიგებით.

124. წიგნი პორფირი, ფილოსოფოსისა ღაზელისა, რომელი იყო ტირიელი. ხუთთათვეს ხმათა არისტოტელისათა შეყვანილება: 1. ნათესავისათვეს, 2. სახისა, 3. განყოფილებისა, 4. თვესისა და 5. შემთხვევითისა. ამა წიგნსა ეწოდების პორფირი, ჩვენთა ძელთა ქართველთა მთარგმნელთაგან ელინურისაგან ენისა არს თარგმნილი.

125. წიგნი პერი-არმენია, რომელიცა შეიცავს თვეს შორის ოთხსა მას სახესა: 1. საქმისათვეს. [2]. ცნობისა, [3]. ხმისა და [4]. წერილთა.

126. წიგნი ათთათვეს კატილორიათა არისტოტელისათა, ქმნილი კათოლიკოს პატრიარქისა მიერ ანტონი პირველისა.

127. კატილორია დიალეკტიბრივ შემოკლებული, რომელიც განვითარებულია შეუთხზა მეფის გიორგის ძემას მემკვიდრემან დავით ბიძასა თვისსა მეფის ირაკლის ძეს ფარნავაზს.

128. წიგნი კავშირი, ესე იგი სტიხია ფილოსოფია პროექტ დიადოხოსისა, პლატონურისა მარტივისა ღმრთის-მეტყველებისა. თარგმნილი ელინურისაგან ქართულსა ენასა ზედა ითანე, ფილოსოფოსისა ქართველთასა, პეტრიშვილისაგან და დიდისა მის მოძღვრის ჩვენისა. პირველად ყოველნი თვთოეულნი თავნი ამისნი არიან ღრმად თარგმნულნი უმშვენიერებისა ქართულით და ყოველსა თვთოეულნა თავნა მისა აქვს საკუთარნი განმარტებანი ითანე ფილოსოფოსისა პეტრიშვილისაგან და განსჯანი ფილოსოფოსურს გვარზედ.

კუალალ წიგნი საფილოსოფოსონი

129. წიგნი ლოლიკა ფილოსოფია ქრისტიან ბაუმეისტერისა, თარგმნული ლათინურისაგან კათოლიკოზ პატრიარხისა ჩვენისა ინტონი პირველისა მიერ.

130. მეტაფიზიკა ბაუმეისტერისავე, თარგმნილი ლათინურით მისვე ანტონი კათოლიკოსისაგან.

131. ითიკა მისვე ბაუმეისტერისა, ლათინურისაგან თარგმნული მისგანვე ანტონი პირველისა.

132. ფიზიკა თეორია, სხვათა და სხვათა ავტორთაგან შეკრებული ანტონი პირველისა მიერ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარხისა.

133. ფიზიკა პრაქტიკა, გამოკრებული ერთს ყოულად (!) წიგნად სხვათა და სხვათა ავტორთაგან სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის და მემკვიდრის დავითის მიერ.

134. წიგნი ბუნებისათვის ღმერთასა ციცერონისა, თარგმნილი რუსულით, სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის თეომურაზისა მიერ.

წიგნი ზნეთ სწავლულებათანი

135. წიგნი, ქმნილი აღაპიტ არხიდიაკონისა მიერ კონსტანტინუპოლელისა დიდისა ეკკლესიისა, მირთმული ბერძენთა იმპერატორისა დიდისა იუსტინიანეს მიმართ, ოდეს იგი მიიღო მან საყდარი კონსტანტინუპოლისა, თარგმნილი რუსულის ენიდგან ქართულსა ზედა გაითხ არხიდიაკონისა მიერ, რომელიცა იქმნა მერმე არხიეპისკოპოსი აშტარხანისა.



136. წიგნი თაატროპოლეტიყა, ჰსწავლანი მეფეთა დეკრეტით
ცართათვს, მრავლის ანეგდოტებითა და მაგალითებით აღსავსე,
თარგმნული ბერძნულისაგან წმიდის იერუსალიმის ჯვარის ქართ-
ველთა მონასტრის არხიმანდრიტისა და მამისაგან (რომელსა ქარ-
თველი ჯვარის მამას უხმობენ) ბენედიკტეს მიერ. ხოლო ქარ-
თულსა ენასა ზედა შეწყობილ არს ხუცისა პროთოიერეი იესე ჩუ-
ბინოვისაგან.

137. წიგნი კატაის სიბრძნე, ზნეთ სწავლულებანი, თარგმნი-
ლი გაიოს არხიდიაკონისაგან ზემორე მოხსენებულისა, რუსული-
საგან ქართულად, მირთმული მეფის ასულის ანასთვს, რომელი-
ცა იყო ასული ქართლის მეფისა ქაიხოსროსი, ვახტანგ მეექვსის
ქართლის მეფის უფროსი ძმისა.

138. წიგნი ტესტამენტი, სწავლანი ზნეობითნი, ქმნული ბერ-
ძნთა იმპერატორისა ვასილი მაკედონიელისაგან ძისა თვისისა ლე-
ონ ბრძნისათვს, თარგმნილი რუსულით ვახტანგ მეფის შვილის
შვილის ალექსანდრე ბაქარის ძისაგან.

139. წიგნი ზნეთ სწავლულება, ქმნილი მარკოზ ავრელიანი-
სა, რომის კეისრისაგან, გაიოზ არხიმანდრიტისაგან თარგმნილი
რუსულით (რომელიცა ზემო მოვიხსენეთ მის გაიოსისაგან).

140. მცირე წიგნი, რომელსა ეწოდების ათნი გვირგვინნი,
ქმნილი ანუშრევან სპარსთა მეფისაგან. (ესრეთ მოუთხრობენ,
სწავლანი ანუ მცნებანი ერისა მიმართ თვისისა აქვნდა მას ათად
გაყოფილნი და ოკთოეული თვითოსა გვირგვინსა ზედა სამეფოსა-
თვისსა ეწერნეს და რომელსაცა დღესა რომელსაცა გვირგვინსა და-
ისურევდა, რადცა მას ზედა ეწერა, აუდენციასა შენა, ერთ მო-
ხელეთაგანი კარისა მისისა, წარუკითხევდა მას ერთა, რომელ-
ნიც შემოკრბებოდეს მისთა). ესე ითარგმნა სპარსულისაგან ენი-
სა ქართულსა ზედა სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის
თეიმურაზის მიერ.

141. წიგნი არისტოტელისა ბოროტისათვის და კეთილისა,
განმარტება და ზნეთსწავლულება, თარგმნილი სრულიად საქარ-
თველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ რუსულით; და ალ-
ბეჭილიცა სტამბით მხედრულად.

წიგნი სამკურნალონი

142. წიგნი სააქიმო, სხვათა და სხვათა წამალთა გაკეთება და
შეზავება და ავადმყოფთა მოვლა და ცნობა-ვნებულთა, ქმნილი
120

აღა ექიმის მიერ ტფილისელისა, რომელიცა იყო დაწესებული სამკურნალო შენიშვნისათვის.

143. წიგნი სამკურნალო სხვათა და სხვათა სენატვს, რეცეპტურის გვარზედ ქმნილი წამალთა რაოდენობანი, შეზავებანი და ხმარებანი მათნი, უგამოცდილესნი სასარგებლოდ. ქმნილი სრულიად საქართველოს მეფის გიორგის პირმშოს ძის დავითის მიერ.

144. წიგნი ქმნილი სამკურნალოდ, რომელსა შინაცა არიან სხვათა და სხვათა სახლსა შინა სახმართა ნივთთა ხელოვნებითთა მოქმედებითა გაკეთებანი და რომელთამე საცნობელთა ახსნანი და განმარტებანი. ქმნილი მეცნიერების მთავრის დადიანის მიერ, რომელიცა იყო მოსკოვს მცხოვრები, თავისის მამულიდამ გარდონილი, ეამსა ვახტანგ მეექვსისა ქართლისა მეფისა რუსეთში გარდომოვარდნისასა.

145. წიგნი მცირე, ყვავილის აჭრისათვის (!) და მოვლისა, როგორ უნდა ახდევინოს, ძროხის ყვავილი რომ აუჭრას. თარგმნილი რუსულისაგან გოდერძი ფირალოვის მიერ, გორელისა კოლეგის პერეოდის და სტამბით აღბეჭდილი.

146. ცხენის კარაბაზინი, (სამკურნალო ცხენთა), ქმნილი სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის ბაგრატის მიერ და აღბეჭდილიცა სტამბასა შინა სანკტეპერებურგს.

147. ქოჩის კარაბაზინი, (ესე იგი სამკურნალო ქორთა) და ბაზიერთა მიერ გაშროთვა მონაზირეთა მფრინველთა და მოვლა მათი და წამლობა, ძველადვე საქართველოს მეცნიერთ მონადირეთაგან ქმნილი.

მოთხოვთანი საქართველოსა ისტორიათა.

და ცხოვრებისა

148. წიგნი საქართველოს ცხოვრებისა, ვრცლად შეკრებული ქართლის მეფისა ვახტანგ მეექვსისა მიერ, დაიწყების ქართლოსიდგან ვიდრე ვახტანგ მეცედმდე, დიმიტრი თავდადებულის ძისა, დავითიან ბაგრატოვანისა, რომელიც იყო ქრისტესით მეათ-ცამეტესა ასწლეულსა საუკუნესა შინა.

149. საქართველოს ცხოვრება, ვრცლად აღწერილი ვახუშტის. მიერ ბაგრატოვანისა, ვახტანგ მეფის შვილისა, თვესისა გეოგრაფიულის საქართველოს აღწერითა.

150 წიგნი არჩილიანი, ვრცლად ლექსად, (ესე იგი სტიხად), ოქმული სრულიად იმერეთის მეფისა არჩილ მესამისაგან შანავა-



ზის ძის, რომელსაც შინაცა აღუწერიეს ისტორიათაგან საქართველოს უძველესი მცირედი: მასვე წიგნსა შინა აღუწერიეს (ძერ-სიტყვაობით) კრილად ისტორია მეფისა თემურაზ პირველისა, (რომელიცა პირველად იყო მეფე კახეთისა და შემდგომად სჯულიერითა მემკვიდრეობითა დაიპყრა ქართლისა სამეფოცა) და იქ-მნა ორთავე სამეფოთა ქართლისაცა და კახეთისაცა და ყოველთა გარემოთა მათთა მპყრობელი მეფე. ხოლო დედა ამის მეფისა თე-იმურაზ პირველისა იყო წმიდა შოწამე ქეთევან დედოფალი, რო-მელმან დასდვა სული თვისი ქრისტეს საჩრმუნოებისათვს და თვისისა ქვეყანისა იქმნა მსხვერპლი. მამა მეფისა თემურაზისა იყო დავით კახთა მეფე, რომელსაცა ობლად დაშთა დიახ მცირე მეფე თემურაზ. ამა დიდისა გმირისა მეფისა თემურაზ პირვე-ლისა ისტორია აღუწერია ფრიად სიმართლით და უნაკლულოდ მეფესა არჩილს. ხოლო მას წიგნსა შინა არჩილიანსა არიან ზეო-ბანი და ჩვეულებანი საკუთარნი საქართველოსა ერთანი და სხვა-ნიცა ფრიად საქებელნი სტიხი მრავალნი.

151. საქართველოს ცხოვრება შემოყლებით, კათოლიკოს პატ-რიარქისა ანტონი პირველისა მიერ.

152. მცირედი რაიმე მოთხოვბა სრულიად საქართველოს კათოლიკოსის პატრიარქის მიხაილს მიერ, რომელი იყო ქრისტე-სით მეშემდეგსა შინა ასწლეულსა საკუნძუსა, ყამსა სრულიად ივე-რიისა (ესე იგი სრულიად საქართველოსა) მპყრობელისა წმიდი-სა არჩილ მეფისა და მოწამისა. მოკლედ დასწყისითვან საქართ-ველოს მოთხოვბა და მირონის კურთხევის განწევება, ოდეს იგი აკურთხებდენ სრულიად საქართველოს მცხეთისა კათოლიკე ეკ-კლესიასა შინა და თუ რომელსა მღვდელთ მთავარსა რად თანა-მდებობა იქვს მაშინ კურთხევასა ზედა მირონისასა აღსრულებად სჭულდება მისი. და ანუ მეფისა კურთხევისა ცერემონიისა ზედა თუ, რომელი მღვდელთ მთავარი ანუ მთავართა და წარჩინე-ბულთაგანნი სრულიად საქართველოსა ღირსებისამებრ თვთოე-ულისა თუ რომელი რომელსა ადგილსა იყორბს.

153. წიგნი მოხილვა ტიმოთე საქართველოს მიტროპოლიტი-სა ქართლისა მთავარებისკობოსისა გაბაშვილისაგან, რომელიცა წარიგზავნა საქართველოსთ საბერძნებითა ბრძანებითა სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფისა თემურაზ მეორისათა, ძისა ირაკლი პირველისა ქართლისა, კახეთისა სამეფოთა და სხვა-თა მეფისა, რომელმანცა მოვლო სრულიად იერუსალიმისა მო-ნასტერნი, ათონისა მთისა მონასტერნი და ანტიოქიისა და ად-



გილთა ამათ სრულიად მოიხილვნა საქართველოს მონასტერნიკანონის გენერალური რომელიცა არს იერუსალიმს დიდი საუფლოსა ჯვარისა ცხოველს მყოფელისა საკუთრად ქართველთა, რომელსა შინაცა არს ბიბლიოტიკა ძველი ქართველთა, მრავალნი წიგნი ქართულსა ენსა ზედა თარგმნილნი და ოღწერილნი ქართველთა წმიდათა მთარგმნელთა მამათაგან და ეგრეთვე სხვანიცა მრავალნი მონასტერი, რომელნი არიან ქართველთაგან აღშენებულნი მუნ და ეგრეთვე ათონის მთასა შინა ივერიის მონასტერი ჩინებული ლავრა ქართველთა, აღშენებულნი წმიდათა მამათა ქართველთა მიერ, შეწევნითა საქართველოს მეფეთათა და მუნ ბიბლიოტიკა ქართულისა ენისა დიდი. ესენი ყოველივე განუხილავს ტიმოთე მთავარეპისკოპოსს და ჩამცე უპოვიეს ძველთა ისტორიათაგან მოთხრობანი მრავალნი აღუწერიეს და ვითარებანი მონასტერთა მათ, ეგრეთვე, ბერძენთაცა მონასტერი აღუწერიეს იერუსალიმისა და ათონის მთისა.

154. წიგნი საბერძნეთის მონასტერთა და იერუსალიმისა და მუნ მყოფთა საქართველოს მონასტერთა ოღწერისა იონა მროვლისა მიტროპოლიტისა მიერ ქართველისა გედეონის შვილისა, რომელსაცა მოუხილავს იგინი, რომელიცა წარსულ არს საქართველომ ბრძანებითა მეფისა ირაკლი მეორისათა.

155. წიგნი გურამიანი, სრულიად სტიხებად თქმულნი ქართულის ხარავტირით დიახ საქებელად შეწყობილნი, ქმნილი თავადის გურამიშვილისა დავითის მიერ. ამა წიგნსა შინა ვრცლად და უნაკლულოდ არს ცხოვრება დაწყებითგან დასასრულამდის ქართლის სამეფოსა მეფისა ვახტანგ მეექტისა, საკვირველის გამოხატვით თვთოეულად მოიხსენებს და მის უამისა ისტორიათა საქართველომასა და საქართველოს მეფეთასა. ამა წიგნსა შინა ზეთსწავლულებანიცა არიან ქართულნი, ზოგნი სამხიარულო და სალალობელნი შემთხვეულებანი მისნი ტყვეობა ლეკთა შორის, შუნით რუსეთს გამოსლვა გამოპარვით და რუსეთსა შინა სამსახურსა შინა სამხედროსა შესლვა და სამსახური, თვის ვახტანგ მეფესთან ყოფა და მისთა მხლებელთა საქართველოს მთავადთა (!) და აზნაურთ ვითარებანი მოკლედ. მასვე მოუგონიეს მაშინა ღრმის აღვილიდამ წყალის ამოყვანისა და წისქვილის გაყეთებისა, რომლისაც სახეც გამოხატული მის მიერვე მას წიგნსა შინა არს. ეს წიგნი მიურთმევია მას სრულიად საქართველოს მეფის ძის მირიან ირაკლიევიჩისათვის, ოდეს იგი პირველად იმპერატრიცა ეკატერინეს უამსა მოსრულ არს როსიად საქართველომ.

156. წიგნი მცირე, რომელსაცა ნარკვევი სახელედების არა ლიად საქართველოს მეფის გიორგის პირმშოს ძის დავითის შემნილი, და ესე არს ხუთ რიცხვად განყოფილი: 1. ისტორია ასურეთისა, 2. ისტორია ბერძნთა, 3. მეგიპტელთა, 4. რუსთა და 5. ქართველთა.

157. სამესხეთოსა, ესე იგი სამცხე საათაბაგოსა, რომელიცა არს თვით ზემო ქართლი, მკვდრი მამული საქართველოსა თუ ვითარ და რომელსა უამსა დაიბყრეს ოსმალთა, გამოკრებული საქართველოსა ნამდვილთა ისტორიათაგან, მეფის გიორგის ძის თეომურაზის მიერ.

საზოგადოდ საისტორიოთა წიგნთათვე

158. ხრონოლრაფი, ისტორია ვრცელი სამღვდელონი და საერონი მოთხრობანი, დასაპამითგან სოფლისათ ისრაელთა, იუდიანთა, ასურთა, რომთა და ბერძნთა, ვიდრე კონსტანტინუპოლისა თურქთაგან აღებადმდე და თურქთა ოსმალთაცა ისტორია არს შემოტანილი მას შინა. ესე არს თარგმნილი ბერძულისაგან მღვდელმონაზონისა ვისგანმე ქართველისა თვადთა გვარისა სოლადაშვილისა ბავრატიოსისაგან, რომელიც ყოფილა წმიდისა ათონის მთისა საქართველოს ივერიის მონასტრისა მონაზონი და ბერძულისა ელინურისა ენისა მეცნიერი. ესე არჩილ მეფე რომ საქართველოდამ რუსეთში გარდამოსრულა, ეს ბაგრატ მღვდელმონაზონი თანა ხლებია მოსკოვსა, ხოლო მეფესა მას არჩილ მესამესა გაუგზავნია მოსკოვიდამ შვეციის სატახტო ქალაქში სტოლი: კლოლმს, თავის შვლის მეფის ძეს ალექსანდრესთან, რომელიცა მას უამსა შვეთელებს დატყვევებული ჰყოლიათ. და მას მღვდელ-მონაზონსა ბავრატიოსს, ვინაედგან წიგნი ესე ხრონოლროფი (!) სრულად ვეღარ უთარგმნია, ამად მცირის თეოდორის ბერძნთა იმპერატორის ცხოვრების დასასრულამდის ჰქონია თარგმნილი, ამისთვის მეფესა არჩილს გულსმოდგინება უჩვენებია და შეწევნითა სხეათა მთარგმნელთათა უწყია თარგმანი მარქიანე და პლუხერის მეფობიდგან და სრულ უქმნია. წიგნი იგი ხრონოლროფი, (საუკუნოდმცა არს ხსენება მისი. ამინ): რომელიცა ამ რეისტრის რიცხვში ხრონოლრაფი მოვიხსენეთ, ოკთ იგი არს პირველი ექვემდებარი, რომელიც კეთილმსახურსა მეფესა არჩილს აღუწერინებია თვესა სკტასა შინა მყოფთა აზნაურთა გარსევანიშვილებისათვეს ონისიმე და ეფრემისათვის, რომელთაცა ჸელწერილი ასე პგავს ერთმანერთსა, რომელ კნინდა და ვერავინ გაარჩევს (ამ ხრო-

ნოლრაფიდამ არიან გარდაწერილნი სხვათ ვისაც საქართველოში კულტურული ეპოქებათ ეს წიგნი).

159. ღირსი ხსოვნისა, აღწერანი ჩინებულთა ქალაქთა ევროპისათა, ლათინურისაგან ნათარგმნი ითანე მღვდელმონაზონისა მიერ, ქართველისა ფილოსოფოსისა.

160. მოთხრობა შემოკლებული დალაილამასთვეს.

161. ბუნებითი ისტორია ასურასტანისა, თარგმნილი ქართულად რუსულისაგან ენისა ავთანდილ თუმანისშვილისაგან, პატარა ბირთველის ძისა.

162. წიგნი ისტორია ნადირშაისა სპარსეთის მცყრობელისა, მირზა მეითიხანის ისტორისაგან, თარგმნილი აღვლასამენელს შტილზე მეფის გიორგის პირმშოს ძის დავითის მიერ.

163. აღწერა მოკლედ აწინდელისა სპარსეთის მცყრობელთა შეაპთა გვარეულობისა ყაჯართასა, თუ სადიდგან წარმოებენ, მეფის გიორგის ძის თემურაზის მიერ შეთხული, ეგრეთვე სპარსეთისა კარის განგებანი. ესენი წელსა 1811-სა, უამსა მოსლვისა თვისისასა, მათმან უგანათლებულესობამან მეფის ძემან, სპარსეთით თავისუფლად აქა სანკტ-პეტერბურლს მოწევნილმან, აღწერა მათს ბრწყინვალებას გრაფს კანცელარს ნიკოლაი პეტროიჩს რუმენცოვს.

164. წიგნი ველისარიონ, ღირსი ხსოვნისა შემთხვეულებანი, რუსულიდამ თარგმნილი გაიოზის მიერ არხიმანდრიტისა, რომელი იქმნა არხიეპისკოპოსი აშტარხნისა.

165. ტროადის ისტორია, ვრცლად აღწერილი და დარღვევა მისი, ქართველთა ძველთა მთარგმნელთაგან ნათარგმნი ბერძულიდამ.

166. წიგნი თელემაკ, ფრანციცულისაგან თარგმნილი საქართველოს თავადთაგანისა არტილერიის კაპიტნის სარიდან ჩოლოყაშვილისაგან, რომელიცა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნას ღროს და იმპერატრიცა ეკატერინას ღროსაც სამსახურში ყოფილა, თვის კაპიტნობაში უთარგმნია ეს წიგნი.

167. წიგნი პოლიდორ კადმოლარმონია, თარგმნილი რუსულისაგან საქართველოს თავადთაგანისა გიორგი ივანე მეითარის ძისა, კახელი ავალიშვილისაგან.

წიგნი საზღაპრონი

168. წიგნი ქილა (!) და მანა (!), თუმცა ზღაპარი არს, მაგრავ ზეგა-სწავლულებით აღსავსე. ესე ორგზის თარგმნილ არს ქარ-



түрлеса ზედა ენასა. პირველად სრულიად საქართველოს შინაგანმდებრი თეიმურაზის პირველის ძისა და მემკვიდრისა, მეფის ძის დავითისა, მიერ არს თარგმნული სპარსულით და შემდგომად მისსა, ქართლის მეფის ვახტანგ მეექესისაგან მეორედ თარგმნილა.

169. წიგნი ამირან დარეჯანიანი, დიდებულისა მის სრულიად ივერიის თვთმცყრობელისა მეფისა თამარ პირველისა მდივნისა მოსე ხონელისაგან ქმნული.

170. წიგნი ყარამანიანი, საქვირველისა მის ფალავნისა (ესე იგი გმირისა) სპარსეთის ხელმწიფის თახმურადის ძისა ყარამანისა. რომელიცა შემდგომად უშანებ სპარსეთის ხელმწიფის სააპ-ყირანი იყო, ესე იგი ყოველთა ფალავანთა და სარდართა თავი (ესე იგი გენერალისმუსი მისი). უმჯობესი ზღაპარი ამას ზედა დიახ ძვირად იქმნების: მრავალთა სხვათა და სხვათა ხელმწიფეთა, დევთა და ძლიერთა ბრძოლანი და ამბავნი არიან, ფრიად სასია-მოვნონი და საამოდ სასმენელნი და ყარამანის მიერ საკვირველი მძლეველობანი და გმირულნი საქმენი. ესე არს თარგმნილი სპარ-სულის ენით ქართულსა ენასა ზედა საქართველოს წარჩინებული-სა თავადთაგანისა დავით სარდლის მიერ და ქეშივჩიბაშისა, (ესე იგი მუფეთა გვამის მცველთა უხუცესისა), ორბელიანისა. დიახ მშეენიერსა და საამო სასმენელს ენაზედ თარგმნილი ქართულად; ყამსა სრულიად საქართველოს მპყრობელისა მეფისა ირაკლი მე-ორისასა.

171. წიგნი ზღაპარი, ჩინეთის მეფის შვილის მირი ჭაბუკის ამბავი. წიგნი საზღაპრო. მილორდ ანგლიელი ლორდისა შემთხ-ვეულებანი, თარგმნილი რუსულით ქართულად საქართველოს აზ-ნაურთაგანისა გლახა კოტეტისაგან.

წიგნი პოემანი, რომელ არიან სტიბნი ანუ შეერნი

172. წიგნი პოემა, რომელ არიან ლექსნი ვეფხისტყაოსანი*, ქმნილი დიდისა მის პიტიკოსისა ქართველთასა და სიბრძნითა აღსაკესა შოტტა რუსთაველისაგან. საქვირველის წელოვნებით ქართულს ხარაკტერზედ შეწყობილი ისტორია და შემთხვეულება გმირისა მის უაღმატებულესისა ტარიელ, ინდოთა მეფის ძისა და სხვათა მეფეთა და ძლიერთა გოლიათთა მოთხოვანი, მიჯნურობანი და ბრძოლანი. ესე პოემა სრულიად ოთხტეაპოვანნი ლექსნი არიან, რომლისა ლექსთა გვარსა ქართველთა პიტიკოსნი უწო-

* ვეფხისტყაოსანი რუსულად ისე უნდა ითქვეს: Барсовой Кожанос.



დენ შეერსა. მხოლოდ ამ წიგნში ერთი სტიხი მარტო არის სხვაგვარის გვარი, რომლისა გვარსა ფისტიკაური ეწოდების. ესე შოთთა რუსული და გველი იყო ქრისტესით ასწლეულსა მეტონიმეტესა შინა საუკუნესა, ეამსა ღიღისა ხელმწიფისა მეფისა და ღიღებულისა სრულიად ივერიისა (ესე იგი ყოვლისა საქართველოსა) თვითმკრბელისა თამარ პირველისა მეფისა და საჩულიად ივერიის თვითმკრბელისა გიორგი მესამის ასულისა დავითიან ბაგრატოვანისა. იყო ესე შოთთა რუსთაველი მოლარეთ უხუცესი თამარ მეფისა და უპირველესთა მინისტრთა მისთაგანი. მოუხსრობენ შოთასთვეს ვითარმედ, რადცა იმ ეამისა სწავლულება და წელოვნება აზიანა ანუ ეგრძინისა შინა იყო, არცა ერთისაგან უსწავლელი და ცალიერი არა ყოფილა გონიერებით. სიტყვიერებით. სახის მშვენიერებით თვალად თუ ტანად, სიბრძნით და სიმამაცით თითქმის მის უამისა ჩინებულთა შორის არავინ აღმატებოდათ. ამისი სტიხები ყოველი არის ქართულს ენაში.

173. პოემანი ფრიად საქებლითა მესტიხეობისა ჯელოვნებითა ქმნილი საქებელად დიდებულისა დიდისა მის მეფისა სრულიად ივერიის მპყრობელისა თამარ პირველისა აპდულ მესის მიერ შევთელისა. რომელიცა იყო დღევანი (!) და ერთი მინისტრთაგანი სახელოვანი ამა დიდებულისა მეფისა. ლექსნი ესე არიან წოდებისამებრ ქართველთა მესტიხეთა რვულისა გვარნი, რომელნიცა თვთოვეული მათგანი არს თუმცა თხხტავოვანნი, მაგრამ რვათ არიან დაბოლოებულნი რიფმით და თვითოვეულს დაბოლოებულს რიფმებს ორი და სამი სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვსთ და სხვა და სხვა გვარად აიხსნებიან (და ამ გვარის რიფმების მექონით სტიხთა ქართველთ მესტიხენი მაგამას უწოდებენ). აბდულ მესია შავთელის ლექსნი ესე ოდენ აქვს თანამედროვეთა მისთა ყოველთავე პიიტიკოსთა და მეცნიერთა სწავლულთა, რომელ დაამტკიცეს ესე, ვითარმედ სტიხი მისი უმჯობეს არიან სხვათა ყოველთა ჩინებულთა მესტიხეთა და თუთ შოთთა რუსთაველიცა აქებს, რომელიცა ვეფეხისტყაოსნისა დასასრულსა შინა მოიხსენებს: „აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“. ბოლოს კამის აბდულ მესია პერათ შემდგარა, გელათის მონასტერში შესულა, იოანე უწოდებიათ და იქ აღსრულებული. ეს პოემა თამარ მეფისათვეს გელათის მონასტრიდამ მოურთმევია. მრავალნი სტიხი დიახ საქებელნი აღუწერია და სხვანიცა წიგნი, რომელთაგანნი რომელნიმე მითარებულ არიან და ესაჭიროების სურვილი წიგნთა მისთა და სხვათავა მეძიებლობისა.



174. პოემანი ეგრეთვე ჩახრუხაძისანი, ქმნილი სამქანითა და განვითარებულისა მის მეფისა და სახელოვანისა თამარ პირველისა, ღიდად საქებელის მესტიხეობის ხელოვნებით შეუთხზავს ლექსი ესე, რომლისაცა ლექსისა გვარსა, სახელითა მისითა, ჩახრიხაული ეწოდების. ესე ლექსიცა არიან რვა რვა რიცმითა, ოთხტაეპოვანნი არიან და მაჯამით არიან, სრულად ექზამეტრად არიან მრავალნი ლექსი ამას შინა, დიახ მშვენიერად. ესე ჩახრუხაძე მოხევე ყოფილა არაგვის საერისთაოსაგან, თამარ მეფის მდივანი ყოფილა და დიდებულთა კარისკაცთა მისთაგანი. სხვანიცა მრავალნი არიან ამისგან საქებელი ლექსი თქმულნი.

175. შეკრებული ერთ წიგნად შემოდგომნი ესე სტიხნი:

1. ვარდ-ბულბულიანი, თქმული სრულიად საქართველოს მეფის თეიმურაზ პირველისაგან.

2. ვაზაფხულისა და შემოდგომის ქება, მისვე მეფისა თეიმურაზ პირველისაგან.

3. სამთლისა და ფარმანა პეპელის ბაასი, მისგანვე.

4. ანბანთ ქება, მეფისა არჩილისა მესამისა მიერ თქმული. (ანბანთ ქება ქართულის მესტიხეთ ესეთი გვარი სტიხები არის, რომელ ანიდამ იწყების და თვთოს ლექსის ტაეპისა ყოველი თვთო-ეული ლექსი ჯერ პირველი ტაეპი ანით დაიწყება, მეორე ტაეპის ყოველი ლექსი ბანით, მესამე განით და ასე ვიდრე ჭოედმდე, რომელსა ზედაცა დასრულდება ანბანთქება).

5. ანბანთ ქება, საკვირველის პიიტიკოსობით თქმული იოსე-ბის მიერ, ზაქარია მოძღვრის ძისა, საქართველოს აზნაურთაგანისა გაბაშვილისაგან, თქმული სამქებროდ სრულიად საქართველოს მეფის თეიმურაზ მეორის ასულისა ელისაბედისათვეს.

6. ბესარიონ გაბაშვილისაგან, მისვე ზაქარია მოძღვრის ძისა, თქმული სიმღერათა, სამიზნურონი და სხვანი სალალობელნი, რომელნიმე ქებად და სხვა და სხვა გვარისა სტიხებად შეთხზული; ესე ბესარიონ არს, რომელიცა ფრიად საქებელ არს და ქართველთა პიიტიკოსთა მიერ ფრიად ქებულ არს და შერაცხილ რიცხვთა შორის პირველთა სტიხატვორთასა. იგი იყო უამსა ირაკლი მეორისასა, სრულიად საქართველოსასა მეფისასა.

7. იმერთა მეფისა სოლომონი პირველისა, ესე იგი ქვემოხსა საქართველოსა მეფისა, ბრძოლა აფხაზთა მიმართ, გალექსილი იმერთაგან.

8. თავადის დიამბეგის დავით ჩოლაყაშვილისა ჯიშშერის ძი-

სა, ლექსნი ფრიად საქებელნი, რომელსა შინაცა არიან საღალო ბელნიცა სტიხნი.

9. თავადის მამუკა გურამისშვილის ლექსნი, დიახ მცირედნი, მაგრამ ფრიად საქებელნი.

10. თავადი თუმანიშვილის დიმიტრი მდივნის სტიხნი, კარგნი.

11. და სხვათა და სხვათა მესტიხეთა მრავალთა.

176. სტიხნი, ერთი სრული წიგნი, საადამასი (რომელსა ქართველნი სავათნამას უხმობდეს). ესე იყო უამსა მეფისა ირაკლი მეორისასა; მეფის გიორგის ბატონიშვილობაში, საკუთრად საბატონისშვილო ყმა იყო მეფის გიორგისა და იმას ახლდა, მაგრამ ხშირად მეფეს ერეკლესთან იყო, რადგანაც დიახ კარგი საზანდარი (ესე იგი მესაკრავე) სხვათა და სხვათა ინსტრუმენტთა (ესე იგი საკრავთა) უკრევდა და იმღეროდა, ლექსსაც თვთვე სთხზვიდა. იგი იყო სანაინელი, მეფის გიორგის საბატონისშვილოს სოფლისა, საქართველოს სომეხთაგანი. სომხურს და თათრულს სიმღერებსა და ლექსებსაც სთხზვედა სხვათა და სხვათ შემთხვევათ უამსა. თვთოეულის შემთხვეულების შესაბამათ სტიხები სიმღერად საკვირვლად უთქომს აზრიანი და შესაბამიერი; თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვაჩჩედ, მაგრამ დიდად მოსაწონი.

177. სტიხნი, კატისა და თაგვთა ბრძოლა, თქმული ბერისა ვისგანმე ისაკ მცირისა, რომელიცა მეფის თეიმურაზ მეორის უამს ყოფილა. ესე ოდენ შშვენიერად უთქვამს ეს ლექსნი, რომელ ყოველთა საქართველოს პირველთ მესტიხეთ დიდად მოსწონთ და უკვირსთ.

წიგნი ლექსიკონი და ენის სასწავლებელნი საუბრონი

178. ლექსიკონი, სრული და ვრცელი, თავადის სულხან საბა ორბელიანის მიერ შექრებილი დიდის ღვაწლით, რომელსა მეფის გიორგის პირმშომან ძემან დავით შემატნა მრავალნი ლექსნი საზოგადოდ ქართველთა წერილთაგან და ერთა შორის მოპოვებითა.

179. ლექსიკონი, საბა ორბელიანოვისავე, სრული.

180. ლექსიკონი, აზნაურისა პეტრე ეგრელ ლარაძისაგან, ქართველთა სტიხოორთობისა — პიიტიკოსისაგან, გამოკრებული შემოკლებულად.

181. გამოკრებული რუსული და ქართული ლექსიკონი მოკ-

ლედ, რუსული სიტყვებიც ქართულის ასოებით დაწერილია და საქართველოს მეფის გიორგის ძის იოანეს მიერ გაკეთებული.

182. რაზღოვორი რუსული და ქართული, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის მდივან მსაჯულისა სოლომონის მიერ რუსული ქართულად ნათარგმნი.

183. თკთ-მასწავლებელი რუსული და ქართული. [ი]ნასტ-რანი კოლეგიის პერეოდჩიქისა გოდერძი Փირალოვის მიერ ქმნილი.

შიგნი სჭულთანი და სამართლის შიგნი

184. საქართველოს სამართლის შიგნი, შედგენილ არს ქვემო-რე ამისსა აღწერილთა სჭულთა მიერ:

ა შიგნი (ანუ პირველი ნაწილი)-მოსეს სჭულთაგან გამოკრებული არიან.

ბ ნაწილი-ბერძული სჭულები.

გ ნაწილი-სჭულის დებანი, სრულიად ივერიისა (ესე იგი ყოვლისა ზემოხსა და ქვემოხსა საქართველოხს) მპყრობელისა დილებულისა მეფისა გიორგი მეექვსისა მანათობელად ანუ განმაბრწყინვალებელად ზედ სახელდებულის და სჭულის მდებლისა დავითიან ბაგრატოვანისა.

დ ნაწილი-სრულიად საქართველოს კათოლიკოსის მალაქიასი.

ე ნაწილი-აღბუყა მესხთა მთავრისა, ესე იგი სამცხის თავადისა ათაბაგისა. (ძველთა დროთა შინა, მეფეთა მიერ სრულიად საქართველოხსათა ათაბაგთა სამცხისა, ესე იგი ახალციხისა და სრულიად სამზღვართა მისთა მთავარსა, თუმცა უპირველესი სპასეტობისა, ესე იგი ფელდმარშლობის სახელო პქონიათ მინიჭებული, მაგრამ მსაჯულთ უხუცესნიცა იგინივე ყოფილან მეფეთა კარისანი).

ვ ნაწილი-სომხური პსჭულები.

% ნაწილი-ვახტანგ მეექვსისა ქართლისა მეფის პსჭულები, რომელიცა ქმნა თვესსა ბატონიშვილობაში. შეკრიბა ერთად პსჭულნი ქართულნი, ერთ ნაწილად გააკეთა უამსა მას, ოდეს იყო იგი მსაჯულთ უხუცესი და განმგებელი ქართლისა სამეფოსა.

ამა ზემო აღწერილთა შედ ნაწილედთა სჭულთაგან, შედრგინებულ არს პსჭული საქართველოხსა, რომელსა ქართველი სამართლის შიგნს უხმობენ.

რუსული პსკულები

185. ულოფენიე, პსჯულნი, სრულიად როსიისა მპყრობელისა ალექსი მიხაილიჩისა, თარგმნილი ქართულად რუსულისაგან, დროსა პეტრე პირველისა იმპერატორისასა, ტფილისელი იოსებ ყოფილისა, რომელიცა პირველად ყოფილა სომხეთა სარწმუნოებისა და თვთ პეტრე პირველს მოუნათლავს ბერძენ როსიისა მართლმადიდებელსა სარწმუნოებასა ზედა, სახელუდვეს ლევ-პეტრონიად. განუწესების იგი თვისსა [ი]ნასტრანი (!) კოლეგიასა შინა, პერეოდჩიკად ქართულისა ენისა (ესე იგი მთარგმნელად). კარგად განვითარებული კაცი ყოფილა და ვახტანგ მეექვსის ქართლის მეფის ძესა ბატონს ბაქარს, როდისაც მოსკოვში ბრძანებულა, უბრძანებია ამა ლევ-პეტრესათვის (ლევ პეტროიჩი იყო და ლევ-პეტრეს თურმე ეძახდნენ) და უთარგმნინებია რუსულიდამ ქართულად ეს წიგნი, ულოფენიე, სრულიად.

186. უჩრავდენიე გუბერნიი, რუსულიდამ ნათარგმნი ქართულად კოლეგიის პერეოდჩიკისა, (ესე იგი კოლეგიის მთარგმნელისა), გოდერძი ფირალოვისაგან.

187. გუბერცი გრამმატია, თარგმნილი რუსულით ქართულად და აღბეჭდულიცა სტამბით, მისვე, გოდერძი ფირალოვისაგან.

188. რუსეთისა სამმართებლოთათვს და სამსაჯულოთა ადგილთა და სჯულთათვს მოკლედ უწყება, ქმნილი სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

189. პსჯულნი სპარსულნი, შიათა სარწმუნოებისათა კანონი, რელიგიისა მათისანი და სამართლის განბრჭობანი, რომელსა ეწოდების ჯამი-აბასი (ესე იგი შაპაბაზის მიერ შეკრებული), თარგმნილი სპარსულისაგან, უამსა შაპ აბას პირველისა სპარსთა მპყრობელისასა, ენასა ზედა ქართულსა ფარსადანის მიერ გორგიჯანის ძისა, რომელიცა ყოფილ არს ქართლისა ქალაქისა გორითგან და მახმედიანთ პსჯულზე მიქცეული ყოფილა და ამისთვის შააბაზ ყენისაგან პატივცემული ყოფილა. სახელოდ ნაიბ ეშქალაზობა უბოძებია, (რომელ არს ბოქოულთ ხუცობა) და როდისაც როსტომ ქართლის მეფ ჯერ ისპაანში ბეგლარბეგად მჯდარა, იმას ამ ფარსადანისათვს ისპაანის ტარულაობა უბოძებია, (ტარულაობა ობერპოლიცმეისტრობის სახელო არის). ესე მოპმედიანთ პსჯულის-კანონი მისგან არის ნათარგმნი და მისგანვე აღწერილი.



190. განწესებათათვის სამშართებელთა, მეფის ძის დავითოს ქადაგის გენერალური ქმნილი.

191. წიგნი მონტესკუ, საზოგადოდ არსებათათვს სჭულთა, (ფრიად ჩინებულთა წიგნთაგანი), და ყოველთა სხვათა და სხვათა გვართა მმართებლობათა, ქმნილი ფრანციულსა ენასა ზედა ბრძნისა მონტესკუს მიერ, ხოლო თარგმნილი ქართულად რუსულისაგან ენისა სრულიად საქართველოს მეფის გიორგის პირმშოს ძის, რუსეთის ღენერალ ლეიტენანტისა, სენატორისა და კავალერისა დავითის მიერ, რომლისაცა თარგმანება სთხოვა ძმამან მათმან, მათმან უგანათლებულესობამან და კავალერმან, მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ. ხოლო პატივისცემისათვს მისისა, უთარგმნა ფრიად კარგს ენაზედ, უცხოს თხზულებითა სრულიად. საუკუნოდცა არს ხსენება მისი, რამეთუ იყო იგი მემშურნე მამულისათვს.

წიგნი სამხედრონი და საარტილერიონი და
სამხედროთა ჰსჯულთა და განწესებათანი

192. წიგნი არტიკულინი, პეტრე პირველისა იმპერატორისა, სამხედროსა ჰსჯულისანი, აღრევე ქართულს ენაზედ ნათარგმნი რუსულით.

193. კვალად სხვა წიგნი პეტრე პირველისავე, არტიკულინი სამხედროისა, აღრევე ქართულს ენაზედ თარგმნილი რუსულით.

194. ტაკტიკა მანერვი (!) მხედრობისა, შემოქლებული, თვისი ქარტინებით და პლანებით, ფრანციულიდამ თარგმნილი საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

195. მხედრობის დარიგება, ნიაპოლეონ ფრანციის იმპერატორის მიერ, ოდეს მხედრობანი განემზადებოდნენ ბრძოლად მტერთა მიმართ, თუ ვითარ განემზადნენ ანუ ვითარ მოიქცნენ და ვითარ თანა აცს მხედართ მძღვანთა დარიგება მხედრობისა და მიმოქცევა მტერთა მიმართ ბრძოლისა, თარგმნილი რუსულისაგან მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

196. რომაულნი სამხედრონი ჰსჯულნი, შემოქლებით თარგმნილი ლათინურისაგან მის მიერვე, მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან.

197. ფრანციულნი ჰსჯულნი სამხედროთაგანთა შემციდეთა გარდახდევინებისა, შემოქლებით ფრანციულიდამ ქართულად ნათარგმნი მისვე, მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან.

198. არტილერიის წიგნი, ხელოვნება მისი და ზარბაზნის ჩამოსხმანი, რუსულისაგან ნათარგმნი სრულიად საქართველოს



მეფის გიორგის პირშოს ძის დავითის მიერ, უამსა საქართველოს მთავრობისა და მინისტრის მიერ (უამსა საქართველოს მთავრობისა და მინისტრის მიერ), რომელიცა უთარებენა მმა თვესსა შეფის გიორგის ძეს იოანეს, ვინახდგან მეფის ძე იოანე პაპისა თვესისაცა უამსა შინა იყო სამსახურსა შინა არტილერიისასა და მამისა თვესისა მეფის გიორგის უამსა სრულიად საქართველოსა მოძრავნიცა და ციხეთაცა არტილერიანი მას ებარა, ვინახდგან იყო იგი ფელციხ მეისტარი სრულიად საქართველოს არტილერია.

199. მცირე წიგნი, პრაკტიკა არტილერიისა მანერვათა და სხვათა და სხვათა საგანთა და სახმართათვს მისთა, ქმნილი შემოქლებით მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

წიგნი საგეომეტრიო და გეოგრაფული ნი

200. არისმეტიკულთა და გეომეტრიულთა პროპორციათათვს პროგრესისა და რომელთამც კანონთათვს საგეომეტრიოთა, ქმნილი მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

201. გეოგრაფია მოკლედ, რუსულისაგან მეფის გიორგის ძის დავითის მიერ ქართულად თარგმნილი.

202. წიგნი, რომელსა ეწოდების აიათი, სპარსულისაგან თარგმნილი ქართლის მეფისა ვახტანგ მეექვსის მიერ და სტამბაში ტფილისს აღბეჭდილი. ამა წიგნსა შინა არიან რომელნიმე გეომეტრიულნი და რომელნიმე გეოგრაფიულნიცა შემეცნებანი.

კუალალ რომელნიმე წიგნი, რომელნიცა
ზემორე ვერა მოვიხსენეთ

203. მექოლოდია, შემოქლებით რუსულისაგან თარგმნილი და ანბანზედ დაწყობილი მეფის გიორგის ძის დავითის მიერ.

204. ინდოთა ბრაჟამანთა სარწმუნოება (ანუ ღმრთის-მეტყველება მათი) ანგლიული პატერ ბუშესაგან მიწერილი ავრაშანის მონასტრის ეპისკოპოსსა თანა, რუსულისაგან თარგმნილი ქართულად მისვე, საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითისაგან.

205. ლეიბნიციოს და კლარქ ფილოსოფოსთა მიერ წიგნი მიწერილი ურთიერთისა მიმართ ფილოსოფოსურთა განსჯათათვს, თარგმნილი ფრანცუფულისაგან მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის ილიას მიერ.

206. რომელნიმე ვოლტერის თხზულებათაგან სხვათა და სხვათა ფრანცუფულისაგან და რუსულისა სხვათა და სხვათაგან ქართველთ ავტორთაგან ქართულად თარგმნილი.



207. მცირე ენციკლოპედიად სახელდებული წიგნი, რომელიც სა შინაცა არიან ზეთ სწავლულებანი უმეტეს, თარგმნილი რუსულისაგან ენისა ქართულსა ზედა ნასტრანნი (!) კოლეგიის პერეოდჩიკისა ჩინოვნიკისა იეგორ მაკარიჩისა ჩუგუნევისაგან.

208. ბარათნი სამიჯნურონი, (ესე იგი მიმოწერანი სატრფიალონი საყვარლისა საყვარლისა მიმართ). ათორმეტნი მიწერილობა და ათორმეტნი პასუხნი მისნი ქართულზედ ფრიადისა ენამზეობითა და რუსულადცა ნათარგმნი და აღბეჭდილი წელსა 1804-სა. ოდეს მეფის გიორგის პირმშო ძე დავით მოიწია სანკტ-პეტერბურგს საქართველომათ, მას უამსა რუსულად ათარგმნინა, მაგრამ ქართულად უკეთ არის. და ეს ბარათნი, (ესე იგი პერეპისკანი), მუნევ საქართველოსა ყოფა შინა თვესა შესთხზა მეფის ძემან დავით.

209. შემოკლებით მოთხრობა კერპისათვს არმაზ შოტტასა, რომელსაცა კერპთ-მსახურებასა შინა თაყვანისსცემდეს ერნი საქართველომასანი და ხანდოდეს უპირველესს ღმერთად. ვინა იყო იგი და თუ რად ხადიდენ მას. პოვნილი ძველთა წერილებთა შორის და გამოწერილი სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ.

210. წიგნი სამზვარეულოსი, საჭმელთა სხვათა და სხვათა შეზავება და ტკბილთა იყიდერთა სასმელთა (ესე იგი ნალივკათა) შეზავებისა და გაკეთებისა და მურაბბათა გაკეთებისა იკონომიისათვს სახლისა, ქმნილი მეფის გიორგის ძის ბაგრატის მიერ.

211. ვეფხის ტყაოსნის სტიქებისა რომელთამე ლექსების განმარტება, მეფის ძის თეიმურაზის მიერ.

212. ამბანნი ყრმათათვს სასწავლებლად სხვა და სხვანი, აღბეჭდულნი ტფილისს და აქა.

სრულ იქმნა წელსა ქრისტესით 1835-სა,
ქართულს ქართულს ქართულს ქართულს ქართულს
მეტისა მოქცევისასა, თვესა
ოკდობერსა 21-სა, პეტერბურგის.

В რედაქციის

წიგნი საღმრთონი ქართულისა ენისანი და საერონი, რომელნიცა იპოვებიან მათის უგანათლებულესობის მეფის ძის თე-

¹ Ал. Цагарели, Сведения, т. 1, вып. III, СПБ, 1894, стр. 149—186.

იმურაშ გიორგის ძის წიგნთა საცავსა შინა—შემდგომსა ამას ნა რიცხვისა წიგნაკა აღირიცხვის.

ს ა ღ მ რ თ ი ს - მ ე ტ ყ ვ ე ლ თ წ ი გ ნ ნ ი

1. დამასკელი, ერთ-წიგნად, ღმრთის მეტყველება სრული, მარტივი და განგებულებითი წმიდისა ითანე დამასკელისა, ბერძულიდამ წმიდათ მთარგმნელთ ქართველთ მამათაგან ძევლად ნათარგმანი, და სახელი არ არის ცხადი—თუ ვისგან ითარგმნა.

2. ღოღმატიკა ღმრთის-მეტყველება ითანე დამასკელისა, წმიდისა ბის მამისა მიერ ქმნილი, ტომი მეორე. დიახ ვრცლად განგებულებისათვის საღმრთოსა, სიტყვის საგებელად ერთბუნებიანთა იყობიანთა, რომელსა შინა მოიხსენებიან მრავალნი სიტყვისგებანი, სხვათა და სხვათა მამათაგან თქმულნი დოღმატნი, თარგმნილი ძევლადვე ჩვენ ქართველთ წმიდათ მამათაგან მთარგმნელთა—არსენი ნინო-წმიდელ ეპისკოპოსისაგან და ითანე გრძელისა. ამასვე შინა მოიხსენების წმიდისა მეოთხისა მსოფლიოსა კრებისათვის ვრცელად, და სარკინოზთა—თუ ვითარ ჯერ არს მართლმადიდებელსა სარწმუნოებასა ზედა მოქცევა, წესი მისი ამასვე შინა არს. არცა ერთი წიგნი ქართულისა ენისა არა მიხილავს ესრეთ მშვენიერ სიტყვაობით და წესიერის თხზვითა, ვითარუა წიგნი ესე არს შეთხზული, ყოველთა მსმენელთათვის ამა წიგნისათა არს ფრიაჲ განსაკვირვო, და მე ეგრე ვგონებ, უკეთუ გულისხმის ყოფით წარიკითხავს მწვალებელი ივი სწავლული, რომელთა მიმართცა არს სიტყვისაგებაჲ, ესე, შეუძლებელ არს მოქცევად მისი. აღარ შეიძლება უმეტეს სიტყვიერებასა შინა მოყვანად მტკიცე დამტკიცებაებათა მისთაგან უაღრესი და უგანმვენებულესი (მეფის] ძე] თეიმურაზ).

3. წიგნი მაღალი და ღრმა ღმრთის-მეტყველება დიონისიოს ორიოპაგელისა, პირველი ტომი, თარგმნილი ძევლადვე ბერძულიდამ წმიდისა მამისა ჩვენისა ქართველისა მთარგმნელთა მამათაგანისა ეფრემ მცირისა მიერ, და მის მიერვე სხოლიონი, განმარტებული თვითოეულთა თავთა მისთა და განსჯანი მისნი, ფრიადისა სიბრძნითა ქმნულნი.

4. წიგნი ღმრთის-მეტყველება განგებულებითი, ქმნული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ანასტასი პატრიარქისა, ანტიოქელისა, რომელსა ეწოდების წინამძღვარი, ბერძულიდამ ძევლადვე თარგმნილი ჩვენ ჭმ. ქართველთ მთარგმნელთ მამათაგან.



5. განმარტება აპოკალიფსისა წმიდისა ანდრია კესარების დუკიისა არხიეპისკოპოსის მიერ, ბერძულიდამ თარგმნული ძველადვე.

6. სიმოვლო (სიმვოლო) ანუ კატეხიზი, წიგნი აღსარება სარწმუნოებისა, თარგმნილი ბერძულით ძველადვე წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ქართველისა მთარგმნელთა მამათაგანისა და მნათობისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა შინა არიან. შემდგომნი ესე სიმოვლონი:

1. წმიდისა დიდისა ათანასი ალექსანდრიელისა; 2. წმიდისა ფოტი კონსტანტინებოლელ პატრიარქისა; 3. წმიდისა გრიგორი ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინობოლელ პატრიარქისა; ნანძიანძელისა—გამოჩინებითა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთის მეტყველისათა, რადცა ეუწყა მის მიერ—იგი აღწერა; 4. მიხაელ სვინკელისა, იერუსალიმელისა, სარწმუნოების წარმოთქმა; 5. მოხსენება ყოველთა მსოფლიოთა კრებათა და ეგრეთვე ყოველთათვის ოვითოვეულად სახოგადოთა კრებათათვის შემოკლებულად, უწყებანი დაწყებიდგან საღმრთოთა მოციქულთა კრებისა; 6. მასვე წიგნსა შინა—სიტყვა წმიდისა ათანასი დიდისა, ალექსანდრიელისაგან, თქმული ქალწულებისათვის.

7. წიგნი კატეხიზმოს—მჩქარების განმარტება. სრული და ვრცელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოზისა, ანტონ პირველისა, რადცა თანა აცსო მართლმადიდებელთა აღსარებად ანუ სარწმუნოებისა სათნოებისა პყრობად, მასვე შინა მოუთხრობს წმიდათათვის კრებათა და სიტყვის უგებს მწვალებელთა.

8. შემოკლებული აღსარება მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისა, ქმნული საქართველოს პირმშოს მეფის გიორგის ძის-დავითისა მიერ რომელიცა მიართვა მამასა თვისა მეფესა გიორგის, რომელიცა ყოველთა მეცნიერთა და ღმრთის-მეტყველთა, სამღვდელოთა და საერთა, სრულიად საქართველომასათა მიიღეა. დიდისა კმაყოფილებითა.

9. კატეხიზი შემოკლებული, ქმნილი პირველ ყოვლისა, პროთოიერიდ ნიკოლაოზ მიხაილოვისაგან, რომელიცა იყო მოძღვარი თფილისის საკეთილშობილოს სასწავლებელისა, სწავლული ქართულს ენასა ზედა საღმრთისმეტყველოსა და საფილოსოფოსა ხელოვნებითა, და აწ არს არხიმანდრიტი მრავალმოსის ნათ-

ლის მცემლის მონასტრისა, რომელ არს უდაბნო, და არხიმანდრ-
რ[ი]ტობასა შინა ეწოდების სახელი ფეოდოსი.

10. კატებიზმოს სასწავლო ყრმათა, ქმნილი პლატონ მოს-
კოვის მიტროპოლიტისაგან, თარგმნული რუსულისაგან ქართუ-
ლად და აღმოჩეული მღვდელმონაზონისა ტფილისელისა ალექსი-
შვილის ტარასისაგან, რომელიცა იყო მღვდელი მეფის ძის თეი-
მურაზის სახლის ეკლესიისა.

11. აღმოსავლეთის ბერძენთა, როსიისა ეკლესიისა თანა-
დართვითა, გამონაწერისათა საზოგადოსაგან ეპისტოლისა წმი-
ლისა ფოტი, კონსტანტინეპოლელ პატრიარხისა, აღმოსავლეთის
საპატრიარხოთა მიმართ საყდართა მიწერილისა, რუსულისაგან
თარგმნული უცხოს მხრის კოლეგიის სახელოს მქონებელისა,
მთარგმნელისა და კავალერისა, საქართველოსა აზნაურისა, ნიკო-
ლაოზ დავითის ძისა ჩუბინოვისაგან.

12. გამოკრებული რომელთამე საღმრთის მეტყველოთა თავ-
თაგან, ოთხის ტომის საღმრთის-მეტყველოს წიგნთაგან, ქმნილი-
სა კათალიკოსისა ანტონ პირველისაგან.

ს ა ღ მ რ თ თ წ ე რ ი ლ ნ ი

13. ითიქა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ვასილი ღილისა,
კესარია კაბადოვის არხიეპისკოპოსისა, მრავალთა სხვათა და
სხვათა სწავლითა და მოძღვრებითა სავსე; ამასვე წიგნსა შინა-
არიან მრავალთა სხვათა და სხვათა ფსალმუნთა განმარტებანი,
ზენობითად საღმრთოსა სჯულისა და სათნოებათა სწავლანი დი-
დისა ვასილისა მიერ, და გრიგორი ღმრთის-მეტყველისაგან ნან-
ზიანზელისა სიტყვა ნათლისლებისა თვის, და სხვანიცა სიტყვანი,
და განმარტებანი, და სწავლანი; და მისგანვე გრიგორი ღმრთის-
მეტყველისაგან ნანძიანძელისა აღწერილი ცხოვრება ვასილი დი-
დისა; და წმიდისა და საკვირველომოქმედისა გრიგოლი, ნეკე-
სარიელისა არხიეპისკოპოსისა, ცხოვრება აღწერილი წმიდისა და
ღმერთშემოსილისა გრიგოლი ნოსელისაგან აღწერილი, დიდის
ვასილის ძმისაგან; და სხვანი მრავალნი წმიდათა მამათა წერილ-
თაგან არიან შემოტანილი; კვალად დიდისა ვასილის მიერ არს აღ-
წერილი მელქისედეკის გამოჩინებისათვის, და თუ რისათვის უმა-
მო და უდედოდ იწოდა იგი. ესე წიგნი, საითიქო არს თარგმ-
ნილი წმიდისა მამისა ჩვენისა ქართველისა მთარგმნელთაგანისა,
სრულიად საქართველოს მნათობისა, ეფთვიმე მთაწმიდელისა,
ძისა წმიდისა და ღირსისა მამისა და მთარგმნელისა ითანე ქართ-

ველთა სიქადულისა. ძველადვე თარგმნული. წიგნი ექვსთა განმარტება; ხოლო „კაცისათვის“ გრიგორი ნოსელისაგან არის განმარტებული, ძმისა მისისაგან, ფრიად საქებელად, და ქართულს ენაზედ არის ნათარგმნი წმიდისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისაგან, ქართველთა მთარგმნელისა. დიახ საკვირველად უცხოთ შეწყობილი. ესე არს მონისკრიპტი (მანუსკრიპტი) ხუცურად აღწერილი არქიერის ამბროსი ნეკრესლისაგან, კაცისა ხელოვანისა.

14. წიგნი კლემაქსი, რომელ არს კიბე სათნოებათა, ოცდაათთა მათ რიცხვით ხარისხთა სათნოებისათა, იოანე სინელისაგან ქმნულთა, ბერძულისაგან თარგმნული წმიდისა მისვე მამისა ეფთვიმი მთარგმნელისაგან ქართველთასა. ესე არს მონისკრიპტი ნიკოლაოზ სიონის პროთოიერეისაგან აღწერილი საკვირველის მშვენიერის ხელით.

15. სტიხი, წმიდათა მამათაგან თქმულნი, საღმრთონი.

16. კლემაქსი ოცდაათ კიბისა ხარისხადვე, იოანე ფილოსოფისისა, პეტრიშად ზედ-სახელდებულისაგან, ქართველთა მთარგმნელისა, სტიხებად, იამბად, თქმულნი. დიახ მშვენიერად და ლაკონიკით აკროსტიხურებით, ურითმოდ. პეტრე, ბაკურ მეფის ძისა მიერ თარგმნილ არს ქართულზედ (?).

17. სტიხი გრიგორი ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინეპოლის პატრიარქისა, ნანზიანზელისა, იამბიკონი, არს მუხლებად; თვითოეული მუხლი (ესე იგი თვითოეული სტატია ანუ ლექსი) ხუთ ხუთნი ტაქპნი არიან, რომელსა შინაც არიან სწავლანი წარმართთა მიმართ, რომლისაგან განაყენნა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან, ზედწარწერილი თვით მისვე, ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან.

18. კვალად სტიხი გრიგორი ღმრთის-მეტყველისავე ნანძიანელისა განუზომელთაგან სიტყვანი, იამბიკოდ, და იოანიკ მონაზონისა, ძველად ბერძულიდამ ჩვენთა მთარგმნელთაგან ნათარგმანები.

19. პროლოგია იოანე ფილოსოფოსისავე, ქართველთა მთარგმნელისა და თვით ბუნებით ქართველისა, პეტრიშისა. იამბი ლექსნი ყოველთა წმიდათათვის თვითოეულთა დღეთა წლისათა, რომელსაცა დღესა, რომელთა წმიდათა მოვალს, მათი შესხმა, ღვაწლი წამებისანი, სასწაულნი და ცხოვრებანი მათნი მოკლედ, ლაკონიკურად, გამოყვანილი, მათ შორის საკვირველის მესტიხეობითისა ხელოვნებითა, მაგრამ იოანე პეტრიშსა უწყია სეკლემბისა

რის თთვის პირველიდგან: 1. სეკციები, 2. ოკლომბერი. 3. ნორმების ბერი, 4. დეკემბერი და 5. იანვარი. მხოლოდ ამ ხუთის თვისა და უწერია, და სხვა კი დაუგდია ანუ დარჩომია, და ვეღარ შეუსრულებია, თუ დაკარგულა,—ესე არა ვუწყით. შემდგომად მისია რაოდენობამე უამთა არსენი, სრულიად საქართველოს კათოლიკოსა, ბულმაისის ძესა, უხილავს პროლოგია ესე, და მას ნეტორსა წმიდასა კათოლიკოსა, და უნეტარესსა პატრიარქსა და მწყემსმთავარსა ჩვენსა, ოთხის თვისა შეუმატებია: 6. თებერვლისა, 7. მარტისა, 8. აპრილისა, 9. მაისისა, და დიახ საკვირველათაც უთქომს —პეტრიშისავე ლექსთა გვარზედა; დარჩომილა სამის თვისა, თუ თვით ნებსით დაუტევებია, ღმერთმან იცის ესე. ქრისტესით მეათ-ჩვიდმეტეს (?) საუკუნეში მყოფსა, სრულიად საქართველოს კათოლიკოსს პატრიარქს ანტონისა პირველისა დროსა შინა, და მეფობასა სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ღიდებულისა და ყოვლად უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისასა, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მპყრობელისა, მეფის თეიმურაზის ძისათა, უნახავს პროლოგია ესე კათალიკოსა რა ანტონის,—სამის თვისა მას შეუსრულებია: 10. ივნისისა, 11. ივლისისა და 12. აგვისტოსსა, დიახ მშვენიერად, მათისავე მიბაძვითა, იამბადუთქვამს და შეუსრულებია მას პროლოგია ესე.

20. წამებანი და სწავლანი წმიდისა დედოფლისა ქეთევანისა ჭართლისა და კახეთისა და სხვათა, მეფის თეიმურაზ პირველის დედისა, აშოტან მჟერანის ბატონის ასულისა, რომელი ეწამა ქრისტეს საჩშმუნოებისათვის და სამეფოთათვის თვისთა შააბაზის მიერ პირველისა, ქალაქსა შინა შირაზისა,—სტიხად თქმულნი სრულიად წამებანი და ღვაწლნი მისნი—ძისა მისისა, მეფის თეიმურაზის მიერ, ფრიად შვენიერად.

21. სხვათა და სხვათა მიერ ავქსონთაგან თქმულნი სტიხი საღმრთონი, ძველთა და ახალთა მწერალთაგან და წმიდისა ამფილოქესი იამბიკონი სელევკოსის მიმართ.

22. სტიხი, სრულიად იამბად და აკროსტიხურად თქმულნი, რომელსა ეწოდების წყობილ-სიტყვაობა ანტონის მიერ. სრულიად საქართველოს კათოლიკოზისა (ზემო მოხსენებულისა ანტონი პირველისა): პირველად საღმრთო ღმრთის-მეტყველება, ქება და ღიდება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა, და საკუთრად სრულიად თვითონეულთა ქართველთა წმიდათა,—წმიდათა მეფეთა, მოწამეთა, ღირსხთა მამათა და ყოველთა სულითა განშვენებულთა ღირს-სახსოვართა მეფეთა, დედოფალ-



თა, მთავართა, თავადთა გინა აზნაურთა, სამღვდელოთა და მთავართა როთა, ბრძენთა, ფილოსოფოსთა, სიბრძნის მოყვარეთა, გძირთა და ერთგულთა მამულისათა, უმეტეს ქებანი, შესხმანი და შვენიერ სიტყვაობათა გამოჩინებანი ღირსახსოვართა საქმეთა მათ-თანი.

23. წიგნი—სარკეთქმული, სტიხებად, რომელსა შინაცა მოიხსენებიან მრავალნი საღმრთის-მეტყველონი სიტყვანი და საუფლოთა დღესასწაულთა და წმიდათანი, ანგანთ ქებანი და სხვა და სხვა გვარნი ლექსი მრავალნი ამას წიგნსა შინა, და საერონიცა, ქართულნი ზნეობანი და სალალობელნი, ქმნილი სრულიად საქართველოს მეფისა თეიმურაზ მეორისა მიერ, სახელად „სარკეთქმული“ დაურქმევია.

24. გალობა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, რვულს ლექსად, რიცმით, რომელთაცა თვითონეულნი სტიხი ამისნი, რომელნიცა არიან ოთხ-ოთხნი ტაეპნი, რვა-რვა რიცმითა არიან დაბოლოებულნი; ეს არს უცხო ხელოვნებით შეწყობილნი და სინაულის მუხლების გვარზედ ქმნული, რომელსა შორისცა შემოიტანებიან იგავნი ძველისა და ახლისა აღთქმისანი, ადამიისიდგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განხორციელებადმდე, ვნებადმდე, აღდგომად და აღმალებადმდე. ამა ლექსთა სამოცეცლი ეწოდება. იონა ბერის შეკითხვაები.

კვალად საღმრთო წერილი

25. წიგნი—მარგარიტი, გამოკრებულნი სწავლანი იოანე ოქროპირისა, და სხვანი რამენი ცნობანი და მოთხრობანი წიგნსა ამას შინა.

26. სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა, მოთმინებისათვის.

27. მცირე წიგნი, რომელსა ეწოდების სამასეული, რომელსაც სამსნი სწავლანი მოკლედ თქმულნი, უპყრიან თავსა შორის თვისსა. პირველი ასი პუნქტი გრიგორი ღმრთის-მეტყველისა არის ნანზიანზელისა,—მეორე ასი სწავლა ღიდის ვასილისა,—შესამე ასი სწავლა მაქსიმე აღმსარებელისა.

28. წიგნი რომელსა ეწოდების—კლიტე. სწავლანი იოანე ოქროპირისანი სათნოებისათვის, სხვანი და სხვანი. ეკკლესიაში, საქადაგებელნი, ბერძულისაგან ნათარგმნი.

29. კვალად ესრეთივე წიგნი სათნოებათათვის, იოანე ოქროპირისა, რომელსა ეწოდების—ოქროს წყარო. ბერძულისაგან ნათარგმნი.

30. სიტყვა ამაღლებისათვის ღმრთისა, თქმული ითანე აკადემიური განათლებისა, ბერძულისაგან ნათარგმნი.

31. მე-50-ს ფსალმუნის თარგმანი—მიწყალესი,—ათანასი-სგან, კირილესგან, ალექსანდრიის პატრიარქთა, და ევსუქი, კონ-სტანტინეპოლელ პატრიარქისაგან, ბერძულისაგან თარგმნილი.

32. წიგნი—მანანა, ორმეოცნი შესხმანი ღმრთის-მშობელისა, ჯვარისა და სხვათა წმიდათა, ქმნული მღვდელ-მონაზონისა მრა-ვალმეთის ნათლის მცემელის უდაბნოება გაბრიელ მცირისაგან..

33. საგალობელი, მრთელი კანონი, თქმული სრულიად დი-დებულისა ივერიის (რომელ არს სრულიად საქართველო) თვით-მშენებელისა, მეფისა წმიდისა დავით მესამისა, დავითიან ბაგრა-ტიონისა, აღმაშენებელისა, რომელი არს სინანულის მუხლებად საკვირველის ხელოვნებით თქმული; და ამას თანავე შესხმა, რო-მელიცა მიართვა მეფესა წმიდამან და ფილოსოფოსმან, მოძღვარ-მან და აღმშრდელმან მისმან, ღირსმან მამამან და მთარგმნელმან. არსენი იყალთოელმან, ხოლო გალობა იგი სინანულისა არს თქმუ-ლი მეფისაგან მეშვიდესა ხმასა ზედა სძლის პირისასა (წამის ყო-ფითა, ღმერთო), და თვითოეულსა მუხლსა ზედა ითქმის: მიწყა-ლე მე, ღმერთო, მოიწყალე (!) მე.

34. შვიდეულის დღეთა ლოცვანი, თქმულნი სრულიად საქარ-თველოს მეფისა თეიმურაზ მეორისა მიერ, თქმულნი ლოცვანი სინანულისანი საკვირველს მშვენიერს თხუზულებითა ღმრთისა მიმართ და ღმრთის მშობელსა მიმართ ვეღრებანი და ქებანი, თვი-თო დღისათვის ათვრამეტნი ლოცვანი არიან.

35. შვიდთა მომაკვდინებელთა სულისათა ვნებათათვის და შვიდთა მაღლთა სულისათა წინააღმდეგთა მიმართ ვნებათსა, ხე-თა სახედ გამოხატულნი ესრეთ, რომელ ძირნი თვითოეულთა მათ ხეთანი ძირად ვნებათა მათ ქმნულ არიან, ხოლო რტონი მათ ხე-თანი რტოებად მათ ვნებათა, და რტოთა და ფოთოლთა ზედა მათთა წარწერილ არიან რაულადცა განიყოფიან იგინი; ეგრეთვე მაღლნი სულისანი, წინააღმდეგნი მათნი, ხეებადვე არიან ქმნილ-ნი, და თუ ვითარ დახსნის კეთილი ბოროტთა—თვითოეულად აღ-წერად მათი. ესე არს ქმნული ნიკოლოზ ტფილელისაგან, ორბე-ლიანოვისა.

36. სიტყვა, თქმული საკვირველის ენამზეობით, წმიდისა ამ-ბროსი მედიოლენელ ეპისკოპოზისაგან, შემდგომად მეორმოცესა დღესა დღისა ფეოდოსი ბერძენთა და რომაელთა იმპერატორის



გარდაცვალებაზედ, ძველადვე თარგმნილი ქართველთ მარჯობისა ნელთაგან.

37. ოღარების წიგნი, ანტონი კათოლიკოზისა პირველისა მიერ.

38. ჰეშმარიტინი დამტკიცებანი ისტორიულნი ნამდვილ მყოფობისათვის ქრისტესსა ქვეყანასა ზედა, ქმნილი ირინეოს, ფსკოვის არხიერისა (არხიეპისკოპოსისა), სინოდის ჩლენისაგან, ხოლო ქართულსა ზედა თარგმნული კნიაზ მუხრანცი გრიგორი იოანეს ძისაგან.

39. ღეოლრაფია სამღვდელო, რომელნიცა ადგილნი წმიდა-თა წერილთა შინა სწერიან, აღწერა ვითარებისა მათისა, თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ზედა ენასა, თვისისა ქარტითა, ტარასი მღვდელმონაზონის ალექსიევისაგან, და მხედრულს ხელზე სტამბაში დაბეჭდული.

40. წიგნი ყოველთა მწვალებელთა, თუ რომელი რომელსა შინა საუკუნესა გამოჩნდეს და სადა, ქრისტეს მოსვლისა პირველისა საუკუნითგან ვიდრე აქამოდე, მოხსენებულნი თვითოეულად მოკლედ, ქმნული პლატონის მიერ, ნემცის (ნევსკის) მონასტრის სტუდენტისა, საქართველოს აზნაურთა გვარისა, მღვდლის ეკნატეს ძისა, იოსელიანისაგან.

41. თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ქართველთასა ეფთვიმი, წმ. იოანეს ძისა, მთარგმნელის მიერ, ქართველთა მნათობისა,—რაოდენთამე საკითხავთა წინადადებანი თეოდორეს მიერ, ღირსისა ხუცისა საბა წმიდელისა, რომელსაცა თვითო თვითოდ ჰყითხავს თეოდორე და ეფთვიმი მიუგებს მას პასუხთა.

42. ქადაგებანი საუფლოთა დღესასწაულოანი, ქმნილი ვარლამ მიტროპოლიტისა მიერ, საქართველოს ექზარქოსისა, რომელიცა იყო ქეთევადის ქსნის ერისთავის დავითისა. ესე სიტყვანი განმარტებითურთ სახარებათა, რომელნიცა საუფლოთა მათ დღეთა წარიკითხებიან. თქმულ არინ (!) და აღბეჭდილცა ხუცურად.

43. სიტყვა, თქმული დაფლვასა ზედა ოდესისა ქალაქსა შინა გრიგორი, ახლისა მღვდელ მოწამისა, კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა, იკონომოსისაგან მისივე პატრიარქისა, კონსტანტინეპორთოიერეისა, დიდისა ეკკლესიის მექადაგებელისაგან, თარგმნილი მათის უგანათლებულესობის მეფის ძის თეომურაზის მიერ ქართულად.

44. სტულის-პირი, ანუ სტილის პირი, რომელ არიან ბერძოფულად ირმოსნი, ძველად წმიდათ მამათ ქართველთ მთარგმნელთაგან ნათარგმნი, მონისკრიპტი.

45. სჯულის-კანონი წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა მეექვსისა კრებისა, და ამასთანავე სჯულის-კანონი წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანე მმარხველისა, შხოლასტიკოსისა, კონსტანტინეპოლელ პატრიარხისა. თარგმნილი ბერძულისაგან წმიდათა შორის მამის ჩვენისა ქართველთ მთარგმნელისა ეფოვიმისა, და მესხთა ენასა ზედა ქართულსა არს აღწერილი და ორტოლრაფიაცა წერილსა ძველებურადა აქვს. (ეს წიგნი აკადემია ნაუკისაა, იპოვა (?)) სანქტპეტერბურგს, ძველი. ეტრატზე დაწერილი ხუცურის ხელით მგრვლოვანის ხელწერილზე, და რაც ფურცელი დაჰკლებოდა, სხვაგანა ვპოვეთ, და მით სრულ ვყვენით).

ურიათა და მოჰმედიანთა მიმართ სიტყვისგება

46. ურიათა მიმართ სიტყვის-საგებელი, სამოელ რაბბინისა, ურიათა მოძღვრისა მიერ, მარყანელისა. გულის ზრახვანი და ყოველთა წმიდათა წინასწარმეტყველთა მოსწავებითა დამტკიცება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,—იგი იყო კეშმარიტი ღმერთი და მხსნელი ჩვენი, რომელიცა მოვიდა და არღარა ჯერ არს მოლოდებად სხვისა, რამეთუ მოსრული იგი არს ჭაბუკი ძე ღმრთისა და მხსნელი ჩვენი. ამა წიგნსა ეწოდება—ოქროს ანაქვესი: თარგმნილ არს ქართულსა ზედა ენასა რუსულისაგან ვარღამის მიერ, ქართველთა თავადთავისა, ქსნის ერისთავის ძისა, რომელიცა იქმნა შემდგომად მიტროპოლიტი და ექზარხი საქართველოსა.

47. წიგნი სიტყვის-საგებელი მაპმადიანთა მიმართ—8-საფსალმუნის განმარტება: აღმოჩინება აგარიანთა და ისმაიტელთა ზედა წინასწარმეტყველებისა, და მოჰმედის სეკტისა—თუ ვითარიწყო ანუ ვინ იყვნენ მახლობელნი და თანაშემწენი მისნი, და მოჰმედის მოთხოვათა სრულიად დაწვლილებით დარღვევა და გამტყუნება ცრუმორწმუნეობისა მათისა. წიგნი ესე არს ძველათვე ქმნული იოსების მიერ, ვისგანმე ქართველისა ხუცისა და მოძღვრისა, უამსა ღირს სახსოვარისა მეფისა სრულიად ივერიის თვითმშეყრობელისა, ბაგრატ მეოთხისა, დავითიან ბაგრატოვანისა.

48. კვალად წიგნი მცირე, სიტყვის საგებელად მოჰმედიანთა, სხვათა მიერ ავქსონთაგან ქმნული.



49. სიტყვისგება მოპმედიანთა მიმართ, სარკინოსთა, ალექსანდრე ალექსანდრის მიერ, ნეტარისა, ასურეთის ხარანის ეპისკოპოსისა და ფილოსოფოსისა, ფრიადისა გულის ხმის ყოფითა და მახვილ-სიტყვაობითა ძლევა მათზედა, კითხვა მიგებით. ესე იქმნა აზოტეს შინა, რამეთუ სარკინოზთა მიერ უღონოებად მიწევნულთა მიმართ ქრისტეანეთა მიუწოდეს თეოდორიტეს ეპისკოპოსსა, სადა იგი ვითარცა უკანიერესმან, იწყო სარკინოზმან კითხვით.

50. სიტყვისგება მოპმედიანთა მიმართ, ქმნილი იაკობ შემოქმედელისა მიერ, გურიის არხიეპისკოპოსისა, შაირ-სიტყვაობით თქმული, თხოვითა ქართლის მეფის გიორგი მეათორმეტისა, შანაოზის ძისათა.

წიგნი საეკლესიოთა ისტორიათანი, ეკლესიურნი და სამღვდელონი, ცხოვრებანი წმიდათანი

51. სვინაქსარი საწელიწლო, რომელსა შინაცა ყოველთა თვითოვეულთა თვეთა წელიწლისათა, რომელნიცა დღენნი და რაოდენნიცა ალირიცხვიან ყოველთა მათ შინა, თვითოვეულად მოხსენებულთა წმიდათა ცხოვრებანი და მოწამეთა ღვაწლი აღწერილ არიან; თაოგმნილი ძველათვე ჩვენთა ქართველთ წმიდათ მთარგმნელთ მამათაგან.

52. მამათ ცხოვრება და მოწამეთ ღვაწლი, ერთ წიგნად აღწერილი; დიახ ძველი წიგნი, ჩვენთ წმიდათ მამათ ქართველთაგან თარგმნილი ძველადვე ბერძულილამ, რომელსა შინაცა არიან შემდგომნი ესე მოთხრობანი:

1. წმიდისა და დიდისა ღირსისა მამისა სვიმეონ მესვეტისა, ანტიოქელისა. ამის ხსენება სეკდებ. ა.

2. წმიდისა მამანტი, დიდისა მოწამისა, რომელიც არს „მამა“ სახელით. სეკდ. 2.

3. წმიდისა მღვდელ-მოწამისა ანთიმოსი. სეკდ. 3.

4. წმიდისა და ნეტარისა დედისა თეოდორა ალექსანდრიელისა, იოანე, ფილოსოფოსისა ჩვენისა, პეტრიტის მიერ აღწერილი ენა-მზეობით საკირველის მშვენიერებით. სეკდემბ. 11.

5. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა იაკობ სპარსისა. ნოემბრის 27.

6. წამება წმიდათა და დიდთა მოწამეთა ევსტათი, ავქსენტი, ევგენი, ორესტი და მარდარისი. დეკემბ. 13.

7. სიტყვა შობისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა მართვისა და მამისა ჩვენისა იოანე დამასკელისა. დეკემბრ. 25-ს.

8. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩვენისა, გან-შორებულისა, პავლე თებელისა, იანგარს 15.

9. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ღირსისა ქსენეფონი-სი, მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა. იანგარს 26.

10. წამება წმიდისა დიდისა მღვდელ-მოწამისა ხარლამპისი. ფებრ. 10.

11. ცხოვრება ღირსისა ღმერთშემოსილისა ალექსი კაცისა ღმრთისა. მარტს 17.

12. მოქალაქობა წმიდისა პალადისი მონაზონისა, კაცისა მის ღმრთის-მოყვარისა.

13. ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა, განშორებულისა, აბბა მარკოზისა.

14. წიგნი წმიდისა და ნეტარისა ანდრია სალოსისა კონსტანტინეპოლელისა, საკვირველი ცხოვრებანი და მოთხრობანი მისნი, და მრავალნი რამე მოთხრობანი მომავალთათვის უამთა.

53. მამათ ცხოვრება და წმიდათა; მხედრულად აღწერილი:

1. ცხოვრება წმიდისა ალექსი კაცისა ღმრთისა.

2. ცხოვრება იოანე, ნეფსით გლახაჟ ქმნილისა სათნოები-სათვის.

3. ცხოვრება წმიდისა ღირსისა ქსენეფონტესი.

4. ცხოვრება ონოფრე განშორებულისა, წმიდის და ღმერთშემოსილისა მამისა. ივნისს 12.

5. ცხოვრება წმიდისა მარკოზ განშორებულისა.

6. ცხოვრება წმიდისა კანონიკა ქალწულისა.

7. ცხოვრება წმიდისა ნისიმა ქალწულისა.

8. ცხოვრება სულიერი სათნოებათა დაფარვისათვის.

9. ცხოვრება სულიერი წმიდისა ღირსისა დიდისა სისოსთ-ვის.

10. ცხოვრება სულიერი დიდისა მეფისა კონსტანტინესთვის.

11. ცხოვრება ღირსისა დედისა მაკრინასი.

12. მასვე წიგნსა შინა წერილ არს ღმრთის-მშობლის მიცვა-ლების მეტაზრასი, აღწერილი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისა, ძევლათვე ნათარგმნი ჩვენ ქართველთ წმი-დათ მთარგმნელთ მამათაგან.

13. წამება წმიდათა ქალწულ მოწამეთა და ღირსთა მოწამე-

თა რიცხვისასი, გაიანასი და მოყვასთა მათთა, რომელიცა რომელიცა დიდებულთა ასულნი და მოიწივნეს რომით სომხითად. უამთა დეკლარიანეს მიერ ქრისტიანეთა დევნულებისასა. და მუნ თრდატ სომეხთა მეფისა მიერ იწამნეს, ქალაქსა სომეხთასა ვალარშაპატს. ესე ჩვენთ წმიდათ ქართველთ მამათაგან აღწერილ არს ძველადვე.

54. კვალად წმიდათა და ლირსთა მამათ ღვაწლნი, წამებანი და ცხოვრებანი, და სიტყვანი და ქადაგებანი:

1. ცხოველს მყოფელისა ჯვარისა ამაღლებისათვის, სიტყვა დიდისა ვასილისა მიერ თქმული. სეკდ. 14.

2. წამება წმიდათა და დიდთა მოწამეთა ევსტატი, პლაკიდა-სი და მეუღლისა და შვილთა მისთა. სეკდ. 20.

3. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა დიმიტრი თესალონიკე-ლისა, სასწაულნი მისნი და შესხმანი მისნი წმიდისა გრიგორი ღმრთის-მეტრეველისა ნანძიანქელისაგან თქმულნი, და კვალად შეს-ხმავე მისი, ვასილ ფილიპელ მთავარეპიკოპოსის მიერ, ლეონ, ბერძნთა იმპერატორისაგან, ბრძნისა, თქმული; ესენი სრულიად ბერძულიდამ წმიდისა ლირსისა მამისა ჩვენისა და მთარგმნელი-სა ეფთვიმეს მიერ არიან თარგმნულნი. ოკდ. 26.

4. წმიდისა და მოციქულთა მოსაყდრისა კლემენტოს, რომ-თა პაპისა და მღვდელ მოწამისა, ცხოვრება, მოქცევა, ღვაწლი და ქადაგებანი; და ამასვე შინა მოხსენებულ არიან ღვაწლნი და ქა-დაგებანი პეტრე მოციქულთა თავისანი. ესენი უკვე მისწერა წმიდამან კლემენტოს წმიდასა და დიდებულსა, ყოვლად ქებულსა მოციქულსა და პირველსა მღვდელთ მთავარსა იერუსალიმისასა, იაკობს, ძმასა უფლისასა. ნოემბრის 25.

5. ამასვე წიგნსა შინა არს წამება წმიდისა ამის კლემენტო-ნისა, რომელიცა აღწერილ არს ფიბეოსის მიერ, მოწაფისა წმიდის კლემენტოსისა.

6. ცხოვრება და მოქალაქობა, აღსარება და ღვაწლნი წამე-ბისანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა სტეფანე ახლისანი. ნოენებრის (!) 28-სა.

7. წამება წმიდისა და დიდებულისა მღვდელ-მოწამისა კლი-მისა, ანკვირიელ ეპისკოპოსისა, და წმიდისა აღათანგელოსისა, საკვირველნი ღვაწლნი და წამებანი მათნი. იანვრის 23.

8. საკითხავი ანუ სიტყვა იოანე ნათლის-მცემლის შობისა, თქმული წმ. იოანე ოქროპირისა.

ჩვენ ქართველთა საზოგადოდ ეკლესიური ნი ისტორიანი

56. ქადაგება და მოქცევა სრულიად საქართველოსა წმიდი-
სა დედისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინას მიერ,
ქართველთა განმანათლებელისა, ქრისტესითვან დასასრულსა ში-
ნა მესამისა საუკუნოსასა, აღწერილი ნამდვილ თანამედროვეთა
მისთაგან, მირიან, სრულიად ივერიის თვით მპყრობელისა, მეფისა
უამსა, რომელიცა მოაქცია წმიდამან ნინა ყოვლით სახლეულო-
ბით და ერით მისითურთ,—უამსა საბერძნეთის თვითმპყრობელო-
ბასა იმპერატორისა, მეოთხის საუკუნისა დასაბამსა შინა, უწინა-
რეს რაოდენისამე წლით პირველისა ნიკიის კრებისასა; ხოლო
ცხოვრებად ესე მისი აღწერა მირიან მეფის პირმშობს ძის მეუღ-
ლისაგან. სალომეს უჯარმის დეოფლისა, და აბიათარ მღვდელი-
საგან, რომელიცა იყო პირველად მღვდელთ-მოძღვარი მცხეოლ-
თა ურიათა და მოიქცა იგი წმიდისა ნინას მიერ, და ქალისაგან,
მოწაფისა წმიდისა ნინოსსა, სიდონიას მიერ, რომელ იყო პირვე-
ლად პალატისა ნანა დედოფლისა და მერმე იქმნა მოწაფე წმი-
დისა ნინოსი; ესე იყო ასული აბიათარ მღვდელისა. მათგან აღი-
წერა ქადაგებანი და საქმენი წმიდისა ნინოსნი და მოქცევა სრუ-
ლიად საქართველოსა. მოთხრობა გამოჩინებისთვის ქრისტეს
სალმრთოსა კვართისა და სვეტისა ცხოველისათვის, რომელიცა
ღვთის განგებულებითა კვართი იგი საუფლო მოტანილ იქმნა
ქრისტეს ჯვარცმის უამსა ქალაქსა შინა სამეფოსა სრულიად საქარ-
თველოსა მცხეთას და მუნ დაფლულ, და მას ზედა აღმოეცენა
კვიპაროზი რამე საკვირველი, რომელიცა მას უამსა საქართვე-
ლოს მოქცევისასა გამოაჩინა წმიდამან ნინო ლოცვითა და ღმრთის
ვეღძრებითა; ხოლო ხე იგი აღმოსრული კვართსა ზედა უფლისასა
მოიკვეთა და გაითალა სვეტად პირველისა საქართველოს კათო-
ლიკე ეკკლესიისა და ხელითა ანგელოზისათა აღიმართა სვეტი იგი,
რომელმანცა ქმნა მრავალნი სასწაულნი,—მკვდართა აღდგინებად,
ბრმათა თვალთა აღხილვად და სხვათა და სხვათა სალმობიერება-
თა და სნეულებათა კურნება. მას ზედა აღუშენა კათედრად სრუ-
ლიად საქართველოს თავისუფალთა კათოლიკოსთა, და პირველად
ყოვლისა ზემოხვა და ქვემოხვა ივერიისა, ესე იგი არს სრულიად
საქართველოსა, იქმნა კათოლიკე ეკკლესიად და მოთხრობადცა

ესე არს აღწერილ მათვე მიერ—სალომე უგარმოს დედოფლისა
საგან და აპიათარ მღვდელისა, თანამედროვეთაგან წმიდისა ნინო
მოციქულთა სწორისა.

57. წიგნი ქართველთ წმიდათ ცხოვრება და ღვაწლი მო-
წამეთა, ძველადვე შეკრებული და აღწერილი დიდისა არსენი
სრულიად ყოვლისა საქართველოს კათალიკოზისა მიერ, წმიდისა
და ღირსისა, და მეცნიერებითა და სწავლითა აღსავსისა; ხოლო
ესე წიგნი ძველივე არს აღწერილი, რომელიცა წიგნთა ამათ რი-
ცხვსა შინა არს, ხოლო წიგნი ესე შეიცავს შემდგომთა ამათ მო-
თხრობათა თვის შორის:

1. მოთხრობა ვრცლად წმიდისა მოციქულისა ნანასთვის და
მოქცევისათვის საქართველოსა,—ცხოვრება, ღვაწლი და ქადა-
გებანი მისნი. იანვრის 14.

2. გამოჩინება საღმრთოსა და საუფლოსა კვართისა ქრის-
ტეს ღმერთისა ჩვენისა და სვეტისა ცხოველისა, და საკვირველთ
მოქმედებანი მისნი; ამასე თანა ჩატანებული, შემოკლებულის
აღწერით, მოთხრობა ეკლესიათათვის საქართველოსათა და მე-
ფეთა. ოფომბრის 1.

3. წმ. ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა იოანე
ზედამნელისა ვრცლად ცხოვრება, რომელი ესე იყო ათორმეტთა
წმიდათა მამათა თავი და წინამძღვარი, რომელნიცა შუამდინარით
ასურეთისად მოიწინეს, საღმრთოთა განგებულებითა და გამო-
ცხადებითა ქრისტესითა, ქვეყნად საქართველოსა, და განიყვნეს
სხვათა და სხვათა ადგილთა, და დაემკვიდრნეს მონასტერთა და
უდაბნოთა, და თუმცა საქართველო მაშინ მოქცეული იყო და
განმტკიცებული ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა, მაგრამ ამათ უმე-
ტესად განამტკიცეს და არა უტევეს, რათმცა შემოვიდა წვალე-
ბა ნესტორ უბადრუკისა საქართველოსა შინა, გინა სხვათა მწვა-
ლებელთა, და რაოდენთამე (!) მათგანთა ჰქადაგეს მთათა შინა
კავკასიისათა, და რომელნიცა, მას უამსა, ოდეს მოიცა საქარ-
თველო დაშორმილ იყვნეს მთათა შინა მრავალნი მოუქცეველად,
მათ მოაცივნეს მათგანნი კნინლა, და სრულიად უქადაგებდეს ერ-
თა, და მრავალთა სასწაულთა აღასრულებდენ, და აშტა წმიდა-
ნი სამარხონი მათნი ჰყოფენ კურნებასა სულთა და ხორცოსა.
ხოლო წმიდანი ესე მოვიდეს საქართველოსა შინა წელსა ქრის-
ტეს მოსვლიდგან 553, რომელ არს ხუთას ორმოცდამეათცამეტე.
მაისს 7.

4. წმიდისა და საკვირველთ მოქმედისა, სრულიად საქართ-



ველოს სასოებისა, ღმერთ შემოსილისა მის მამისა, ამა წმიდანი ათორმეტთაგანისა დავითისა, ვრცლად ცხოვრება [დღეობა] უფლოს ამაღლების დღესასწაულის სწორზე, ხუთშაბათს.

5. წმიდისა და საკვირველთ მოქმედისა შიომ-მღვიმელისა, მათვე ათორმეტთაგანისა, ფრიად მოღვაწისა. ყველიერის ხუთშაბათს.

6. წამებანი და ღვაწლი წმიდათა და დიდთა მთავართა არგვეთისათა, რომელ არს ქვემოსა შინა საქართველოსა, დავით და კონსტანტინესნი, რომელნი იყვნეს ძმანი და ეწამნეს აგარიანთაგან მირვანის მიერ ყრუდას, ნათესავისაგან მოხმედისა, და აწცა გვამი მათნი წმიდანი სხენან ერთსა შინა ლუსკუმასა ვითარცა უხრწნელისა ხორცით, მახლობელად არგვეთისა, გელათის ახლოს, იმერეთს შინა. ხოლო ადგილსა მას ეწოდების მოწამეთა. და არს ეკკლესია მომცრო, მას შინა ასვენიან წმიდანი იგი ნაწილი. ორს ოკდონბერს.

7. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა, საკვირველთ-მოქმედისა. ესე იყო ჩინებულთა თავადთა ძე კახეთით. პირველად ცხოვრებდა იგი დიდისა მოღვაწებითა საქართველოს სხვათა და სხვათა უდაბნოთა, მაგრამ დავით გარესჯის მრავალმთის უდაბნო უფრო საკუთრათ ჰქონდა აღრჩეული და იქ იყოფოდა დაყუდებით, და სთარგმნიდა მრავალთა წიგნთა ბერძულით, რამეთუ იცოდა ბერძული ენად ზედმიწევნით. ხოლო ოდეს მეფეთა და დიდებულთა მის უამისათა და ერთა სუროდათ, რათამცა ჰყვეს იგი კათოლიკოსად სრულიად საქართველოსა, იგი სურვილითა დაყუდებისათა, იღუმალ ივლტოდა და წარვიდა უცხოებად საბერძნეთად და წმიდად იერუსალემად, და დაპყო მუნ დაყუდებით რაოდენიმე უამი. მერმე წარვიდა რომედ და მოილოცნა ყოველსა ადგილსა წმიდანი ადგილი, და მოიქცა თესალონიკედ, და ყოველსა ადგილსა აღსრულებდა საკვირველებათა მრავალთა. ესე იყო უამსა ბასილ მეფისა, ბერძნენთა იმპერატორისა მაკედონელისათა. და აღესრულა რა წმიდაი ესე თესალონიკეს, და სცნა ვასილ კეისარმან, გვამი წმიდისა მის დიდისა პატივითა აღმოიყვანა კოსტანტინეპოლედ და უქმნა მას ეკკლესია მახლობელ ზემოქერძო სოსთენისა, რომანად სახელდებული, და მუნ დასხნა წმიდანი იგი ნაწილი მისნი. ხოლო ცხოვრებად მისი აღიწერა ბასილის ვისმე მიერ მონოზონისა ბერძნენთასა, ბრძანებითა იმპერატორისა ვასილი მაქედონიელისათა, რამეთუ ვასილი იგი მონოზონი იცნობდა სიცოცხ-



ლესა შინა მისა და იცოდა ყოველნი საქმენი სათნოებისა მართვისა და მოწყობისა გარემონტინირებისა და მოწყობისა გარემონტინირებისა შედა ენისა. ამისი დღესასწაული იღესრულების ნოენბერს 19.

58. წიგნი მცირე, მოთხრობა, თუ ვითარ და რომლისა მიზე-ზითა, და ვის მიერითა კვალად შეწევნითა ძველთა შინა საუკუნე-თა აღაშენეს ჩვენთ ქართველთ წმიდათ მამათა მონასტერი ივერი-ისა მთასა შინა ათონისასა, მოდღეინდელად დღემდე პგიეს; შეკ-რებულ არს მოთხრობა ესე სრულიად საქართველოს მეფის გიორ-გის ძის თეიმურაზის მიერ.

59. კვალად სხვად წიგნი საკუთარი, რომელსა შინაცა შეიცავნ ესენი:

1. ცხოვრება წმიდისა მამისა ჩვენისა ქართველთა მნათობისა და თვით ქართველისა ეფთვიმი მთარგმნელისა, წმიდისა და ღირ-სისა მამისა ჩვენისა იოანე მთარგმნელის ძისა, და სხვათა წმიდათა ცხოვრებანი, მოხსენებულნი მას შინა ღირსთა ქართველთა მთარ-გმნელთანი, აღწერილი წმიდისა მამისა ჩვენისა ქართველთა გან-მანათლებელისა, ქართველისა და მთარგმნელისა გიორგი მთაწმინ-დელისა მიერ.

2. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, წმიდისა და ღირსისა მის კაცისა ქართველისა და მთარგმნელისა, აღწერილი მოწაფისა მიერ მისისა, რომელიცა მიუწერა მთით წმიდით ივერიის მონასტრით ანტიოქიად, მთასა საკვირველსა წმიდისა სვიმეონისასა, შეყენე-ბულსა წმიდისა ქართველსავე გიორგის, მოძღვარსა გიორგი მთაწ-მიდელისასა, ვინადღან ეთხოვა მას, შემდგომად მიცვალებისა წმ. გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრებად მისი მოწაფისა მიმართ მისი-სა.

60. კვალად სხვად წიგნი ქართველთ წმიდათ ცხოვრებისანი, რომელსა შინა მოიხსენებიან შემდგომნი ესე მოთხრობანი:

1. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისი ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელ იყო ძეხ სრულიად საქართ-ველოს მეფისა ვარაზბაჟურისა, უამსა ბერძენთა ზედა მეფობისა იმპერატორის მცირის თეოდოსისა; პირველად ამა წმ. პეტრეს ეწოდა მირვან და პირველად მივიდა კონსტანტინეპოლედ და დაპ-ყო მუნ მრავალი უამი წინაშე იმპერატორისა თეოდოსი მცირისა, რომელი ვითარცა ძესა თვისისა პატივსა უყოფდა, ამად იგი ზეცი-ერისა დიდებისა სურვილითა მივიდა იერუსალიმს და მრავალი წელი დაყუდებით იყოფოდა იოანეთურთ, რომელიცა იყო მეგო-

ბარი შისი, და იგიცა წმიდა, და შემდგომად მრავალთა წელი კვეყს იგი ეპისკოპოს მრავლითა იძულებითა მოამმახსა, და მრავალნი სასწაულნი და საკვირველებანი აღასრულა ცოცხალმანცა და შემდგომათცა აღსრულებისა.

2. წამება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა, მღვდელ-მოწამისა, ათორმეტთა მამათაგანისა, მღვდელ-მთავრისა, კახეთის ნეკრესის ქალაქის ეპისკოპოსისა, რომელიცა ჰქადაგებდა მთათა შინა კავკასიისათა და მრავალნი მოაქცივნა დაშოთომილნი კერპთ მსახურებასა შინა, და შემდგომად ეწამა იგი ცეცხლის მსახურთა-გან სპარსთა. ნოემბრის 12-სა.

3. ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა ისე, წილკნელ ეპისკოპოსისა, საკვირველთ მოქმედისა, რომელ ესეცა ჰქადაგებდა მთათა შინა კავკასიისათა და მრავალნი კერპთ მსახურნი მოაქცივნა; ესეცა იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, ასურეთით მოსრულთა. აგვისტოს 18 და დეკემბრის 2.

4. ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოსებ აბგა ალავერდელისა, ათორმეტთაგანისა, საკვირველთ-მოქმედისა. სეკლენბრის 13.

5. ცხოვრება და მოქალაქობა წმ. ნეტარისა მამისა ჩვენისა ანტონი მარტომყოფელისა, ათორმეტთაგანისა, საკვირველთ-მოქმედისა. იანვრის 17 და 19.

6. მარტვილობა და ღვაწლი წმიდისა ღიდისა მოწამისა ევსტატი მცხეთელისა ჩვენ ქართველთასა, რომელიცა ეწამა მცხეთას ცეცხლისმსახურთა სპარსთა მიერ. ივლისს 29-სა.

7. წამება და ღვაწლი წმიდისა ღიდისა მოწამისა რაედენისა, რომელიცა ეწამა სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა წრომს; ხოლო წმიდა გვამი მისი დადებულ არს ნიქოზს, საეპისკოპოსოსა ეკკლესიასა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა. აგვისტოს 8.

8. წამება წმიდისა ღიდისა და დიდებულისა მეფისა არჩილისა, ხოსროიანისა, სრულიად ივერიის თვითმპყრობელისა, რომელი იწამა სპარსთა მიერ, ქვემოსა შინა საქართველოსა, ადგილსა შინა აფხაზეთისასა, და წმიდა გვამი მისი მოტანილ იქმნა დიდის ლიტონიაობითა (!) და დაიდვა კახეთს, ადგილსა ნატკორას. მარტსა 20-სა.

9. წამება წმიდისა და დიდებულისა დედოფლისა შუშანიკისა, რომელიცა იყო ასული საქართველოსა მეფისა, ხოლო მეუღლე მთავრისა რანისა—ვასქენისა, რომელიცა იყო პირველ ქრის-

ტეანე მართლმადიდებელი, და მერე მიიქცა სარწმუნოებასა და კულტურას სპარსთა, ცეცხლის მსახურთასა, და მან აწამა მეუღლე იგი თვისი, დედოფალი, ასული მეფეთა საქართველოსათა. ხოლო შემდგომად აღსრულებისა მისისა, წარვიდა მეფე საქართველოსა და შეიცყრა ვასქენ, დასახა იგი სიკვდილითა და ყოველნი მიმდგომნი მისი, და წარმოიხვნნა პატიოსანნი ნაწილი მის წმიდისანი, და მოიხვნეს თფილის დიდის ლიტონიაობითა, და დასდევს ციხესა მეტეხისასა, დიდსა მას ეკლესიას შინა ყოვლად წმიდისა ღმრთის შპობლისასა, რომელიცა იყო კარის ეკლესია მეფეთა, რამეთუ სასახლე მეფეთა იყო მაშინ ტფილის—ციხე მეტეხისა; და არს მუნ წმიდა გვამი მისი ვიდრე აქამძე და ჰყოფს კურნებათა ურიცხვთა. ოკდონბრის 17, აგვისტოს 28.

10. წამება წმიდისა და ღილისა მოწამისა კოსტანტინე ქართველისა, მთავართაგანისა კახთასა. ნოებრის 10.

11. წამება ღილისა მოწამისა გობრონ-მიხაილისა და მოყვასთა მისთა ქართველთა, რომელიცა ეწამნეს ქართლს, სამესხეთოსა შინა. ნოემბერს 17.

12. წამება წმიდისა და ღვაწლისა მძლისა დედოფლის ქეთევანისა, დედისა სრულიად ქართლისა და კახეთის მეფისა, თეიმურაზ პირველისა, აღწერილი გიორგის მიერ, ხუცეს-მონაზონისა, დოდოს უდაბნოს იერომონახისა, თანამედროვისა მის წმიდისა. სეკდენბერს 13.

13. წამება წმ. და ღილებულისა ქართლის მეფისა ლუარსაბ-მეორისა, რომელ ეწამა შააბაზ პირველისა მიერ, სპარსთა მეფისა.

14. წამება წმიდათა მოწამეთა და ჩინებულთა თავადთა საქართველოსათა: ბიძინა ჩოლოყაშვილისა, შალვა ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა ელიზბარისა, რომელი ეწამნეს სპარსთა მეფის შააბაზ მეორის მიერ.

61. კვალად მოთხრობა გამოჩინებისათვის ქრისტეს კვართისა და სვეტისა ცხოველს-მყოფელისა, და ქადაგება წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინას მიერ, ძველადვე ჩვენთ წმიდათ მამათ ქართველთაგან აღწერილი, და მოქცევა სრულიად საქართველოსა..

კ ვ ა ლ ა დ ს ა ღ მ რ თ ო ნ ი წ ე რ ი ლ ნ ი

62. ილია მინიატის ქადაგება-სარწმუნოებისათვის.

63. ანტონი პირველის, სრულიად საქართველოს კათოლიკოსისა, ქადაგება მირქმისა დღესასწაულისა.

64. „მამაო ჩვენის“ თარგმანი იოანე ოსეს შვილის მიერ, სიტყვაობის სობოროს პროთოიერეისა, კაცისა სწავლულისა.
65. კვალად ქეთევან დედოფლის წამება, შვენიერ სიტყვაობით ქმნილი, კათოლიკოსისა ანტონი პირველისა.
66. კვალად ლუარსაბ მეფის წამება, მშვენიერ სიტყვაობით აღწერილი, მის მიერვე.
67. მოსახსენებელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა თომასნი, ქადაგებანი მისნი ინდოეთსა (!) შორის და ღვაწლის, ბერძულიდამ ნათარგმნი ძველად.
68. წირვაზედ სათქმელი ლოცვები, რუსულიდამ ნათარგმნი ალექსანდრე ბაქარის ძისაგან, და ხუცურად დაბეჭდილი.
69. ოდა დერუავანისა, რუსულიდამ თარგმნილი მათის უგანათლებულესობის მეფის ირაკლის ძის მირიანის მიერ და ქართულად გალექსილი, იამბად, დიახ მშვენიერად. ამას შინა იოანე აბდულ-მესია შავთელის ლექსებიც არის, რომელიც, ესე შავთელ, პირველი მესტიხეთაგანი არის ქართულის ენისა.
70. პასხალიონი, ქმნილი ნიკოლაოზ ტფილელ მიტროპოლიტისა, ორბელიანის ძისა, და კინკლოსნი წელთა მოქცევისა და ვარსკვლავთანი.
71. წიგნი ჩართულთ-ანბანი, ასო მთავრული, რომელიცა გარდომიდო მათმან უგანათლებულესობამ მეფის გიორგის ძემან თეიმურაზმან ნიკოლაოზ ტფილელის ქმნულის წიგნიდამ, და ამა წიგნსა შინა არიან სტიხნი მრავალნი, და მხედრული ანბანიცა, ეგრეთვე ნიკოლაოზ თბილელისაგან ჩართულნი, იგიცა გარდმოილ, და ამასა წიგნსა შინა არიან ერთად.
72. პასხალიონი და კინკლოსნი ვრცლად, და კინკლოსისა წელიწდებისათანა მოწერილი შემთხვეულებანი სხვანი და სხვანი საქართველოსანი, ქმნული ვახუშტის მიერ, ვახტანგ მეექვსისა, ქართლის მეფის შვილისა.
73. წირვის განმარტება ეპისკოპოსისა მსახურებისა, მოკლედ ქმნული, მრავალმთის იოანე ნათლის მცემელის უდაბნოს იერომონახისა, გაბრიელ მცირისაგან.
74. ორმეოცნი შეკითხვანი სხვათა და სხვათა საგანთათვის-ასახსნელთა საღმრთის მეტყველოსა, საფილოსოფოსოსა და ძნელთა განსამარტებელთა საღმრთოთა წერილთაგან, და მიგება მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ, იამბად თქმული, მრავლისა მოწმობითა და მტკიცითა დამტკიცებათა ახსნანი კითხულთა მათ, და მრავლისა მაგალითებითა.



75. კვალად წიგნი მონისკრიპტები ცეს იგი ხელნაშვილისა შშვენიერის მწერლობის ხელოვანებითა, ჩინებულთ ქართულისა ხელისა მწერალთაგან.

76. ლოცვანი აჩნდის-ხატის პროთოიერეისაგან, ფრიად მშვენიერისა ხელით დაწერილი, სრულიად საქართველოსა მეფისა თემურაზ მეორის ნაქონები.

77. ლოცვები. ნიკოლაოზ სიონის პროთოიერეისაგან აღწერილი საკვირველის ხელით, ხუცურად.

78. კვალად პარაკლისი მტერთა მიმართ ბრძოლისა, ალექსი პროთოიერეისაგან აღწერილი მშვენიერად, მეფის თემურაზისავე ნაქონი.

79. ლოცვები, ლიახ მცირეს ტანისა, მაგრამ აკაფისტი თავისის გრძელის ლოცვებით სრულიად სწერია, და პარაკლისი წმიდის-ღმრთისმშობლისა. აღწერილი გვლათის მონასტრის წმიდის გიორგის არხიმანდრიტისა ზაქარია კუტის შეილისაგანა, მხედრულის გრგვალის ხელით,—ერთი დუიმი ვერ ექმნება სივრაპე, და თავის შესაფერი სიგანე აქვს, და ლიახ თხელი არის.

80. ვვარის გიხაროდენი, მგრგვალის-ხელით ესრეთი წერილი არს, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანი წერის ხელოვნებაში ქებული არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ეგე ვითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელაზ შესაძლებელ არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებული მწერალნი არიან ანუ ყოფილან; ესე არს აღწერილი მხედრულის ხელით სოლომონ პროთოიერეის მიერ, ტფილისის აჩნჩის (!) ხატის ეკლესიისა, ალექსის შეილისაგან.

81. სახარება მცირე, ოთხივ თავი სრული, საუბე, ფრიად წარჩინებულის ხელით აღწერილი, ხუცურის ხელწერილით, უმეტეს ასისა წლისა ჟამთა აღწერილ არს მრავალმთის ნათლის მცემელის მონასტერსა შინა, ბრძანებითა სრულიად საქართველოს კათოლიკოსისა ბესარიონის მიერ, ხელითა გაბრიელისათა; ესე გაბრიელ არა ცხად არს სამღვდელოთაგანი ყოფილ არს, თუ საერთოაგანი; და მახარებელნიცა მას შინა დახატულ არიან მის მიერვე, უცხოს ხელოვნებით, სარჩევიცა წლისა და თვისა სრულიად აქვს.

82. კვალად სახარება, ფრიად მცირე, სრული ოთხივ თავისა, საუბე, თავისის მახარებლებით, ხუცურის ხელით წერილით აღწერილი ხელმწიფისა, ესე იგი მეფის კარის დეკანოზის, პროთოიერეისა, იოაკიმის ძის დავით მღვდელისა მიერ, ტფილისს, წელ



ქრისტესით 1726-სა. ამ ორთავე სახარებას მცირე რამ სიგრძეა და თვითონ დუიმზედ შეტი ექმნებათ თავის შესაბამის სიგანით, და არც სქელები არიან, დიას თხელნი, ასე რომ უბეში არცყო გამოჩნდებიან, მაგრამ წასაკითხავათ საკვირველი უცხო არის.

83. დიას მცირე და კარგი ხელის ხუცური სახარება, ძველად დაწერილი, მხოლოდ ორი თავი მათესი და მარკოზისა.

84. სახარება ფრიად ძველი, ოთხივ თავი თავისის მახარებლებით, დიას უცხოს ძველებურის ხელოვნებით არიან დახატულნი მახარებლები ამაში ტეტრატზედ (ესე იგი ბარღამენტზედ) არის დაწერილი, დიას სუფთაზედ ხუცურის ხელწერილით, ერთის ფურცლის ქაღალდის მეოთხედის ოდენს ტანზედ არის დაწერილი, წელსა დასაბამიდგან სოფლისათ 6608, ბერძულის წელთა აღრიცხვით, და წელს რომ დასაბამიდგან სოფლისათ არის კ რიცხვი, 7343—6608 რომ გამოვიდეს, დარჩება 735,—შვიდას ოცდა თხუთმეტის წლის დაწერილი არის. ეს სახარება დაწერილი არის სვიმონ გროღაშვილისაგან, წითლურით არის ბოლოს სახარების დასარულში მოწერილი, და შემდგომად მისსა დასაბამიდგან ვიღრების სახარების დაწერამდე ეპოხაები აქვს მოწერილი.

85. კვალად სახარება ხუცურივე თავის მახარებლებითა და სარჩევით ტეტრატზედვე დაწერილი, რომელზედაც ბოლოს არის მოწერილი ბერძულათ (ხარის მანუილ ანდრონიკ), და ვისგანცა მე მივიღე ესე წმიდა სახარება მან მარწმუნა, რომ მანუილ კეისრისაგან, ბერძენთ იმპერატორისაგან, იყოს მოწერილი; მასზედ არის ზებედე ვისგანმე ხელმოწერილიცა, ვგონებ ბერისაგან, მაგრამ წელიწადი კი არა სწერია, რომელ წელიწადში არის აღწერილი.

86. მცირე ენციკლოპედიის გვარი მრავალი რამ ერთად შეკრებული სხვათა და სხვათათვის ცნობათა, ალექსის მიერ აჩისხატის (!) პროთოიერეისა ხელოვანის გრიგოლი მხატვრის ძისა, ხუცურად. ფრიად საკვირველის წერილით განშვენებული, და სხვათა და სხვათ მხატვრობაებითა ყოველს თვითორეულს ფურცელზედ ძვირფასად ნამუშაკევი მხატვრობა აქვს სხვათა და სხვათა სახეთა, და პატარას ტანისა არის საუბე წიგნი ესე და ეწოდების შეკრებული. ეს წიგნი აღუწერია თავადის სრულიად ქართლის სარდლის რევაზ ამილახვარის დედის მარიამ არაგვის ერისთვის ასულისათვის, ვინაიდგან იმ უაშში დიას სიბრძნის მოყვარე ყოფილა მარიამ ამილახვარის მეუღლე.

87. ლოცვები, საუბე ხუცურად დაწერილი, ფრიად წარჩინებულს ხელზედ, ეს ლოცვები წმიდისა და დიდის მოწამისა ქერ-



